# კვირის პალიტრა

№ 42 (452) ◆ 20 – 26 ოქტომბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




გვ.3

რომელ დასავლეთის პრაქტიკაზეა ლაპარაკი, ეს ხომ აშკარა დაცინვა და არჩევნების მთავარი პრინციპის უგულებელყოფაა. რას ნიშნავს დაზღვევა არჩევნებში? – გამოდის, რომ მაჟორიტარი კანდიდატი წინასწარ, უტიფრად ეუბნება საკუთარ ამომრჩეველს – შენ თუ არ მომცემ ხმას, პარტიული სიით პარლამენტში მაინც მოვხვდებიო. აღარაფერს ვამბობ სიაში ადგილების გაყიდვაზე.

***რამაზ კლიმიაშვილი***

## ხელისუფლება ვერ გაბედავს, რომ მოსახლეობას ხელკეტებით გადაუაროს

გვ.7



### „წინა ხაზზე, ვიცი, ჩვენ ვიქნებით, ასეთი ბედი გვაქვს“

ორი წლის წინ, პარლამენტთან ოპოზიციის გამოსვლებისას პოლიცია ვერ დავინახე, „რკინის კაცი“, თარგამაძე ჩირგვებში იყო ჩამალული და ჩემოდნებს ალაგებდა. მაშინ შევარდნაძეც მზად იყო გადადგომისთვის, მაგრამ ოჯახმა არ გაუშვა, – რას შვრები, რომ გადადგე, ჩვენ რაღას გვიპირებო. ეს ხელისუფლება ვერ გაბედავს, რომ მოსახლეობას ხელკეტებით გადაუაროს.

## ამ ქვეყანაში კომპრომატები ყველაზე არსებობს



გვ.7,11

### მინდა საქართველოში შევარდნაძის შემდეგ №2 პოლიტიკოსად მაღიარონ(?!)

თქვენ შევარდნაძე სულელი ხომ არ გგონიათ, პრეზიდენტს ხელს აძლევს ჟვანიას მოსვლა პარლამენტში, ოღონდ მცირე ძალებით. ამით ის გააუვნებლებს ჟვანიას, თან საჭირო მომენტში გამოიყენებს. მიხვდა, რომ სააკაშვილი და ჟვანია ერთად ვერასოდეს მოძოვენ და ამით მანიპულირებს...

## „კვირის პალიტრა“ პატარა, მაგრამ დიდი გამარჯვების მომსწრე გახდა...



კატარღა რამდენიმე წუთში წინ გაჭრილ ხომალდს დაეწია... მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ყრუ ხმა ზარბაზნის ქუხილივით გაისმა. აბორდაჟის ჯგუფის ხელმძღვანელმა ბრძანება გასცა და ერთ-ერთი მეზღვაური უცნობი ხომალდის გემბანზე აღმოჩნდა...

### ქართველმა მესაზღვრეებმა თურქულ გემზე არარსებული სახელმწიფოს 25.000 პასპორტი აღმოაჩინეს

გვ.5,11

თურქეთიდან წამოსულმა გემების მეპატრონეებმა კარგად იციან, როდის აქვთ საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდებს საწვავი და როდის გვეთიშება ელექტროენერგია(?!).

უნდა გენახათ, როცა ბაზაში შემოვუშვი, როგორ მისცვივდნენ აფხაზეთში მოჭრილ წიფლის მორებს. როგორც სულიერს, ისე ეფერებოდნენ – ხელს უსვამდნენ, კოცნიდნენ. რამდენიმე ლტოლვილმა მორებზე მიმხმარი მიწა ჩამოფხიკა და ფრთხილად ჩაყარა ცელოფანის პარკში. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავთ...

**მილიონიც რომ მომცე, პასპორტებს მაინც წაგართმევ(!)**

## ლევან კალაძეზე ახალმა ინფორმაციამ გამოჟონა?!



### „კახას მდგომარეობა ცალკე მიკლავს გულს...“

ვერ დავადასტურებ, რომ ეს ინფორმაცია ციხიდან და პატიმრებიდან წამოვიდა. ჩვენ გვითხრეს, რომ ლევანი ცოცხალია და ჯანმრთელად არის.

სამართალდამცავები პასიურობდნენ. კახას განცხადება ამ მიზანს – მათი მუშაობის გააქტიურებას ემსახურებოდა, თორემ არც უფიქრია ნაკრებში თამაშზე უარის თქმა.

გვ.8,13

## სასამართლო

**გვერდი 17–20**

## ჩვენი ხელისუფლება ისევ რუსეთის ძუძუს მიადგა

გვ.6

ზოგს უთქვამს კლიპზე, ხედავთ, ვაკელები როგორ მარიაჟობენო; მერწმუნეთ, ეს მართლაც ჩემი უბნის რეალური ყოფაა...

***ლევან გაჩეჩილაძე***

## გააკეთეთ პროგნოზი და... მოიგეთ ფერადი ტელევიზორი

გვ.6

**არჩევნები-2003**

### სამხედრო თემაზე:

გვ.9

## ГРВЗ-ს შტაბი „ბერლინის კედლის“ აგებას უარყოფს

ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება რუსულმა სამხედრო დაზვერვამ შეიტყო, საქართველოში არჩევნების მოახლოებისას, თბილისში, მათი შტაბის წინ, შესაძლოა, საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართოსო...

## მთამ კაცის ნდობა მასწავლა...



### აქ, ბევრმა მომატყუა

... რატომღაც მგონია, ქალაქში ნაკლებად ამჩნევენ მზის ამოსვლას, ვარსკვლავებსაც ნაკლებად უყურებენ... სხვაზე რა ვთქვა, აქ მე თვითონაც აღარ ვიყურები ცაში.

... ყველაზე დიდი უბედურება უშუქობა კი არ არის, უზნეობაა. ძალიან მინდა ადამიანებს შორის უნდობლობა აღარ იყოს.

გვ.12,16

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## საარჩევნო სიების გამოქვეყნების ვადამ გადაიწია

შაბათს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ ოპოზიციის გაყალბებაში დადანაშაულებას კვირას პარლამენტის თავმჯდომარემ პასუხი გასცა. ნინო ბურჯანაძე კობა ნარჩემაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს. შს მინისტრს კი ქომაგად ავთანდილ ჯორბენაძე დაუდგა, რომელმაც განაცხადა, რომ ძირითადი კანონდარღვევები იმ პირების მიერ არის ჩადენილი, ვინც წინათ ხელისუფლებაში იყო და ახლა ოპოზიციად აცხადებენ თავსო. ნინო ბურჯანაძე კი თითს მაინც შსს-სკენ იშვერს და აცხადებს: — სიების დადგენა ევალებოდა უშუალოდ შსს-ს. ის იყო პასუხისმგებელი სიების სიზუსტეზე და თუ სამინისტრომ ეს ვერ მოახერხა, იმიტომ, რომ ამ სტრუქტურაში ჰყავთ ხალხი, ვინც არჩევნების ჩაშლისთვის მუშაობენ და არა ჩატარებისთვის. ეს შს სამინისტროს და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ნინო ბურჯანაძემ კვირას ნანა დევდარიანთან შეხვედრისას საარჩევნო სიების გამოქვეყნების გადავადება ითხოვა. მისი ინიციატივით, დაზუსტებული სიები 22 ოქტომბრის ნაცვლად 26 ოქტომბერს უნდა გახდეს ცნობილი. ცესკოს თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარეს დაეთანხმა. თუმცა, ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა. კომისიის წევრთა ნაწილის აზრით, დაზუსტებული საარჩევნო სიების გამოქვეყნების ვადის გადაწევას, არჩევნების ვადის გადაწევაც უნდა მოჰყვეს, რასაც ცესკოს უმრავლესობა არ იზიარებს.

## საგანგებო სხდომა თბილისის საკრებულოში

თბილისის ბიუჯეტიდან პენსიების 3-ლარიანი დანამატისათვის გადარიცხული თანხის ათვისების საკითხი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის საგანგებო სხდომის მოწვევის მიზეზი გახდა. თუმცა სხდომაზე, რომელზეც აღნიშნულ საკითხზე პასუხი სოციალურ დარგში გამგებლების მოადგილეებს, საფოსტო განყოფილებებისა და საპენსიო ფონდის წარმომადგენლებს უნდა გაეცათ, მხოლოდ საპენსიო ფონდის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვანო მელიქიშვილი გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარემ კობა ბექაურმა დედაქალაქის გამგებლებს, „ინტელექტბანკისა“ და საპენსიო ფონდის ხელმძღვანელებს კიდევ ერთხელ წაუყენა 17-ლარიანი პენსიების განზრახ შეჩერების ბრალდება და მათ საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის წინააღმდეგ ხელისუფლების დაკვეთის შესრულება დასდო ბრალად.

როგორც ბექაურმა განმარტა, საკრებულომ აგვისტოს თვის საპენსიო დავალიანების 3-ლარიანი დანამატისათვის საჭირო 400 ათასი ლარი „ინტელექტბანკის“ ანგარიშზე გადარიცხა, მაგრამ მისი გაცემა შეჩერებულია და პენსიონერები საფოსტო განყოფილებებიდან პენსიას მხოლოდ 14 ლარის ოდენობით იღებენ.

## ხანძარი სახელისუფლებო ბლოკის შტაბბინაში

ნაძალადევის რაიონის ყოფილი გამგეობის შენობაში განთავსებულ სახელისუფლებო ბლოკის შტაბბინას ხანძარი გაუჩნდა. როგორც დეპუტატობის კანდიდატმა, მერაბ სამადაშვილმა განაცხადა, ხანძრის შედეგად ბლოკის შტაბბინა მთლიანად დაიწვა, განადგურებულია საბუთები. რაც შეეხება სამადაშვილის ოფისს, რომელიც გამგეობის შენობის მესამე სართულზეა განთავსებული, მას ცეცხლი მხოლოდ გარედან მოედო.

სამადაშვილის თქმით, ხანძრის გამომწვევი მიზეზი მისთვის ჯერჯერობით უცნობია.

## გიორგი ბარამიძე გაამართლეს

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა დიდუბის რაიონის „აღორძინების კავშირის“ მაჟორიტარი კანდიდატის, ომარ მდივნიშვილის სარჩელი, ამავე რაიონის დეპუტატობის კანდიდატის, გიორგი ბარამიძის წინააღმდეგ. ომარ მდივნიშვილი „ბურჯანაძე-დემოკრატების“ კანდიდატს, გიორგი ბარამიძეს ამომრჩევლის მოსყიდვაში ადანაშაულებდა და რეგისტრაციიდან მის მოხსნას მოითხოვდა. თითქმის 5-საათიანი განხილვის შემდეგ, სასამართლომ ომარ მდივნიშვილის ბრალდებები უსაფუძვლოდ ცნო და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ბლოკის წევრი გიორგი ბარამიძე რეგისტრაციიდან არ მოხსნა. გარდა ამისა, ომარ მდივნიშვილს სასამართლომ ბარამიძის სასარგებლოდ ჯარიმის სახით 30 ლარის გადახდა დააკისრა. მოსარჩელეს უფლება აქვს, დიდუბის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივროს.

## „მრეწველებმა“ ორი სარჩელი მოიგეს

უზენაესმა სასამართლომ ტყიბულის რაიონში „მრეწველების“ მაჟორიტარ კანდიდატს, თენგიზ ჭიქაბერიძეს არჩევნებში მონაწილეობის ნება დართო. სასამართლომ ცესკოს რეგისტრაციიდან მოხსნილი კანდიდატის ხელახალ რეგისტრაციაში გატარება დააკისრა. ჭიქაბერიძე, რომელიც ცესკომ რეგისტრაციიდან მხარდამჭერთა სიებში აღმოჩენილი უზუსტობების გამო მოხსნა, ტყიბულის რაიონში ბონდო შალიკიანს დაუპირისპირდება. ბონდო შალიკიანი ნავთობის ბიზნესით არის დაკავებული. იგი საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის მხარდაჭერით სარგებლობს. „მრეწველებმა“ იმავე დღეს კიდევ ერთი პროცესი მოიგეს, რომელიც წალკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატის, აიკ მილტონიანის კანდიდატურის აღდგენას ეხებოდა.

უზენაეს სასამართლოში კიდევ რამდენიმე პროცესი მიმდინარეობს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბლოკ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ სარჩელი და ცაგერის რაიონში ბლოკის მაჟორიტარ კანდიდატს, ვალერი გიორგობიანს არჩევნებში კენჭისყრის უფლება არ მისცა. ცესკომ გიორგობიანს მხარდამჭერთა სიების 20% პასპორტების არასწორად მითითებული ნომრების მიზეზით გაუბათილა. ამრიგად, ცაგერის რაიონში სახელისუფლებო ბლოკის მაჟორიტარი კანდიდატი, ქონების მართვის ყოფილი მინისტრი ავთანდილ სილაგაძე კონკურენციის გარეშე იყრის კენჭს(?!).

## არშბა არჩევნების ჩატარების საფუძველს ვერ ხედავს

ვალერი არშბა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აიტაირას“ მოთხოვნის შესაბამისად, აფხაზეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას არარეალურად მიიჩნევს და აცხადებს, რომ გამოჯანმრთელებული ვლადისლავ არძინბა თვის ბოლოს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგება. არშბას შეფასებით, „აიტაირას“ პარლამენტისადმი მიმართვა, „გამოიჩინოს პოლიტიკური სიმწიფე“ და აფხაზეთში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატაროს, „ყოვლად უსაფუძვლო და არარეალურია“, ვინაიდან ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნამდე პარლამენტმა პრეზიდენტს იმპიჩმენტი უნდა გამოუცხადოს. მისივე განმარტებით, თუ იმპიჩმენტის პროცედურა აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში მაინც დაიწყო, არძინბას საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე, ანუ 2004 წლის 3 ოქტომბრამდე, პრეზიდენტის იმპიჩმენტი მაინც ვერ განხორციელდება.

„აიტაირამ“ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით აფხაზურ პარლამენტს გასულ კვირას მიმართა. ამის ძირითად მოტივად სეპარატისტების პრეზიდენტ არძინბას ავადმყოფობა და პოლიტიკურ პროცესებში ჩაურევლობა დასახელდა.

## ლევან ჩრდილელი აპროტესტებს

სახელისუფლებო ბლოკის სიაში, ბოლო ნომრად წარმოდგენილი ვაკის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან ჩრდილელი თვლის, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ის გახდა პიარ-ტექნოლოგიების მსხვერპლი. „მიეცით ხმა ლევან ჩრდილელს და 50 ლარს გადაგიხდით, — სთავაზობენ ამომრჩევლებს ვაკის რაიონში და შავი პიარით მებრძვიან. არ არის გამორიცხული, ასეთმა ფაქტებმა ჩემი მხარდამჭერებიც კი ჩემს საწინააღმდეგოდ განაწყოს. უკვე დაზუსტებულია, რომ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებში ფინანსური დახმარების შეთავაზება ხშირ შემთხვევაში აგრესიას იწვევს“ — აცხადებს ლევან ჩრდილელი და იქვე დასძენს, რომ მოწინააღმდეგეები ხელისუფლებაშიც ჰყავს და ოპოზიციაშიც.

## სააკაშვილი გორის დათმობას არ აპირებს

ნაციონალური მოძრაობის ლიდერი წინასაარჩევნო ვოიაჟებს განაგრძობს. კვირას იგი გორს ეწვია და ადგილობრივ მოსახლეობას საარჩევნო უბნებთან თავშეყრისკენ მოუწოდა. სააკაშვილის განცხადებით, იგი ამ მეთოდით არჩევნების გაყალბების თავიდან აცილებას ცდილობს. მან გორში განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი ყველგან დათმობს არჩევნებს, გარდა გორისა და თელავისა. ეს ქალაქები სწორედ ის ადგილებია, სადაც ნაციონალურ მოძრაობას მაჟორიტარობის რეალური კანდიდატები ჰყავს. გორში ხელისუფლება მოსახლეობას ერთმანეთს უპირისპირებს, რაც სამოქალაქო ომის საშიშროებას ქმნის, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. ეს არ მოხდება, თუ ხალხი გორშიც და თელავშიც მივა საარჩევნო უბნებთან და არც მედეა მეზვრიშვილს და არც არავის მისცემს არჩევნების გაყალბების უფლებას, — განაცხადა სააკაშვილმა.

## რუსეთის მოქალაქე ნარკოდილერობისთვის დააკავეს

ქართველმა სამართალდამცველებმა თბილისში რუსეთის მოქალაქე დააკავეს, რომელსაც დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება — 112 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უფროსმა ალეკო ტაბატაძემ განაცხადა, დაკავებული ქალაქ ვლადიკავკაზში მცხოვრები ნიკოლოზ ბაისანგუროვია, რომელიც ჩრდილოეთ ოსეთის შსს-ს გამომძიებლის თანამდებობიდან ერთი თვის წინ გაათავისუფლეს. ნიკოლოზ ბაისანგუროვი დიდუბის რაიონში, „სამთო ქიმიის“ შენობასთან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს.

## ჩოხატაურს ახალი საპატიო მოქალაქეები ჰყავს

პაატა ბურჭულაძეს, სერგო კოტრიკაძეს, ივანე კილურაძეს, თამაზ და ოთარ ჭილაძეებს ჩოხატაურში, ნოდარ დუმბაძის 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალზე, საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. საზეიმო ცერემონიალში საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ნოდარ დუმბაძის მეუღლე და ქალიშვილები, ქეთი და მანანა დუმბაძეები მონაწილეობდნენ. დაბა ჩოხატაურში ნოდარ დუმბაძის ბიუსტისა და მისი სახელობის სკვერის გახსნისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტმა 70-იანი წლების მეორე ნახევარსა და 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარე მოვლენებზე ისაუბრა. მან თავის გამოსვლაში ახსენა ვიღაც ქალი, რომელმაც მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერი შარაზე დადო“. პრეზიდენტმა არათუ დააკონკრეტა, არამედ მინიშნებაც კი არ გააკეთა, რომელ ქალზე იყო საუბარი და მსმენელებს განუცხადა — თქვენ თავად იცით, თუ რომელ ქალზეა საუბარი და რა დადო მან შარაზე, ამიტომ მე ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებო.

## პრესის თავისუფლებისათვის

საქართველოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, საქველმოქმედო ფონდების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები (თბილისიდან, გორიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, გურჯაანიდან, ოზურგეთიდან და ჩოხატაურიდან) 17 ოქტომბერს ქ. ფოთში შეიკრიბნენ, რათა ერთობლივი პროტესტი გამოეცხადებინათ ქ. ფოთის ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ბოლო ხანს ამ ქალაქში მედიაზე დაფიქსირებული ძალადობის ფაქტების გამო.

შეგახსენებთ, რომ ა/წლის 3 ოქტომბერს ცინიკურად გაიძარცვა ასოციაცია „თავისუფალი პრესის“ წევრის გაზეთ — „ფოთის“ ოფისი.

სამაგიეროდ ამ ძარცვამ სერიოზული კვალი დატოვა ქვეყნის სამოქალაქო სექტორის ცნობიერებაში. რაიმე ინფორმაციის მიჩუმათების მიზნით თუ რომელსამე ქალაქში გაზეთის, რადიოსა თუ ტელევიზიის დროებით შეზღუდვას შეძლებენ, მოკლე დროში ის ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით სხვა მედიების საშუალებით გავრცელდება — აცხადებდნენ ფოთში ქალაქის ადმინისტრაციული შენობის წინ საპროტესტო აქციაზე შეკრებილი სრულიად საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

მოგვიანებით აქციამ პოლიციის სამმართველოსთან გადაინაცვლა.

დღის ბოლოს, გაზეთ „ფოთის“ ოფისში შეკრებილ რედაქციის თანამშრომლებს ფონდ „ევრაზიის“ დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან ხუციშვილმა საჩუქრად კომპიუტერი გადასცა. იმედოვნებენ რომ გაზეთ „ფოთს“ სხვა ორგანიზაციებიც გადასცემენ კომპიუტერულ ტექნიკას. ასე რომ, ბნელი ძალების განზრახვა — ჩაახშონ ინფორმაცია — არ ასრულდება.

*ასოციაცია თავისუფალი პრესა*

## ახალი არმია?

ამერიკელი კოლეგების მიერ ქართველი სამხედროების მომზადების ახალი პროგრამა გაფართოვდება — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ შაბათს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ყოფნისას. იგი მე-11 ქართველ მოტომსროლელ ბრიგადას ეწვია, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში. ჯორბენაძემ კმაყოფილება გამოთქვა სამხედროების მომზადების დონით და განაცხადა — ეს უკვე ხარისხობრივად ახალი არმიაა, რომელიც მზად არის სერიოზული ამოცანების შესასრულებლად. თუმცა მინისტრს არ დაუზუსტებია, რას გულისხმობდა სერიოზულ ამოცანებში. სახელმწიფო მინისტრი სამხედროებს დამატებით დაფინანსებას და ხელფასების მომატებას დაჰპირდა. ჯორბენაძის თქმით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი აშშ-დან ჩამოიტანს პროგრამას, რომელიც საქართველოს სამხედრო ნაწილების ნატოს სტანდარტებთან მიახლოების კიდევ უფრო დაჩქარების გეგმას ითვალისწინებს.

## რუსთავის კოლონიაში დაცვა ძლიერდება

რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის კოლონიაში რეკონსტრუქციისთვის იუსტიციის სამინისტრომ სპეცსახსრები გამოყო. საპყრობილე, საიდანაც ერთი თვის წინ პატიმრების რეკორდული რაოდენობა გაიქცა, დაცვის სისტემას აძლიერებს. კოლონიაში კავშირის ახალი სისტემა მონტაჟდება, რისი მეშვეობითაც ბადრაგებსა და ზედამხედველებს მუდმივი კავშირი ექნებათ ერთმანეთთან. აღდგება სიგნალიზაციაც. სარემონტო სამუშაოებისთვის კოლონიაში დაცვის დამატებითი ძალებიც შეიყვანეს. კოლონიაში მიმდინარე პროცესები ხელმძღვანელობას იმედს აძლევს, რომ პატიმართა გაქცევის მცდელობას ადგილი აღარ ექნება და თუ ამგვარი ჩანაფიქრის განხორციელებას მაინც შეეცდებიან, ხელი მოეცარებათ (ვინ იცის, მთავარია ციხე შიგნიდან არ გატყდეს...).




## ოპოზიციონერები თავშესაფარს ითხოვენ

აზერბაიჯანში ოპოზიციური პარტია „მუსავათის“ ლიდერმა ისა ღამბარმა და პარტიის გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ნორვეგიის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვეს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ყულიევის განცხადებით, ოპოზიციონერ ჟურნალისტზე სამართალდამცავებს ძებნა აქვთ გამოცხადებული. მას ბრალად ედება 15-16 ოქტომბერს ბაქოში მომხდარი უწესრიგობის ორგანიზება და მასში მონაწილეობა.

## ჩეჩნეთის პრეზიდენტის ვაჟი ავტოავარიაში მოყვა

ჩეჩნეთის პრეზიდენტის, აჰმად კადიროვის ვაჟი ზელიმხანი მძიმე ტრავმებით გროზნოს საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მას ოპერაცია გაუკეთდა. მედიკოსთა შეფასებით, ზელიმხან კადიროვის მდგომარეობა მძიმეა. კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიზნით იგი მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა სოფელ ცენტოროიში მოხდა. ზელიმხან კადიროვის ავტომანქანა „ვაზ-2199“, რომელშიც მისი მცველიც იმყოფებოდა, „ვაზ-2104“-ს შეეჯახა. აღსანიშნავია, რომ ავარია აჰმად კადიროვის ჩეჩნეთის პრეზიდენტად კურთხევის ცერემონიამდე ორი დღით ადრე მოხდა. პროკურატურა ინციდენტის რამდენიმე ვერსიას განიხილავს, მათ შორის, წინასწარგანზრახულ შეჯახებას.

## სპეცსამსახურები თვითმფრინავებს ჩხრეკენ

აშშ-ის სპეცსამსახურები ქვეყნის აეროპორტებში ყველა თვითმფრინავს ჩხრეკენ. ასეთი გადაწყვეტილება აშშ-ის მთავრობამ მას შემდეგ მიიღო, რაც ორი აერობუსის ბორტზე საეჭვო საგნები აღმოაჩინეს. კომპანია „საუთვესტ ეარლაინზის“ ორი თვითმფრინავის ტუალეტებში სამი პლასტიკური პაკეტი, ყუთის საჭრელი დანა და ფხვნილის მსგავსი სუბსტანცია აღმოაჩინეს. როგორც ცნობილია, ამგვარი დანები ტერორისტებმა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის წინ თვითმფრინავების ხელში ჩასაგდებად გამოიყენეს. ვითარებაში გარკვევა გამოძიების ფედერალური ბიუროს სპეციალისტებს დაევალათ. ასოშიეიტედ პრესის მონაცემებით, დაკავებულია ჩრდილოეთკაროლინელი სტუდენტი, რომელმაც აღიარა, რომ ცივი იარაღი თვითმფრინავებში მან შეიტანა. თუმცა აქვე განაცხადა, რომ მას მხოლოდ ამერიკის უშიშროების სამსახურების სიფხიზლის შემოწმება სურდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა, რობერტ მიულერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ინციდენტს კავშირი არა აქვს ტერორიზმთან, თუმცა უცნობია, ეჭვმიტანილმა როგორ შეძლო ერთდროულად ქვეყნის სხვადასხვა შტატში მყოფ აერობუსებში დანების დატოვება. აშშ-ის სპეცსამსახურებს გაზრახული აქვთ უახლოეს ხანში 7 ათასზე მეტი თვითმფრინავი შეამოწმონ.

## პუტინი ბუშს დაეთანხმა

ტაილანდის დედაქალაქში 21 ოქტომბერს დასრულდება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნების ლიდერთა სამიტი, სადაც ბუში და პუტინი მონაწილეობენ. პრეზიდენტ ბუშს ტაილანდში აზიის ქვეყნების ლიდერები და მოსახლეობა ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციებით შეხვდა. დემონსტრანტებმა ბუშს ამბიციური მმართველი უწოდეს და მისი კარიკატურები დაწვეს. ბუშმა კი თავის მხრივ განაცხადა, რომ ამერიკა არ აპირებს ფხენიანთან თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმებას. და იქვე დასძინა, რომ ჩრდილოეთ კორეაში რაიმე სახის სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ აშშ-ში არანაირი გეგმა არ განიხილება. ჩრდილოეთ კორეამ უნდა შეაჩეროს ბირთვული პროგრამა. ეს მხოლოდ შტატების მოწოდება არ არის. ეს მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პირობაა — განაცხადა ბუშმა, რაზეც სამიტში მონაწილე ქვეყნების ლიდერთა, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტის, პუტინის სოლიდარობაც მიიღო. პუტინმა ბანგკოკში სახალინზე ბუნებრივი აირის გადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობის დაწყებაზეც ისაუბრა.

## „ჰამასის“ ლიდერი შეტაკებისას დაიღუპა

პალესტინური წყაროების თანახმად, მოკლულია „ჰამასის“ საველე მეთაური, 25 წლის თარიკ აბულ ჰუსეინი. პალესტინელ ექსტრემისტთა ჯგუფი ქალაქ რაფაჰში ისრაელის ბლოკპოსტზე თავდასხმას აპირებდა, როცა იგი სნაიპერებმა შენიშნეს. ბრძოლაში ისრაელის ტანკებიც ჩაებნენ. როგორც ვარაუდობენ, ერთ-ერთი ჭურვი ექსტრემისტთა ჯგუფის მახლობლად აფეთქდა. ისრაელის არმია უკვე ერთ კვირაზე მეტია, რაც რაფაჰის მიდამოებში ოპერაციას ატარებს. ებრაელი ჯარისკაცები იმ მიწისქვეშა გვირაბებს ეძებენ, რომლითაც პალესტინელებს ეგვიპტიდან ღაზაში კონტრაბანდული იარაღი შეაქვთ.

# ეს ხომ აშკარა დაცინვა და არჩევნების მთავარი პრინციპის უგულებელყოფაა

**უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული თანხის საფასურად ვისაც უნდა და რამდენსაც უნდა, იმდენ დეპუტატს დასვამს**



...კარგად ჩატარდა(?!), მაგრამ უკეთესად შეიძლებოდა, — დაახლოებით ასეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია ბაქოში, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით დატრიალებულ მოვლენებზე. ბუნებრივია, არეულობისა და ქაოსის მრავალთვიანმა პროგნოზებმაც იმოქმედა და ბაქოდან გადმოცემული კადრების შემხედვარე, ბევრი ქართველიც შიშით ამბობდა — ეს რა არის, ჩვენთან უარესი იქნებაო.

ალიევის საგვარეულო-საპრეზიდენტო მემკვიდრეობაზე განვლილი კვირის მანძილზე ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. რატომღაც, არაფერი თქმულა ზემოთ ნახსენებ საერთაშორისო საზოგადოების რეაქციაზე, რითაც ასე ხშირად აშინებენ ქართველი პოლიტიკოსები ერთმანეთს წინასაარჩევნოდ.

როგორც ჩანს, ეს ის შემთხვევაა, როდესაც დემოკრატია ნავთობის ბარელებით იზომება. საინტერესოა, რა ერთეულით გაიზომება ქართული დემოკრატია? — ყოველ შემთხვევაში, „ბორჯომის“ ბოთლები მას ნამდვილად ვერ გასწვდება. ალბათ ისევ ნავთობის მიხედვით, ოღონდ, მილსადენის კილომეტრაჟით, რადგან ალიევისა არ იყოს, შევარდნაძის მმართველობის სტაბილურობას შორს აქვს სახელი გავარდნილი. ცესკოს მხურვალე დაპირების მიუხედავად, ამომრჩეველთა სიებში კვლავაც დიდი გაუგებრობაა — გაყალბების საწინააღმდეგოდ შემოღებული უამრავი პროგრესული სიახლე შესაძლოა ყოვლად უსუსური აღმოჩნდეს — გასულ არჩევნებზე ხმებს გარდაცვლილებიც „აძლევდნენ“. ამჯერად კი არჩევნებში მონაწილეობას ჩვენი დიდი წინაპრებიც „მიიღებენ“. ინტერნეტ-საიტზე განთავსებულ სიებში 1800 წელს დაბადებული ამომრჩევლის მონაცემებსაც იხილავთ და 1790 წელსაც(!). კაცმა რომ თქვას, თუ პოლიტიკურ გამოცდილებაზე, ალღოსა და ობიექტურობაზეა საქმე, ხმა სწორედ მათ უნდა მისცენ — ცესკოს ლოგიკით, მათ საქართველოს რუსეთთან შეერთებაც ნახეს, ოქტომბრის რევოლუციაც, დამოუკიდებელი საქართველოც და მეორე მსოფლიო ომიც...

როგორც მოსალოდნელი იყო, წინასაარჩევნო კამპანიაში მიჩუმათებულმა სახელისუფლებო ბლოკმა მოქმედება დაიწყო; თანაც, როგორც ჩანს, გამოცდილი ფსიქოლოგების მიერ მომზადებული განსაკუთრებული სტრატეგიით სატელევიზიო რეკლამებსა თუ პროსპექტებზე განთავსებულ ლაიტ-ბოქსებზე არც ერთი, „ხალხისთვის საყვარელი“ ლიდერის სახე არ ჩანს. იქ მხოლოდ

> რომელ დასავლეთის პრაქტიკაზეა ლაპარაკი, ეს ხომ აშკარა დაცინვა და არჩევნების მთავარი პრინციპის უგულებელყოფაა. რას ნიშნავს დაზღვევა არჩევნებში? – გამოდის, რომ მაჟორიტარი კანდიდატი წინასწარ, უტიფრად ეუბნება საკუთარ ამომრჩეველს – შენ თუ არ მომცემ ხმას, პარტიული სიით პარლამენტში მაინც მოვხვდებიო. აღარაფერს ვამბობ სიაში ადგილების გაყიდვაზე

ბავშვის ფოტოსურათს და ასევე ბავშვის მიერ შესრულებულ ნახატს თუ ნახავთ წარწერით „ახალი საქართველოსთვის“. ბავშვი კი, მოგეხსენებათ, მაინც ბავშვია, საყვარელი და უწყინარი...

სიმართლე რომ ითქვას, ფსიქოლოგიური მიდგომა არც ოპოზიციურ პარტიებს აკლიათ — მემარჯვენეების ბილ-ბორდიდან ორივე ლიდერი ერთად გვიმზერს — ერთი ევროპულ კოსტიუმსა და ჰალსტუხშია გამოწყობილი, მეორეს კი წვერი მოუშვია და გაღეღილი, ჭრელი პერანგი აცვია — როგორც იტყვიან, ნებისმიერი გემოვნებისთვის, ოღონდ, აირჩიე(!). დემოკრატებმა პლაკატზე გუნდური პრინციპით გამოსვლაზე უარი თქვეს და ამჯერად თბილისელებს თავს მხოლოდ ნინო ბურჯანაძე აწონებს — მუშათა ჯგუფთან ერთად...

წინასაარჩევნო ვითარების მიმოხილვა პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილთან** ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მომხდარი ამბებით დავიწყეთ:

**— მართალია, მოვლენათა ამგვარი მსვლელობა დიდი ხნის წინ იყო ნავარაუდევი, მაგრამ აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი ალბათ თანამედროვე მსოფლიოში უპრეცედენტო იქნება. მიუხედავად ამისა, მამიდან შვილზე საპრეზიდენტო „ტახტის“ გადაცემა ცივილიზებულმა დასავლეთმა, შეიძლება ითქვას, რომ არ შეიმჩნია...**

— პრინციპში, მოულოდნელი აქ არაფერი ყოფილა — აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ დასავლეთ ევროპაც და ამერიკაც ყოველთვის ორმაგი სტანდარტებით გამოირჩეოდა — ეს ის შემთხვევაა, როდესაც უმართავ დემოკრატიას მართვადი დიქტატურა სჯობს.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ალიევს პრეზიდენტობა ყველაზე ადრე პუტინმა მიულოცა — ეს კი ცალსახად ნიშნავდა, რომ დასავლეთისგან ზურგის შექცევის შემთხვევაში, რუსეთი კვლავაც მზად არის, ყველაფერი დაივიწყოს და აზერბაიჯანი „ძმური სიყვარულით“ ჩაიხუტოს. არის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც — აზერბაიჯანი მუსლიმანური სარწმუნოების ქვეყანაა, თანაც ეს სარწმუნოება არაფრით განსხვავდება მისი მეზობელი ირანის სარწმუნოებისგან — ორივე ქვეყნის მოსახლეობა შიიტური განშტოების მასობრივი მიმდევარია. ისლამის მენტალიტეტი კი დემოკრატიას ვერ ეგუება — დასავლეთს ოდითგანვე ჰქონდა მკვეთრად ჩამოყალიბებული სტრატეგია, რომლის თანახმადაც, რასაც ვერ აიტანდნენ ქრისტიანულ სამყაროში, იმაზე მაჰმადიანური გავლენის სივრცეში თვალს დახუჭავდნენ. ეს დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს რელიგიურ დაპირისპირებას. უბრალოდ, როგორც გითხარით, მენტალიტეტის გამო ობიექტური რეალობით არის გამოწვეული. გარდა ამისა, ისიც ფაქტია, რომ აზერბაიჯანული ოპოზიცია საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა — გაერთიანების ნაცვლად, ერთმანეთს პრეზიდენტობას რვა კანდიდატი ეცილებოდა... ასე რომ, ალიევების კლანს არჩევნების მოსაგებად ძალიან მცირე დოზით გაყალბება დასჭირდა. მუსავათი კი ნამდვილად არ არის ის პარტია, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აზერბაიჯანში იდეალურ დემოკრატიას დაამყარებდა — აქ მხოლოდ შემოსავლების დაუფლებაზე იყო ლაპარაკი, რასაც მოსახლეობაც კარგად აცნობიერებდა და ამიტომაც ადევნებდა თვალყურს მთავრობის სახლთან დატრიალებულ შემზარავ ტრაგედიას ტელევიზორებით. აღმოსავლეთის ქვეყნებში კორუფცია და კანონის დარღვევა უბრალოდ, ცხოვრების წესია. როდესაც ინდოეთში ვმუშაობდი, მახსოვს, ათეული წლების მანძილზე პირველად დაიჭირეს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე — მინისტრი. ის, უბრალოდ, გაოცებული იყო — აბა, მინისტრობა რისთვის მინდა, თუ ჩემი ნათესავები არ დავაწინაურე თანამდებობებზე და მერე მათგან ფული არ ავიღეო... — სხვათა შორის, რაც არ უნდა თავი დავდოთ ევროპელობაზე, ისტორია გვიჩვენებს, რომ ჩვენც სწორედ ასეთი მენტალიტეტის ქვეყანა ვართ — უბრალოდ, აზერბაიჯანისგან განსხვავებით, ჩვენს ხელისუფლებას იმიჯის ნასახიც კი არ გააჩნია. დაუკვირდით — რატომ ერიდებიან რეკლამებში ლიდერების გამოჩენას? იმიტომ, რომ ეს ამომრჩევლის უკურეაქციას გამოიწვევს...

**— როგორ ფიქრობთ, გაყალბების შემთხვევაში იქნება თუ არა ქართული ოპოზიცია ისეთივე აგრესიული, როგორც ეს ბაქოში იყო? ფაქტია, რომ ქართველი პოლიტიკოსები საარჩევნო კამპანიაში უზარმაზარი ფინანსების დახარჯვას უმტკივნეულოდ ვერ გადაიტანენ...**

— სიმართლე გითხრათ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისადმი პირადად მე, ძალიან ნიჰილისტურად ვარ განწყობილი — ისევე, როგორც ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა. ჩვენთან საკმაოდ სპეციფიკური მდგომარეობაა — შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება რეგიონებში სიტუაციას ფლობს. სხვადასხვა ბერკეტის წყალობით, იქ მოსახლეობის ნაწილი დაავალდებულეს, ან აიძულეს, არჩევანი კანცელარიის სასარგებლოდ გაეკეთებინათ, ნაწილმა კი უბრალოდ, ხელი ჩაიქნია — მოსახდენი მაინც მოხდება და ამ ქვეყანას ვინც ჭამდა, ბოლომდე მან გამოჭამოსო. ასეთი ვითარების შექმნას ხელს საინფორმაციო ვაკუუმიც უწყობს — თუ დედაქალაქში 12 სატელევიზიო არხი და ათეულობით გაზეთია, რეგიონებში მხოლოდ მასმედიის თითო-ოროლა საშუალებაღა მოქმედებს — რომლებსაც მეტწილად, ხელისუფლება აკონტროლებს. თბილისში კი, როგორც გითხარით, სრულიად განსხვავებული სურათია — საზოგადოების უმრავლესობა ხელისუფლებისადმი უაღრესად უარყოფითად არის განწყობილი. მიუხედავად ამისა, საერთო სურათზე ეს ვერ იმოქმედებს რამდენიმე მიზეზის გამო: რაც მთავარია, ოპოზიციურმა პარტიებმა არათუ გაერთიანება ვერ შეძლეს, ერთმანეთის კრიტიკასაც კი არ ერიდებიან. არადა, ერთი ალტერნატივის არსებობის შემთხვევაში მოსახლეობა უპირობოდ დაუჭერდა მხარს ოპოზიციას, ოღონდ კი არსებული რეჟიმი შეცვლილიყო. ალტერნატიული ძალების დაქსაქსვით კი ოპოზიციურმა პარტიებმა თავთავისი ნაკლი უფრო თვალში საცემი გახადეს და დღეს, მიუხედავად განწყობისა, ამომრჩეველი მათდამი ერთპიროვნულად დადებითად განწყობილი არ არის. მაშინაც კი, როდესაც ვინმე ამა თუ იმ ოპოზიციურ პარტიას უჭერს მხარს, ხშირ შემთხვევაში, არჩევანს ცუდსა და ნაკლებად ცუდს შორის აკეთებს. ასეთ ვითარებაში კი, როგორც არ უნდა უკიჟინო — შენი არჩევანი ტოტალურად გააყალბეს და ხმის დასაცავად ქუჩაში გამოდიო, ბუნებრივია, ამომრჩეველს სახლიდან ვერ გამოიტყუებ — ბაქოს მსგავსად, ამჯობინებს, მოვლენებს ტელევიზორით ადევნოს თვალ-ყური...

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რასაკვირველია, გაყალბება გახლავთ. დააკვირდით, რა ხდება ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით. ეს ხომ აშკარად წინასწარ დაგეგმილი ქმედებაა, რათა არჩევნებში ხელისუფლებამ გაიმარჯვოს, ან, უბრალოდ, ეს პროცესი ჩაშლილად გამოცხადდეს. ჩემი ოჯახის მაგალითზე გეტყვით — საარჩევნო სიაში მხოლოდ დედაჩემი აღმოჩნდა, რომელსაც სიარული უჭირს და, შესაბამისად, არჩევნებზეც არ მივა, ანუ მის ბიულეტენს სხვა გამოიყენებს. მე კი, საარჩევნო სიაში არ აღმოვჩნდი... და ასე ხდება თითქმის ყოველ მესამე ოჯახში. რა თქმა უნდა, ალაგ-ალაგ, მოსაჩვენებლად სიის მიღმა სახელისუფლებო ბლოკის ზოგიერთი ცნობილი სახეც აღმოჩნდა. აღარაფერს ვამბობ ამომრჩეველთა ორასი თუ სამასი წლით დაბერებაზე, რაც მოგვიანებით არჩევნების შედეგების გაუქმება-აღიარებისთვის მანიპულაციის შესანიშნავი საშუალება გახდება. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმე ისე არ იქნება, როგორც ეს კანცელარიის ზედა სართულებში სურთ, სხვადასხვა დარღვევას დღის სინათლეზე გამოიტანენ და არჩევნებს ჩაშლილად გამოაცხადებენ.

> გამორიცხული არ არის, საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველო, პირიქით, სამაგალითოდ დასაჯოს, რათა ბაქოს მოვლენების შემდეგ, საკუთარი ხალხის თვალში ახლა მაინც „დემოკრატიის სადარაჯოზე“ მიძინებული არ აღმოჩნდეს... თუმცა, ეკონომიკური თუ დიპლომატიური სანქციები ისევ უბრალო მოსახლეობისთვის იქცევა უმძიმეს ტვირთად...

**— გამოდის, რომ ყველა კოზირი სახელისუფლებო ძალების ხელში ყოფილა... „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ეუთოს მისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბოლოო შეფასება არჩევნების სამართლიანობასთან დაკავშირებით, ისევ ქართველმა ამომრჩეველმა უნდა გააკეთოს. თუ ბაქოს გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ხელისუფლებას სადარდებელი არც ამ მხრივ ექნება — სადაც ბაქოში საპრეზიდენტო მემკვიდრეობას შეეგუენ, სტაბილურობისა და გავლენის ხათრით, საქართველოში ხარვეზებით ჩატარებულ არჩევნებსაც შეეგუებიან...**

— ხელისუფლებას მართლაც უფრო მეტი კოზირი აქვს, სხვადასხვა ბერკეტისა და მაქინაციის სახით, ვიდრე ოპოზიციას. მაგრამ მას არ აქვს ამ შემთხვევაში უმთავრესი — მოსახლეობის მხარდაჭერა. რასაკვირველია, დარღვევებისთვის ეუთო ვერავის დასჯის და ვერც ციხეში ჩასვამს — ისევე, როგორც დასავლეთი ევროპა, ან ამერიკა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოს არ აქვს ბაქოსნაირი რესურსები საიმისოდ, რომ ამდენ უკანონობასა და ცხოვრების წესად ქცეულ კორუფციაზე თვალი დახუჭონ. პირიქით, იმ როლის გათვალისწინებით, რაც საქართველოს საერთაშორისო საზოგადოებაში აკისრია, პირველ რიგში სწორედ მაღალი ხარისხის დემოკრატია და პატოსანი ხელისუფლებაა საჭირო. სწორედ ამით აიხსნება ამერიკელ პოლიტიკოსთა აქტიური მიმოსვლა საქართველოში არჩევნების წინ — სხვაგვარ საქართველოს ისინი ვერაფერში გამოიყენებენ. ჩვენთან არც ნავთობი მოდის ონკანებში და არც გაზი. ნავთობსადენის მომსახურებას ან ევრაზიის დერეფნის ამოქმედებას კი კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება და ქვეყანა ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს. ამიტომაც, გამორიცხული არ არის, საერთაშორისო საზოგადოებამ საქართველო, პირიქით, სამაგალითოდ დასაჯოს, რათა ბაქოს მოვლენების შემდეგ, საკუთარი ხალხის თვალში ახლა მაინც „დემოკრატიის სადარაჯოზე“ მიძინებული არ აღმოჩნდეს... თუმცა, ეკონომიკური თუ დიპლომატიური სანქციები ისევ უბრალო მოსახლეობისთვის იქცევა უმძიმეს ტვირთად... ხალხი კი, როგორც აღვნიშნეთ, ნიჰილისტურად არის განწყობილი. ასე რომ, ერთგვარ მოჯადოებულ წრესთან გვაქვს საქმე, სადაც მრავალგზის დაზარალებული ისევ და ისევ უბრალო ხალხია...

**— თუ წინასაარჩევნო აღებ-მიცემობას გავითვალისწინებთ, იდეალური მდგომარეობა ქვეყანაში არც ახალ საპარლამენტო ძალთა თანაფარდობით შეიცვლება, რადგან სახეებიც და იდეებიც ორივე მხარეს არცთუ ახალია... არახალია არჩევნებისადმი დამოკიდებულებაც თავად პარტიების მხრიდან. მაგალითად, დასავლეთის საარჩევნო პრაქტიკაში რამდენად მიღებულია, პარტიის ლიდერები ერთდროულად მაჟორიტარებიც იყვნენ და პარტიულ სიაშიც რჩებოდნენ?**

— ეს ყველაფერი იმ ტრაგიკული პარადოქსების შედეგი გახლავთ, რითაც სავსეა არა მხოლოდ საარჩევნო კანონმდებლობა (მიუხედავად მრავალთვიანი საპარლამენტო ტანჯვა-წამებისა, მის მისაღებად), არამედ ზოგადად კონსტიტუცია და საკანონმდებლო სივრცე. რომელ დასავლეთის პრაქტიკაზეა ლაპარაკი, ეს ხომ აშკარა დაცინვა და არჩევნების მთავარი პრინციპის უგულებელყოფაა. რას ნიშნავს დაზღვევა არჩევნებში? — გამოდის, რომ მაჟორიტარი კანდიდატი წინასწარ, უტიფრად ეუბნება საკუთარ ამომრჩეველს — შენ თუ არ მომცემ ხმას, პარტიული სიით პარლამენტში მაინც მოვხვდებიო. აღარაფერს ვამბობ სიაში ადგილების გაყიდვაზე, რითაც ეგრეთ წოდებული რეიტინგული პარტიის ლიდერები არჩევნების დროს საკმაოდ დიდ ფულს შოულობენ და აქ უკვე თავად პარტიის დოქტრინა, მორალი და მთავარი პრინციპები დგება ეჭვქვეშ — ამ ლოგიკით, ოპოზიციას ხელისუფლების ბლოკში შეუძლია თავისი ხალხის შეგზავნა, ხელისუფლებას კი — პირიქით... თუმცა, შიდაპოლიტიკური აგენტობა არაფერია იმასთან შედარებით, რაც უცხო ქვეყანამ შეიძლება გააკეთოს — უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, გარკვეული თანხის საფასურად, ვისაც უნდა და რამდენსაც უნდა, იმდენ დეპუტატს დასვამს.

> მე პირადად, ერთადერთ გამოსავალს ვხედავ – არჩევნები ჩაშლილად გამოვაცხადოთ და ჩვენს უქნარა და უვარგის პარლამენტარებს ბოლო შანსი მივცეთ, საარჩევნო კანონმდებლობა იმ დონეზე დახვეწონ, რომ არჩევნებზე ქვეყანა ერთ დიდ ბაზრობას არ ჰგავდეს

მე პირადად, ერთადერთ გამოსავალს ვხედავ — არჩევნები ჩაშლილად გამოვაცხადოთ და ჩვენს უქნარა და უვარგის პარლამენტარებს ბოლო შანსი მივცეთ, საარჩევნო კანონმდებლობა იმ დონეზე დახვეწონ, რომ არჩევნებზე ქვეყანა ერთ დიდ ბაზრობას არ ჰგავდეს. სხვაგვარად, არჩევნების შემდეგ უკეთეს შემთხვევაში მართვად პარლამენტს მივიღებთ, უარეს შემთხვევაში კი ქაოსსა და არეულობას — პარტიულ დონეზე, რაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დაქცევის პირას მყოფ ქვეყანას საბოლოოდ მოეღოს ბოლო...

*დაჩი გრძელიშვილი*

# მინდა ქართველს შევაყვარო საქართველო

## ფოტოალბომი „საქართველო“ კეთილშობილი მისიით

როცა ეს ალბომი დავათვალიერე, ძალიან, ძალიან მომინდა ზურგჩანთის ჩალაგება და საქართველოში სამოგზაუროდ წასვლა. საქართველოს ოთხივ კუთხივ ბევრი ისტორიული



ძეგლი დამითვალიერებია, მაგრამ, ამ წიგნმა პირველად ნახვისა და გაოცების გრძნობა განმიახლა. ამ ფოტოებისა და მთლიანად წიგნის ავტორიც, ჟურნალისტი, დიპლომატი — **ბადრი ვადაჭკორიაც** ამას ისახავდა მიზნად — „მინდა ქართველებს შევაყვარო საქართველო“, — გვითხრა ბატონმა ბადრიმ (ჯერ ქართველებს, მერე კი უცხოელებსაც, რა თქმა უნდა)... ეს ერთი შეხედვით ბუნებრივი სურვილი, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან ძნელი ასასრულებელია. განა ვინმე აღიარებს, რომ მას სამშობლო არ უყვარს?! მაგრამ სიყვარულიც არის და სიყვარულიც! საქმენი სხვას ღაღადებენ. საქართველო რომ ისე გიყვარდეს, საკუთარი კეთილდღეობაც კი დაგათმობინოს, ჯერ მისხალ-მისხალ უნდა შემოიარო და გაიცნო... რომ გაიცნო, მოგზაურობის სურვილი უნდა გაგიჩნდეს, გინდოდეს არა ლონდონსა თუ პარიზში, არამედ პირველად ხევსურეთში, თუშეთში, გურიასა თუ კახეთში მოგზაურობა... ჯერჯერობით ეს სურვილი არ გაქვთ? როცა ბადრი ვადაჭკორიას ალბომს დაათვალიერებთ, გაგიჩნდებათ.

როგორც ავტორმა მითხრა, ალბომის გამოცემის აუცილებლობა პირველად უცხოეთში იგრძნო. ის წლების მანძილზე საზღვარგარეთ ცხოვრობდა, პირველად თურქეთში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი იყო, შემდეგ ევროპის 9 ქვეყანაში აკრედიტებული ქართველი ჟურნალისტი:

— იქ უამრავ ადამიანთან მიხდებოდა შეხვედრა. უმრავლესობას წარმოდგენა არ ჰქონდა საქართველოზე და მე იმ რამდენიმე ფოტოს ვუჩვენებდი, რომლებიც თან მქონდა. ბევრჯერ მივმხვდარვარ, როგორ მჭირდებოდა ალბომი საქართველოზე, რომ მათთვის სრულიად წარმედგინა ჩემი სამშობლო. უკეთეს შემთხვევაში 1981 წელს გამოცემული „საბჭოთა საქართველო“ ან 1986 წელს გამოცემული „სიმღერა საქართველოზე“ შეიძლებოდა გეჩვენებინა ვინმესთვის... მაგრამ იშოვი კი 22 წლის წინ გამოცემულ ალბომს? თანაც ის მეოთხედი საუკუნის წინანდელ საქართველოს წარმოგიდგენს... აი, ყველაფერმა ამან გადამაწყვეტინა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალბომი გამომეცა. როცა წიგნი უკვე დაკაბადონებული იყო და მხოლოდ გამოცემისათვის საჭირო თანხაღა მჭირდებოდა, ბევრ გულში მჯილისმცემელ, მდიდარ ქართველს მივაკითხე. ამაოდ. პარადოქსია, მაგრამ პირველი უანგარო დახმარება თურქულმა „ჯეოსელმა“ გამიწია.

თვის ბოლოს ალბომის პრეზენტაცია შედგება. სხვათა შორის, იგი უკვე წარდგენილია სახელმწიფო პრემიაზე...

ალბომის გამოსვლის შემდეგ კი დიდი იმედი მაქვს, ჩავალაგებთ ზურგჩანთებს და წავალთ საქართველოში სამოგზაუროდ, რომ კიდევ ერთხელ შევიცნოთ ასე ნაცნობი და ასე უცნობი მშვენიერი საქართველო.

# კაცი, რომელიც სიმღერით „ხურავს“ ქალაქს...

ახლა ვინმემ რომ მითხრას, თბილისში ერთი სახლის სახურავიდან მეორეზე დადის ლუჩანო პავაროტიო, ნამდვილად ვიფიქრებ, რაღაცას ბოდავს-მეთქი, მაგრამ მე ნამდვილად მოვუსმინე ლუჩანოს... ერთი უცნობი კაცი ხმით ჰგავდა მას „გაჭრილი ვაშლივით“.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: რამდენიმე დღის წინ ერთი კორპუსის მე-8 სართულზე ავედი ლიფტით. ის იყო, მასპინძლის ზარის ღილაკს თითი დავაჭირე, რომ უცებ სადღაც მაღლიდან ტენორის მიერ შესრულებული იტალიური საოპერო არია „კე ბელა კოზა...“ ღვთაებრივად გადმოიღვარა. ვიფიქრე, ვიღაც ოპერის მიმღერალი გადიოდა რეპეტიციას და მასპინძელს „შურით“ ვუთხარი, — ასეთ „ბულ-ბულებში“ თუ ცხოვრობ, რაღა გიჭირს-მეთქი. მეზობელი არ გეგონოს, ხელოსანია. სახლის სახურავს აგებს მეორე დღეა და დაგვატკბო ხალხი. უნდა გენახათ გუშინ, თან სახურავს აგებდა, თან მღეროდა და, იქვე სახელდახელოდ ჩამომსხდარი ჩვენი სამეზობლო აპლოდისმენტებით აჯილდოებდაო. ცნობისმოყვარეობამ წერასავით ამიტანა. წამოვხტი და სახურავს მივაშურე. რაღა დაგიმალოთ და აღტაცებას ვერ ვფარავდი, როცა გავიგე, რომ კაცი, რომელიც სიმღერით „ხურავს“ თბილისს, ჩემსავით ქუთაისელი აღმოჩნდა. 40 წლის **ავთო მელივაძეს** ახლობლები ლუჩანოს ეძახიან ხუმრობით. თუმცა, საოპერო არიების გარდა ბევრ ძალიან ცნობილ ჰიტსაც ბრწყინვალედ ასრულებს „ქუჩის თუ სახურავების ვარსკვლავი“.

**— წინაპრებში თუ გყავდათ ვინმე მომღერალი?**

— საერთოდ, ძალიან მუსიკალური ოჯახი გვაქვს. ბაბუაჩემი სიყმაწვილიდან გალობდა ქუთაისის ერთ-ერთ ეკლესიაში. კომუნისტები უშლიდნენ, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა და როცა „ამკრძალავთა რაზმი“ მიადგებოდა, წაექილიკებოდა ხოლმე — მოვდივარ მე თქვენს ოხერ პარტიაში, გიტალახებთ კარებს? დამტიეთ ამ ჩემს ეკლესიაში ღმერთთან და მაცალეთ გასვლა ამ ქვეყნიდანო (ბაბუა გალობის პროცესს გულისხმობდა, ამბობდა ხოლმე, როცა ვგალობ, მიწაზე აღარა ვარ, სხეულს ვერ ვგრძნობო). საოცარი ხმა ჰქონდა. თვალს ხუჭავდა და თითქოს მართლა სადღაც მიდიოდა ხმითა და სულით. ბაბუას ნიჭი მამაჩემსა და მამიდაჩემსაც გამოჰყვათ, ოღონდ იმ დოზით არა. გენმა უფრო ჩემში და მამიდაშვილებში იჩინა თავი. ერთი მათგანი კომპოზიტორია ქუთაისში, მეორე თბილისში მღერის ერთ-ერთი პრესტიჟული რესტორნის ანსამბლში. მე კიდევ ვდგავარ „კრიშაზე“ და ამაზე კარგი სცენა ქვეყანაზე არ მეგულება. აბა, დაფიქრდით, ჩემს დაგებულ სახურავში წყალი ჩავა? თითოეულ გოჯს სიმღერით ვაგებ.

**— მუსიკალური განათლება თუ მიიღეთ სადმე?**

— ფორტეპიანოზე ვსწავლობდი მუსიკალურ სკოლაში. 6 წელი ვიარე, მაგრამ ინსტრუმენტი ვერ მიტაცებდა. პატარაობიდან ეზოში კიბეზე ჩამოვჯდებოდი ხოლმე და ტელევიზორში და რადიოში მოსმენილ არიებს და ჰიტებს ვმღეროდი. უნდა გენახათ, როგორ ანებებდნენ იმ დროს მეზობლის ქალები საქმეს თავს და მომძახოდნენ, — იმღერე, ავთო, იმღერეო. მეც მეტი რა მინდოდა.



**— შვილები თუ გყავთ და მათზეც ასე თუ დაიბერტყა კალთა სიმღერის მუზამ?**

— სამი შვილი მყავს, მაგრამ მხოლოდ უფროსი მღერის. ჩემმა მამიდაშვილებმა კომპაქტდისკიც ჩაუწერეს. მაგრამ რომ გამოჩნდეს და წინ წავიდეს, სერიოზული პატრონი სჭირდება. ჩვენ კიდევ ჯერ ვერაფერს ვუკეთებთ. მუსიკალურ კომპანიებში ახლობელი არავინ მყავს და ისე რომ მივიდე და ვუთხრა, — ჩემი შვილი მაგრად მღერის-მეთქი, დამიჯერებენ?

**— მხოლოდ სახურავზე მართავთ კონცერტს?**

— სანამ სახურავზე დავიწყებდი გამოსვლას, მანამ ერთი სასაცილო ამბავი შემემთხვა. ცოლი რომ შევირთე, სიმამრმა ლეჩხუმში დამპატიჟა სოფელში. დამახვედრეს კაი სუფრა და რომ შევქეიფიანდი, დავიწყე სიმღერა. ჩემს მეუღლეს საკმაოდ მოხუცებული ბებია ჰყავდა. უნდა გენახათ, რა „შეუბერა“, აჰყვა ჩემი სიმამრიც და რომ მივხვდი, ქართულით ვერ გავაკვირვებდი, „შემოვცხე“ იტალიური. დამუნჯდა ყველა, რომ დავამთავრე, კიდევ იმღერეო და კინაღამ მომკლეს იმ ღამეს სიმღერით. მეორე დილას კი ჩემს სიმამრს მეზობლები რიგრიგობით აკითხავდნენ, ვინა გყავს ის უცხოელი დალოცვილი სტუმრად, მოიყვანე, გვაჩვენე, დაელოცა ენა და ყელი, წუხელი იავნანასავით მაგის სიმღერაში ჩაგვეძინაო.

**— თბილისში ეტყობა, ჯერ არავინ შეგხვედრიათ ისეთი, მუსიკაში კარგად ჩახედულიც რომ იყოს და თქვენნაირ ტალანტებსაც რომ ეძებდეს, თორემ მეეჭვება, დიდხანს მოგიწიოთ ღია ცის ქვეშ სიმღერა.**

— ერთხელ, რძის კომბინატს ვხურავდი. ცოლ-შვილი მომენატრა და „კე ბელა კოზა“ დავიწყე. სიმღერა რომ დავამთავრე, ტაშის გრიალმა გამომაფხიზლა. მთელი მომსახურე პერსონალი „კრიშაზე“ იდგა. მერე უფროსი ამოვიდა და მთხოვა, ოღონდაც ამ ხალხს ნუ გამიცდენ, სახურავს მიხედე და მერე კლუბში გამღერებო. ერთხელ სიმამრთან ერთად ვხურავდი კორპუსს. ანთებული ქურა მეჭირა ხელში და გატაცებით ვმღეროდი. ეს ქურა ისე ავიქნიე ექსტაზში, რომ ხმალივით გადააპარსა ცეცხლის ალმა სიმამრს თმები. მერე ეცინებოდა — სიმღერ-სიმღერით მწვავდი, შე ოხეროო? საოცარი რამეა ეს დალოცვილი სიმღერა, გულს ვცლი სევდისაგან და ვგრძნობ, რომ ასე უფრო მეტად მიყვარს ადამიანები. სიმღერა წამალივითაა, ხმაც რომ არ გქონდეს, სმენაც არ გივარგოდეს, მაინც უნდა იმღერო, გულს თუ ემღერება, არ უნდა დაუშალო.

***ეკა ლომიძე***

# თბილისი ისევ თბილისია

ამას წინათ, მეზობლის 16 წლის ბიჭმა დააგვიანა შინ მისვლა, კარგად დაბინდებული იყო, რომ დაურეკავს, მეგობართან ვრჩებიო და ყურმილი დაუკიდია. ის ღამე თეთრად გაათენა დედამისმა. დილიდან ძებნა დაიწყო, ჩამოიარა შვილის კლასელები, მეგობრები. საღამო ხანს მიასწავლეს: მგონი ვაზისუბანში, მიკროავტობუსის ბოლო გაჩერებაზე, მეთორმეტე კორპუსში იყო დაპატიჟებული ვიღაცასთანო. ნერვიულობით გულგახეთქილმა მშობელმა შვილის საძებნელად გაყოლა მთხოვა. ვიდრე ვაზისუბანში ავედით, დაბინდდა კიდეც. აღმოჩნდა, რომ მიკროავტობუსების ბოლო გაჩერებასთან ახლოს არ იყო მეთორმეტე კორპუსი, სამაგიეროდ, იქიდან მოშორებით, ორ სხვადასხვა მიკრორაიონში ორი მეთორმეტე კორპუსი არსებობდა...

სიბნელიდან 20-25 წლის ბიჭი გამოვიდა და მოგვიახლოვდა. ჩვენი გასაჭირი რომ გაიგო, მე მიგიყვანთ ორივე მეთორმეტე კორპუსამდეო, გვითხრა. თანაც მხრები აიჩეჩა, თქვენ რომ ეძებთ, ეგეთი ბიჭები ჩვენს უბანში, მეთორმეტე კორპუსში და მეცხრე სართულზე (სართულიც ვიცოდით) არ მეგულებაო. დავადექით სიბნელეში გზას. მე კი გამახსენდა ბავშვობიდან მოყოლებული, თუკი რაიმეზე გავუფრთხილებივართ დედას: უცხოს არ ენდო, არ გაჰყვე... აირია ქვეყანა, არავის სიტყვის დაჯერება არ შეიძლებაო... ჩვენ ვენდეთ და სიბნელეში ისე მივყვებოდით, ოდნავი წარმოდგენაც არ გვქონდა, საით გვეჭირა გეზი. ის ერთი უბრალო თბილისელი ბიჭი იყო და გულწრფელად ამბობდა:

— თუ რამე შემიძლია, დაგეხმარებით...

ამასობაში კარგა მანძილი გავიარეთ, უგზოობაში, ტალახსა და აღმართ-დაღმართებში... ორივე მეთორმეტე კორპუსთან მივედით და ვისაც ვეძებდით, იქ ვერ ვიპოვეთ. ისევ კარგა შორი მანძილი გამოვიარეთ უკან. რა პატარა და რა თბილი ქალაქია თბილისი! ჩვენ ხომ ერთმანეთის სახელებიც კი არ ვიცოდით. ძნელი წარმოსადგენია ვინმეს ღამით, უამინდობაში ამხელა მანძილის გავლა არ დაეზაროს...

ერთ ადგილზე მოზრდილი ძაღლები გამოცვივდნენ. ესეც თბილისური სურათია.

— ნუ გეშინიათ! — გვითხრა ვაზისუბნელმა ბიჭმა.

— როგორ არ გვეშინოდეს, ქალაქი სავსეა ცოფიანი ძაღლებით.

— ესენი აცრილები არიან...

— ქუჩის ძაღლები აცრილები არიან?! — უნდობლად ვკითხეთ.

— ჰო, მეგობარი გვყავს ვეტექიმი. საბურთალოზე მუშაობს. ამოვიყვანეთ და ავაცრევინეთ, დედას გეფიცებით, აცრილები არიან!

რაღაცნაირი სითბო ჩამეღვარა გულში. ძალიან თბილისური ამბის მომსწრე ვიყავი. რას ნიშნავს „ძალიან თბილისური?“ ჩვენ ხომ გვასწავლიან და გვიამბობენ, რომ თბილისი ერთი ოჯახივით ცხოვრობდა, რომ თბილისში უცხოსაც გულთბილად ესალმებოდნენ, რომ აქ ვაჟკაცები — ვაჟკაცობდნენ და ერთმანეთის დედებს უფრთხილდებოდნენ. დედები კი თავისი შვილისათვის გაჭირვებით ნაყიდ პერანგთან ერთად შვილის მეგობრისთვისაც ყიდულობდნენ პერანგებს...

P.S. მალე ჩემი მეზობლის „დაკარგული“ ბიჭიც გამოჩნდა...

...და როცა ისევ იტყვიან, რომ აღარაფერი არ არსებობს თბილისში თბილისური და ყველა მხოლოდ თავის ნაჭუჭშია ჩაკეტილი, იმ ერთი ვაზისუბნელი ბიჭის წინაშე ხომ მაინც არ ვიქნებოდი მართალი, რომ არ მეთქვა: თბილისი ისევ თბილისია!

***ლელა ჯიყაშვილი***






## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ვაჟა გავაშელი** — „ხანჯლის ნაკვალევი ხელის მტევნებზე“ — 150 ხმა
2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ჰაერიდან თავზე დავაცხრებით და ჯიხვებს მუსრს ვავლებთ“ — 106
3. **ლელა ჯიყაშვილი** — „ყლაპავენ ამ ბატიბუტს და უყურებენ იდიოტობას...“ — 49
4. **ინგა ჯაყელი** — „ედელვაისები — უსასრულო სიყვარულის სიმბოლოდ...“ — 38
5. **მანანა ჯიქია** — „იაპონური დაცვა“ — 24
6. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 21
7. **იზო რიკაძე** — „რამდენი მინისტრი ან მინისტრის მოადგილე მიდის პარლამენტში? რატომ?“ — 14

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა **ვაჟა გავაშელს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 454-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# „კვირის პალიტრა“ პატარა, მაგრამ დიდი გამარჯვების მომსწრე გახდა...

## ქართველმა მესაზღვრეებმა თურქულ გემზე არარსებული სახელმწიფოს 25.000 პასპორტი აღმოაჩინეს





ქართული კატარღა თურქულ გემს დაეწია

**ქართველ მესაზღვრეებს დაუმორჩილებელი ხომალდი აბორდაჟით უნდა აეყვანათ. კატარღა რამდენიმე წუთში წინ გაჭრილ ხომალდს დაეწია და მარჯვენა მხრიდან ისე მიუახლოვდა, რომ მეზღვაურებს ბორტზე გადახტომა შესძლებოდათ. აბორდაჟის ჯგუფის ხელმძღვანელმა ბრძანება გასცა და ერთ-ერთი მეზღვაური უცნობი ხომალდის გემბანზე აღმოჩნდა...**

### რეპორტაჟი საქართველოს სანაპირო დაცვის ბაზიდან

მცირე წყალწყვის ხომალდი უშფოთველად მიაპობდა საქართველოს ეკონომიკურ ზონაში შავი ზღვის ტალღებს. საქართველოს საზღვაო საზღვრის სწრაფმავალი კატარღიდან რამდენჯერმე უბრძანეს რაციით უცნობ გემს გაჩერება. ეთერში პასუხს არავინ სცემდა ქართველ მესაზღვრეებს. სადარაჯო-სასაზღვრო კატარღამ მაქსიმალური სიჩქარე განავითარა და გემს დაახლოებით 600-700 მეტრით მიუახლოვდა. ოპერაციის ხელმძღვანელმა მეგაფონით უბრძანა ხომალდს შეჩერება, მაგრამ ამაოდ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს გემზე არავინ იყო. თუმცა მისი ძრავები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ და სახიფათო მანევრებით ქართველი მესაზღვრეებისგან თავის დაძვრენას ცდილობდა... ფოთის სანაპირო დაცვის შტაბიდან ბრძანება მოვიდა, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევით გამაფრთხილებელი გასროლა გაეკეთებინათ. მეზღვაურები ცეცხლის გასახსნელად მოემზადნენ. მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის ყრუ ხმა ღამის სიწყნარეში ზარბაზნის ქუხილივით გაისმა. თუმცა თურქი ზღვაოსნები ვერც ამან შეაშინა. სწრაფმავალმა კატარღის ეკიპაჟმა ბაზიდან მორიგი ბრძანება მიიღო — ქართველ მესაზღვრეებს დაუმორჩილებელი ხომალდი აბორდაჟით უნდა აეყვანათ. კატარღა რამდენიმე წუთში წინ გაჭრილ ხომალდს დაეწია და მარჯვენა მხრიდან ისე მიუახლოვდა, რომ მეზღვაურებს ბორტზე გადახტომა შესძლებოდათ. აბორდაჟის ჯგუფის ხელმძღვანელმა, ლეიტენანტმა გოგა შელიამ ბრძანება გასცა და ერთ-ერთი მეზღვაური უცნობი ხომალდის გემბანზე აღმოჩნდა. მან ბაგირით მარჯვედ მიაბა ხომალდი კატარღას. თურქები (მათი წარმომავლობა შემდეგ გაირკვა) იძულებულნი შეიქნენ, გემი შეეჩერებინათ, მაგრამ კაიუტებში ჩაიკეტნენ და მესაზღვრეებმა ძალის გამოყენებით გამოაბრძანეს იქიდან. მალე მათივე თანდასწრებით ქართველმა მესაზღვრეებმა გემის ჩხრეკა დაიწყეს. საზღვაო მესაზღვრეთა გასაოცრად, დაკავებული გემის ტრიუმები ცარიელი აღმოჩნდა. არც კაიუტებში იყო არაფერი. ბოლოს მესაზღვრეები ერთ კაიუტას მიადგნენ, მაგრამ ჩაკეტილი დახვდათ. მისი გასაღები ეკიპაჟის არც ერთ წევრს, მათ შორის, გემის კაპიტანსაც არ აღმოაჩნდა (ზღვაში ჩაგვივარდაო, თქვეს). სხვა გზა არ იყო და მესაზღვრეებმა კაიუტის კარი ძალაყინით შეამტვრიეს. კაიუტის ერთ კუთხეში სამოცამდე სკოტჩგადაკრული მუყაოს ყუთი იდო. მეზღვაურებმა ერთ-ერთი გახსნეს და...

როგორც ჟურნალისტი სამი დღე-ღამის განმავლობაში ვსტუმრობდი სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარ ბაზას ქალაქ ფოთში. მასპინძლობას სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს უფროსი, მესამე რანგის კაპიტანი კობა ბოჭორიშვილი მიწევდა. იქ ყოფნის უფლება სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან წინასწარ ავიღე და სამი დღე-ღამე მეც მესაზღვრეების არცთუ ისე დალხინებული ცხოვრებით ვცხოვრობდი. თავდაპირველად, მესაზღვრეები გაურბოდნენ ჟურნალისტთან გულახდილ საუბარს, მაგრამ ზოგიერთს მაინც დავუმეგობრდი. კობა ბოჭორიშვილმა ბაზის შტაბში მიმიწვია და საქართველოს სანაპირო დაცვის სტრუქტურა გამაცნო, მერე კი ერთად გავეშურეთ ბაზის ტერიტორიის დასათვალიერებლად. ნავსადგომზე ორი დიდი გემი იქცევდა ყურადღებას, — პირველი „გიორგი თორელი“, ხოლო მეორე გერმანელების ნაჩუქარი ხომალდი „აიეტი“ იყო. მათთან შედარებით ციცქნა ნავებს ჰგავდა სადარაჯო კატარღები. კატარღებს შორის შეიარაღებითა და სისწრაფით ორი კატარღა გამოირჩეოდა.

— ორივე ამერიკელების ნაჩუქარია, ხოლო იმავე ტიპის სამი კატარღა უკრაინამ გვაჩუქა, — გვითხრა **კობა ბოჭორიშვილმა**, — მაგრამ საწვავის უქონლობის გამო ხშირად ვერ ვიყენებთ. ამის შესახებ ადრეც გითხარით და თქვენც სამიოდე კვირის წინ დაწერილ სტატიაში აღნიშნეთ. ახლაც ვიმეორებ. თვეში სამოცი ათასი ლიტრი საწვავი რომ მომცა, აფხაზეთს ისე ჩავკეტავდი, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა იქ და სეპარატისტებს მართლაც ვანახვებდი, თუ რას ნიშნავს ბლოკადა. საწვავის უქონლობას სანაპირო დაცვის ბაზაში უშუქობაც ემატება. ხომ ხედავთ იმ კოშკურას გვერდით მდგარ ანძას? ეს რადარია, ამერიკელებმა გვაჩუქეს, მაგრამ ვერ ვამუშავებთ, ელექტროენერგიას არ გვაწვდიან. არადა, რადარი ტრაპიზონიდან რუსეთის საზღვრამდე მთელი შავი ზღვის აკვატორიას აკონტროლებს. მის ეკრანზე აკვატორიაში მოხვედრილი ნებისმიერი მცურავი საშუალების დაფიქსირებაა შესაძლებელი. შეუძლია გამოთვალოს ნებისმიერი გემის მარშრუტი, სისწრაფე და სხვა მონაცემები. ამ რადარით კონტროლდება როგორც საქართველოს, ასევე უკონტროლო აფხაზეთის ტერიტორიის ნავსადგურებიც.

— **გენერატორი მაინც არ გაქვთ, რომ რადარს ენერგია მიაწოდოთ?**

— გვაქვს, მაგრამ გენერატორსაც ხომ საწვავი უნდა. რადარს სრული რეჟიმით ამუშავებისთვის დაახლოებით ორი საათის განმავლობაში სჭირდება უწყვეტი ელექტროენერგია. ზოგჯერ მოგვაწვდიან დენს, მაგრამ ორ საათში ისევ თიშავენ და ასე მეორდება დღეში რამდენჯერმე. 700 ათას დოლარზე მეტი ღირებულების რადარი კი ელექტროენერგიის ხშირი ჩართვა-გათიშვით ზიანდება. თუ ასე გაგრძელდა, ეს უნიკალური ხელსაწყო მალე მწყობრიდან გამოვა და საერთოდ ხელცარიელები დავრჩებით.

— **იქნებ ელექტროენერგიის საფასურის დავალიანება გაქვთ?**

— საქმეც ის არის, რომ დავალიანება სანაპირო დაცვის ბაზას არა აქვს. ორიოდე თვის წინ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ენერგოკომპანიას 45 ათასი ლარი ჩაურიცხა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. იმავე დღეშია თავდაცვის სამინისტროს ხომალდების ბაზა — მთელი ღამის განმავლობაში ჩაბნელებულია. აქვე, გვერდით კი ნავსადგომი შეუჩერებლივ მუშაობს(?!), ელექტროენერგიაც განუწყვეტლივ მიეწოდება და ღამითაც გაჩახჩახებულია...

საუბარში მე და სანაპირო დაცვის ოპერაციების უფროსი ბაზის ტერიტორიის კიდეს მივუახლოვდით. რამდენიმე ტვირთმზიდი გემი ნავსადგურის ნაპირზე ბაგირებით იყო დამაგრებული. შუახნის კაცი მოგვიახლოვდა, სამხედრო სალამი მოგვცა. იგი ხომალდ „გიორგი თორელის“ კაპიტანი **მერაბ ბერიძე** აღმოჩნდა:

— გიკვირთ ალბათ სამხედრო ბაზის ნავსადგურში რომ ამ გემებს ხედავთ. ეს ის გემებია, რომლებმაც წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვაო საზღვარი დაარღვიეს, უკანონოდ შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ძირითადად, თურქული კომერციული სტრუქტურების კუთვნილი ხომალდები არიან, გარდა ერთისა, — იგი შტორმმა მოწყვიტა თურქეთის ნავსადგურს და ჩვენთან გამორიყა. მასზე სამი მეზღვაური იყო, რომლებიც სიკვდილს გადავარჩინეთ, დანარჩენები კი, როგორც გითხარით, საზღვრის დამრღვევები და კონტრაბანდისტები არიან. მაგალითად, „სელიმ-1“ ხშირად დაცურავდა თურქეთის პორტებსა და სოხუმს შორის, კონტრაბანდული საქონელი გადაჰქონდა. ერთხელაც, როდესაც სოხუმიდან წიფლის მორებითა და ხის შპონებით დატვირთული მოცურავდა, დავაკავეთ. შემოვიყვანეთ სასაზღვრო ბაზის ნავსადგურში, შევადგინეთ შესაბამისი აქტი და 200 ათასი დოლარით დავაჯარიმეთ. გემის მეპატრონემ ჯარიმის გადახდაზე უარი თქვა. ყველა სასამართლო ინსტანციაში მოვიგეთ საქმე. ახლა გემის მეპატრონე თუ ჯარიმას არ გადაიხდის, გემს აუქციონზე გავყიდით.

— **წიფლის მორები სად წაიღეთ?**

— ხედავთ, ბაზის მეორე მხარეს რომ მორები აწყვია? სწორედ ისინი ჩამოვართვით „სელიმ-1“-ს...

კობა ბოჭორიშვილს ვთხოვე, მეორე ნაპირზე გავეყვანე, რათა ფოტოები გადამეღო. საწვავის უქონლობის გამო ჩემი სურვილი მხოლოდ მეორე დღეს ამისრულეს. მცირე კატარღამ მეორე ნაპირთან მიმიყვანა. უზარმაზარი მორებით ავსებულიყო მთელი ნაპირი. კობა ბოჭორიშვილი იხსენებს: „ლტოლვილები ფოთშიც არიან. როდესაც გაიგეს, თურქულ გემს წიფლის მორები ჩამოართვესო, საზღვაო-სასაზღვრო ბაზას მოაწყდნენ — მორები გვაჩვენეთო. უნდა გენახათ, როცა ბაზაში შემოვუშვი, როგორ მიცვივდნენ აფხაზეთში მოჭრილ წიფლის მორებს. როგორც სულიერს, ისე ეფერებოდნენ — ხელს უსვამდნენ, კოცნიდნენ. რამდენიმე ლტოლვილმა მორებზე მიმხმარი მიწა ჩამოფხიკეს და ფრთხილად ჩაყარეს ცელოფანის პარკში. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავთ...“

იმავე დღეს გემ „აიეტის“ კაპიტანი **მერაბ ნანეიშვილი** გავიცანი: „საქართველოს სანაპირო ზოლი, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, 160 საზღვაო მილია, რაც 300 კილომეტრს აჭარბებს. ჩვენს პატარა სახელმწიფოს საკმაოდ ვრცელი საზღვაო ნაპირი აქვს, მას სათანადო მოვლა და დაცვა უნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დაკისრებულ მოვალეობას რიგიანად ვერ ვასრულებთ. ელექტროენერგია და საწვავი უწყვეტად რომ გვქონდეს, მერწმუნეთ, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოჭრილ ყველა ხომალდს აბორდაჟზე ავიყვანდით. პრობლემა ისიცაა, რომ თვეების განმავლობაში ამხელა საბრძოლო ხომალდი უძრავადაა, კვირაში ერთხელაც ვერ გადის ზღვაში. ამიტომ ძრავები და ელექტროხელსაწყოები მწყობრიდან გამოდის, მათი აღდგენა კი თითქმის შეუძლებელია. ამერიკელმა სამხედროებმა ფოთში კეთილმოწყობილი სანაპირო დაცვის ბაზა, შტაბის შენობა, დამხმარე სათავსები აგვიშენეს. ტერიტორიაც მავთულხლართით შემოგვილობეს და სიგნალიზაციაც დააყენეს. რადარები და სხვა ხელსაწყოები გვაჩუქეს. დანარჩენი — ხელფასი, ელექტროენერგია და საწვავი საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოგცეთო, — გვეუბნებიან ამერიკელები და მართლებიც არიან. რაღაც ხომ უნდა გააკეთოს ჩვენმა ხელისუფლებამ თავისი სახელმწიფოს საზღვრის დასაცავად?! აი, ეს ტანკერი საქართველოს წყლებში უკანონოდ შემოჭრისათვის დავიჭირეთ. ჩვენ თვალწინ, ფოთის აკვატორიაში რეიდზე დადგა. როდესაც დავაპატიმრეთ, სხვა სერიოზული დარღვევებიც აღმოვუჩინეთ. კერძოდ, გემის მეპატრონეს ეკიპაჟისთვის უბრძანებია, შუა ზღვაში გადაეღებათ გემი, შეეცვალათ სახელი და თურქეთის დროშის ნაცვლად, ანძაზე სამხრეთ კორეის დროშა აღემართათ. გემის კაპიტანი აცხადებს, რომ საქართველოში საწვავის შესასყიდად ჩამოვიდა. ახლა ჩვენ მათი სტუმრობის რეალურ მიზეზს ვიკვლევთ. ამ გემსაც აუქციონზე გავყიდით, თუ ჯარიმა არ გადაიხადეს“.

საუბარი კვლავ **კობა ბოჭორიშვილმა** გააგრძელა: „ხშირად თურქეთიდან წამოსულმა გემების მეპატრონეებმა კარგად იციან, როდის აქვთ საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდებს საწვავი და როდის გვეთიშება ელექტროენერგია. არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ამას საგანგებოდ აკეთებენ. ჩემთან რამდენჯერმე მოვიდნენ ზოგიერთი მაღალჩინოსანი ან მათი ნდობით აღჭურვილი პირები — მთხოვდნენ თვალი დამეხუჭა, თუკი კონტრაბანდული საქონლით დატვირთული რომელიმე თურქული ხომალდი უკანონოდ შემოიჭრებოდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ან სოხუმის პორტიდან მოდიოდა ხეტყით დატვირთული. 3-5 და ზოგჯერ 10 ათას დოლარსაც მთავაზობდნენ. უარი რომ ვუთხარი, მითხრეს, მაინც გაგეპარებიან და ფულზე უარს რატომ ამბობო. ვვარაუდობ, რომ სწორედ ამიტომ გვითიშავენ წამდაუწუმ ელექტროენერგიას და არც საწვავს გვაძლევენ. ალბათ იმ ფულით სხვები მოქრთამეს“.

ამ თემაზე საუბარი სანაპირო დაცვის ოპერატიულ-სამძებრო განყოფილების ერთ-ერთ ოფიცერთან განვაგრძეთ: „არც ერთი ჩვენგანი საქართველოს ინტერესებს ფულზე არ გაყიდის. ქვეყანაში მძვინვარე კორუფციის დროს ჩვენი ასეთი საქციელი იქნებ ვინმემ ფანატიზმადაც მონათლოს, მაგრამ სამშობლოს ვერ ვუღალატებთ.

სამაგიეროდ, ხშირად ყოფილა, კონტრაბანდისტი გემი დაგვიკავებია. საქმე შემდგომი გამოძიებისათვის პროკურატურას გადაეცემოდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, დაპატიმრებულ გემს ჯარიმა გადაეხადა ან აუქციონზე გაყიდულიყო, კონტრაბანდისტები და მათი ხელშემწყობი გემების მეპატრონეები პროკურატურაში გამომძიებლებთან იოლად პოულობდნენ საერთოს და საქმეც იჩარხებოდა. 200-ათასიანი ჯარიმის სანაცვლოდ, პროკურატურის ზოგიერთი თანამშრომელი 60 ათას ლარს სჯერდებოდა. შარშან სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, დავით გულუას წყალობით პროკურატურას შემოსავლის ეს წყარო გამოვგლიჯეთ და ახლა ჩვენ ვაჯარიმებთ საზღვრის დამრღვევებს. პროკურატურას მხოლოდ ზედამხედველის ფუნქცია დარჩა. მას შემდეგ აუქციონზე ოთხი გემი გავყიდეთ და ბიუჯეტს დაახლოებით 300 ათასი ლარი შევმატეთ. კანონით ამ თანხის 30% ჩვენ გვეკუთვნის. ეს ფული მაინც მოგვცენ საწვავის საყიდლად“(?!).

სამი დღის განმავლობაში დაუბრკოლებლად დავსეირნობდი ფოტოაპარატითა და დიქტოფონმომარჯვებული სანაპირო დაცვის ბაზის ტერიტორიაზე. არავის დაუშლია ჩემთვის ჯარისკაცებთან გასაუბრება. შემეძლო ნებისმიერ ხომალდზე ან კატარღაზე ავსულიყავი. ყველგან საქმიანი ატმოსფერო სუფევდა. იმ სამი დღის განმავლობაში ბევრჯერ შევავლე თვალი რადარის ანძას, მაგრამ მეორე დღე იწურებოდა. საღამოს, როგორც იქნა, შუქი მოვიდა და კობა ბოჭორიშვილმა რადარის კოშკურაზე მიმიპატიჟა. რადარის სამორიგეო ოთახს ირგვლივ სქელი მინის ფანჯრები აკრავს. აქედან თითქმის მთელი ფოთის ზღვის აკვატორია ჩანს. რადარის დიდ ეკრანზე უამრავი ფერადი წერტილი ციმციმებს. ბოჭორიშვილის ნებართვით, ცვლის უფროსმა **იური ცინცაძემ** რადარის მუშაობის პრინციპი და ეკრანზე გამოსახული ფერადი წერტილებისა და ზოლების მნიშვნელობა ამიხსნა: „აი, ეს გემი, ყვითელ ჯვრად რომ მოჩანს, ბათუმის აკვატორიას გამოსცდა. ეს ბათუმის პორტია. ეს გემი კი რუსეთისკენ მიემართება. ორ საათში რადარი მის მარშრუტსაც დაგვიხაზავს ეკრანზე, მანამდე კი რაციით დავუკავშირდებით და გავიგებთ რა გემია, სად მიდის, რატომ და ა.შ.“. ოფიცრებთან ერთად სასადილოსკენ გავეშურეთ. მადიანად შევექეცი მაწვნის სუპსა და წიწიბურას ხორცის კონსერვთან ერთად.

საუბარს გვიანობამდე შევყევით. ის იყო, დასაწოლად მოვემზადეთ, რომ კობა ბოჭორიშვილს რადარის კოშკურიდან აცნობეს, რომ ბათუმის სანაპირო დაცვის დივიზიონმა დააფიქსირა უცნობი მცურავი საშუალება, რომელიც თურქეთიდან შემოვიდა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. იგი ბათუმის დივიზიონის რადისტს არ პასუხობდა. ბოჭორიშვილმა კოშკურაზე მეც თან წამიყვანა. რადარზე აშკარად ჩანდა დუმილის მოყვარული მცირე წყალწყვის ხომალდი. იგი საკმაოდ სწრაფად უახლოვდებოდა ფოთს. ბოჭორიშვილმა ოპერატორს ანიშნა, მაგრამ პასუხად კვლავ დუმილი მიიღო. გამოცხადდა განგაში. ორიოდ წუთში იარაღასხმული სამხედროები ბაზის ეზოში კატარღებისა და გემების წინ დაეწყვნენ.

ბაზის ხელმძღვანელობამ შავი დღისთვის გადანახული ორასამდე ლიტრი საწვავი სწრაფმავალ მცირე ზომის ერთ-ერთ კატარღას ჩაუსხა. კატარღაზე სანაპირო დაცვის ოპერაციების ხელმძღვანელი კობა ბოჭორიშვილი და აბორდაჟის ჯგუფის წევრები ავიდნენ და კატარღა ნაპირს მოსწყდა.

*გაგრძელება იხ. გვ. 11*

კარგი მამულიშვილი თავის მოქმედებაშივე პოულობს ჯილდოს. — *მაკიაველი*

CMYK

# ჩვენი ხელისუფლება ისევ რუსეთის ძუძუს მიადგა

## სიმღერისთვის ვერ მოვიცლი



*წინასაარჩევნოდ ქართული პოლიტიკა ნიღბების თეატრს ემსგავსება. კაცმა არ იცის, ვინ ვის სახეს იღებს და ვინ ვის ტყავს ირგებს. უმეტესწილად ჩვენი პოლიტიკოსები უბრალოებას ან მიამიტობას თამაშობენ (მერე რა, რომ ზოგს ეს გამოსდის და ზოგს — ვერა). ხელისუფლება ნიღბად მიამიტი ბავშვის სახეს ირჩევს. პოლიტიკოსი ქალები ქალურობით „გვხიბლავენ“ — ნინო ბურჯანაძე კახეთში ჩურჩხელებს ავლებს. მამაკაცები კი კუნთებითა და კაიბიჭობით გვიპირებენ გულის „მოლბობას“.* **ლევან გაჩეჩილაძეს** *კი ქართული პოლიტიკური კლიპის ისტორიაში თბილისური უბნის ბირჟის ელემენტები შემოაქვს.*

ახლა თბილისში ხშირად გაიგებთ ამ ფრაზას — „ეს ჩემი ძმაა“.

რისი იმედი აქვს არჩევნებში ვაკის მაჟორიტარობის მსურველ, „ახლების“ სიის რიგით 77-ე ნომერს?

**— რაკი კონტროლის პალატამ ოპოზიციაზე შეტევა დაიწყო, თქვენც ხომ არ ელოდებით მთავრობის სხდომაზე მხილებას? მით უმეტეს, პრეზიდენტი თქვენ და გამყრელიძეს ხშირად გაყვედრით, ბიზნესში ხელი მე მოვუმართეო.**

— არაერთხელ შევუმოწმებივართ მაკონტროლებელ ორგანოებს და, მათ შორის, კონტროლის პალატას. თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ, თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ პრეზიდენტი ან აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ფულით ან ურთიერთობებით დამეხმარა ბიზნესის აწყობაში, მზად ვარ, ხელი ავიღო საქმიანობაზე (ღვინის წარმოებას ვგულისხმობ), თუ არა და შევარდნაძემ დატოვოს თავისი პოსტი. არ გამოვრიცხავ, შემდგომშიც განმეორდეს ჩვენზე ზეწოლა, მაგრამ ჩემი საწარმოს დოკუმენტაცია ისეთ საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიას აქვს შემოწმებული, რომ ჩვენს ხელისუფლებას არ ეყოფა კომპეტენცია და კვალიფიკაცია, რამეში მომედავოს.

**— ამას წინათ, ხელისუფლებამ უცნაური განცხადება გააკეთა, — პოლიციის ვალია ხელისუფლება დაიცვასო.**

— როდესაც წინასაარჩევნოდ ასეთი განცხადება კეთდება, ეს არის ღია მოწოდება, რათა პოლიციამ ხელისუფლებაზე იმუშაოს. დღეს ჩვენთან მინისტრს ჰგონია, რომ სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობს, მისი კერძო საკუთრებაა, პრეზიდენტი კი ფიქრობს, სახელმწიფოა ჩემი კერძო შპს-ო. ხელისუფლებამ ვერ გაითავისა, — როცა მას ხალხი ირჩევს, ის ხალხის მიერ დაქირავებული პირი ხდება. აქედან გამომდინარე, პოლიცია კანონისა და არა ხელისუფლების დამცავი უნდა იყოს. დღეს პოლიცია ძალით არის ჩათრეული კორუფციაში. როგორ შეიძლება პოლიციის მაღალჩინოსანს ხელფასი 80 ლარი ჰქონდეს და იცოდეს, ჩემი პოსტით 80 ათასის შოვნა შეიძლებაო. ასეთ ცდუნებას ცოტა ვინმე თუ გაუძლებს. ჩვენთან მიზანმიმართულად ხდება, — მავან მაღალჩინოსანს ფულს აშოვნინებენ და სანაცვლოდ, ყულფს უჭერენ კისერზე, რათა ნებისმიერ დროს დააშანტაჟონ და მონად აქციონ. დამონებულ და დაბეჩავებულ კაცს კი, ცხადია, იოლად უბრძანებ — მე დამიცავი, ის კი დააყაჩაღე, თანამდებობა ბოროტად გამოიყენეო. დღეს შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას ჰგონია, — კანონი ჩვენ ვართო და ვერ მიმხვდარან, რომ ეს ასე არ არის.

**თქვენი გაზეთის საშუალებით ვაცხადებ, თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ პრეზიდენტი ან აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ფულით ან ურთიერთობებით დამეხმარა ბიზნესის აწყობაში, მზად ვარ, ხელი ავიღო საქმიანობაზე...**

საქართველოში არის იმის ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი, რომ სიბნელეში არ ვისხდეთ და არ გვციოდეს. ჩვენი ხელისუფლება დეგრადირებული კომუნისტური შეხედულებებით არის მოწამლული. ფიქრობს, ყოველთვის ვიღაცის ძუძუზე უნდა ვიყო ჩამოკიდებულიო. დღეს, როდესაც ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, ჩვენი ხელისუფლება ისევ რუსეთის ძუძუს მიადგა. საქართველოში რუსებს ეკონომიკურ ფორუმებს უმართავენ და ინვესტიციების განსახორციელებლად პატიჟებენ, იმას კი არ ფიქრობენ, რომ როდესაც ქვეყანაში ცუდი საინვესტიციო გარემოა და კაპიტალი მაინც მოდის, ეს კაპიტალი სახელმწიფოსია და არა — კერძო. სახელმწიფო კაპიტალს უთუოდ პოლიტიკური ინტერესი მოჰყვება თან.

**— ხელისუფლება ოპოზიციას უყიყინებს, — დესტაბილიზაციას გეგმავთო. თუ არჩევნები გაყალბდა, „ახლებიც“ გახვალთ ქუჩაში?**

— დესტაბილიზაცია შევარდნაძის ბრალი იქნება, რადგან არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების გარანტი პრეზიდენტია. მაგრამ ხელისუფლება მიზანმიმართულად დგამს ნაბიჯებს დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. შევარდნაძე არ არის დამოუკიდებელი ფიგურა. რადგან იგი საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელია. ყველა გამგებლისა და გუბერნატორისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ნებისმიერი მეთოდით უნდა მოაგებინოს. სამინისტროები, რომელთაც ამომრჩეველთა სიების ფორმირება ევალებათ, მათ მიზანმიმართულად აყალბებენ. ვიცი, რომ სამედიცინო დაწესებულებებში, რკინიგზის დეპარტამენტსა და სხვა სახელისუფლებო დაწესებულებებში თანამშრომლებზე ზეწოლა მიმდინარეობს. მათ სამსახურის დატოვებას აიძულებენ, თუ ხელისუფლების მხარდამჭერთა სიაში არ ჩაეწერებიან. ისიც ვიცი, რომ პოლიციის უბნებზე შეიქმნება დახურული საარჩევნო უბნები, სადაც შსს-ს თანამშრომლებს აიძულებენ, ხმა ხელისუფლებას მისცენ. შევარდნაძემ იცის, რომ თუ არჩევნები არ გააყალბა, ხელისუფლება 7%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. ამიტომ იგი შეგნებულად ძაბავს ვითარებას, მაგრამ საზოგადოება ამას არ აპატიებს. ჩვენ ბრძოლის ცივილიზებულ და კანონიერ მეთოდებს დავუპირისპირებთ ხელისუფლების თავგასულობას.

**— თქვენი ახალი საარჩევნო კლიპი ბევრს მოეწონა, ბევრიც გაღიზიანდა, თუმც კი უმეტესობამ თქვა, — ვაკეში მხოლოდ ასეთი კლიპი იმუშავებდაო. კლიპის შინაარსი ვინ გიკარნახათ?**

— კლიპის იდეა ბასა ფოცხიშვილს ეკუთვნის. მირჩია, სჯობს, როგორიც ცხოვრებაში ხარ, ისეთი გადაგიღოთო. ის, რაც კლიპშია ნაჩვენები, ჩემი ცხოვრებაა. ასე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ დღესაც. კლიპის ყველა მონაწილე ჩემი ახლობელი და მეგობარია. მასში გადაღებული ბავშვებიც კი ჩემი მეგობრების შვილები არიან. ზოგს უთქვამს კლიპზე, ხედავთ ვაკელები როგორ მარიაჟობენო. მერწმუნეთ, ეს მართლაც ჩემი უბნის რეალური ყოფაა.

**— ზოგმა ისიც თქვა, გაჩეჩილაძეს საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონია, პარტიულ სიაში 77-ედ რომ ჩაეწერაო.**

— რატომღაც ყოველთვის მიადვილდება ისეთი არაორდინარული ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც სხვებს უჭირთ. პარლამენტის წევრობა და პოლიტიკაში ყოფნა ჩემთვის სამსახურებრივი მდგომარეობა არ არის. მართლა მინდა ხალხს რაღაც გავუკეთო.

**— ვაკეში თქვენი კონკურენტი მომღერალი დათო ხუჯაძეა, მის გასაუვნებლად „უცნობთან“ ერთად დუეტის შესრულებას ხომ არ აპირებთ.**

— იმდენი საქმე მაქვს, რომ სიმღერისთვის ვერ მოვიცლი.

# თუ ისევ წიხლებით ჩაატარდა არჩევნები, ქუჩაშიც გავალთ და ობსტრუქციასაც მოვაწყობთ



*ანტირუსული ისტერიის ფონზე ხელისუფლება რუსეთთან ეკონომიკურ კავშირს აღრმავებს და, რაგინდ უცნაურადაც უნდა ჩანდეს, გვერდით ეროვნული მრეწველობის გულშემატკივარ გოგი თოფაძეს იყენებს. დიახ, ხელისუფლების მოწვევა (რუსეთ-საქართველოს ეკონომიკურ ფორუმზე დასასწრებად) ოპოზიციონერთაგან მხოლოდ თოფაძემ მიიღო და ამბობენ, გვარიანად იხეირა კიდეცო. პროქართველ* ***გოგი თოფაძეს*** *რუსული ფული არ აშინებს და ვერც რუსული ეკონომიკური ანექსიის სიმპტომებს ხედავს საქართველოში:*

— რუსეთის წინაშე არანაირი კაპიტულაცია არ ხდება. უფრო პირიქითაა — რუსეთის ბაზრის გარეშე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და მრეწველობას ვერ ავალორძინებთ. თუ რუსეთში პროდუქცია არ გავიტანეთ, ჩიხში მოვექცევით.

რუსი ბიზნესმენების ჩამოსვლაზე პროამერიკული გავლენის აგენტებმა ატეხეს განგაში და წივილი, თორემ საშიში არაფერი ხდება.

რუსებთან 1 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი დავდეთ — საქართველოდან „ცივი ჩაის“ კონცენტრატის გატანა უნდათ. შესაძლოა, ჩელიაბინსკიდან ლიზინგით შემოვიტანოთ ტრაქტორები და სოფლის მოსახლეობას გადავცეთ. რატომ გვინდა დასავლური ფული და რატომ გვაფრთხობს რუსული კაპიტალი?! ახალ რუსებს ამერიკელებზე ნაკლები ფული არ აქვთ და საინტერესო წინადადებებსაც გვთავაზობენ. არ შეიძლება ამერიკისკენ ყურებაში რუსებს ხელი ავუქნიოთ. ვითანამშრომლოთ ამერიკელებთანაც, რუსებთანაც და ჩინელებთანაც, რა არის ცუდი ამაში.

**— კულუარებში უკვე გაისმა, ბიზნესინტერესების გამო „მრეწველები“ სახელმწიფო ინტერესებს თმობენო.**

— სად დაინახეს სახელმწიფო ინტერესების ღალატი? იქნებ კონკრეტული მაგალითები მოიყვანონ ჩვენმა ოპონენტებმა. მერწმუნეთ, ვერაფერს იტყვიან. ჩვენ ეროვნული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება და ძლიერი ქვეყნის აშენება გვინდა. ვიცით, რაც უფრო მდიდარი ქვეყნის ხელდასხმული ლიდერი გვეყოლება ქვეყანაში, მით ნაკლებად შეძლებს იგი ეროვნული პოლიტიკის გატარებას. ქართველებმა დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სტრატეგია უნდა ჩამოვაყალიბოთ (რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ გაჭირვებიდან გამოიყვანს).

**— არჩევნების გაყალბების თემა დღეს ყველაზე აქტუალურია. „მრეწველებს“ არ გეშინიათ გაყალბების?**

— გაყალბებაზე ყველაზე მეტს ის გაჰყვირის, ვინც ყოველთვის თვითონ აყალბებდა არჩევნებს, თორემ ჩვენ სად გვქონდა ამის საშუალება? წინა არჩევნებში ამერიკელების გაკვეთილი კარგად აითვისეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აბა, კარუსელსა და მარაოზე ჩვენ არც კი გვსმენოდა. რაკი ეს ხალხი ახლა დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდა, ერთმანეთზე ეჭვიანობენ, — არჩევნებს გააყალბებენო. თუკი ხელისუფლებამ ისევ წიხლებით ჩაატარა არჩევნები, დუმილს არ ვაპირებთ. ქუჩაშიც გავალთ და ობსტრუქციასაც მოვაწყობთ.

**რატომ გვინდა დასავლური ფული და რატომ გვაფრთხობს რუსული კაპიტალი?! ახალ რუსებს ამერიკელებზე ნაკლები ფული არ აქვთ და საინტერესო წინადადებებსაც გვთავაზობენ...**

**— რამდენი პროცენტის აღების იმედი გაქვთ?**

— იმაზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული, რამდენად სამართლიანი იქნება არჩევნები(!).

***გვერდი მოამზადა***
***იზო რეკაძემ***

# არჩევნები–2003

## მოიგეთ ფერადი ტელევიზორი



ერთგულ მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ჩვენი გაზეთის მიერ გათამაშებული ფერადი ტელევიზორი. მაშინ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ადგილები 54 წლის ავთო სტურუამ ყველაზე ზუსტად გამოიცნო და გახდა პრიზის მფლობელი. „კვირის პალიტრა“ ტრადიციას აგრძელებს და გაძლევთ შანსს მოიგოთ ფერადი ტელევიზორი. ამისათვის საჭიროა შეავსოთ ეს ბარათი და **„კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)** საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

**თქვენი პროგნოზი** — როგორი იქნება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგები?! მოცემული ათი გრაფა უნდა შეავსოთ პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების დასახელებით იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც ისინი განლაგდებიან 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებში.

## რომელი პოლიტიკური პარტია ან გაერთიანება დაიკავებს I-X ადგილებს საპარლამენტო არჩევნებში?

ტელევიზორს იგებს ბარათი-პროგნოზი, რომელიც ზუსტად დაემთხვევა არჩევნების შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ზუსტი პროგნოზი ვერავინ გააკეთა, პრიზს მიიღებს ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი; ხოლო თუ რამდენიმე ზუსტი პროგნოზი აღმოჩნდება, ან იქნება რამდენიმე ერთნაირად მიახლოებული ვარიანტი, პრიზს მიიღებს ის მკითხველი, რომლის პასუხიც ბარათის ბოლოს დასმულ შეკითხვაზე — ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში? — ყველაზე მიახლოებული იქნება რეალურთან. **წარმატებებს გისურვებთ!**

**„კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ბარათების მოთავსების ბოლო ვადაა თბილისში 29, ხოლო რაიონებში 28 ოქტომბერი.** ამის შემდეგ ისინი რედაქციაში დაილუქება და გაიხსნება მხოლოდ არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადების შემდეგ.

**პოლიტიკური პროგნოზი**

| ადგილი | პოლიტიკური პარტია/ბლოკი |
| --- | --- |
| I | |
| II | |
| III | |
| IV | |
| V | |
| VI | |
| VII | |
| VIII | |
| IX | |
| X | |

ამომრჩეველთა რამდენი პროცენტი მიიღებს მონაწილეობას 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში?

__________

თქვენი სახელი, გვარი

ასაკი

ტელეფონი

ქალაქი, რაიონი

CMYK

# ამ ქვეყანაში კომპრომატები ყველაზე არსებობს



*სახელისუფლებო ბანაკის იმიჯისთვის ბრძოლაში მსოფლიოში ერთ-ერთი უჭკვიანესი (პოლიტიკაში) და მსოფლიოში ყველაზე ძლიერი (კრივში) ერთიანდებიან. არ ვიცით, რას მოუტანს ხელისუფლებას ყველაზე ჭკვიანისა და ყველაზე ღონიერის, ერთი შეხედვით, უცნაური სიმბიოზი, მაგრამ ფაქტია, ბრძოლა უკვე დაწყებულია და ხელისუფლება მოსახლეობის თვალში იმიჯის გამოკეთებას ცდილობს. „რიგითი რაიანის (ხელისუფლების) გადასარჩენად" ყველა თავს სწირავს და შესაძლებლობებისდა მიხედვით ირჯება. ირინა სარიშვილი ოპოზიციაში მყოფ რუსეთის ფარულ აგენტებს უცხადებს ვენდეტას, ამ დროს კი მისი თანაბლოკელი ვახტანგ რჩეულიშვილი აშკარად და დაუფარავად ეპატიჟება რუსებს საქართველოში და ფიანდაზად ეგება; გიორგი კანდელაკი რუს ფალავანს სცემს და ეროვნულ ღირსებას „გვიღვიძებს", სულხან მოლაშვილი კი ოპოზიციის (და არა ხელისუფლების) შეჭმულ მილიონებზე დოკუმენტებს აფრიალებს და მის დასჯას ითხოვს... კონტროლის პალატის ამ „გაბრძოლებას" წინასაარჩევნო დაკვეთის სუნი დაჰკრავს, რასაც აღიარებს კიდეც ჩვენთან საუბრისას სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი,* ***ვახტანგ რჩეულიშვილი:***

— მთავრობის სხდომაზე სულხან მოლაშვილის მოხსენება ოპოზიციის წინააღმდეგ გალაშქრება იყო და ამიტომაც გაკეთდა ის საპარლამენტო არჩევნების წინ. მოლაშვილმა სიმართლე თქვა. მაგრამ, როცა სიმართლეს საარჩევნო კამპანიისთვის ინახავ, ცხადია, მას ბრძოლის მეთოდად იყენებ. თურქეთის კრედიტის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ ამაზე თუ ადრე ხმას არავინ იღებდა, ახლა ალაპარაკება სხვა დატვირთვას იძენს. ნინო ოპოზიციაში რომ არ გადასულიყო, კრედიტზე არავინ არაფერს იტყოდა?!

**— და ეს რა დასკვნის საფუძველს იძლევა?**

— გამოდის, მთავრობის წევრისთვის ყველაფერი შეიძლება. თუ ხელისუფლების მიმართ ლოიალური ხარ, მილიონებსაც გაპატიებენ. როცა ოპოზიციონერი ხდები, ყველაფერს გახსენებენ.

**— მოლაშვილის ობიექტურობა ამიტომაც დადგა ეჭვქვეშ — ხელისუფლების მოპარულ მილიონებზე პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ოპოზიციას კი ედავებაო.**

— ხელისუფლების მოპარულ მილიონებზე იმიტომ არაფერს ამბობენ, რომ ელოდებიან იმ დროს, როცა ამ კომპრომატების გახმიანების საჭიროება დადგება. ამ ქვეყანაში ყველაზე არსებობს კომპრომატი, რომელსაც მაშინ გაამჟღავნებენ, როდესაც „ვიღაცას" დასჭირდება. „კომპრომატების ომი" მთელ მსოფლიოში გავრცელებული მეთოდია და ვერც შევარდნაძე იტყვის მასზე უარს.

**— ამ ლოგიკით, „საჭირო ადგილზე" თქვენზეც უნდა იყოს კომპრომატები...**

— იმან მიშველა, რომ ადვოკატის შვილი ვარ და იურიდიულად ვიცი, რაში მომედავებიან. მამაჩემმა და ჩემმა ბიზნესმა დამოუკიდებლობა მომცა. ხშირად მიფიქრია, შვილისთვის საჭმლის ან წამლის შოვნა რომ გამჭირვებოდა, ვიქნებოდი კი ასეთი? პასუხი ვერ მოვძებნე — არ ვიცი, რას დავაყენებდი წინ — პატიოსნებას თუ ოჯახის კეთილდღეობას.

შევარდნაძესთან არა მგონია, მაგრამ კომპრომატები შესაბამის სამსახურებში — პროკურატურაში, შსს-ში, კონტროლის პალატაში ალბათ ყველა პოლიტიკოსზე დევს და მათ შორის, ჩემზეც. აშშ-ში 1946 წელს, როდესაც ЦРУ შეიქმნა, იქ დაიდო დოკუმენტაცია ყველა პოლიტიკოსზე, რომელსაც მომავალში რაიმე პოსტზე მოსვლის შანსი ჰქონდა. იქმნებოდა მათი პირადი საქმე და ფსიქოლოგიური პორტრეტი. წინასწარ კეთდებოდა ანალიზი, როგორ იმოქმედებდნენ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი და აქედან გამომდინარე, შესაბამისად ამუშავებდნენ თითოეულ პოლიტიკოსზე ზემოქმედების მეთოდებს. მაგალითად, მათ თუ იციან, რაზე რეაგირებს რჩეულიშვილი, აუცილებლად ეცდებიან ჩემს გამოწვევას და ჩხუბში ჩართვას. ერთი კახელისა არ იყოს, რომ უხაროდა, ჩვენს რაიკომის მდივანს „სლაბი ტოჩკა" ვუპოვე, დედის გინებაზე ვარდებაო. ასეა, გიპოვნიან სუსტ წერტილს და იმაზე დაგაწვებიან... შესაძლოა ჩვენს სპეცსამსახურებს ასე ზედმიწევნით არ ჰყავდეთ შესწავლილი ყველა პოლიტიკოსი, მაგრამ რაღაც მასალები რომ ექნებათ სხვაზეც და ჩემზეც, ცხადია.

**— ირინა სარიშვილის განცხადებები ნინო ბურჯანაძისა და ზურაბ ჟვანიას აგენტობაზე**

## მინდა საქართველოში შევარდნაძის შემდეგ №2 პოლიტიკოსად მაღიარონ(?!)

**წინასაარჩევნო ფუჭი გასროლაა?**

— რა თქმა უნდა, ეს განცხადებაც წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. ნინო ბურჯანაძე ჟვანიას გაბერილი საპნის ბუშტია. ამიტომ ნინოს კი არა, ჟვანიას აგენტობაზე უნდა ვილაპარაკოთ. ნინო განათლებული ქალია, მაგრამ პოლიტიკური წრთობა ვერ გაიარა — ახალია პოლიტიკაში, ჟვანია კი ძველი „ვოლკია". ნინოს გამოცდილება აკლია, გასაგებია კიდეც ჩემთვის დროდადრო მისი სიჯიუტე, ბუტიაობა. ზოგჯერ ისეთი რაღაც სწყინს და ისეთ რამეზე კამათობს, გაგიკვირდება. ჟვანია კი პირდაპირ არაფერს გეტყვის, საუბრისას გიღიმის და იმას აკეთებს, რაც თვითონ უნდა. ამასთან, პოლიტიკოსების „დავერბოვკება", ძირითადად, ეროვნული მოძრაობის დროს მოხდა. ნინო ამ დროს კი პოლიტიკაში არ იყო.

ჟვანიამ არჩევნების გაყალბებისა და საარჩევნო თანხების მოზიდვის (მათ შორის, რუსეთიდან) მოქნილი სისტემა შექმნა, ანუ რუსეთთან რაიმე საეჭვო კავშირი სწორედ მას შეიძლება ჰქონდეს. ნინოს კი შესაძლოა მამამისის ბიზნესის ან ქმრის გამო მიედავო. ჩემი ვარაუდით, ბიწაძის გენპროკურორის მოადგილედ დანიშვნაც ჟვანიას გათვლით მოხდა. ეშინია, — როდესაც ქვეყნის მეორე პირი იყო, ათას უბედურებაში გაებნენ ის და მისი თანაგუნდელები.

თავის დროზე ჟვანიამ შექმნა სააკაშვილი, მაგრამ მიშამ არ დაუფასა. ამბიციური აღმოჩნდა და გადაუდგა. ამიტომ გადაერთო ჟვანია ნინოზე.

მისი გათვლით პრეზიდენტი ბურჯანაძე უნდა გახდეს, თვითონ კი რეალური ძალაუფლების მქონე პრემიერ-მინისტრი. თავის დროზე, სააკაშვილის წინა პლანზე წამოწევა ამ მიზნით მოხდა. მაგრამ მიშამ როდესაც დაინახა — მაღალი რეიტინგი მაქვსო, დამოუკიდებლობა არჩია და ჟვანიას მორჩილებაზე უარი თქვა. ჟვანია მიხვდა, რომ პარლამენტს გარეთ რჩებოდა და ნინოს გაპიარება დაიწყო. როდესაც ინტელიგენციას აძახებინა, — ნინო, ჩვენი მეფე ხარო, ჟვანია ამით შევარდნაძეს კი არა, სააკაშვილს ებრძოდა, ამიტომ გამოვარდა მიშა გაცოფებული — თქვენ, წითელ ინტელიგენციას, რა უფლება გაქვთ, ინტელიგენციის სახელით რომ ლაპარაკობთო. სააკაშვილი მიხვდა, რომ ჟვანია ხმებს ბურჯანაძის საშუალებით წაართმევდა და ამიტომ გაცხარდა. ზურაბმა ჭკვიანურად გათვალა. ნინოს დახმარებით პარლამენტში შევა და თავის ხალხსაც შეიყვანს. „ბურჯანაძე-დემოკრატების" ბლოკს კი ჰქვია ნინოს სახელი, მაგრამ სიას რომ გადახედოთ, სულ ჟვანიას ხალხია.

ჩემი აზრით, შევარდნაძე ანზორ ბურჯანაძის მეშვეობით მაინც მართავს ნინოს და საჭირო დროს მასთან ყოველთვის მოილაპარაკებს. ან ის გჯერათ, რომ რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე პრეზიდენტს არ დაემორჩილება? თუ ნინოს ქმარი და მამა შევარდნაძეზე იმუშავებენ, თავად სადღა გაიქცევა?! ხომ ხედავთ, შევარდნაძეს ყველაფერი გარკვეული და მოგვარებული აქვს.

**— სახელგატეხილი სახელისუფლებო ბლოკი არჩევნებში წარმატებას გეგმავს. ასეთი ოპტიმიზმი, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია.**

— პარტიების დღევანდელი რეიტინგი უსათუოდ შეიცვლება არჩევნებზე. თუ „აღორძინების" დღევანდელი რეიტინგი 7%-ია, არჩევნებზე ის 18-19%-მდე ავა. იმიტომ, რომ ხმების 12% აჭარიდან წამოვა (12%+7%=19%). ლეიბორისტულ პარტიას დღეს საშუალოდ 15% აქვს, მაგრამ აჭარიდან ის ხმებს ვერ წამოიღებს, ვერ მიიღებს არაქართული მოსახლეობის მხარდაჭერასაც, ამიტომ ეს რეიტინგი არჩევნებზე 10%-ზე თუ დარჩა, ნათელაშვილმა მადლობა უნდა თქვას. „ახლები", „ნაციონალები" და „ბურჯანაძე-დემოკრატები" კი ერთ ველზე იბრძვიან და ერთმანეთს უყოფენ ხმებს. სომხებისა და აზერბაიჯანელების ხმებს ეგენი ვერ შეეხებიან. „ბურჯანაძე-დემოკრატები" ვერც შალვას ამომრჩეველს წაიყვანენ, ვერც ჩვენსას და ვერც — „ახლებისას". რჩება სააკაშვილი. დღეს სააკაშვილი და ჟვანია ერთმანეთის ყველაზე დიდი კონკურენტები არიან.

ჩვენი დღევანდელი რეიტინგი დაახლოებით 10%-ია, მაგრამ იგი არჩევნების დღეს 30%-მდე ავა. ყველა არაქართველი ხმას ჩვენ გვაძლევს. ეს მოსახლეობის 25%-ია. დავუშვათ 5% არჩევნებზე არ მოვიდა, 20% ხომ მაინც რჩება?!

თქვენ შევარდნაძე სულელი ხომ არ გგონიათ, პრეზიდენტს ხელს აძლევს ჟვანიას მოსვლა პარლამენტში, ოღონდ მცირე ძალებით. ამით ის გააუვნებლებს ჟვანიას, თან საჭირო მომენტში გამოიყენებს. ნუ გგონიათ, რომ შევარდნაძე ზის კაბინეტში და სცენარებს წერს. მას დიდი ნიჭი აქვს და ადამიანებს კარგად იცნობს. მიხვდა, რომ სააკაშვილი და ჟვანია ერთად ვერასოდეს მოძოვენ და ამით მანიპულირებს. სხვათა შორის, მას ორივეს პარტიაში ჰყავს თავისი ხალხი და საკმაო ინფორმაციასაც იღებს.

**— მაშინ, როდესაც ირინა სარიშვილი ნინო ბურჯანაძეს მოსკოვში ვიღაცასთან შეხვედრის გამო რუსეთის აგენტად აცხადებს, თქვენ საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ფორუმს თავკაცობთ. რა ხდება?**

— თქვენს გაკვირვებაში ლოგიკას ვხედავ, მაგრამ მე მალულად არაფერს ვაკეთებ და ეჭვს ამიტომ არ ვიწვევ.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

***რ**აკი „ნაციონალებს" მიაჩნიათ, რომ მთავრობა ქვეყანას გვართმევს, საქართველოს დაბრუნებისთვის იწყებენ ბრძოლას. ამ ჩანაფიქრს სააკაშვილისფოტოიანი პლაკატები ამხელენ. მავანნი მიხეილ სააკაშვილს უკვე სახალხო მოძრაობის ავანგარდში, ბარიკადებზე ხედავენ... ემოციური სააკაშვილი ხელისუფლებისთვის საშიშია, თვითონ „ნაციონალების" ლიდერი კი გაწონასწორებულ, მშვიდ პოლიტიკოსს მიიჩნევს სახიფათოდ და ემოციების მოთოკვას წინასაარჩევნოდ სულაც არ აპირებს.*

*მართლა აპირებენ თუ არა „ნაციონალები" ქუჩაში ხალხის გამოყვანას და რა თანხებს ედავება მათ კონტროლის პალატის თავმჯდომარე — ამის გარკვევა* ***კოზა დავითაშვილთან*** *ვცადეთ.*

— წესით, კონტროლის პალატა საპარლამენტო სტრუქტურას უნდა წარმოადგენდეს, აღმასრულებელ ხელისუფლებას აკონტროლებდეს და ანგარიშს აბარებდეს საკანონმდებლო ორგანოს. ნაცვლად ამისა, სულხან მოლაშვილი მხოლოდ პარლამენტისა (უფრო სწორად, მისი ოპოზიციური ნაწილის) და საკრებულოს კრიტიკისთვის იცლის. კონტროლის პალატას თვითმმართველობის ორგანოების შემოწმების პრეროგატივა არ აქვს, მაგრამ რატომღაც მისი ხელმძღვანელი ორგანულ კანონს არ ემორჩილება და მეტისმეტად აქტიურობს. რაც ევალება — სახელმწიფო ბიუჯეტისა და მთავრობის მუშაობა — ის ხომ შეისწავლა მოლაშვილმა, ახლა თვითმმართველობის ორგანოებს მიადგა(!). გინახავთ მოლაშვილის მხილებული და თანამდებობიდან ვინმე მოხსნილი?!

საკრებულოში ჩვენს მოსვლამდეც კეთდებოდა ლიფტები, მაგრამ დოკუმენტაციაში რომ ჩაიხედოთ, მათი შეკეთება 4-ჯერ ძვირად არის შეფასებული, ვიდრე დღეს ჯდება. ამაზე კონტროლის პალატა რატომღაც ხმას არ იღებს. დედაქალაქის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გავარკვიეთ, რომ თურმე დედაქალაქის ბიუჯეტიდან კონტროლის პალატასა და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებს წილები ჰქონდათ (ამიტომ იბერებოდა ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებელი თანხები). დღეს კონტროლის პალატა და სხვა მაკონტროლებლები ცარიელზე არიან დარჩენილები და ამიტომაც არიან შეძრწუნებულები. მთავრობამ 2 მილიარდი კრედიტი აიღო და კაპიკიც არ მოახმარა მოსახლეობას. ამაზე მოლაშვილი თვალს ხუჭავს მაშინ, როდესაც ჩვენ მიერ აღებული 42 მლნ კრედიტი კაპიკ-კაპიკ დათვალა და მერე უსაფუძვლო დავა დაგვიწყო. ბუნებრივია, მისთვის მიუღებელი იქნება ისეთი კრედიტი, საიდანაც წილს ვერ მიიღებს. ტყუილად გვედავება — ის თანხა, რომელზეც მოლაშვილი ლაპარაკობს, ხალხს მოხმარდა, ხოლო რაზეც დუმს, ის ნამდვილად არ დახარჯულა მოსახლეობაზე. როდესაც კაცი იმას აკეთებს, რაც არ ევალება, ლოგიკურად იფიქრებ, ალბათ, ეს ხელისუფლებამ დაუკვეთაო. პრეზიდენტის გარეშე მოლაშვილი საკრებულოს შემოწმებას ნამდვილად არ დაივალებდა და არც ჩვენს კრიტიკას დაიწყებდა.

**— ხელისუფლება მოსახლეობას სახალხო დესტაბილიზაციით აშინებს. კეთდება პროგნოზი, ქუჩაში პირველი სააკაშვილი გამოვაო. მართლა აპირებთ რამეს?**

— ქალბატონი სარიშვილი იმდენად მომხიბლავ ლოზუნგებს გვიმხელს, რომელიც ე. წ. „სახალხო მოძრაობამ" უნდა წამოაყენოს, რომ ძნელია, არ დაეთანხმო. თითქოს ჩვენ ქუჩიდან ვიყვირებთ — ხელისუფლება უნდა წავიდესო. როგორ ვიტყვით ასეთ ლოზუნგზე უარს?! — რა თქმა უნდა, ის უნდა წავიდეს. აბა, არ უნდა წავიდეს?! ხელისუფლება რომ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება, ცხადია. ამაზე მეტყველებს გაბერილი და მკვდარი სულებით გაძეძგილი საარჩევნო სიები. გასაგებია, რატომაც არ წერენ ცოცხალ ადამიანებს სიაში — შევარდნაძეს მკვდრის გარდა, ვინ მისცემს ხმას? ამიტომ, რაც მეტი მკვდარი იქნება სიაში, მით უკეთესია მისთვის.

რაკი ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება, იმასაც არ გამორიცხავს, რომ ხალხი ამას არ მოითმენს და ქუჩაში გამოვა. ეს რომ თავიდან აიცილოს, წინასწარ პოლიტიკურ აცრებს ატარებს — ხალხს ქუჩაში რუსეთისგან მართული აგენტები გამოიყვანენო. სასაცილოა ოპოზიციას პრორუსობა და რუსეთის აგენტობა ჰბრალდებოდეს, როდესაც ხელისუფლებამ, რაც მისაცემი ჰქონდა, ყველაფერი მისცა რუსეთს. თუ ხალხი ქუჩაში გამოვა, ჩვენ სახალხო მოძრაობის ავანგარდში ვიქნებით. თუკი არჩევანის უფლებას წაართმევს, რატომ უკვირს ხელისუფლებას, რომ ხალხი ქუჩაში გავა და მის გადადგომას მოითხოვს. ჩვენ, „ნაციონალები", სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან იმით განვსხვავდებით, რომ არც ტყვიას ვუფრთხით და არც ნასროლ ქვას. იოლად შესაშინებლები არ ვართ და ამიტომაც არ გვეშინია ხელისუფლების მუქარისა და ფახიფუხის. კატეგორიულად ვაცხადებთ, — თუ პრეზიდენტი შევარდნაძე თამაშის ელემენტარულ წესებს დაარღვევს და არჩევნებს გააყალბებს, მის გადადგომას მოვითხოვთ და წელსვე ერთად ჩავატარებთ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს.

# ხელისუფლება ვერ გაბედავს, რომ მოსახლეობას ხელკეტებით გადაუაროს



## „წინა ხაზზე, ვიცი, ჩვენ ვიქნებით, ასეთი ბედი გვაქვს"

**— აქაც თუ აზერბაიჯანის პრეცედენტი განმეორდა, ვინ აგებს პასუხს უდანაშაულოდ დაღუპულ ან დაზარალებულ მოსახლეობაზე?**

— პასუხისმგებელი არჩევნების გამყალბებელი ხელისუფლება იქნება. ამასთან, აზერბაიჯანის მსგავსი მოვლენები არ განმეორდება იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ჩვენ განსხვავებული ქვეყნები ვართ. აზერბაიჯანში ოპოზიციური ტელევიზია არ არსებობს. ოპოზიციური პრესა შეზღუდულია და, შესაბამისად, მისი გავლენა მოსახლეობაზე ნაკლებია.

აზერბაიჯანის ეკონომიკური მდგომარეობა ჩვენსაზე გაცილებით უკეთესია. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანელ სამართალდამცველებს და ჯარს დიდი ანაზღაურება აქვთ და არც არის გასაკვირი, ერთგულად „ემსახურონ" ხელისუფლებას. მეეჭვება, ჩვენმა უხელფასო პოლიციელმა, რომელსაც პირდაპირ აიძულებენ, რომ ჩაერთოს კორუფციაში, თავი გასწიროს შევარდნაძისთვის. ჩვენ ბევრი საკმაოდ მაღალჩინოსანი პოლიციელი გვიცხადებს თანადგომას. ორი წლის წინ, პარლამენტთან ოპოზიციის გამოსვლებისას პოლიცია ვერ დავინახე, „რკინის კაცი", თარგამაძე ჩირგვებში იყო ჩამალული და ჩემოდნებს ალაგებდა. მაშინ შევარდნაძეც მზად იყო გადადგომისთვის, მაგრამ ოჯახმა არ გაუშვა, — რას შვრები, რომ გადადგე, ჩვენ რაღას გვიპირებო. ეს ხელისუფლება ვერ გაბედავს, რომ ჩვენს ათასგზის შეურაცხყოფილ მოსახლეობას ხელკეტებით გადაუაროს.

ჩვენ სისხლის ღვრას და სროლას არ ვაპირებთ. ვიცით, რომ სამოქალაქო ომი საქართველოსთვის დამანგრეველი იქნება. არის კიდევ ერთი ნიუანსიც — ძალიანაც რომ მოინდომოს ხელისუფლებამ, საქართველოში სამოქალაქო ომი არ დაიწყება. სამოქალაქო დაპირისპირება ხდება 2 და 1 მლნ კაცს შორის, მაგრამ სამოქალაქო ომი ვერ მოხდება 3 მლნ და 500 კაცს შორის (რომლებიც დღეს ქართული ეკონომიკის 80%-ს აკონტროლებენ). უბრალოდ, ხალხი იტყვის, — არ გვინდა ასეთი პრეზიდენტიო. შევარდნაძე წავა და იმ 500 კორუმპირებულსაც წაიყოლებს. ოღონდ მათ ხალხის მოპარულ ქონებას არ გავატანთ, უკან მოვატანინებთ.

**— ჩვენმა მკითხველებმა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის №1 თავის ტკივილად დაასახელეს. თქვენი აზრით, რატომ?**

— არის და... სააკაშვილმა თავი პრეზიდენტს იმიტომ აატკივა, რომ უკან არ იხევს, განზრახულზე ხელს ვერ აღებინებს. დროშების შეკერვის გარდა, მასზე კომპრომატი ვერ მოძებნეს. იცის, ვერ გაურიგდება და ამიტომ სტკივა სააკაშვილის გამო თავი შევარდნაძეს. შევარდნაძისა და მისი კლანისთვის ქონების ჩამორთმევას ჩვენ გარდა, არც ერთი ოპოზიციური პარტია არ ითხოვს და ამიტომაც გვიფრთხის პრეზიდენტი.

პალერმოს მერმა, ლეო ლუკა ორლანდომ საქართველოში ვიზიტისას გვითხრა: მაფიოზი, რომელიც ციხეში ზის და გარეთ ქონება აქვს, გაცილებით საშიშია, ვიდრე გარეთ მყოფი ქონებაჩამორთმეულიო. იმიტომ, რომ ციხეში მყოფ მდიდარს კილერის, ჟურნალისტებისა და ჩინოვნიკების დაქირავება შეუძლია და იოლად გაგისწორდება; ხოლო თუ მაფიოზის ქონებას ჩამოართმევთ, ამით იმ შხამიან კბილებს დააყრევინებთ, რომლითაც დაგესვლას გიპირებდათო. ჩვენ გავითვალისწინეთ იმ კაცის რჩევა, როდესაც უკანონო ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონზე ვმუშაობდით და მას რეალურად შევასრულებთ კიდეც.

ხელისუფლება თუ არ შეგვეპუა და ძალისმიერი მეთოდებით დაიწყო ოპოზიციასთან ბრძოლა არჩევნებზე, წინა ხაზზე ვიცი, ჩვენ ვიქნებით, ასეთი ბედი გვაქვს.

***მარი ზანდუკელი***

**დაუწყებელ ჩხუბს უფრო ადვილად აცილებს ადამიანი თავიდან, ვიდრე დაწყებულს შეწყვეტდეს.** *მორასი*

# ლევან კალაძეზე ახალმა ინფორმაციამ გამოჟონა?!

## „კახას მდგომარეობა ცალკე მიკლავს გულს...“

საქართველოს ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელის, კახა კალაძის ძმა ლევან კალაძე 2001 წლის 23 მაისს გაიტაცეს უცნობმა ბოროტმოქმედებმა, თბილისის რკინიგზის საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიიდან. დანაშაული კახა თარგამაძის მინისტრობისას მოხდა. ყოფილმა შს მინისტრმა ახალ მინისტრს კობა ნარჩემაშვილს სხვა გახმაურებულ და გაუხსნელ საქმეებთან ერთად, „ლევან კალაძის საქმეც“ გადაულოცა. ამ ხნის მანძილზე — 2 წელიწადსა და 4 თვეში, სამართალდამცველთა მტკიცებით, არაერთგზის ყოფილა ლევანის გათავისუფლების მცდელობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ლევან კალაძე დღემდე გამტაცებელთა ხელშია, მისი კვალი, ასევე ძალოვანი სტრუქტურების ჩინოსანთა მტკიცებით, ხან ისე გამოიკვეთება, როგორც ტყეში პირველ თოვლზე მონადირის ნაფეხურები. ზოგჯერ კი კვალი კვლავ ქრება, რაც მცირე ხნით იმედით გულმობრუნებული მძევლის ოჯახს ისევ უიმედობაში აგდებს.

ბოლო დღეებია, ერთ-ერთი სამართალდამცავი სისტემიდან გამოჟონილი ინფორმაციით, თითქოს კვლავ მიაგნეს ლევან კალაძის კვალს და მისი ადგილსამყოფელიც იციან. ამ ინფორმაციის გადამოწმებას „ჩვენს ძალოვნებთან“ აზრი არა აქვს, რადგან „ძიების ინტერესებიდან გამომდინარე“, ტრადიციულად მედიას ან უბლოკავენ ინფორმაციას, ან იმგვარს გეტყვიან, მათი ნათქვამის გაშიფვრასა და იქიდან აზრის გამოტანას, ურთულესი რებუსის ამოხსნა სჯობს.

რა ხდება ლევან კალაძის თავს?! მართლა მიაგნეს მის ადგილსამყოფელს, თუ ძალოვნებს ეს განცხადება წინასაარჩევნოდ დასჭირდათ, რათა ეჩვენებინათ, რომ მათ, ხელისუფლების საარჩევნო დავალებების გარდა, თავიანთი საკეთებელიც არ ავიწყდებათ? იქნებ ეს მხოლოდ იმიტომ გაკეთდა, რომ კიდევ ერთხელ დროებით გაეჩუმებინათ კალაძეების ოჯახი, რომელსაც თითქმის იმედი გადაეწურა და ბოლო ხანს იმაზე ფიქრობდნენ, პროტესტის რა ფორმისთვის მიემართათ, ხელისუფლების ყურადღება რომ მიეპყროთ.

ამ და სხვა კითხვებით ლევან კალაძის დედას, ქალბატონ მედიკოს მივმართეთ. ცხადია, მას ცრემლის გარეშე არ შეუძლია შვილზე, მის ბუნდოვან მომავალზე საუბარი. 2 წელიწადზე მეტია, მედიკო და კარლო კალაძეები შვილის სურათს ეფერებიან, ყოველ დღეს ლოცვასა და ღვთისადმი ვედრებაში ატარებენ, რომ ლევანი ცოცხალი დაუბრუნდეთ.

**— ქალბატონო მედიკო, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ციხეში ერთ-ერთმა პატიმარმა გაუმხილა სამართალდამცველებს ლევანის ადგილსამყოფლის შესახებ.**

— სიმართლე გითხრათ, შვილო, კვირაზე მეტია რაღაც მაგდაგვარი ინფორმაცია გვქონდა მე და კარლოს. ვერ დავადასტურებ, რომ ეს ინფორმაცია ციხიდან და პატიმრებიდან წამოვიდა. ჩვენ გვითხრეს, რომ ლევანი ცოცხალია და ჯანმრთელად არის. ეს ამბავი არც ძალოვანი სტრუქტურებისა და არც „შავი სამყაროს“ წარმომადგენლებიდან წამოსულა. მეტი არაფერი ვიცი.

> **ნეტავ კავშირზე გამოვიდნენ, ითხოვონ ფული, წაიღონ და ლევანი დაგვიბრუნონ. უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენს და გამტაცებლებს შორის შუამავლობასაც ვეღარავინ ბედავს, იმდენად გახმაურებული და რეზონანსულია ეს საქმე.**

**— რით გიდასტურებენ ინფორმაციას, რომ ლევანი ცოცხალია და თანაც უვნებელი?**

— მხოლოდ სიტყვიერი ინფორმაცია მოგვაწოდეს და ამას არანაირი სხვა მტკიცებულება არ მოჰყოლია. დედის გულის ამბავი ხომ იცი, თანაც ჩემს მდგომარეობაში მყოფი დედის გულისა, ხავსს ვებღაუჭები, ოღონდ იმედიანი სიტყვა დავიჭირო ლევანის შესახებ და აღარ ჩავეძიები, საიდან, როდის და როგორ. დანარჩენი უკვე გამოძიების საქმეა.

**— არ დააკონკრეტებთ იმათ ვინაობას, ვინც ბოლო ინფორმაცია მოგაწოდათ?**

— არა, მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. მაგრამ ვიმეორებთ, რომ ისინი არც „შავი სამყაროს“ და არც ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები არ არიან.

**— გამტაცებელთა მხრიდან კიდევ ხომ არ მოუთხოვიათ გამოსასყიდი?**

— არა, არავის არაფერი შემოუთვლია, რა ხანია. ერთხელ აკი წაიღეს კიდეც ფული. იმდენი არა, რაც თავიდან ითხოვეს (თავიდან ლევან კალაძის გამტაცებლებმა 300.000 დოლარი ითხოვეს), მაგრამ მაინც სოლიდური თანხა წაიღეს. მერე აღარაფერი მოუთხოვიათ. ნეტავ კავშირზე გამოვიდნენ, ითხოვონ ფული, წაიღონ და ლევანი დაგვიბრუნონ. უბედურებაც ეგ არის, რომ ჩვენს და გამტაცებლებს შორის შუამავლობასაც ვეღარავინ ბედავს, იმდენად გახმაურებული და რეზონანსულია ეს საქმე.

**— ბოლოს როდის შეგეხმიანენ გამტაცებლები?**

— თითქმის 2 წელი გავიდა მას შემდეგ, ლევანი ახალი გატაცებული იყო. ტელეფონით დაგვიკავშირდნენ და თავ-თავიანთი პირობები წამოაყენეს. ცხადია, ყველაფერზე დავთანხმდით. მათი კარნახით, ჩემი მულის, რუსიკოს მანქანით, რუსიკო და კარლო გაემგზავრნენ ხოზში. ის მოთხოვნილი 300.000 დოლარიც წაიღეს.



კარლო, მედიკო და ლევან კალაძეები

ხოზში ჩასულებს დაურეკეს კარლოს მობილურ ტელეფონზე, მანქანიდან გადმოდი და ფულიანად ტყეში შემოდიო. კარლო ასეც მოიქცა. მერე კვლავ დაურეკეს — აქა და აქ წერილია და ნახეო. ნახა კარლომ წერილი, გამტაცებლები ტყის სიღრმეში მის შესვლას ითხოვდნენ ფულიანად. ეს უკვე გაუმართლებელი რისკი იქნებოდა კარლოს მხრიდან, აღარ შევიდა ტყეში და უკან დაბრუნდა. სად იყო იმის გარანტია, რომ კარლოს ფულს არ წაართმევდნენ და ლევანსაც არ აჩვენებდნენ? ან იქნებ კარლო მოეკლათ? ისიც საკითხავი იყო, მართლა ლევანის გამტაცებლები ითხოვდნენ ფულს ჩვენგან თუ სულ სხვები იმალებოდნენ ხოზის ტყეში, იმით სარგებლობდნენ, რომ ლევანისთვის კარლო ყველაფერზე წავიდოდა და ჩვენი უბედურების ხარჯზე ფულის შოვნა გადაწყვიტეს? მოკლედ, უამრავი კითხვის ნიშანი გაჩნდა და ახალი უბედურების თავიდან ასაცილებლად, კარლო თბილისში დაბრუნდა და მოვლენების განვითარებას დაველოდეთ.

**— „ხოზის ოპერაციის“ შესახებ თუ იცოდნენ სამართალდამცველებმა?**

— არა, ყველაფერი მათგან დამოუკიდებლად ჩატარდა, ისე, როგორც ბოროტმოქმედებმა მოითხოვეს.

**— წელან განაცხადეთ, რაღაც თანხა მაინც გადავუხადეთ ბოროტმოქმედებსო. ეს როდის მოხდა?**

— ესეც მორიგი აფერა იყო, შვილო, ისევ ვიღაცამ იხეირა ჩვენი უბედურებით. ღმერთმა შეარგოს, ვინც იყო, ოღონდ ლევანი დამიბრუნდეს ცოცხალი. ღმერთმა ყველას მიუტევოს ჩემი ოჯახის წინაშე ჩადენილი ცოდვა და ბოროტება. ოღონდ ლევანი მიმყოფოს ღმერთმა კარგად.

**— კახას, ცხადია, გულისყური აქეთ ექნება. ყველა გაოცებულია, ნეტავ, რა გულით თამაშობს ეგ ბიჭი ფეხბურთს, თანაც ასეთ მაღალ დონეზეო...**

— კახას მდგომარეობა ცალკე მიკლავს გულს, თვითონ ჩვენზე უარესად განიცდის ყველაფერს, მაგრამ აქეთ გვამშვიდებს — ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. ეგ არის, რკინის ნებისყოფისა აღმოჩნდა, არ გატყდა და ჭირს არ შეაჭმევინა თავი, თორემ მის გამარჯვებებსაც სევდიანი იერი დაჰკრავს. ეს არ ჩანს შორიდან, მე ხომ ვიცი, რაც ხდება მის თავს. როცა მისი „მილანი“ მოიგებს და კახა კარგად ითამაშებს, მე და კარლო ვურეკავთ, ერთი სიტყვით, მივულოცავთ ხოლმე და მერე, გვინდა, არ გვინდა, ლევანის შესახებ გადაგვაქვს საუბარი. ახალგამარჯვებულს ისეთი სევდიანი ხმა აქვს, შეგეცოდებათ. ცდილობს, ყოველ წამს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ შეიმჩნიოს, თორემ გული დარდით აქვს სავსე, ლევანზე დიდი საფიქრალი რა უნდა ჰქონდეს. მე და კარლოსაც, რომ იტყვიან, გული ორად გვაქვს გაპობილი — ნახევარი ლევანის ბუნდოვანი მომავლითაა დანისლული, მეორე ნახევრით კი, შვილი შვილია — კახას წარმატებებითაც ვხარობთ, მაგრამ ვაი ამ სიხარულს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*



# ГРВЗ-ს შტაბი „ბერლინის კედლის“ აგებას უარყოფს



1998 წელი. ქართველი ჯარისკაცები ლობეს უხსნიან რუსულ სამხედრო შტაბს.

შტაბის „საპარადო“ შესასვლელის რკინის მესრით იერსახის დამახინჯება რუსებმა ათითორმეტი წლის წინ არ მოინდომეს, მაშინ, როდესაც მართლაც ხორციელდებოდა შეიარაღებული თავდასხმები რუსულ სამხედრო ნაწილებზე.

გასაკვირია, რომ რუსები წინიდან მესერს ჭიმავენ, უკან ღობე კი, საიდანაც მათ დავით თევზაძის „მრისხანე“ სამინისტრო ებჯინება, მოშლილი აქვთ.

ხუთიოდე წლის წინ მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ, მისადმი კეთილგანწყობილი რუსი გენერლების თანხ-



2003 წელი. რუსი სამხედროები თავის შტაბს „საპარადო“ შესასვლელს უღობავენ

ბოლო ხანს ვაკე-საბურთალოს გზაზე მიმავალნი უთუოდ შეამჩნევდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს შტაბის წინ როგორ აკეთებენ რკინის მესერს.

მაშინ, როდესაც ადგილობრივი მილიონერები 5-7 მ სიმაღლის ბეტონის გალავანს ავლებენ თავ-თავიანთ სასახლეებს, რა მოსატანია რუსული სამხედრო შტაბის წინ ფარლალალა ცხაურის გაკეთება. თუმცა, არ არის გამორიცხული, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებდეს, რომ შეიძლება რუსულმა სამხედრო დაზვერვამ — ГРУ-მ შეიტყო, საქართველოში არჩევნების მოახლოებისას, თბილისში, მათი შტაბის წინ, შესაძლოა, საპროტესტო დემონსტრაციები გაიმართოსო. ეს აზრი კი იმიტომ გაჩნდა, რომ რკინის მესერი სატვირთო ავტომობილსაც ვერ შეაჩერებს, არათუ ჯავშანტრანსპორტიორს და იგი უფრო დემონსტრანტების შესაკავებლად გაკეთდა.

ყველაზე საოცარი ის არის, რომ თავისი მობით, მოშალა მის სამინისტროსა და ГРВЗ-ს შტაბს შორის გამყოფი ღობე და ალბათ მთლიანად ГРВЗ-ს შტაბის შემოერთებასაც ფიქრობდა, მაგრამ არ დასცალდა, — იგი ღობესავით მოხსნეს.

ისე, თუკი ГРВЗ-ს შტაბის დაცვის ორგანიზებას სერიოზულად შევხედავთ, იგი მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც ჩეჩნებმა ჩეჩნეთს გარეთ, უშუალოდ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში დაიწყეს დივერსიული აქტების მოწყობა. შტაბის სხვადასხვა მხარეს, მათ შორის „საპარადო“ შესასვლელის კუთხეებში, დაყენებულია ჯავშნიანი მოდულები, რომლებსაც თავი უნდა შეაფარონ ყარაულში მყოფმა ჯარისკაცებმა და მისი სათოფეებიდან ცეცხლი გაუხსნან თავდამსხმელებს.

# როგორ უნდა ეცვას ჩვეულებრივ „დივერსანტს“?!

## აფხაზი სეპარატისტები ამტკიცებენ, დივერსიებს ამერიკელთა მიერ მომზადებული ქართველი სამხედროები გვიწყობენო

ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე, გასულ ხუთშაბათს აფხაზურმა მხარემ მორიგი ბრალდება წამოაყენა: „უსაფრთხოების ჩრდილოეთ სექტორებში ვითარების დაძაბვა განპირობებულია უცნობი ბოროტმოქმედების გამოჩენით. ბოროტმოქმედთა აღჭურვილობა არ შეესაბამება ჩვეულებრივ დამნაშავეთა შეიარაღებას და ჩაცმულობას. ბოროტმოქმედები ამერიკული პროგრამით გაწვრთნილი ჯარისკაცები არიან“-ო.

იოლი გასაგებია, რომ „ბოროტმოქმედებში“ აფხაზი სეპარატისტები ქართველებს გულისხმობენ, მაგრამ გაუგებარია შემდეგი ფრაზა — „ბოროტმოქმედთა აღჭურვილობა არ შეესაბამება ჩვეულებრივ დამნაშავეთა შეიარაღებას და ჩაცმულობას“. სხვა საქმეა, თუ სოხუმში ფიქრობენ, რომ „ჩვეულებრივ დამნაშავეს“ რეზინის ჩექმები უნდა ეცვას და სანადირო თოფით დარბოდეს ტყე-ღრეში.

ამერიკული სამხედრო ფორმის ყიდვა მაღაზიაში თუ ბაზრობაზე შეიძლება როგორც თბილისში, ისე ზუგდიდში, გალსა და თავად სოხუმშიც. ამიტომაც იმის მტკიცება, რომ ამერიკული სამხედროფორმიანი პარტიზანები მაინცდამაინც ამერიკულქართული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული ერთ-ერთი ბატალიონის მებრძოლები არიან, სრულიად უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ ამ პროგრამის მიხედვით მათ ჩვეულებრივი „კალაშნიკოვები“ დაურიგდათ და არა გვგონია, გალის რაიონში სეპარატისტებზე ვინმე შეტევას ამერიკული M16 ავტომატური შაშხანებით ახორციელებდეს.

ამასთან, ამერიკული მხარე საგანგებო ყურადღებას აქცევს, მომზადების შემდეგ თუ სად გაიგზავნებიან ქართველი სამხედროები.

აფხაზი სეპარატისტების ბრალდებას შეიძლება სხვა უფრო შორს მიმავალი მიზანი ჰქონდეს — დაიწყოს შავი პიარ-კამპანია (განსაკუთრებით რუსული მასმედიის მხარდაჭერით) „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის სადისკრედიტაციოდ — ამერიკელები თურმე ქართველებს დივერსანტებს უმზადებენო.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებულ ამ ქართულ ბატალიონებს აფხაზი სეპარატისტების ბრალდებების გარეშეც ჰყოფნით პრობლემები, უმთავრესად აწუხებთ უსახსრობა, ძალიან უჭირთ საწვავი, რაც განპირობებულია როგორც ობიექტური (ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების სიმწირით), ისე სუბიექტური მიზეზებით.

უსაწვავოდ დარჩენილი ბატალიონები კი



ამერიკული სამხედრო აღჭურვილობის ყიდვა მაღაზიაშიც შეიძლება

მთელი დატვირთვით ვერ აგრძელებენ საბრძოლო მომზადების კურსს, რაც, საბოლოო ჯამში, უაზროს ხდის საერთოდ „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის დანიშნულებას — ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორთა დახმარებით განხორციელებული სამთვიანი პირველადი მომზადების კურსის შემდეგ, ოთხივე ბატალიონი, თუკი აღარ გააგრძელებს ინტენსიურ საბრძოლო მომზადებას (საბრძოლო სროლების ჩათვლით), მაშინ მათ შესაძლებლობებზე ოცნება საპნის ბუშტივით გაქრება.

# ებრაული წყალქვეშა ნავები ატომური რაკეტებით იმუქრებიან

## ისრაელი არაბ ტერორისტებს ატომური ბომბებით შეებრძოლება?



ებრაელებს უკვე შეუძლიათ ზღვის სიღრმიდან მიაყენონ ატომური დარტყმა ყველა მეზობელ მუსლიმანურ ქვეყანას

ახლო აღმოსავლეთში ახალ სტადიაში გადადის მუსლიმანებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირება, რომელიც უკვე ძალიან საშიში ხდება არა მარტო ამ რეგიონისთვის, არამედ მისი მოსაზღვრე სამხრეთ კავკასიისთვისაც.

ისრაელის ქალაქებში განუწყვეტელ ტერორისტულ თავდასხმებს ემატება კიდევ ერთი დიდი საფრთხე, რომელმაც შეიძლება ებრაული სახელმწიფო მთლიანად გაანადგუროს.

ეს ეხება იმ პროგრამებს, რომლის თანახმადაც ახლო აღმოსავლეთსა და მის მეზობელ სხვა ისლამურ ქვეყნებში ბალისტიკური რაკეტების გაუმჯობესებული მოდელები იქმნება და გამალებით მუშაობენ ატომური ბომბის დასამზადებლად.

პაკისტანი ყოველ წელიწადს ორ-სამ ახალ ბალისტიკურ რაკეტას ქმნის, უკვე გამოსცადა ატომური იარაღი. ირანსაც აქვს ისრაელამდე მისაღწევი ბალისტიკური რაკეტები და ახლა ატომურ ბომბს ქმნის.

ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ სამყაროს კარგად ახსოვს ისრაელთან გამართული ომები, რომელშიც არაბები დამარცხდნენ. ამიტომაც სირიაში, ეგვიპტესა თუ ირანში რევანშისტთა რიცხვი ნამდვილად არ მცირდება.

ებრაელები კი რისი ებრაელები იქნებოდნენ, რომ გულხელდაკრეფით ეყურებინათ არაბთა სამზადისისთვის.

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ებრაელმა სამხედროებმა ბირთვული იარაღის გამოყენების კიდევ ერთი გზა დახვეწეს. საერთოდ, ისრაელი არასოდეს აღიარებს, რომ მას ატომური თუ ბირთვული იარაღი გააჩნია, მაგრამ სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ისრაელის სამხედროთა შეიარაღებაში 100-200 ატომური ბომბი და რაკეტის ქობინია. ისინი თავის დროზე ნეგევის უდაბნოში, დასახლება დიმონის ახლოს მიწისქვეშა ზესაიდუმლო ქარხანაში დამზადდა.

**ჩვენი დოსიე: სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით, დღეს ბირთვული იარაღი ოფიციალურად მხოლოდ ხუთ სახელმწიფოს გააჩნია. აქედან რუსეთს — 8.232 ერთეული (ბომბის, რაკეტის თუ ტორპედოს ქობინის, საარტილერიო ჭურვისა ან ნაღმის სახით), აშშ-ს — 7.068, ჩინეთს — 402, საფრანგეთს — 348, ხოლო დიდ ბრიტანეთს — 185.**

დღემდე ებრაელ სამხედროებს შეეძლოთ თავისი საიდუმლო ატომური არსენალის გამოყენება, როგორც „მიწა-მიწა“ კლასის Jericho-2 ტიპის ბალისტიკური რაკეტების, ისე F-15 და F-16 ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენი ავიაციის საშუალებით.

ერთი კვირის წინ კი ებრაელებმა აითვისეს ატომური იარაღის ირანამდე წყალქვეშა ნავებით „გადატანის“ მეთოდი, ანუ ისრაელი ამ მხრივ გაუტოლდა იმ ბირთვულ ზესახელმწიფოებს (როგორებიცაა აშშ და რუსეთი), რომელთაც ბირთვული იარაღის გადატანა მოწინააღმდეგის ტერიტორიამდე სამივე ხერხით შეუძლიათ — მიწიდან (ბალისტიკური რაკეტები), ჰაერიდან (ბომბდამშენები) და წყლით (წყალქვეშა ნავები).

სამიოდე წლის წინ ისრაელმა გერმანიაში შეისყიდა სპეციალურად დამზადებული სამი დიზელისძრავიანი წყალქვეშა ნავი, რომლებსაც ამერიკული წარმოების ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების Harpoon-ების გაშვება შეუძლიათ. ეშმაკმა და მოხერხებულმა ებრაელებმა ამერიკულ „ჰარპუნებს“ საკუთარი წარმოების ატომური ქობინები მოარგეს და ახლა შეუძლიათ ხმელთაშუა ზღვაში ან სპარსეთის ყურეში წყალქვეშ დამალული ნავიდან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ირანის მსხვილ ქალაქებს.

ატომური ბომბის შექმნა აღარ არის ისეთი უდიდესი საიდუმლო, როგორც ეს ნახევარი საუკუნის წინათ გახლდათ. ამიტომაც ერთმანეთს გადამტერებულმა სახელმწიფოებმა ან უკვე შექმნეს იგი (სამაგალითოდ პაკისტანი და ინდოეთიც კმარა), ან ახლა ქმნიან. ისინი, „ბირთვული ხუთეულისგან“ განსხვავებით, ეტყობა, ნაკლები სინდისის ქენჯნით გააჩაღებენ მინიბირთვულ ომს.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ამერიკელმა სამხედროებმა მაჰმადიანობა მიიღეს

შეიძლება ითქვას, რომ პენტაგონი თავისსავე ანკესს წამოეგო — მისმა ჯარისკაცებმა, თალიბებთან ურთიერთობის შემდეგ ისლამი მიიღეს! კუბაში, გუანტანამოს ამერიკული სამხედრო ბაზა ისედაც გასაიდუმლოებულ სამხედრო ნაწილთა სიაში შედიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ავღანეთში დატყვევებული თალიბები მოიყვანეს, გუანტანამოში უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღეს.

ამერიკელები უფრო გარედან ელოდნენ რადიკალი მუსლიმანების თავდასხმას, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ციხე შიგნიდან გატყდა — გუანტანამოს ბაზის ირგვლივ არ ცხრება სკანდალი.

თავიდან ამერიკის სპეცსამსახურებმა ორი ამერიკელი ოფიცერი (მათ შორის ერთი მუსლიმანი ღვთისმსახური) დააკავეს იმ ბრალდებით, რომ ისინი თალიბების დაცვის სისტემაზე ინფორმაციას აგროვებდნენ უსამა ბინ ლადენისთვის გადასაცემად.

ახლა კი რამდენიმე ამერიკელმა ჯარისკაცმა, რომლებიც თალიბებს იცავდნენ, რწმენა შეიცვალა — მაჰმადიანობა მიიღო. ისინი ამ აზრზე თალიბებთან ურთიერთობის შემდეგ დადგნენ.

დღეს პენტაგონში შიშობენ, ვაითუ, გუანტანამოს ბაზის 660-ივე ამერიკელი სამხედრო ისლამის რწმენაზე მოექცეს და დატუსაღებული თალიბები გაუშვას ციხიდანო.

## ჩინელები დედამიწაზე ვეღარ ეტევიან...



ჩინეთი გახდა მესამე ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის შემდეგ თავისი ძალებით გაუშვა კოსმოსში ადამიანი. ჩინელმა კოსმონავტმა იან ლივეიმ 21 საათის განმავლობაში 14-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. ეს დღე ჩინეთში დღესასწაულად იქცა. ჩინეთის კოსმოსში გასვლა ძალიან აღელვებთ ვაშინგტონში, რადგან ახალ საუკუნეში სამხედრო დაპირისპირება კოსმოსში გადაინაცვლებს და გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც ამ სფეროში ყველაზე ძლიერი იქნება.

დღეს აშშ-ის სამხედრო ძლიერებას ძირითადად კოსმოსური ხელოვნური თანამგზავრები განაპირობებენ და თუ ჩინეთი დიდ წარმატებებს მიაღწევს იქ (არადა ჩინეთს უდიდესი ამბიციები გააჩნია), მაშინ ამერიკელთა ერთპიროვნულ ლიდერობას კოსმოსში ბოლო მოეღება (უფულო რუსეთმა დიდი ხანია დაკარგა ის უპირატესობა, რასაც საბჭოთა კავშირმა თავის დროზე მიაღწია კოსმოსში).

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# — გაჩვენებ ვინცა ვარ, გაიგე?!

## ერთ დროს ცარიელი ქილებისთვის ნასამართლევი

**გამთენიისას ისეთი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა მძინარე ქალაქში, იფიქრებდი, ნახევარი ქუთაისი დაინგრაო. ერთიანად ჩაიმსხვრა ახლომახლო თითქმის ყველა სახლის ფანჯრების მინები. გაიოზი მაინც არ გატყდა — ჩემგან აბაზსაც ვერ მიიღებ, მთელი ქუთაისიც რომ ააფეთქოთო.**



### სტატისტიკის მსხვერპლი

პირველად იგი მურაბებისა და კიტრის მწნილის ქურდობისთვის დაიჭირეს — უფრო სწორად, ასეთი განზრახვა ჰქონდა. სინამდვილეში კი ცარიელი ქილები შერჩა ხელთ. შორს კი არსად უძებნია, იქვე, მეზობელი სახლის სარდაფს მიადგა: იმწამს საოცრად ბედნიერი იყო. სარდაფის თაროები მინის ქილებით იყო გადაჭედილი. მართალია, თითქმის ყველა ცარიელი იყო, მაგრამ — ორ თუ სამ მწვანე ლობიოს კონსერვს მაინც მიაგნო. მეორეც, ეს ცარიელი ქილებიც ხომ ფული ღირდა, ხვალ დილითვე ჩააბარებდა მინის ტარის მიმღებ პუნქტს და სამ-ოთხ მანეთს მისცემდნენ. ამ ფულით კი ავადმყოფ ბებიას პურსა და წამალს უყიდდა. მეორე კვირა იქნებოდა, საცოდავი სიცხისაგან იწვოდა. ექიმმა თქვა, კარგი კვება და წამლები ესაჭიროებაო, მაგრამ პატრონი არავინ ჰყავდათ. მამა ციხეში იყო. დედა... სხვა კაცთან. ბებია ზრდიდა ოთოს (აქ და შემდგომ გვარსახელები შეცვლილია). რაც შეეძლო, არაფერს აკლებდა, მაგრამ საკმარისი იყო, ორი დღე არ გასულიყო სავაჭროდ, მესამე დღეს თაროზე პურის ნაჭერსაც ველარ ნახავდით. ასე დღიური ლუკმით გაჰქონდა თავი ბებიაშვილიშვილს. ახლა კი... თუმცა არა უშავს, ახლა უშველის, ფული გაუჩნდება. ჯერ იქვე ლურსმანზე ჩამოცმული ცარიელა ბადურა აავსო ქილებით, მერე მუყაოს დიდი ყუთი და გარეთ გავარდა. მარტის თოვლჭყაპიანი ღამე იდგა. მალე ალბათ ყინვაც მოუჭერდა, მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა. უფრო ის ადარდებდა, რომ გადავსებული ყუთიდან რამდენიმე ქილა გადმოუვარდა და ფეხებთან დაემსხვრა. მოეჩვენა, რომ ლანჩაავარდნილი ფეხსაცმელი ზედ ნამსხვრევებზე დააბიჯა და თითქოს გაეჭრა კიდეც ფეხი.

მეორე დილით მთელმა უბანმა იცოდა, ოთოს მეზობელი სახლის სარდაფიდან ცარიელი ქილები მოუპარავს და ჯერ პატრონს, შემდეგ მილიციას გაყინულ თოვლზე დარჩენილი მისივე სისხლის კვალით მიუგნიათ. ოთო ცუდი ბიჭი არ იყო და ბევრს შეებრალა კიდეც, თუმცა გული იმით დაიმშვიდეს, ამ წვრილმანისათვის მაინც არ დაიჭერენო. მაგრამ...

— პირველი კვარტალი მთავრდება. აბა, მაჩვენეთ როგორი მაჩვენებლები გვაქვს გასული წლის შესაბამის პერიოდთან, — ყურმილში ჩასძახა მილიციის უფროსმა და მოადგილემაც ორიოდ წუთში შეურბენინა დანაშაულის სტატისტიკის აღმრიცხველი ფურცელი.

— მკვლელობის, ყაჩაღობისა და ძარცვის შემთხვევები გაზრდილია, უფროსო. ქურდობა ორი ერთეულითაა შემცირებული. არადა, იმდენი შემთხვევა დავმალეთ... ვერ გავთვალეთ, რომ დაგვაკლდებოდა. ეგებ ამაღამ და ხვალ მოხდეს რამე. ეს ციფრი ახლა თუ არ ავწიეთ, მეორე კვარტალში გაგვიჭირდება.

— ვითომ ამაღამ მომხდარ ქურდობას ხვალ გახსნი თუ?.. ჩვენ ახლა გახსნილი შემთხვევა გვინდა... — მოადგილეს შეუღრინა უფროსმა.

— მასეთი აგერაა, გუშინდელი საქმე — მინის ქილების ქურდობა, მარა ჯერ ქილა რაა და თანაც ბიჭი სწორედ გუშინ გახდა თოთხმეტი წლის.

— აჰა, ესე იგი, თოთხმეტის არის ხომ? ათისაც რომ იყოს, ქურდობა ქურდობაა. დღესვე აღძარით საქმე და სტატისტიკაშიც შეიტანეთ, როგორც გახსნილი დანაშაული.

არავის გამოუდვია თავი უპატრონო ბიჭის დასაცავად. ერთადერთი ქომაგი, ბებიამისი ისე გარდაიცვალა, არც გაუგია, სად გაქრა ბიჭი. მეზობლები ამშვიდებდნენ, დედამისმა წაიყვანაო.

ამ სტრიქონების ავტორი მოგვიანებით ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიაში შეხვდა ოთოს და როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი აზრის საბჭოს კოორდინატორმა, უშუალოდ კოლონიის მაშინდელი უფროსის ლერი ხუხიას თხოვნით, საბჭოს წინაშე იშუამდგომლა და ოთოც გაათავისუფლეს, მაგრამ ბიჭს უკვე გაევლო ბოროტმოქმედთა დახელოვნების „დაწყებითი კურსი“. მერე, როცა სისხლის სამართლის სამსახურში ვმუშაობდი, მის ნაკვალევს რამდენჯერმე წავაწყდი დასავლეთ საქართველოში. მათ შორის, სვანეთის მთებშიც. ერთი-ორჯერ დაიჭირეს კიდეც, თუმცა ზღვარს არასოდეს გადადიოდა. ყოველთვის ცდილობდა შეუმჩნევლად ემოქმედა. დამნაშავეთა სამყაროს უკურნებელი სენი — „პირველობა“ არასდროს შეჰყრია და ამიტომ კანონთანაც არ იყო მთლად პირშავად. შედარებით მცირე სასჯელებით გადიოდა ფონს. მერე კი, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა მდინარის სათავე აიმღვრა, მანაც სცადა მსხვილი თევზის დაჭერა, მაგრამ არც იმ წლებში უღალატია თავისი პრინციპებისათვის და ისევ მეორეხარისხოვან როლებს თამაშობდა. ჩემთვის ცნობილი იყო ისიც, რომ ამ დროისათვის ოთო ვირტუოზ მოტოციკლისტად ჩამოყალიბდა. მართალია, ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გაიელვებდა ხოლმე მისი მოტოციკლი კრიმინალურ ლაბირინთებში და ყოველთვის უხინჯო გადიოდა საქმიდან. ასეთ ხალხს კი სანთლით ეძებენ დამნაშავეთა სამყაროს მამები. უეჭველია, ამით იყო განპირობებული ისიც, რომ ქუთაისელმა „ავტორიტეტმა“, აკა გაბოშვილმა იგი იმ დროისათვის ჯერ კიდევ სარისკო საქმეზე მიიწვია.

### უჩინარი ბანდიტი

ქვესათაური, რა თქმა უნდა, პირობითია, მთლად ასეც არ ყოფილა. მოტოციკლეტზე ამხედრებულს მუზარადის ქვეშ არც სახე უჩანდა და არც თვალები (უკეთეს ნიღაბს ვერც ინატრებდა). გზებზე მოძრაობის წესებს არ არღვევდა და ამის გამო არც ავტოინსპექციის ყურადღებას იპყრობდა. აკას დავალებით უცნობმა მთელი ერთი კვირა იწრიალა იმ გზაზე, სადაც ბანკირის შვილს უნდა გაევლო. ბიჭის გატაცებას გეგმავდა აკა. იგი იცნობდა მის მამას და ამიტომ იმ ადგილებში გამოჩენას ერიდებოდა.

— ბიჭის მანქანაში შეტყუებას ბევრი არაფერი სჭირდება, — მოახსენა ერთი კვირის შემდეგ შეფს უცნობმა, — პატარა აღარაა და შეიძლება ვთხოვოთ მამამისამდე მიგვაცილოს. ამაზე უარს არ იტყვის. მოედანზე ამ დროს შემთხვევითი ხალხი ტრიალებს და ყურადღებასაც არ მოგვაქცევენ. მერე კი რაიონიდან უნდა გავიყვანოთ — იარაღით შევაშინებთ. უკვე მოწიფული ბიჭია, ვეჭვობ, კივილი ატეხოს და საშველად მოუხმოს ვინმეს. ბოლოს და ბოლოს, პირის აკვრაც შეიძლება და საბარგულში ან სალონში მისი ჩამალვა, მაგრამ რა ვუყოთ მილიციის ოცდაოთხსაათიან კორდონებს. ყველა მანქანას აჩერებენ — აფხაზეთში მღელვარება დაიწყოო... ერთი სიტყვით, აკა, ამ საქმეში ერთი მილიციელი მაინც უნდა ჩაერთოს. თორემ ვერაფერს გავხდებით.

— მყავს ასეთი კაცი, — ხვიჩა გალოგრე. საპატრულო-საგუშაგო სამსახურში მუშაობს. ისეთი გარეწარია, ოღონდ ფული დაანახვე და საკუთარ დედ-მამას მოგატაცებინებს. არა მგონია, უარი მითხრას... — ამ სიტყვებზე აკა გაბოშვილი წამოდგა და ოთახიდან გავიდა. უცნობმა ცოტა შეიცადა, მერე კი მანაც გაიხურა კარი, მაგრამ საპარადო გასასვლელით კი არ უსარგებლია. უკანა მხარეს ეზო გადაკვეთა და ხალხს შეერია. კონსპირაციას მუდამ იცავდა — „ადამიანებს ხშირად არ უნდა შეეჩხირო თვალში. მით უმეტეს, როცა ერთი რიგითი ქურდბაცაცა ხარ და სულ იმის გეშინია, აგერ ახლა დამიჭერენ, ან ცოტა ხნის მერეო“, ალბათ ათასმეერთედ მოძღვრავდა საკუთარ თავს უცნობი...

საღამოს სულ სხვა გზით დაბრუნდა შეფთან.

— დამეთანხმა ის მილიციელი. მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს საქმე ზეგ უნდა გავაჩალიჩოთ, სხვა დროს სამსახურში ვარო. მძღოლსაც და მანქანასაც თვითონ იშოვის. დავეთანხმე, თუმცა საქმეში ზედმეტი კაცის შემოყვანა არ გამხარებია. რაც მეტი ვიქნებით, გაშიფვრის შანსიც მეტია... — თითქოს თავი იმართლაო აკამ და დივანზე ჩამოჯდა.

— ბიჭი სად მიგვყავს, ვინ შეინახავს? შესაძლოა მოლაპარაკება გაჭიანურდეს და მერე?

— მაგაზე ნუ დარდობ. მანქანის პატრონის სახლში მივიყვანთ. ყველაფერი კარგად იქნება. ხვალ პისტოლეტებს მოგცემთ, დანარჩენი თქვენი საქმეა.

— მე უიარაღოდაც იოლად გავალ. მძღოლს მიეცი, მილიციელს კი ალბათ თავისი ტაბელური იარაღი ექნება.

გზები მართლაც ისე იყო შეკრული, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. მილიციელი ხვიჩა გალოგრე აშკარად შეფიქრიანდა. — ვთქვათ და გაგვაჩერეს, მერე? სროლის ატეხა არ იქნება. თითოეულ კორდონზე 10-15 ავტომატიანი კაცი დგას. თუმცა, მოიცა, დღეს ხომ სოხუმში დაღუპულ მეცნიერს მოასვენებენ ზუგდიდიდან ქუთაისში, მაგათ უნდა დავემგზავროთ. მიდი, მიდი შეუბერე! — თავისი აღმოჩენით ფრთაშესხმულმა თავის მეგობარ მძღოლს მხარზე ხელი დაჰკრა და მანქანაც დაიძრა. უცნობი მშვიდად იჯდა უკანა სავარძელზე.

მილიციის კორდონთან მძღოლს მანქანა გააჩერებინა ხვიჩამ და თავის კოლეგებს ჰკითხა: — ხომ არ იცით, რომელ საათზე გამოვა სამგლოვიარო პროცესია ზუგდიდიდან. ჩემი ნათესავი იყო ცხონებული, ცხაკაიაში მინდა დავხვდე.

— გვითხრეს, ორის მერე ელოდეთო. ცხაკაიაში ალბათ პირველზე იქნებიან... — იყო პასუხი.

— უნდა ვიჩქაროთ. თუ საჭირო შეიქნა, ბიჭი გაკვეთილიდან უნდა გამოვიყვანოთ, — დაფაცურდა ხვიჩა, მაგრამ ეს არ დასჭირვებიათ. მის კლასს ბოლო გაკვეთილი გასცდენოდა და ესენიც იმ დროს მიადგნენ სკოლას, როცა მერვეკლასელი, თხუთმეტი წლის დათო სახამბერიძე სკოლის ეზოდან გამოვიდა. სამეულმა, ბიჭს მოედნამდე გასვლა აცალა, იქ კი, როცა თანაკლასელები შემოეცალნენ, მანქანა ზედ ფეხებთან გაუჩერეს და მძღოლმა, რომელსაც მურთაზს ეძახდნენ, ისე შინაურულად ჰკითხა: ბიძიკო, შენ მგონი კოტეს ბიჭი ხარ, სამსახურში არაა მამაშენი, გვითხრეს, შინ წავიდაო და ეგებ მიგვასწავლო, თორემ ვატყობ, გავწვალდებითო. ბიჭმა ერთბაშად გამოაღო მანქანის უკანა კარი და მოსხლეტით ჩაეშვა სავარძელში.

— მარცხნივ წავიდეთ... — მშვიდად ანიშნა მძღოლს და საზურგეზე გადაწვა. მანქანამ კი გაუხვია მარცხნივ, შემდეგ კვარტალში მარჯვნივ უგანა და ცენტრალურ გზაზე გავარდა.

— ჩვენი სახლი აქეთ არაა. სად მიგყავართ? — აწრიალდა დათო და კარის სახელურს დაუწყო ძებნა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ კარის გასაღები და მინის ამწევი სახელურები მოეხსნათ წინდახედულ გამტაცებლებს. ბიჭმა ყვირილი დააპირა, მაგრამ წინ მჯდომმა ხვიჩამ იარაღი შუბლზე მიადო და ავად შეუღრინა:

— გირჩევნია, წყნარად იყო. არც შენ და არც შენიანებს არაფერს ვერჩით. მამაშენი ცოტაოდენ ფულს გადაიხდის შენს გამოსასყიდად და უკანვე დაგაბრუნებთ. ახლა კი, არხის პირას ჩავიდეთ და შევჩერდეთ, ვიდრე ზუგდიდიდან მომავალი კოლონა ჩამოივლიდეს... — თავისიანების გასაგონად თქვა ხვიჩამ. შეშინებული დათო მიხვდა, ერთი დაყვირება და არ დაინდობდნენ... მალე ტრასაზე სამგლოვიარო კოლონა გამოჩნდა და მურთაზმა ზუსტად ჭირისუფლების მანქანის უკან მოახერხა კოლონაში ადგილის დაკავება. მილიციის საგუშაგოებზე ისე გაატარეს, მანქანაში არც ჩაუხედავთ, თორემ აუცილებლად ნახავდნენ ოთხად მოკუნტულ თხუთმეტი წლის ბიჭს, რომელსაც საგუშაგოებთან გავლის დროს აიძულებდნენ მანქანის წინა და უკანა დასაჯდომებს შორის ჩამძვრალიყო... ამ ხნის განმავლობაში უცნობს სიტყვაც არ დასცდენია. მეორე დღეს „შემთხვევით შემოყრილი“ აკა გაბოშვილი რომ დაინახა დათოს მამამ, ისე გაიხარა, გეგონებოდათ, ცა გაეხსნაო. იცოდა, აკა შავი სამყაროს „ავტორიტეტი“ იყო და იმედი მიეცა, დამეხმარებაო. აკამ ჭირისუფალივით შეიცხადა ბანკის მმართველის სატკივარი და დახმარებას შეჰპირდა — გავიკითხგამოვიკითხავ, რაღაცას უეჭველად შევიტყობო. მით უმეტეს, რაკი იმის მნახველებიც არიან, რომ ბიჭი უცხოებმა ჩაისვეს და მანქანაც დასავლეთით არ წასულა. აქედან ხაშურამდე ნემსიაც არ დამეკარგებაო. ერთი დღის შემდეგ დათუნას ხელით დაწერილი ბარათით მიადგა მამას.

— რა ვქნა, ჩემო კოტე, ღამე თეთრად გავათენე, კვალისთვის რომ მიმეგნო. მაგრამ რად გინდა, ისეთ ნაძირალებს ჰყავთ, მეც რომ მომიტაცონ, უფულოდ ვერაფერს გავაწყობ. გინდ ქურდი ყოფილხარ და გინდ — ქუჩის ბოგანო... ა, ბატონო, ეს წერილი შემომაჩეჩეს და მითხრეს, შენი ხათრით იმის ნახევარს ვითხოვთ, რაც ჩაფიქრებული გვქონდაო. რამდენია ეს ნახევარი, არ ვიცი. წერილს ხომ არ წავიკითხავდი. თუ შეწვდები, შემიძლია ფული წავიღო და ბიჭსაც დავაბრუნებ.

კოტე სახამბერიძემ იცოდა, რომ ასეთი საქმეები უფულოდ არ კეთდებოდა. ჯერ კი გაიხარა, შვილზე რაღაც მაინც რომ გაიგო, მაგრამ როცა დათუნას აკანკალებული ხელით დაწერილ ბარათს ჩახედა, სისხლი გაეყინა ძარღვებში. ბარათი რამდენიმე სიტყვისაგან შედგებოდა: „მამა, ამ ხალხს თუ დღესვე არ გადაუხდი ორასი ათას მანეთს, მომკლავენ, ძალიან მეშინია“.

— ორასი ათასი.. — გადაირია კაცი, — ამათ მე ლონდონის ბანკის მმართველი ხომ არ ვგონივარ, სად ვიშოვო ორასი ათასი... — სიმწრისაგან ხელებს იფშვნეტდა კოტე სახამბერიძე, — კარგი, თანახმა ვარ. ამაღამ ყველა ჩემს კოლეგას ჩამოვუვლი...

ფულის მოტანიდან ორიოდ საათში „გამოიხსნა“ ბიჭი აკა გაბოშვილმა. ეს დათუნას გატაცების მეორე დღეს მოხდა. 1990 წლის 12 მაისი იყო იმ დღეს. მერე მთელი შვიდი წელიწადი არ გაფაჩუნებულა აკა გაბოშვილისა და მისი ბანდის სახელები, მაგრამ პოლიციის ანგარიშებში არაერთგზის დაფიქსირდა ინფორმაციები გამოძიებით დაუდგენელი პირის შესახებ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ყველა მათგანში ჩვენთვის ნაცნობ უცნობზე იყო საუბარი.

ეჭვი არაა, ბანდა დიდი სიფრთხილით მოქმედებდა და როცა აკამ ფირმა „მაია-1“-ის პრეზიდენტს, გაიოზ სარიშვილს ტელეფონით 25 ათასი დოლარის შეწერა მოუნდომა, ამ უკანასკნელმა არაფრად ჩააგდო ის ვიღაც „ანერა“ (ამ სახელით წარუდგა აკა გაიოზ სარიშვილს), რომელიც როგორც ოფიციალური დოკუმენტებით ირკვევა, ამჯერადაც გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად მოქმედებდა. იმავე საღამოს სარიშვილის ეზოს მოტოციკლმა ჩაუარა და ჩაფხუტიანმა მძღოლმა გაზეთში გახვეული წერილი ისროლა ღობის იქით. დილით გაიოზი ჯერ ისევ წერილის კითხვითა და იმის ფიქრით იყო გართული, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ის გარეწარი, ასე აშკარად რომ აპირებდა ფულის გამოძალვას, ვიღაც უცხო კაცი რომ მიადგა: — მე, ბატონო, ტაქსის შოფერი ვარ. „ანერამ“ გამომგზავნა, წამლებს გამოგატანს ჩემი სიდედრისთვისო, — თუ გამატანთ, ქე წოუღებ, ბატონო, თუ არა და ისედაც გავბრუნდები. ჩემი გასამრჯელო წინასწარ მომცა იმ კაცმა.

გაიოზს ეჭვიც არ შეჰპარვია შოფრის გულახდილობაში.

— გადაეცი, რომ წამლები არ აქვს და არც ექნება-თქო. თუ არ დაგიჯერებს, ა, ჩემი ტელეფონის ნომერი და თვითონ დამირეკოს!

იმავე საღამოს დაურეკა აკამ გაიოზ სარიშვილს.

— წამლები უნდა გამოგეტანებინათ იმ კაცისთვის, გაიოზ ბატონო. წამლების ფასი კი დღეს დილით თუ ოცდახუთი ათასი დოლარი იყო, ახლა ორმოცდაათი ათასზე ავიდა. ხომ იცით, დრო ფულია. ხვალ დილით მოვლენ თქვენთან და გამოატანეთ, თორემ ასე მეგობრულად ველარ ვისაუბრებთ ხვალზეგ. დილით ბაღდათელი ტაქსისტი მიადგა სარიშვილს, მაგრამ ამჯერადაც რომ ხელცარიელი დაბრუნდა, აკა სულ გადაირია.

— ზეგ სამოცდათხუთმეტი ათას დოლარს გადაიხდი და მადლობასაც მეტყვი, ამას რომ დაგჯერდი. ხვალ კი კონცერტი უნდა გაგიმართო, ისე ეტყობა, ჭკუას ვერ მოუხმობ! — ჩასძახა ყურმილში გაიოზს და უცნობს მიუბრუნდა:

— ხვალ, გამთენიისას, სარიშვილის მეზობლის, კორტავას ეზოში ბომბი უნდა ავაფეთქოთ. მისგანაც შეიძლება ცოტაოდენი ფულის გამოძალვა, აფეთქების შემდეგ სარიშვილიც უნდა მოეგოს გონს.

გამთენიისას ისეთი გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა მძინარე ქალაქში, იფიქრებდი, ნახევარი ქუთაისი დაინგრაო. ერთიანად ჩაიმსხვრა ახლომახლო თითქმის ყველა სახლის ფანჯრების მინები. გაიოზი მაინც არ გატყდა — ჩემგან აბაზსაც ვერ მიიღებ, მთელი ქუთაისიც რომ ააფეთქოთო, — უთხრა აკას და ყურმილი დაკიდა.

— კორტავაც რომ გაჯიუტდა?! ფულის გადამხდელი არა ვარო, ალბათ სარიშვილმა შეაგულიანა, თორემ თვითონ ვერ გაბედავდა ამდენს. ამაღამ კიდევ უნდა მოვუწყოთ ფეიერვერკი. ბომბი ამჯერადაც კორტავების ეზოში უნდა აფეთქდეს, ავტომატსაც ვიხმართ, შენ მოტოციკლი გაამზადე...

საღამოს ათ საათზე, როცა ქუჩა ჯერ კიდევ გადაჭედილი იყო მანქანებით, სრული წესრიგის დაცვით მოძრავი მოტოციკლი, რომელზეც ორი ჩაფხუტიანი, ახალგაზრდა იჯდა, მოხერხებული მანევრით გასრიალდა მანქანების საცობში და რამდენიმე წამის შემდეგ მათ ნაკვალევზე ჰაერში ავარდა თავისი სახლის ჭიშკართან მდგარი კორტავას „ნისანი“. ამის შემდეგ მოტოციკლმა უშფოთველად მოხაზა წრე და უკან მჯდომმა ავტომატით დაცხრილა კორტავების სახლის ფასადი. დაფეთებულმა ხალხმა თავშესაფარს დაუწყო ძებნა. ავტომატი რომ ჩაჩუმდა, ვიღაცამ იყვირა — დაიჭირეთ ეგ გარეწრებიო. იმწამს მოტოციკლის წინა თვალი ჰაერში აიწია და ასე, ყალყზე შემდგარი გაერიდა იქაურობას.

მომდევნო საღამოს ერთხელ კიდევ ჩამოიქროლა იმ ქუჩაზე მოტოციკლმა და ამჯერად მეზობლად მცხოვრები დვალიშვილების სახლი და მანქანა დაცხრილეს ავტომატით.

მეორე დილით გაიოზ სარიშვილს კვლავ მიადგა უცნობი ტაქსისტი და „ანერასგან“ გამოგზავნილი მუქარის წერილი გადასცა... ამჯერად ასი ათასი დოლარის მოთხოვნით, მაგრამ გაიოზმა წერილს მეორე მხრიდან მიაწერა — რამდენიც უნდა იხტუნოთ, კაპიკსაც ვერ მიიღებთო და იმავე მძღოლს გაატანა.

— ასე, არა? გაჩვენებ, ვინცა ვარ, გაიგე? — ღრიალებდა ტელეფონის ყურმილში გაბოროტებული ბანდიტი.

მეორე დილით სარიშვილების სახლის წინ ერთი დაფხავებული „ზაპოროჟეცი“ დადგა. ისე საცოდავად თუხთუხებდა, ეტყობოდა, გზის გაგრძელების თავი აღარ ჰქონდა. მძღოლი მანქანიდან გადმოვიდა. ერთი მაგრად შეიკურთხა, კარი მთელი ძალით მიაჯახუნა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ გაემართა. სარიშვილებს არაფერი უეჭვიათ და დაცვამაც სამსახურში მიმავალ შეფს ეზოდან გასვლის ნება დართო. ის იყო, გაიოზის მანქანა ჭიშკარს გასცდა, რომ „ზაპოროჟეცმა“ იქუხა და ჯოჯოხეთი დატრიალდა ირგვლივ. ასფალტზე სისხლში ცურავდნენ ადამიანები. იმ დილით ხუთი კაცი დაიჭრა, ათი მანქანა და ორმოცამდე სახლი დაზიანდა. გაიოზ სარიშვილი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გაცოფებული აკა გაბოშვილი ადგილს ველარ პოულობდა — კიდევ გადარჩა? გამოდის, ტყუილად მიტრაბახია. ამაღამ კიდევ გესტუმრები, ვაჟბატონო.

— ცოტა დრო უნდა გავიდეს, აკა. გული ცუდს მიგრძნობს. ეგეც არ იყოს, კაცის კვლა არაა ჩემი საქმე. არ იძლევა და ნუ იძლევა. ვინც იძლევა, იმას მოვთხოვოთ, რაღა ამ კერკეტს გადავეკიდეთ... — წყნარად შეაპარა ოთომ, რომელსაც საგამოძიებო დოკუმენტებში დაუდგენელ პირად, ჩვენ კი უცნობად მოვიხსენიებთ.

— ეგ თუ არ აიძულე, არც სხვა მოგცემს რამეს. მოემზადე, ამაღამ გავდივართ.

იმ ღამით, როცა დილით სირცხვილნაჭამ რიცხობრივად გაორმაგებულ დაცვას თვალის მოხუჭვაზეც არ უფიქრია, აკასა და მისი ბანდის (გამოძიებით დადგენილების) კიდევ ორი წევრის შემადგენლობით გატაცებულმა ტაქსიმ დვალიშვილების სახლთან დაამუხრუჭა, მერე ერთბაშად მობრუნდა, საბარგულით სახლისკენ დადგა და ჯერ ხელყუმბარა ისროლეს ეზოში, შემდეგ კი ერთდროულად სამი ავტომატით გახსნეს ცეცხლი სარიშვილების სახლის მიმართულებით. დაცვის ერთმა წევრმა შენიშნა, რომ ერთი ავტომატი, რომელიც მანქანის საბარგულიდან ისროდა, აშკარად ჰაერში ფანტავდა ტყვიებს. დაბნეული დაცვა, როგორც იქნა, გონს მოეგო და გახსნა ცეცხლი.

— დამჭრეს ამისი... — მწარედ ამოიგმინა ვიღაცამ. ხმა საბარგულიდან მოდიოდა. ეს უცნობის ხმა იყო.

ორი დღის შემდეგ მთელი ბანდა აიყვანეს სამართალდამცველებმა. იმის კვალს კი, საბარგულიდან ჰაერში რომ ისროდა, მაინც ვერ მიაგნეს და დარჩა ასე გამოძიებით დაუდგენელ პირად.

ჩვენი ვერსიით კი, ეს დაუდგენელი ერთ დროს ცარიელი ქილებისთვის ნასამართლევი ოთო კვეკვესკირი გახლავთ.

***ვაჟა გავაშელი***

# „კვირის პალიტრა“ პატარა, მაგრამ დიდი გამარჯვების მომსწრე გახდა...


კობა ბოჭორიშვილი ნადავლს ათვალიერებს

(დასაწყისი იხ. გვ 5)

დაკავებული ხომალდის, „ჰაჯი ჰუნუ კაპტანის“ ერთ-ერთ კაიუტაში, როგორც სტატიის ზემოთ მოგახსენეთ, 60 მუყაოს ყუთი იპოვეს. მესაზღვრეებმა ერთ-ერთი გახსნეს — იგი მწვანე ფერის წიგნაკებით სავსე აღმოჩნდა. ბოჭორიშვილმა ერთი წიგნაკი აიღო და მასზე რუსული წარწერა წაიკითხა: „აბხაზია. პასპორტ.“ იგივე წარწერა პასპორტს აფხაზურ ენაზეც ჰქონდა.

პასპორტები მეც დავათვალიერე. ისინი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი და ყველა დამცავი მექანიზმით იყო აღჭურვილი. პასპორტების ნომერი იწყებოდა 000001-ით და მთავრდებოდა 025000-ით. თუმცა სერიის აღმნიშვნელი ასოები არ ჰქონდა, ე. ი. თურქეთიდან სოხუმის პორტში 25 ათასი პასპორტი მიჰქონდათ(!). კაპიტნისა და ეკიპაჟის წევრების დაკითხვისას გაირკვა, რომ პასპორტები აფხაზი სეპარატისტების შეკვეთით თურქეთის ერთ-ერთ სტამბას დაუბეჭდავს. თითო პასპორტის დაბეჭდვა დაახლოებით 5 დოლარი დამჯდარა. რა თქმა უნდა, ქართველმა მესაზღვრეებმა არარსებული სახელმწიფოს პასპორტები კატარღაზე გადაიტანეს. მანამდე კი თურქული ხომალდის კაპიტანმა ბოჭორიშვილთან გარიგება სცადა (საუბარი ინგლისური, რუსული და თურქული ენების ნაზავით მიმდინარეობდა. ამიტომ თარჯიმნის მეშვეობით მის ქართულ თარგმანს გთავაზობთ. — ზ. ჩ.).

— თქვენი სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში არ შემოვსულვარ, ე. ი. საზღვარი არ დამირღვევია. რაღაც 25 ათასი ცალი პასპორტისათვის ასეთი ამბავის ატეხა არ ღირს. გამიშვი და მაღარიჩს ვიკისრებ. ჩემს კაიუტაში 8 ათასი დოლარი მაქვს და თქვენი ფეშქეში იყოს.

— მორჩი ლაპარაკს...

— კარგი, ეფენდი. 8 ათას დოლარად თუ არ დახუჭავ თვალს, კიდევ ერთ ამდენს მოგცემ, ოღონდ ცოტა დრო მომეცი. სოხუმიდან რომ წამოვალ, მეორე 8 ათასსაც ჩაგითვლი.

— მილიონიც რომ მომცე, პასპორტებს მაინც წაგართმევ. მადლობა მითხარი, ასე იოლად რომ გადამირჩი...

> უნდა გენახათ, როცა ბაზაში შემოვუშვი, როგორ მისცვივდნენ აფხაზეთში მოჭრილ წიფლის მორებს. როგორც სულიერს, ისე ეფერებოდნენ – ხელს უსვამდნენ, კოცნიდნენ. რამდენიმე ლტოლვილმა მორებზე მიმხმარი მიწა ჩამოფხიკეს და ფრთხილად ჩაყარეს ცელოფანის პარკში. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩვენ აფხაზეთს არ დავკარგავთ...

ამის შემდეგ თურქულ ხომალდს გზის გაგრძელების ნება მისცეს. მისი დაპატიმრება მესაზღვრეებს არ შეეძლოთ, რადგან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არ იმყოფებოდა და ე. ი. საზღვარიც არ ჰქონდა დარღვეული. თურქული ხომალდი ეკონომიკურ ზონაში იყო შემოსული. საერთაშორისო კანონებით კი ეკონომიკურ ზონაში მოხვედრილი ხომალდის მხოლოდ დათვალიერებისა და აკრძალული საქონლის კონფისკაციის უფლება აქვთ მესაზღვრეებს.

P. S. ქართველი მესაზღვრეების კატარღამ გეზი სანაპირო დაცვის ბაზისკენ აიღო. ყველანი კმაყოფილები იყვნენ წარმატებულად დასრულებული ოპერაციით. სამმაგად გახარებული კი მე გახლდით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ აფხაზ სეპარატისტებს და მათ დამქაშებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და ამაოდ ელიან თავიანთ პასპორტებს. მეორეც — 100-200-ლარიანი ხელფასის მქონე ქართველი მესაზღვრე ოფიცრები ცდუნებას არ აჰყვნენ და ისე მოიქცნენ, როგორც ოფიცრებსა და პატრიოტებს შეეფერებათ. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქართულ არმიაშიც არის პატიოსანი ხალხი და ადრე თუ გვიან ისეთ არმიას შევქმნით, რომლითაც ყველა ქართველი იამაყებს. მესამედ კი იმიტომ, რომ „კვირის პალიტრა“ გახდა პირველი, ვინც ამ ოპერაციას დაესწრო და თავის მკითხველს სიხარულით ამცნობს ამ (ჯერჯერობით) პატარა, მაგრამ დიდი გამარჯვების ამბავს...

*ზვიად ჩაკვეტაძე*

# ამ ქვეყანაში კომპრომატები ყველაზე არსებობს

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

ჟვანია რუსებს აქ ლანძღავდა, მოსკოვში კი ვოლოშინთან დაბრძანდებოდა. რამდენადაც ვიცი, ნინო არ მიიღო ვოლოშინმა, ჟვანიას კი უმასპინძლა.

— **ჩვენთან ლამის ანტირუსული ისტერიაა, ამ დროს ისინი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე ლაპარაკობენ. ზოგიერთმა ეს რუსეთის წინაშე საქართველოს ხელისუფლების უსიტყვო კაპიტულაციად მონათლა.**

— რუსები აქ დიდი კაპიტალით მოდიან და ეს ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება. სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსი ცივი ომის კატეგორიებით აზროვნებს და მსჯელობს. ამერიკელებმა თვითონ გვითხრეს, — თქვენი ეკონომიკის გადარჩენის გზა რუსეთთან ურთიერთობაა და მასთან ურთიერთობის მოგვარებაში ჩვენ დაგეხმარებითო. რუსებმა შემოგვთავაზეს 5-მილიარდიანი პროექტი (რომელშიც მსოფლიო ბანკიც ჩაერთვება). რუსეთიდან თურქეთისკენ დიდი გზის (მათ შორის, ელექტროგადამცემი ხაზების) გაჭრა, ასევე წითელი ხიდიდან ბათუმამდე გზის მშენებლობის პროექტში მონაწილეობა. რუსები დააინტერესა ჩვენი მინერალების საბადოებმა, ჭიათურის მანგანუმმა. გოგი თოფაძეს ციმბირში „ცივი ჩაის“ ჩამოსხმა შესთავაზეს, დაინტერესებულნი არიან ღვინის გატანით. რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობა არ მოასწავებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელყოფას. ცხადია, რუსები აქ ჩვენი ლამაზი თვალების გამო არ მოდიან, მაგრამ თუ ხელისუფლება სახელმწიფო ინტერესებს დაიცავს, არ დავზარალდებით.

— **აზერბაიჯანში პრეზიდენტის არჩევნები მიტინგების დარბევისა და მოსახლეობაზე სასტიკი ანგარიშსწორების ფონზე წარიმართა. ჩვენ რას უნდა ველოდოთ 2 ნოემბრისათვის?**

— ჩვენი და აზერბაიჯანის ოპოზიციების ნაკლი ის არის, რომ გაერთიანება ვერ შეძლო. აზერბაიჯანის პრეზიდენტობაზე 8 კანდიდატს ჰქონდა პრეტენზია. ამერიკელებმა შესთავაზეს ოპოზიციას, ძალებს ნუ ყოფთ, საერთო კანდიდატურა წამოაყენეთო. არ დაიჯერეს და შედეგიც სახეზეა. არც რუსეთი და არც ამერიკა არ იყვნენ მოწადინებულნი, მაინცდამაინც ალიევის ვაჟს გაემარჯვა, მაგრამ რაკი ყველას სტაბილურ ქვეყანასთან უნდა ურთიერთობა და სტაბილურობის გარანტიც ამ შემთხვევაში ილჰამ ალიევი იყო, მხარი მას დაუჭირეს. აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებზე დიდი ფული დაიხარჯა. რასულ გულიევმა (და კიდევ ბევრმა სხვამ), რომელიც პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი იყო, დიდი ფული გაიღო ოპოზიციისთვის. არჩევნების შედეგები რომ ნახა, იკითხა — ამ ხალხმა ამდენი ფული რისთვის დაგვახარჯვინეთო. ოპოზიციამ კი თავი იმართლა, — არჩევნები გააყალბესო და მეორე დღეს ქუჩაში გამოცვივდნენ. იგივე სცენარი და სისხლის ღვრა შეიძლება განმეორდეს აქაც, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ და ფსიქოზს არ ავყვეთ, თორემ შეიძლება უარესი შედეგებიც მივიღოთ, რაც ბაქოში.

— **ჩემი აზრით, არეულობის წინააღმდეგ წამალი სამართლიანი არჩევნებია.**

— გეთანხმებით, შევარდნაძესა და ჩვენს ბლოკს ყველაზე მეტად უნდათ არჩევნების ნორმალურად ჩატარება. პარლამენტში 65 კაცითაც რომ შევიდეთ, ოპოზიციასთან კოალიციის გარეშე ვერაფერს გავაკეთებთ.

— **თქვენზე ამბობენ, რუსეთში საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად ნიშნავენო.**

— სიცრუეა. მე უფრო საქართველო-ოსეთის ურთიერთობათა კოორდინაციის საკითხზე მინდა მუშაობა. საკმაოდ ამბიციური კაცი ვარ — მინდა ჩემი სახელიც ისევე დარჩეს ქართულ პოლიტიკაში, როგორც მამაჩემისა ქართულ იურისპრუდენციაში. მინდა შევარდნაძის შემდეგ, საქართველოში №2 პოლიტიკოსად მაღიარონ(?!). ქონება არ მაკლია, სახლი, საქმელი და მინდა ჩემს შვილებს დიდი პრობლემა — რუსეთთან ურთიერთობის საკითხი გადავუჭრა.

*იზო რიკაძე*












## როგორ გადავურჩეთ ვირუსებს?

ეს კითხვა უჩნდება ყველა ჩვენთაგანს, მითუმეტეს შემოდგომა ზამთრის სეზონის დაწყების წინ.

ძლიერი იმუნური სისტემა, ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარი ორგანიზმი ადვილად ებრძვის ყველა ვირუსსა და ეპიდემიას.

საქართველოში უკვე კარგად ცნობილი კომპანია "ნუტრიმენტ ჰაუსი" გთავაზობთ საუკეთესო ვიტამინების კომპლექსს: სუპერ მულტი ვიტამინი და ვიტამინი C-ს, რომლებიც საუკეთესოა როგორც ბავშვებისათვის, ასევე უფროსებისათვის.

წარმოდგენილი ვიტამინები აძლიერებს იმუნურ სისტემას, ანეიტრალებს არასრულფასოვანი კვების ნეგატიურ მოვლენებს, იცავს ორგანიზმს სტრესებისაგან, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, თმისა და ფრჩხილების ზრდას, განაპირობებს ძვლებისა და კბილების სიჯანსაღეს, ბავშვებში ხელს უწყობს სიმაღლეში ზრდას.




ასევე გთავაზობთ ნივრის ექსტრაქტს. ნიორს რომ უამრავი საუკეთესო თვისება აქვს ეს ყველასათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ მისი საკვებად მიღება ბევრ უხერხულობას გვიქმნის. სწორედ ამიტომ გთავაზობთ ნივრის ექსტრაქტს, რომლებიც აბების სახით არის წარმოდგენილი და აადვილებს მიღებას. გარდა იმუნური სისტემის გაძლიერებისა ნიორი მოწოდებულია ქოლესტერინის დონის და წნევის რეგულირებისათვის. საუკეთესოა ჭიებით ინვაზიის დროს. იცავს ორგანიზმს კიბოს გაჩენის რისკისაგან.

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში – "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com


CMYK

# მარი ჯანაშია: ძალიან მდიდარი ვარ

**მატერიალური სიმდიდრის დაგროვების ეპოქაში ვცხოვრობთ. ყველაზე დიდი ინტერესით ჩვენს ქვეყანაში ქონებრივ დეკლარაციას კითხულობენ... ყველაზე დიდი მონდომებით სასახლეებს აშენებენ... ასე ჩანს, მაგრამ ყველაფერი ამგვარად არ არის იმიტომ, რომ არსებობენ ძალიან მდიდარი ადამიანები, რომლებიც თავიანთი განძით ამაყობენ და ეს განძი სულაც არ არის მატერიალური... ავიღოთ ერთი ცხოვრება, ამჯერად ქალბატონი მარი ჯანაშიასი.**



**ერთი წუთით დაფიქრდით, რამდენი რამ არსებობს იქ ისეთი, რასაც არანაირ მატერიალურ სიმდიდრეზე არ გაცვლიდა... რაც უბრალოდ, შეუფასებელია.**

## განძი №1

— სრულიად უბრალო, უპრეტენზიო, შეიძლება ითქვას, ხელმოკლე ოჯახში გავიზარდე. ძალიან ადრე წავიდა ჩემი ცხოვრებიდან ბაბუა, კონსტანტინე ჯანაშია, რომელსაც თურმე „კნიაზს“ ეძახდნენ, იმდენად კოპწია კაცი ყოფილა, მაგრამ ამავე დროს, მკაცრიც, თანაც ბებიაზე 26 წლით უფროსი... ძალიან დიდხანს დადიოდა ჩოხით, მაშინაც კი, როცა ყველას ეკრძალებოდა ჩოხით სიარული. სხვათა შორის, ჩოხებს თვითონვე კერავდა თურმე. ერთხელ ბაბუა მოვიდა, მომიტანა პატარა კალათი, მახსოვს იმისი სურნელი, რაც იმ კალათში ეწყო. საერთოდ, ჩემი ბავშვობიდან იმ სახლის სურნელი გამომყვა, რომელშიც ვიზრდებოდი... ბებიას სპეტაკი, ჭაღარა თმა ჰქონდა, მოსიყვარულე და სათნო ადამიანი იყო. ჩემთვის ის დღემდე იმ სინათლეშია, როგორი ნათელი თმაც ჰქონდა. მიუხედავად ხელმოკლეობისა, არასოდეს გამიგონია ოჯახში ერთმანეთის საყვედური, ტუქსვა ან წუწუნი...

მამას უყვარდა ფოტოგრაფია. თავისი კუთხე ჰქონდა, ფარდით გადატიხრული. ის კუთხე ჩემთვის იდუმალი სამყარო იყო. იქ შესვლას ან ფოტოზე ხელის შეხებას როგორ გავბედავდი!.. თუ შევიჭყიტებოდი, იმითაც ბედნიერი ვიყავი. მამას და ბებიას ბოლომდე თქვენობით ველაპარაკებოდი. მახსოვს, ამის გამო ჩემი მეგობრების გაკვირვებული სახეები. ჩემსა და მამაჩემს შორის მანძილი ყოველთვის არსებობდა, უფრო მეტი, ვიდრე მშობელსა და შვილს შორის არის ხოლმე. ეს იყო ის რიდი, რომელიც დღეს გაქრა. ამაზე ძალიან მწყდება გული... მაგრამ ეს სხვა თემაა...

ყოველი კვირადღე ჩემთვის დღესასწაული იყო, რადგან მამას მივყავდი ბაღში — მაშინ ალექსანდრეს ბაღთან ახლოს ვცხოვრობდით. მიღებდა ფოტოსურათებს. მახსოვს ჩემი პირველი სამთვლიანი ველოსიპედი, რომელიც მამამ მიყიდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბინა არ გვქონდა, მქონდა ჩემი კუთხე. იქ გამუდმებით ვხატავდი პრინცესებს, რომელთა კაბები სხვადასხვანაირი იყო, არც ერთი არ მეორდებოდა. ესეც იმ ზღაპრული სამყაროს გავლენა იყო, რომელსაც ჩვენები მაზიარებდნენ.

არაჩვეულებრივია დედაჩემი დღესაც. ის სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს... ზოგჯერ დედაჩემისა და ჩემი დის გვერდით ჩემი თავი ძალიან პრაქტიკული, ცხოვრებასთან ადაპტირებული მგონია...

## განძი №2

დედაჩემი სხვიტორშია დაბადებული, სხვიტორი ბევრს ნიშნავს ჩემთვის... იქ მყავდა დომენტი ბაბუა და ევგენია ბებია... ბუმბულივით რბილი თმა ჰქონდა ბაბუას, იმ თმის შეხება მახსოვს. სიცოცხლის ბოლომდე ვარსკვლავებიანი, ნაპერწკლებიანი თვალები ჰქონდათ ბებიასაც და ბაბუასაც. პატარა რომ ვიყავი, სოფლად მივყავდი ხოლმე მშობლებს. მატარებელი შორაპანში ჩადიოდა... იქ გვხვდებოდა ბაბუა ურმით. ურემზე იდგა დიდი, კალათის მსგავსი წნული და შიგ ლოგინი იყო გაშლილი... რახან გამთენიისას ჩავდიოდით, მე იმ კალათში უნდა დამეძინა და ასე მძინარე უნდა მივეყვანე ბაბუას სახლში...

მახსოვს გათენება... ურმის რწევა და წნელის ორღობეები... ხეებს ქვემოდან ვუყურებდი, ისინი ნელა, ფრთხილად მტოვებდნენ, უკან მიდიოდნენ... ყურში მდინარის ხმა მედგა.

დღემდე მიყვარს სხვიტორში ჩასვლა. ერთი დღითაც რომ ჩავიდე, გასუფთავებული სულით ვბრუნდები...

...ბაბუა ისეთი კეთილშობილი ადამიანი იყო, რომ ბავშვსაც კი ფეხზე წამოუდგებოდა. ამისი სწავლება არ შეიძლება, ეს ან გაქვს, ან არა...

## განძი №3

სურნელს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის. არასოდეს დამავიწყდება უნივერსიტეტის I კორპუსის სურნელი... იქ სკოლის მოსწავლე მოვხვდი. მაშინ უნივერსიტეტში გახსნეს ჰუმანიტარული სკოლა და რამდენიმე მოსწავლე აგვირჩიეს. იქ ვნახე საოცარი ადამიანები — აკაკი შანიძე, რევაზ ნათაძე, რისმაგ გორდეზიანი, რომელმაც სასწაულად მოგვაწოდა „ილიადა“ და „ოდისეა“, შემდეგ მათი ბერძნულად შესწავლაც კი დავიწყეთ. ამითი დღემდე ვამაყობ. უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ბედმა თეატრალურ ინსტიტუტში მიმიყვანა. მოვხვდი ბატონ მიშა თუმანიშვილთან... ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ჯერ მამამ, შემდეგ ბატონმა მიშამ. მამა მასწავლიდა, რომ მხოლოდ ცარიელი თავთავი ყელყელაობს, ამასვე გვასწავლიდა ბატონი მიშა... გარდა პროფესიისა, იმასაც გვიხსნიდა, როგორი ადამიანები უნდა ვიყოთ... ძალით, ღონით რომ არაფერი უნდა მოვიხვეჭოთ... გვარიგებდა, — არ დაბერდეთო! იცით, რას გულისხმობდა?! ცაში ახედვა არ უნდა დაგეზაროთ, არ უნდა დაგავიწყდეთო, ყოველთვის გახსოვდეთ ბალახის სურნელი, გაზაფხულის სურნელიო. მე შემიძლია უსასრულოდ ვისაუბრო მასზე...

## განძი №4

მიშა თუმანიშვილმა ბედნიერება გვაჩუქა. მაშინ აკაკი ხორავა უკვე მძიმედ იყო ავად. 70 წელი რომ შეუსრულდა, ბატონმა მიშამ გადაწყვიტა, ჩვენს ჯგუფს მიელოცა მისთვის დაბადების დღე. იმპროვიზაცია გვქონდა ჯგუფში — „ჩვენი ეზო“. ისე ვიყავით გაწვრთნილები, ერთი სიტყვა რომ ეთქვა ბატონ მიშას, შეგვეძლო, მთელი პიესა აგვეგო... მიგვიყვანა ამ იმპროვიზაციით ბატონ აკაკისთან. როცა მისმა სათნო მეუღლემ გაგვიღო კარი, ჩვენ სახლში შევცვივდით. ლეგენდარული აკაკი ხორავა იჯდა სავარძელში... გამჭოლი და დაუვიწყარი მზერა ჰქონდა. რამხელაც თვითონ იყო, იმხელა ორი ცრემლი ჩამოუგორდა ღაწვებზე. მაშინდელი შეგრძნება წარუშლელია ჩემთვის.

## განძი №5

ბედნიერი ვიყავი, რომ I კურსის სტუდენტი აღმოვჩნდი რუსთაველის თეატრში და „ანტიგონეში“ პაჟის როლი ვითამაშე, სერგო ზაქარიაძისა და ზინა კვერენჩხილაძის გვერდით ვიდექი სცენაზე... ეს ჩემთვის ხელშეუხებელი რამ არის. დღემდე ვფიქრობ, ეს მართლა იყო თუ მესიზმრა-მეთქი... რუსთაველის თეატრში შესვლა ჩემთვის უდიდესი მოვლენა იყო. ახლაც ასევე განვიცდი ამას... ბუნებაში არაფერი იკარგება. მე მჯერა სულის არსებობისა... რუსთაველში ერთი თანამედროვე სპექტაკლი დაიდგა, სადაც პერანგისამარას და ფეხშიშველს უნდა მეტანტალა. იცით, როგორი განცდა დამეუფლა? უხერხულობისა... სიმორცხვის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ უცბად შევიგრძენი იმ დიდი ადამიანების სულები, თვალები, ვინც ამ სცენაზე მდგარან.

ალბათ უხერხულია ამისი თქმა, მაგრამ ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სანდრო ახმეტელს ვიცნობდი, თითქოს ვხედავდი, მის რეპეტიციებს ვესწრებოდი...

ჩემს პედაგოგს, თემურ ჩხეიძეს, ვუერთგულე და რამდენიმე წელი გავყევი მარჯანიშვილის თეატრში. იქ დიდი სითბო და სიყვარული დამხვდა, მაგრამ მეშვიდე წელს მივხვდი, რომ რუსთაველის თეატრის გარეშე ვერ ვძლებდი. ის 7 წელი, რომელიც არ ვიყავი რუსთაველის თეატრში, რუსთაველის გამზირზე არ გამივლია. ჩემთვის ეს უმძიმესი იყო. ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც მივედი რობერტ სტურუასთან. მისი მადლიერი ვარ, რომ არ დამჭირდა არანაირი ახსნა... მყისვე ზუსტად გაიგო, რაც მჭირდა. მისმა მეუღლემ მკითხა, — რატომ გინდა თეატრში დაბრუნებაო... რობიკომ ჩემ მაგივრად უპასუხა... მე შეიძლება გული მწყდებოდეს, რომ დღეს რუსთაველის თეატრში როლი არ მაქვს, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება, როგორ გამიიოლა რობიკომ ჩემს სახლში, შინ დაბრუნება. რუსთაველის თეატრში რომ დავბრუნდი, შევარჩიე ისეთი დრო, რომ იქ არავინ ყოფილიყო... გავედი სცენაზე და... არ ვიცი, ალბათ ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ მაინც ვიტყვი... როცა გონს მოვედი, დაჩოქილი სცენას ვკოცნიდი...

ყველაფერი, რაც იყო, ჩემთვის ისევ არსებობს, მარადისობაშია.

მე მართლა ძალიან მდიდარი ვარ. რაც გიამბეთ, ეს არის ჩემი სიმდიდრე... მატერიალური ძალიან საჭიროა, მაგრამ თუ შინაგანად არ ხარ სავსე, სულაც აღარ გაინტერესებს მატერიალური მხარე...

***ლელა ჯიყაშვილი***

---



# რას გვეტყვი, მამაო?

**— სწორია თუ არა ასეთი სადღეგრძელო — ჩვენს მიცვალებულებს გაუმარჯოს... როგორ უნდა ვთქვათ?**

— უფრო მართებული იქნება ვთქვათ: ღმერთმა ნათელში ამყოფოს, ღმერთმა აცხოვნოს ან ღმერთმა მოიხსენიოს ჩვენი მიცვალებულთა სულებიო... თუმცა არც იმის თქმაა ცოდვა, ჩვენს მიცვალებულებს გაუმარჯოსო — როცა ჩვენთვის ძვირფასი ადამიანების სულებს ასე ვლოცავთ, შინაგანად მათ არსებობას ვაღიარებთ და ცხონებას ვუსურვებთ... მართებულია ისიც, როცა მიცვალებულთა დღეგრძელობისას, პურზე ღვინოს ვასხამთ. ეს ქმედება სიმბოლურად გამოხატავს წმინდა ზიარების საიდუმლოს — ჩვენს მიცვალებულებს ამ საიდუმლოს ძალით ვაძლიერებთ... თანაც, ამით სუფრაზე გარკვეული ღვთისმსახურებაც აღსრულდება.

**— არსებობს ბედისწერა?.. ცნობს თუ არა მას მართლმადიდებლური რელიგია, თუ ეს ცნება რომელიმე არაქრისტიანული რელიგიიდან მოდის?**

— ბედისწერის ცნება დიდი პოპულარობით სარგებლობდა წარმართულ ხანაში და შემდგომ რელიგიური მოძღვრების სახე მიიღო. ბერძნულად ამ მოძღვრებას „ფოტუმი“ ჰქვია. ამ რელიგიის სწავლების მიხედვით, ადამიანს დაბადებიდანვე ეწერება ბედისწერის განრიგი და შემდგომში, უნდა თუ არა, ამ განრიგის მიხედვით ცხოვრობს — თუ ბოროტებას ჩაიდენს ან სიავე დაემართება, ამ განრიგითაა გათვალისწინებული, თუ კეთილს იქმს ან წარმატებულად ცხოვრობს, ესეც ბედისწერას მიეწერება... აქედან გამომდინარე, ბედისწერა ათავისუფლებს ადამიანს თავისი ქმედების შედეგისგან, პასუხისმგებლობისგან — ეს ქრისტეს მოძღვრებას ეწინააღმდეგება — იესოს ნებით ადამიანი არა რაიმე განრიგით, არამედ თავისი სურვილით წარმართავს ცხოვრებას, მას აქვს თავისუფალი ნება, რომელიც არასდროს არ არის შეზღუდული და უფალი ეხმარება მას არჩევანის განხორციელებაში... ხოლო მადლი იმდენად გადადის ადამიანზე, რამდენადაც იგი ითხოვს და იმსახურებს ამას.

**— როცა მართლმადიდებელი ეკლესიაში შედის მაშინ, როდესაც წირვა-ლოცვა დამთავრებულია და უკვე ჯვრის თაყვანისცემის დროა, შეუძლია თუ არა მას ტაძარში მყოფ ხალხთან ერთად ემთხვიოს ჯვარს?**

— რასაკვირველია, როდესაც ადამიანი რწმენით შედის ტაძარში, მას სხვა მლოცველებთან ერთად შეუძლია ჯვრის მთხვევა. ჯვრისგან მადლი ყველა ჩვენგანზე გადმოდის... თუმცა სასურველია და საჭიროც არის, მორწმუნე წირვა-ლოცვას ესწრებოდეს, რათა მასზე გადასული უფლის მადლი გამთლიანდეს... სანამ ჯვრის თაყვანსაცემად მიბრძანდებოდეთ, ემთხვიეთ და თაყვანი ეცით ტაძრის წმინდანის ან რომელიმე დღესასწაულის აღსანიშნავად ტაძრის შუა ადგილზე დასვენებულ ხატს... ჯვრის მთხვევის შემდეგ, ასევე თაყვანისცემით დაემშვიდობეთ ტაძარსაც...

**— ჩვენს სოფელში ეკლესიის აღდგენა დაიწყეს... ხომ არ შევცოდავთ, რომ ტაძარს გადასახური მასალა არ შევწიროთ და მშენებლებს მივყიდოთ?**

— შეგვიძლია დაგამშვიდოთ: ასეთი ქმედება არავითარ შემთხვევაში ცოდვად არ ჩაგეთვლებათ, რადგანაც ანგარება არ გამოქმედებთ — თქვენი შეკითხვა მეტყველებს, როგორ განიცდით, რომ მშენებლები ტაძრისთვის საჭირო მასალაში ფულს გიხდიან. ჩანს, ამას შეჭირვების გამო აკეთებთ. მოიქეცით ისე, როგორც თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გიკარნახებთ...

**— ვარ ზედსიძედ ოჯახში... ოჯახის წევრები ნებას არ მაძლევენ, ფული ჩემი შეხედულებით დავხარჯო, ან ეკლესიას შევწირო, როგორ მოვიქცე?**

— უფალი ადამიანის ქმედებაზე პასუხისმგებლობასა და მიწიერ საქმეებზე ზრუნვას ადამიანსავე ანდობს... მოიქეცით ისე, როგორც თქვენს სინდისს შეეფერება, ოღონდ გაითვალისწინეთ თქვენი ოჯახის შესაძლებლობაც... მისი ჭირი და ლხინი...

**— ამბობენ, რომ არ ვარგა, როცა მორწმუნეს ჯვარი გამოსაჩენად, სამოსის ზემოდან ჰკიდია. მართალია ეს?**

— თუ ჯვარს რწმენით ატარებთ, სასურველია არ წარმოაჩინოთ, როგორც სამკაული, არამედ მალულად ატარებდეთ, ყოველთვის თან გქონდეთ და მოუფრთხილდეთ, როგორც დიდ სიწმინდეს... რა თქმა უნდა, ჯვრის წარმოჩინება ცოდვა არ არის, მაგრამ, თუ მას სამკაულის დანიშნულება მიეცა, ადამიანს თვითონვე ექმნება დისკომფორტი.

**— ვინ იგულისხმება ფსალმუნებში ნახსენებ მტერში?**

— უხილავი მტერი — ცბიერი, ბოროტი სული, რომელიც გვავსებს ცოდვილი ზრახვებით და გვიბიძგებს შეცოდებისკენ.

---

# გოდერძი ჩოხელი: ის, რაც მთამ მასწავლა...

**პატარა ბიჭს მთამ მძიმე საგზალი აჰკიდა: ვარსკვლავებიანი ცა, მზის ამოსვლის სიხარული, თოვლში ამოწვერილი ენძელით აღფრთოვანება, ადამიანების სიყვარული და ნდობა... მერე და მერე აღმოჩნდა, რომ მართლა ძალიან მძიმე იყო ეს საგზალი. იმდენად მძიმე, რომ გაუჭირდებოდა კიდეც ერთ კაცს მისი ზიდვა. ამიტომაც ალაპარაკდნენ მოთხრობები: „აღარ მწადიან კაცობა, თევზობა მინდა“, სხვები კი სხვებად დარჩნენ: „თუ მიწაზე დაიბადე, რატო შენც ჩვენსავით ფერს არ იცვლი, შენიანებს სიარული არ შეუძლიათ, შენ კი დადიხარ, სადაც მოგესურვება, იქ დგები, თან არც ჩვენნაირი ფოთლები გაქვსო“, — უკიჟინებდნენ მხარზე ამოსული ნაძვით მოსიარულეს... იმას კი უკვირდა — „რა უნდა ვუთხრა, რით დავაჯეროო...“ მას ხომ ყველაფერი მთამ გამოატანა... დადის და დააქვს...**

**ამ წერილით მინდა ცოტათი მაინც მოვიტანო თქვენამდე ის, რაც გოდერძი ჩოხელს მთამ ასწავლა. მისი ნაამბობი, რამდენიმე პატარა ამბავი, თავად დაგანახვებთ ყველაფერს.**

## გაუქარვებელი დარდები

მთაში როცა ვცხოვრობდი, მაშინ არცა ვფიქრობდი, რომ მთა მზრდიდა და მპატრონობდა. ამას ახლა ვგრძნობ, როცა უკვე თბილისში ვარ და ბევრი რამე ისევე უცხოა ჩემთვის, როგორც ადრე იყო. მთა ჩემი დედაც იყო, მამაც, ძმაც, ბიძაშვილიც, მასწავლებელიც. მზრდიდა თავის უბეში. ის კი არა და, განვლილ ცხოვრებაზე რომ ვფიქრობ, ისიც ერთ მთად წარმომიდგება: ფერდობით, ჭალით, არაგვით, ღამით მწვერვალზე ამოსკუპებული მთვარით, ვარსკვლავებით...

— ისევ გუდამაყარზე წერ? — შემეკითხებოდნენ ხოლმე. მე კი ძალიან მიკვირდა... ნუთუ აღარ არის საინტერესო გუდამაყარზე კითხვა? ჩემთვის იმ ოთხი მხრიდან მაღალი მთებით შემოსაზღვრულ ხეობაში, თითქოს მთებს რომ ახურავს ცა და ზედ ვარსკვლავები რომ აყრიათ, ყველაზე საინტერესო იყო ცხოვრება. ჩვენ, გუდამაყრელები, ვარკვლავების გადაადგილების თანამონაწილენი ვიყავით, მზის ამოსვლის სიხარულით სავსე გვქონდა გულები. რატომღაც მგონია, ქალაქში ნაკლებად ამჩნევენ მზის ამოსვლას, ვარსკვლავებსაც ნაკლებად უყურებენ. სხვაზე რა ვთქვა, აქ მე თვითონაც აღარ ვიყურები ცაში. გუდამაყარში კი, თითქოს სპექტაკლს ვუყურებდი — ერთი დიდი ცხოვრება ცაში გადიოდა. ყველას ისე გვახარებდა მზის ამოსვლა, თითქოს პირველად ვხედავდით. მე ხომ იქაური მოთხრობები დავწერე... ახლა გუდამაყარი თითქმის გამქრალია, აღარ არსებობს, მაგრამ ჩემს ბავშვობაში ხომ დარჩა. იქ დარჩა ბერის ცხოვრება, ჯღუნას ცხოვრება, ჩემი დარდების შემგროვებლის ცხოვრება. ჰო, მართლა დადიოდა დარდების შემგროვებელი ჩვენთან. დარდებს არ იწერდა, მაგრამ აუცილებლად გვკითხავდა ხოლმე, — რა გაწუხებთო. შეგვხვდებოდა და თავზე ხელს გადაგვისვამდა:

— რა გქვია შენა?
— მე? გოდერძი.
— ჩოხელი ხარ, ხო?
— ჰო, ჩოხელი ვარ.
— რა დარდი გაქ, შვილო, შენა, ჰა?

ვეტყოდი, თუ რამე მადარდებდა. დამამშვიდებდა:

— ნუ გეშინიან, ნუ გედარდება, ღმერთი მაღალია, გვიყურებს ზეიდან, წავალ და ღმერთს ვეტყვი, გაუქარვე-მეთქი ეს დარდი.

ისე დაგვაიმედებდა, რომ ბავშვები შვებით ამოვისუნთქავდით. უფროსებს, შეიძლება არცა სჯეროდათ, ჩვენ კი... ჩვენ ერთი სულით ველოდით. რაღაცა რომ დაგვაღონებდა, ვნატრობდით, — ნეტავ ჩამოიაროს, გვკითხოს, რასა ვდარდობთო. ახლა აღარც გუდამაყარში დადის დარდების შემგროვებელი, აქ ხომ არც ადრე დადიოდა... დავდივართ დარდით სავსეები...

## ბავშვობიდან მოპარული ერთი დღე

ფოტოგრაფი მოვიდა სოფელში. დღესასწაული იყო იმისი მოსვლა. ვიღაცა ახალჯვარდაწერილი იყო და სურათის გადაღება უნდოდა. იმათთან ერთად მეჯვარეებს, ახლობლებსაც უნდოდათ ფოტო. დაიწყო სამზადისი. მთელი სოფელი უცებ გამოიპრაჭა... ვისაც რა გვქონდა ლამაზი, ის ჩავიცვით. ყველა გაკოპწიავებული იყო.

იცი, როგორი ფოტოგრაფი მოვიდა? გრძელ სამფეხაზე რომ დიდი აპარატი ედგა, ისეთი. ეს აპარატი გრანდიოზული რაღაცა გვეგონა. თანაც ამბობდა: აბა, ახლა ჩიტი გამოფრინდებაო. პირველად ველოდით, ჩიტის გამოფრენას. არა და არ დაადგა საშველი. არა და რვა თვე ნაზამთრალ გუდამაყრელებს როგორ გვენატრებოდა ჩიტის დანახვა!

მეც გამოწყობილი ვიყავი იმ დღეს. დედამ ბამბაზიის პერანგი ჩამაცვა. მაშინ ეს იყო მოდაში. გადააღებინა ფოტო და 10 კვერცხი მისცა იმ ფოტოში.

***(დასასრული იხ. გვ. 16)***

# ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲐᲚᲐᲫᲔᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲥᲝᲜᲐ?!

## „კახას მდგომარეობა ცალკე მიკლავს გულს...“

*(დასაწყისი იხ. გვ. 8)*

**— ადრე კახა ხშირად ეკონტაქტებოდა შს მინისტრს, კობა ნარჩემაშვილსა და მის მოადგილეს, ზურაბ ჩხაიძეს. ეს უკანასკნელი უშუალოდ კურირებდა ლევანის გატაცების საქმეს და ვიცი, რაღაც პერიოდის მანძილზე იმედითაც ავსებდნენ კახას, თქვენს ოჯახს, რომ ლევანის დახსნა დროის საქმე იყო და მეტი არაფერი. ზურაბ ჩხაიძე აღარ არის შს მინისტრის მოადგილე. ამან თუ შეცვალა რაიმე კახასა და შინაგან საქმეთა მაღალჩინოსანთა ურთიერთობაში?**

— კახა რამდენჯერმე შეხვდა ნარჩემაშვილსა და ჩხაიძეს, მაშინ მათაც დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ძიება სწორი გზით მიდიოდა, გამტაცებლებს კვალში ედგნენ... ამ იმედით ჩვენც გვაპურებდნენ. მერე არ ვიცი, რა მოხდა. მათი ინტენსიური ურთიერთობა ჩვენს ოჯახთან შეწყდა, მერე კახამ რამდენჯერმე იტალიიდან დაურეკა მინისტრს და სულ ეს იყო, ახალსა და დამაიმედებელს ვერაფერს გვეუბნებიან. არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ძველი, ინტენსიური ურთიერთობა აღარ გვაქვს მათთან. რაც თავად არ იციან, იმას როგორღა გვეტყვიან. მოკლედ, უკეთესობისკენ ნამდვილად არ მიდის ჩვენი საქმე, თუ არ გავითვალისწინებთ ბოლოდროინდელ დამაიმედებელ ინფორმაციას, რომ ლევანი ცოცხალია.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ შსს-ს მაღალჩინოსნები მაშინ გააქტიურდნენ, როცა კახამ პროტესტის ნიშნად საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა. ეს შარშან, მაისში იყო — ლევანის გატაცებიდან ერთი წლის შემდეგ.**

— ცოდვას ვერ ვიტყვი, შვილო, ღამეებს ათენებდნენ ლევანის გულისთვის, თუმცა, მართალი ბრძანდებით, კახას პროტესტის მერე დაიწყო ეს აქტიურობა. კახამაც იმიტომ განაცხადა, აღარ ვითამაშებ საქართველოს ნაკრებშიო, რომ სამართალდამცავები პასიურობდნენ. კახას განცხადება ამ მიზანს — მათი მუშაობის გააქტიურებას ემსახურებოდა, თორემ არც უფიქრია ნაკრებში თამაშზე უარის თქმა, აბა, სად უნდა ითამაშოს?

**— ადრე ძიებაც და თქვენი ოჯახის ქომაგებიც ყველაზე დამაჯერებლად მიიჩნევდნენ ვერსიას, რომ ლევანის გატაცება ოჯახის ნაცნობების, შინაური გარემოცვის მიერ იყო მოწყობილი. ახლაც ასე ფიქრობთ?**

— არა, ასე აღარ ვფიქრობთ. ეს შინაურის გაკეთებული არ არის, მას შემდეგ უამრავი ინფორმაცია გადამუშავდა, გაირკვა, რომ უცხოს ხელითაა ყველაფერი გაკეთებული.

**— კარგია, რომ ლევანი ცოცხალი და ჯანმრთელია. უკანასკნელი ინფორმაციის წყარო მის ადგილსამყოფელს მიახლოებითაც არ მიგანიშნებთ?**

— არა, ლევანის ადგილსამყოფელზე არავის არაფერი უთქვამს.

**— გატაცების შემდეგ ლევანის ფოტო ან მისი საუბრის ჩანაწერი ხომ არ მიგიღიათ?**

— არა, არა! ნეტავ მანახვა, მაგრამ არც სურათს იმეტებენ...

**— ქალბატონო მედიკო, დედის გუმანი იშვიათად ცდება. თქვენ რას გიგრძნობთ გული — ცოცხალია ლევანი?**

— გული მეუბნება, რომ ცოცხალია, შვილო, ღვთის მადლით, მე მგონი, უბედურება არ უნდა სჭირდეს ჩემს ოჯახს.

***ჯაბა ლეონიძე***

# ᲠᲐ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲡ ᲮᲐᲠᲯᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝᲓ...

*მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა ჩვენს პოლიტიკურ ელიტაზე კარგა ხანია ხელი ჩაიქნია და მათკენ გახედვაც კი აღარ უნდა, ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ვინ აფინანსებს ამა თუ იმ პარტიასა და პიროვნებას. თუნდაც იმიტომ, რომ ასე თუ ისე, ფინანსების წყარო განსაზღვრავს არჩევნებში მონაწილეთა კეთილსინდისიერებას. სტრასბურგში ივლისის თვეში ჩატარებულ მემორანდუმზე სწორედ ამ პრინციპით შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც 2003 წლის ნოემბერში დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებამდე დაკვირვება უნდა ეწარმოებინა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე. შესაბამისად, ანტიკორუფციულ ბიუროშიც შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ არჩევნებში. უკვე სექტემბრის დასაწყისში ანტიკორუფციული საბჭოს წინაშე პარტიებმა ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება დაეფიქსირებინათ — რა თანხები იხარჯება და რომელი ფინანსური ჯგუფები დგანან მათ უკან. პირველი მონაცემებით, ანტიკორუფციულ საბჭოს ჯერჯერობით მხოლოდ ოთხმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ წარუდგინა თავისი ფინანსური ანგარიში. საგულისხმოა, რომ ფინანსური ანგარიში ჯერჯერობით არ წარუდგენია სახელისუფლებო ბლოკს, „ნაციონალურ მოძრაობას“ და „აღორძინებას“. შედარებით გამჭვირვალეები აღმოჩნდნენ: „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ლეიბორისტული (შრომის) პარტია“, „ბურჯანაძე-დემოკრატები“ და „ახალი მემარჯვენეები“. „კვირის პალიტრა“ კომენტარის გარეშე გთავაზობთ ამ მონაცემებს.*

### ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატები“

ბლოკის ფონდის მმართველია გიორგი მახარაშვილი. 2 ოქტომბრის ჩათვლით, შემოწირულობების ჯამი შეადგენს 118.000 ლარს. შემომწირველთა საერთო რაოდენობა 114-ს შეადგენს. მათ შორის 113 ფიზიკური პირია, ხოლო იურიდიულ პირად გვევლინება შპს „პრემიერი“, რომელმაც ბლოკის სახელზე გადარიცხა 5.000 ლარი. ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატების“ საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსურ ანგარიშს ერთი უცნაურობა სჭირს. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო, დაეფიქსირებინათ ფიზიკური პირების გვარი და სახელი, აღნიშნული ბლოკის შემთხვევაში ეს მოთხოვნა უგულებელყოფილია და ვინაობის ნაცვლად დაფიქსირებულია მხოლოდ სუბიექტის პასპორტის პირადი ნომრები და მისამართი. მოკლედ, 113 ფიზიკური პირიდან თითოეულმა ბლოკის საარჩევნო კამპანიისთვის, სექტემბერ-2 ოქტომბრის მონაცემებით, გაიღო ათას-ათასი ლარი (შესაბამისად შპს „პრემიერმა“ 5.000ლ). საინტერესოა, რომ გარდა თბილისისა, შემოწირულობები მიღებულია საქართველოს სხვადასხვა სოფლიდანაც. ამ მონაცემების მიხედვით, ბლოკის (სრული) საარჩევნო ხარჯები 2 ოქტომბრამდე შეადგენს 134.571,4 ლარს.

### საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია

საინტერესოა, რომ შალვა ნათელაშვილის პარტიამ მონიტორინგის ჯგუფს წარუდგინა არა საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიში, არამედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სარეკლამო (საარჩევნო) ანგარიში. როგორც ანტიკორუფციულ საბჭოში გვითხრეს, პარტიის წარმომადგენლებმა თავი გაიმართლეს, რომ ისინი კარგად ვერ გაერკვნენ — რა უნდა მიეტანათ ანტიკორუფციულ საბჭოში და დაჰპირდნენ, რომ შეცდომას უახლოეს დღეებში გამოასწორებენ. ფონდის ხელმძღვანელია ოთარ ბიწაძე და ცხრილში მითითებულია საქართველოს თითქმის ყველა ტელეკომპანია, სადაც კი „ლეიბორისტებმა“ სატელევიზიო-სარეკლამო რგოლები განათავსეს. მოკლედ, შალვა ნათელაშვილმა სახელმწიფო ტელევიზიას გადაუხადა 910,80 ლარი, ტელეკომპანია „მზეს“ — 85,80, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ს — 2.085, ტელეკომპანია „იმედს“ — 2.713,20, ტელეკომპანია „იბერიას“ — 137,50, X არხს — 220, „კავკასიას“ — 300, ხოლო სარეკლამო-სააგენტო TV+-ს 6.267 ლარი. იმედს ვიტოვებთ, რომ „ლეიბორისტული პარტია“ 23 ოქტომბრამდე უფრო გამჭვირვალე მონაცემებს მიაწვდის ანტიკორუფციულ საბჭოს.

### „ახალი მემარჯვენეები“

პარტიის ფონდის მმართველი ანტონ ინგოროყვაა. მათი წარმოდგენილი მონაცემები 15 ოქტომბრის ჩათვლით განისაზღვრება. შემოწირულობების ჯამი შეადგენს 545.000 ლარს. მათ შორის არის 20 ფიზიკური და 3 იურიდიული პირი. „ახალ მემარჯვენეებს“ შპს „კავკასიენ მერითაიმ სერვისმა“ 23 სექტემბერს ჩაურიცხა 70.000 ლარი. სადაზღვევო კომპანია „ალდაგმა“ — 100.000 ლარი, ხოლო შპს „მინდია და კომპანიამ“ — 150.000 ლარი. რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, თავად ფონდის მმართველს, ანტონ ინგოროყვას პარტიის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის შეუწირავს 25 ათასი ლარი. ასევე 25 ათას-25 ათასი აქვთ შეწირული ლევან გაჩეჩილაძესა და ირაკლი იაშვილს. 15 ათასი ლარი გაიღო გიორგი მშვიდობაძემ. რაც შეეხება 10-ათასიან „სტავკებს“, უფრო მეტია. შესაძლოა ეს გვარები მოსახლეობისთვის საინტერესო იყოს, ამიტომ ჩამოვთვლით: დავით ტრაპაიძე, მიხეილ იაშვილი, ზაზა ჯიბუტი, რეზო ლეჟავა, ზურა ბარბაქაძე, დავით ახვლედიანი, ვიქტორ წილოსანი, მერაბ თევზაძე, გიორგი არჩვაძე, დავით ბუაძე, გულივერ ცერცვაძე. უფრო მცირე შემოწირულობებზე აღარ მოგაცდენთ და პირდაპირ გეტყვით, რომ „ახალმა მემარჯვენეებმა“ სარეკლამო რგოლებში გადაიხადეს 459.446,26 ლარი, რეკლამა პრესაში და ბილბორდები დაუჯდათ 59.181,95, მასობრივი ღონისძიებები — 4.000, ბეჭდური სააგიტაციო მასალების დამზადება — 12.543,35 ლარი. სულ ხარჯებმა შეადგინა 535.171,56 ლარი.

### ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

ფონდის მმართველია ელგუჯა დრიაშვილი. მონაცემების თარიღი 7 ოქტომბერია. მრეწველების შემოწირულობების ჯამი 428.109 ლარი და 60 თეთრია. შემომწირველი სულ სამია, მათ შორის ორი ფიზიკური და ერთი იურიდიული პირი. მაშ ასე, ცნობილ მილიონერს ვალერი გელაშვილს 25 სექტემბერს პარტიის მომავლისთვის შეუწირავს 392.409,6 ლარი, ხოლო კახა გიუაშვილს 12 სექტემბერს — 10.700 ლარი, შპს საგზაო კომპანია „თბილისს“ 25 ათასი ლარი. საბოლოო ჯამში ჯერჯერობით, მათი მონაცემებით, გახარჯული აქვთ 102.572 ლარი.

*აქვე დავძენთ, რომ პარტიებს ანტიკორუფციულ საბჭოში ფინანსური ანგარიშის წარდგენის ვადა 23 ოქტომბერს ეწურებათ. სხვათა შორის, არჩევნების შემდეგ ანტიკორუფციული საბჭო თითოეული მონაცემის გადამოწმებას აპირებს. გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფი ანგარიშს წარუდგენს პროკურატურას, კონტროლის პალატას, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ასე რომ, პოლიტიკურო პარტიებო, თუ თქვენი საარჩევნო კამპანიის ფონდის ფინანსური ანგარიში ზუსტი არ იქნება, არ არის გამორიცხული, ეს დარღვევა მავანმა თქვენს წინააღმდეგ გამოიყენოს!*

***მარინა მამისაშვილი***


„ᲘᲛᲣᲜᲔᲨᲣᲐ“: ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲘ ᲒᲠᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

**„ᲘᲛᲣᲜᲔᲨᲣᲐ“ – იმუნიტეტის ბოლო თაობის ნატურალური სტიმულატორი – ძლიერი საშუალებაა არა მარტო ვირუსებთან, არამედ ბაქტერიულ ინფექციებთან ბრძოლაში; ამაღლებს მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატების ეფექტურობას და რამდენჯერმე ამცირებს მკურნალობის ვადებს.**




*მისი აქტიური ინგრედიენტებია:*

ᲘᲛᲣᲜᲝᲒᲚᲝᲑᲣᲚᲘᲜᲘ IgG (ᲘᲜᲢᲔᲠᲤᲔᲠᲝᲜᲘ)
ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲘ C
ᲔᲥᲘᲜᲐᲪᲔᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲓᲠᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡᲘ.

„ᲘᲛᲣᲜᲔᲨᲣᲐ“

ამერიკული კომპანია "შიფი"-საგან

• ᲙᲣᲠᲜᲐᲕᲡ • ᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ • ᲘᲪᲐᲕᲡ

ᲙᲚᲘᲛᲐᲥᲡᲘ?

„ᲛᲔᲜᲝᲞᲐᲣᲖ-ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“ – ᲙᲚᲘᲛᲐᲥᲡᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ!

„ᲛᲔᲜᲝᲞᲐᲣᲖ-ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“ – ნატურალური (არაჰორმონალური) პრეპარატი, სწრაფად და უსაფრთხოდ მოგიხსნით კლიმაქტერულ სიმპტომებს (ალები, ოფლიანობა, ტახიკარდია . . .) და თავიდან აგაცილებთ ისეთი მნიშვნელოვანი მინერალების დანაკარგს, როგორებიცაა კალცი, მაგნიუმი, იოდი და სხვა, დაარეგულირებს არტერიული წნევის ცვალებადობას.

„ᲛᲔᲜᲝᲞᲐᲣᲖ-ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“-სთან ერთად ეს პერიოდი შეუმჩნევლად ჩაივლის როგორც თქვენთვის, ასევე გარშემომყოფებისთვის.




ამერიკული კომპანია „ᲨᲘᲤ“-ის ყველა პრეპარატი შეესაბამება GMP-ის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტს.

*ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲝᲒᲘᲡᲛᲔᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲒᲔᲑᲔᲜ, ᲓᲐᲒᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲘᲛᲔᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ!*

ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ GEOVIT

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲨᲘᲤ“-ᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲢᲝᲠᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲯᲔᲝᲕᲘᲢᲘ“
ᲛᲘᲡ: ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 41 (ᲕᲐᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ),
ᲢᲔᲚ/ᲤᲐᲥᲡᲘ: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.
www.schiffvitamins.com

Schiff 60


CMYK

# წინასაარჩევნო ეს-ემ-ეს-ები



ემინემი — ქართული პარლამენტის „ახალი სახე“

საქართველოში წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა. ორი კვირაღა დარჩა და ელექტორატის მოზრდილ ნაწილს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, ვის მისცეს ხმა, ან საერთოდ ღირს კი საარჩევნო უბნებში მისვლა? ამომრჩეველთა გუნება-განწყობილების ნათელი მაგალითია პოპულარული ტელეარხის „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო გადაცემა „ღამის კურიერის“ მსვლელობის დროს ეკრანზე მოციმციმე მორბენალი სტრიქონები. ქართველ მაყურებელს იუმორის გრძნობა ჯერაც არ დაუკარგავს და მთავრობას ურჩევს „ფალსიფიცირებული არჩევნების შეღავათიან ფასებში“ ჩატარებას, ზოგი — „ცემენტს, სამთავრობო ბლოკისთვის“. ერთ-ერთი ამომრჩეველი მთავრობას პარლამენტში ემინემის შეყვანას სთავაზობს, ზოგი კი ითხოვს — „ომი გამოვუცხადოთ ამერიკას და მაშინვე ტყვედ ჩავბარდეთო“. მაგრამ ყველაზე მეტი შეტყობინება იმათგან მოდის, ვისაც აღარც მთავრობისა სჯერა, არც ოპოზიციის და „არც სინათლისა გვირაბის ბოლოს“. მესამე კატეგორიას ცინიკოსი ამომრჩეველი შეადგენს. მათი მახვილსიტყვაობის ქარცეცხლში ყველა ხვდება — მემარჯვენეებიც, მემარცხენეებიც, ცენტრისტებიც და მიტმასნილებიც. ხელისუფლებას და პრეზიდენტს ისეთი სიტყვებით უმასპინძლდებიან, რაც ხშირად ზრდილობის ფარგლებს სცილდება. ამიტომაც, როგორც ტელეკომპანიის თანამშრომლები ალიარებენ, უხამს ეს-ემ-ეს-ებს ეთერში არ უშვებენ.

რატომ არის ამომრჩეველი განწყობილი ასე სკეპტიკურად და, გარკვეულწილად, აგრესიულად არჩევნებისადმი, რაც, ექსპერტების აზრით, შეიძლება საბედისწერო გახდეს საქართველოსთვის? რასაკვირველია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ამომრჩეველი აშკარად გრძნობს — მისი გამოყენება და თავის ნებაზე ტრიალი უნდათ. სწორედ ამ თემაზეა „სატელევიზიო“ ეს-ემ-ეს-ის ნაწილი: „მხოლოდ არჩევნების წინ „გვიხსენებთ“, „არჩევნები ყოველთვე უნდა ჩატარდეს, მაშინ სინათლე მუდამ გვექნება“, „იმ თანხას, რაც წინასაარჩევნო კამპანიას ხმარდება, პენსიონერებს თუ მისცემდნენ, მშვიდი სიბერე განაღდებული ექნებოდათ“. ეს არის ხალხის პასუხი პოლიტიკოსთა იმ ხრიკებზე, რომელსაც ისინი ამომრჩეველთა გულის მოსაგებად იყენებენ. ხრიკი კი უხვადაა და პარლამენტში გაძრომის მსურველიც — უფრო მეტი. ერთ-ერთ ეს-ემ-ეს-ში მაყურებელმა „ანტიპარლამენტური აცრების“ ჩატარება მოითხოვა — ეს არც არის გასაკვირი, რადგან მგონი, საქართველოში დეპუტატობის კანდიდატი უფრო მეტია, ვიდრე ამომრჩეველი. ახლა ნაცნობები, შეხვედრისას, მოკითხვის ნაცვლად ერთმანეთს ეკითხებიან, — პარლამენტში ხომ არ იყრი კენჭსო. პარტიები და ბლოკები ერთმანეთს ასწრებენ ცნობილი ადამიანების გადაბირებას. აღარ დარჩა ასე თუ ისე პოპულარული მომღერალი, მუსიკოსი, მსახიობი, მწერალი, სპორტსმენი — ყველა საპარლამენტოდ არის გამზადებული...

ხალხს იმედი იმანაც გაუცრუა, რომ ზოგიერთი ოდესღაც რადიკალური ოპოზიციონერი, რომელიც თითქოსდა ვერ ურიგდებოდა „ხელისუფლებაში უკანონოდ მოსული შევარდნაძის რეჟიმს“, ახლა სახელისუფლებო ბლოკში იწონებს თავს. მათ ურყევ რიგებში აღმოჩნდნენ არა მარტო სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შევარდნაძის „პოლიტიკურ სანაგვეზე“ გადაგდებას ითხოვდა და ნაციონალ-დემოკრატები, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მეთაურობით (რომელიც შევარდნაძის რეჟიმს თავისი ქმრის მკვლელობას აბრალებდა), არამედ ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟიშვილიც კი... ამის შემდეგ რა გასაკვირია უბრალო ამომრჩევლის უიმედობა, არც პრეზიდენტის შიშია უსაფუძვლო — ხალხი არჩევნებზე არ მოვაო.

თავის ბოლო ბრიფინგზე შევარდნაძემ აღიარა, — დეპუტატთა კორპუსის რაოდენობის შემცირებაზე რეფერენდუმი მაინცდამაინც არჩევნების დღეს იმიტომ დავამთხვიე, რომ ამომრჩეველს საარჩევნო უბნებში მისვლის სტიმული ჰქონდესო.

უშველის ეს საქმეს თუ არა, 2 ნოემბრის ღამეს გაირკვევა...

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# სააკაშვილი ჟირინოვსკის სასამართლოთი ემუქრება...

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირება რუსეთის გარეშე შეუძლებელია, როგორც მოსკოვი იტყვის, ისე იქნება“, — განაცხადა საქართველოს ტელევიზიის ღია ეთერში რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ვლადიმირ ჟირინოვსკიმ და დაამატა, — თუ უმოკლეს დროში საქართველო რუსეთთან ურთიერთობას არ მოაგვარებს, აფხაზეთი არასოდეს არ დაუბრუნდება. ის ან დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდება ან კრასნოდარის მხარის სოხუმის ოლქიო. ჟირინოვსკიმ ისიც „იწინასწარმეტყველა“ — „მარნეულის და გარდაბნის რაიონები აზერბაიჯანს მიუერთდება, თავად საქართველო კი, რომლისგანაც მხოლოდ თბილისი და ქუთაისი დარჩება, თურქეთის, სომხეთის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საჯიჯგნი გახდებაო. რუსეთის ვიცე-სპიკერის აზრით, რადგან საქართველო უკანონოდ გამოეყო სსრკ-ს, მასაც შეიძლება მოსწყდეს მისი რეგიონები. ვლადიმირ ჟირინოვსკის ოპონენტმა, საქართველოში პოპულარული ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“, ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ძალზე მშვიდად მიუგო: — რუსეთის იმპერიის მზე ჩაესვენა, საქართველოს პოლიტიკოსთა ახალი თაობა არ დაუშვებს, რომ საქართველოს ბედი რუსეთში წყდებოდესო და დასძინა, — „საქართველომ დამოუკიდებლობა დაიბრუნა, მტკიცედ ადგას ევროპული ინტეგრაციის გზას და თავის ტერიტორიებს შეინარჩუნებს“. სააკაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჟირინოვსკი და „მისი მსგავსი რუსი პოლიტიკოსები“ აფხაზ სეპარატისტებს აგულიანებდნენ აფხაზეთის ომში და ლიბერალური პარტიის ლიდერს „დაჰპირდა“ — საქართველოს და მისი ხალხის შეურაცხყოფისთვის, აფხაზეთში სეპარატიზმის გაღვივებისთვის საერთაშორისო და საქართველოს სასამართლოების წინაშე გაგებინებ პასუხსო. ისიც შეახსენა ვლადიმირ





ვოლფოვიჩს, რომ 2001 წელს, როცა იუსტიციის მინისტრი იყო, მიუხედავად შევარდნაძის მიწვევისა, სწორედ მან აუკრძალა თბილისში ჩამოსვლა.

ამ ცხარე სატელევიზიო დებატების პარალელურად, პოლიტიკური პარტია „ერთობის“ მოწვევით თბილისში მყოფი რუსეთის პარტიის, „ედინაია როსიას“ წარმომადგენელი ალექსანდრ ვლადისლავლევი აცხადებს, რომ რუსეთისთვის სულერთი არ არის საქართველოს ბედი, რომელთანაც ორასწლიანი მეგობრობა აკავშირებს. პოსტსაბჭოური შეცდომები ორივე მხარემ დავუშვით და იმედი მაქვს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები აუცილებლად მოგვარდება, თანაც თავისთავად. ეს მაშინ მოხდება, როცა რუსული მხარე შეიგნებს, — ამ საქმის მოგვარებას შუამავალი არ სჭირდებაო, — დასძინა ვლადისლავლევმა.

***რეგნუმ რუ***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***





ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიწიოხოხებ

პატარა **ტატო ჭიაბერაშვილს** საბავშვო ბაღში აღმზრდელი ეუბნება:

— ტატო, რა ლამაზი ხარ! ვის ჰგავხარ — დედას თუ მამას?

— არავის, პირი დავიბანე! — პასუხობს ბიჭი.

***

5 წლის **ანი კვარაცხელიამ** მამიდასთან ერთად ჩაუარა ჩხოროწყუს სამუსიკო სკოლას, რომელიც საარჩევნოდ აჭრელებული იყო ნინო ბურჯანაძის სურათებით. ამის დანახვაზე პატარა ანიმ მამიდას ჰკითხა:

— მამიდა, ეს ნინო ბურჯანაძის სახლია?!

***

მეორეკლასელი **გაგა მეშველაშვილი** ბუზღუნებს:

— აკი, მეორე კლასში გადახვედიო! ნეტავი, რად მატყუებენ, იმავე ოთახში არა ვზივარ?!

***

დედიკო, ჟურნალისტი ის არის, ვინც ჟურნალებს კითხულობს? — დაინტერესდა **6 წლის ანა**.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „ნაზი არის და ჭრელფრთება, ვარდ-ყვავილებს თავს ევლება“.

II



I **ანა, გამოიცანი**

**1) რომელი სასწაული არ მოუხდენია იესო ქრისტეს?**

ა) კეთროვანი განკურნა; ბ) ბრმას თვალი აუხილა; გ) ზღვაზე ფეხით გაიარა; დ) ადამიანი გველად გადააქცია.

**2) ამათგან რომელი არ არის დედაქალაქი?**

ა) ადის-აბება; ბ) სტამბოლი; გ) კოპენჰაგენი; დ) ბერნი.

**3) ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი?**

ა) არისტოტელე; ბ) პლატონი; გ) სოფოკლე; დ) არქიმედე.

**4) რომელი არ არსებობს?**

ა) ზღვის სპილო; ბ) ვირთევზა; გ) ზღვის მელია; დ) ზღვის ჟირაფი.

**5) სადაური იყო ჰანს კრისტიან ანდერსენი?**

ა) ავსტრიელი; ბ) დანიელი; გ) ჰოლანდიელი; დ) ბელგიელი.

**6) ვის ეკუთვნის შემდეგი გამოთქმა; „არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.**

ა) ნიკოლოზ ბარათაშვილს; ბ) დავით გურამიშვილს; გ) ილია ჭავჭავაძეს; დ) აკაკი წერეთელს.

**7) რაში ჩასვეს მონებმა ნესტან-დარეჯანი, როცა ის ზღვას გაატანეს?**

ა) კიდობანში; ბ) ნავში; გ) გემში; დ) ტივში.

## იპოვე 8 განსხვავება





ისრების მიხედვით გაიარე ლაბირინთში



## მეფის შვილობილი

ზღაპარი

ერთმა უშვილო მეფემ გამოუცხადა თავის ნაზირ-ვეზირებს: მოიარეთ ქვეყანა და ნახეთ სადმე ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი, რომ ვიშვილო და მემკვიდრედ დავიტოვოო!

ნაზირ-ვეზირებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ერთ სახლში წააწყდნენ ერთ ბავშვს. ჰკითხეს:

— მამაშენი სად არისო? — ბავშვმა მიუგო:

— ჩხუბს თესავსო.

— დედაშენი სად არისო?

— ცრემლს ავალებსო.

— ღვინო დაგვალევინეო.

— ცხენები ვაზებზე გამოაბით და შემდეგ დაგალევინებთო!

ვეზირებმა იარეს, იარეს, მაგრამ ვაზი ვერ იპოვეს. მერე კი ბავშვს უთხრეს:

— ვაზი არსადა სჩანსო!

— აბა, ღვინო საიდან გვექნებაო!

— მამაშენი როგორ თესავს ჩხუბსაო? — ჰკითხეს ვეზირებმა.

— ყანას თესავს და თუ ვინმე გადაივლის ზედ, წაეჩხუბებაო.

— დედაშენი როგორ ავალებს ცრემლებსაო?

— როგორ და მეზობელი გარდაიცვალა და იმას ტირის, ჩვენც მოვკვდებით და ისინიც გვიტირებენო.

ვეზირებს მოეწონათ ბავშვის მოსწრებული სიტყვა-პასუხი და წაუყვანეს მეფეს. ეს ბავშვი მეფესაც მოეწონა და იშვილა.

## ცხვირი მაღლა ვის მიაქვს?

მოთხრობა

მამა და შვილი მომწიფებულ ყანაზედ მიდიოდნენ. შვილმა ჰკითხა: მამილო, ეს რისგან არის, ზოგი თავთავი ძირს არის დაშვებული, ზოგი კი მაღლა აშვერილიო? მამამ უთხრა: რომელი თავთავიც სავსეა მარცვლებითა, ისინი თავდაღუნულნი არიან და ცარიელი ფშუტა თავთავები კი თავაშვერილები დგანანო: — ჰო, ახლა კი მივხვდი, ჩვენი სოფლის მწერალს რად მიაქვს ცხვირი მაღლაო, თქვა ბავშვმა.

## ერთი და ორი

შენ პირი ერთი გაქვს, ყური კი ორი; რისთვისა? შენვე მიხვდი: ბევრი ისმინე, ცოტა იყბედე.

პირი ერთი გაქვს, თვალები კი ორი; რათა? იმიტომ, რომ ორჯერ გასინჯო და ერთხელა თქვა.

პირი ერთი გაქვს, ხელები კი ორი; რათა? იმიტომ, რომ ბევრი იმუშაო და ცოტა ჭამო.

III **გამოცანა**

ბევრჯერ მნატრობენ,
გულით მელიან,
როცა მოვალ კი, იმალებიან.

**ენის გასატეხი**

- თათარი თეთრ თუთას თეთრ თეფშზედ ყრიდა.

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

***გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა***




**ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს**

CMYK

*(დასაწყისი იხ. გვ. 12)*

გავიდა დრო. მე ძალიან ღარიბი ვიყავი, არაფერი მქონდა. ზოგი თავის მეუღლეს ბებიის ნაქონ ნივთებს ჩუქნიდა, ზოგი — დედისეულ ბეჭედს. მეც მინდოდა რაღაც მეჩუქებინა ნინოსათვის. თითქოს დიდი რამე ვაჩუქე — ის ჩემი ბავშვობის სურათი მივეცი. ისიც დიდი ამბით ინახავდა ამ საჩუქარს. მერე ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა ძალიან, ბავშვობის ფოტო მათხოვე, დასაბეჭდადო. მოვპარე ნინოს და მივეცი. იმან კი, როგორც ჩანს, დაკარგა, აღარ დამიბრუნა. ახლა ისეთი განცდა მაქვს, რომ ის დღე მოვპარე ჩემს ბავშვობას, ფოტოგრაფი რომ მოვიდა გუდამაყარში, მაშინ...

### მერცხლის ბუდეები და გაზაფხულის პირველი წვეთი

შემოდგომით ჩიტები გვეთხოვებოდნენ, დაგვიტოვებდნენ ბუდეებს და მიფრინავდნენ. ზამთარი ჩამოყრიდა ბევრ ბუდეს, მხოლოდ მერცხლის ბუდეები გადაურჩებოდნენ ავდარს. ჩვენ ვიცოდით, რომელი ბუდე რომელი მერცხლისა იყო... მთელი რვა თვით ჩავიძირებოდით სითეთრეში. სახლებს სახურავები და საკვამურებიღა უჩანდათ თოვლიდან. ჩვენ, ყვავები, ბეღურები და ძროხები ველოდით გაზაფხულს.

მერე გაზაფხული წვეთიდან დაიწყებოდა. მზე რომ გათბებო-

# გოდერძი ჩოხელი:
# ის, რაც მთამ მასწავლა...

და, პირველი წვეთი ჩამოვარდებოდა ყინულის ლოლოდან. გუდამაყარში ერთი ხანი არაგვიც კი გაიყინებოდა ხოლმე. ჩვენ ვესწრებოდით მის გაცოცხლებას. ყინული დაიწყებდა ლხობას. წამოვიდოდნენ პატარა ნაკადულები, მერე და მერე, ხმა ემატებოდათ, ძლიერდებოდნენ, ერთი ამბით უერთდებოდნენ არაგვს. თოვლი დადნებოდა, ზორეებში გამოჩნდებოდნენ იები, როგორც სალოცავში დანთებული სანთელი, ენძელაც ამოიწვერებოდა. მთამ გაზაფხულის ლოდინი და ენძელისა და იის გამოჩენით სიხარული მასწავლა.

### გუდამაყარი — თბილისი

მთამ ისიც მასწავლა, რომ ნდობა უნდა მქონოდა კაცისა, თვითონ მთისაც, მთაც ხომ კაცივით არის. არ უნდა შეგეშინდეს მისი სიმკაცრის, უნდა დაენდო და ისიც დაგინდობს. ამ გრძნობით ჩამოვედი თბილისში.

აქ ბევრმა მომატყუა. ერთხელ დიდი თანხა დავკარგე. მითხრეს, სახლს გაგირემონტებთო და იმდენი გადავუხადე, ერთი კინოს გადაღებას რომ ეყოფოდა. ყველამ გამამტყუნა — რატომ ენდე უცხოსო?! მე კიდევ იმათი მიკვირდა, — კაცს როგორ არ უნდა ვენდო, აბა, ვის უნდა ენდო-მეთქი? აღმოჩნდა, რომ კაცი დაუნდობელი ყოფილა.

გამახსენდა: ჩოხში ერთი ოჯახივით ცხოვრობდა მთელი სოფელი. სახლის კარს მხოლოდ ჯოხს ჩავუყრიდით სახელურში, რომ ქარს არ შეეღო, ან ძაღლი არ შესულიყო. განა იმ სახლებში არაფერი ინახებოდა? მაგრამ ქურდობა ითვლებოდა ამაზრზენ საქციელად. ყველა ოჯახში იყო ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ვერცხლის უნაგირები. ჩვენ ისე ვცხოვრობდით, ამას არც ვაქცევდით ყურადღებას. მოგვიანებით, გუდამაყარში ბარიდან ამოვიდა ხალხი. დაიწყეს სიარული და ვერცხლის ნივთების ყიდვა. უკვირდათ გუდამაყრელებს. თითო სახლიდან ზოგჯერ 10-12 ქამარ-ხანჯალი გამოჰქონდათ, მზეზე აწყობდნენ. იმათი ელვარება დღესაც მახსოვს. გუდამაყრელებს უნაგირი ცხენისთვის უნდოდათ, ხანჯალი — მტრის დასახვედრად. გაიყიდა ყველაფერი.

გავიდა დრო და გაუკუღმართდა ცხოვრება. ვინ იცის, რატომ? დედაჩემის ნაქონი სპილენძის ჭურჭელი მქონდა დატოვებული ჩოხში — ქვაბები, თუნგები, თულუხი. სპილენძის ბუმი რომ დაიწყო, ერთიანად წაიღო ვიღაცამ. გული მეტკინა...

გული მეტკინა ისე, როგორც ადრე, როცა პირველად ვნახე სიკვდილი. სოფელში ყველას საქმე ჰქონდა. გადიოდნენ სამუშაოდ და ჩვენ, პატარებს, ერთ მოხუცებულ ბებიასთან გვტოვებდნენ. ის ბანზე იჯდა. წინ ხორბალი ჰქონდა გაშლილი გასაშრობად. ჩვენ კი, ბალღები, ფეხებზე ვყავდით თოკებით გამობმულები, რომ ბანიდან არ გადავცვენილიყავით. აი, ის ბებია რომ გარდაიცვალა, ჩვენთვის მაშინ მოვიდა სიკვდილი პირველად სოფელში. დავინახეთ, რომ წაიყვანეს და მიწაში დაფლეს. ერთი კვირა დავდიოდით 3-4 წლის ბალღები ნიჩბებით — იმის ამოთხრას ვაპირებდით.

ჩვენ ხომ კაცები ვიყავით! დიახ, კაცები... მთამ გვასწავლა ასე. მახსოვს, წითელა იყო სოფელში. მეც შემეყარა. მთელი სოფელი იქ დადიოდა, მღეროდა და მხიარულობდა, სადაც ბატონები სტუმრობდნენ. გოგოებს უფრო ეფერებოდნენ, ბიჭებს — ნაკლებად. ჩვენ ხომ კაცები ვიყავით! კაცებად გვთვლიდნენ ხატობაშიც, ხატის დარბაზში რომ შევიდოდით 3-4 წლის ბავშვები, ფეხზე წამოგვიდგებოდნენ მოხუცები — ისინი გვაჯერებდნენ, რომ უკვე კაცები ვიყავით. ამიტომ ვერ გამოვედი იმ სამყაროდან... ახლა აქ ყველაფერი სხვანაირადაა.. აქ ხომ იმას გვაჯერებდნენ, რომ კაცი კაცი აღარ არის... შედეგიც კარგად ჩანს.

### ახალი ფილმი და ახალი საფიქრალი

სულ ცოტა ხნის წინ დავამთავრე ბოლო ფილმის გადაღება. „სიყვარულის ცეცხლი" ჰქვია. დარიალის ხეობაში, სოფელ ცდოში გადავიღე. გასახმოვანებელია და მორჩა. პირველად რომ ეს სოფელი, ცდო, აღმოვაჩინე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ იქ სოფელი იქნებოდა! თურმე იქ გუდამაყრიდან გადასახლებული წიკლაურები ცხოვრობდნენ. დედაჩემიც ხომ წიკლაური იყო. ეს რომ გაიგეს, მითხრეს, სულ შენი

*ახალი ფილმის გადაღებისას*



დედის ძმები ვართო. ისეთი სითბო მაგრძნობინეს, რაც მხოლოდ ჩემს სოფელში მიგრძნია... უკვე მესამე ფილმი გადავიღე ცდოში. „სამოთხის გვრიტები" და „ლუკას სახარებაც" ხომ იქ არის გადაღებული. იქაურებმა გოდერძი ცდოელი შემარქვეს.

არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს ცდოში. ჩვენ, აქედან ასული ხალხი ვწუწუნებდით, ისინი კი — არა. ჩვენ ცუდი ამინდის გამო ვდარდობდით, ისინი გვამშვიდებდნენ, ნუ გეშინიათ, სამი დღის შემდეგ გამოიდარებსო. მართლაც, გამოიდარებდა. იმათ კარგად იციან ბუნების კანონები, ადამიანების ბუნებაც იციან.

ცდოში ლაღები ვიყავით ყველანი...

ზოგჯერ იქაც დავფიქრდებოდი ჩემს ახალ საფიქრალზე... განა მე ილუზია მაქვს, რომ ჩემი პარლამენტში მისვლით ერთი ხელის მოსმით გამოვასწორებ ყველაფერს? რაც არ უნდა პატიოსანი იყო, საქმის გამოსწორების დიდი სურვილი გქონდეს, უცებ ვერაფერს გააკეთებ, ისეა დანგრეული ყველაფერი. ყველაზე დიდი უბედურება უშუქობა და უგაზობა კი არ არის, არამედ უზნეობა. ძალიან მინდა, რომ ადამიანებს შორის უნდობლობა აღარ იყოს. გვჯეროდეს იმათი, ვინც მთავრობაში მოვა. აქაც ისეთი სიყვარული იყოს, ჩოხში რომ იყო.

### ის, რაც მთამ მასწავლა...

ჩოხელებს ერთი სასაფლაო გვაქვს. აღდგომის შემდეგ დღეებში იქ მთელი რიტუალი ტარდებოდა. ყველას სახელზე ითქმებოდა შესანდობარი, ცხვებოდა ხავიწის ქადა. მშვილდისრებით შეიარაღებულები მივდიოდით სასაფლაოზე. ვინც ამ ქადას მოარტყამდა ისარს, იმისი ხავიწი შეეწირებოდა მიცვალებულის სულს. ჩოხელებს გვყავდა გმირი, რომელსაც 140 ქისტი ჰყავდა მოკლული. ჩვენს წინაპრებს ხის კოდით (ამოღრუტნული ხე) გამოჰქონდათ მისი შესანდობარი. მას ბერი ერქვა. ხატობა რომ მთავრდებოდა, მარიამობა დღეს, ჩოხელები ფერხულში ჩაებმებოდნენ. დასტური თასით ასმევდა მათ ბერის შესანდობარს. ხატის სადიდებელსაც და კაცის შესანდობარსაც ჩვენთან ლუდით სვამენ. ხორბალი და ქერი, რომლითაც იხარშება ლუდი, ხატის წინ არის გამოტარებული. ჩოხის წმინდა გიორგის სალუდე ხორბალი იმდენად ძვირფასია, თითო მარცვალი ერთ ხარად ღირდა!

ამ ამბავს რატომ გიყვებით, იცი? — ბერის საფლავი, რომლის ფერხისას დღემდე მღერიან, დაკარგული იყო. ერთხელაც წვიმის წყალმა მიწა გადარეცხა და გამოჩნდა საფლავის ქვა, რომელიც თურმე ბერისა ყოფილა. წარმოიდგინეთ, რამხელა სიხარული იყო, რომ გმირის საფლავი გამოგვიჩინა ღმერთმა. მოუარეს ჩოხელებმა, გაალამაზეს. ცოტა ხნის წინ, უბედურება მოხდა, მთა ჩამოიშალა. ბერის საფლავიც, ისე როგორც სხვა ჩოხელებისა, ჩაიტანა. ისევ დავკარგეთ გმირის საფლავი. დავკარგეთ ქართველებმა პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. დუშეთის ბატალიონმა აფხაზეთის ომში იგივე არ გააკეთა, რაც თავის დროზე 300-მა არაგველმა?! ჩვენ კი დავივიწყეთ ყველაფერი, გმირობის ფასი დავკარგეთ. ამიტომაც იყო, რომ ღმერთმა გამოგვიჩინა ბერის საფლავი და ისევ დაგვიკარგა...

მთამ თვალნათლივ გვაჩვენა ის, რასაც ბარში ვეღარ ვამჩნევთ...

მთამ გვასწავლა... ჩვენ უნდა ვისწავლოთ...

***ლელა ჯიყაშვილი***


## გრეიპფრუტი როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება




**„გრეიპფრუტის დიეტა"** კაფსულებში გაგათავისუფლებთ ჭარბი ცხიმებისაგან. იგი ასევე დაიცავს უჯრედებს ახალი ცხიმებით გაჯერებისაგან და გადატვირთავს მათ კუნთებში, სადაც ხდება ცხიმების სრული წვა. ამგვარად, სხეული სრულიად თავისუფლდება დეპოზიტური ცხიმებისაგან.

***როგორ მოქმედებს „გრეიპფრუტის დიეტა"?***

როგორც სამედიცინო კვლევებმა აჩვენეს, ორგანიზმში ფიზიოლოგიური ქოლესტერინის დონე მცირდება დღიური რაციონით **pectin**-ის მნიშვნელოვანი რაოდენობის მიწოდებით. ამ **pectin**-ებს შეიცავს გრეიპფრუტის კანი და ლებნების გარსი, რომლებიც ძირითადად იყრება და არ გამოიყენება საკვებში.

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ **pectin**-ის საჭირო რაოდენობა **„გრეიპფრუტის დიეტის"** კაფსულების სახით. ხოლო მასში შემავალი ვაშლის ძმარი დაგეხმარებათ ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაში.

ამრიგად, ეს გახლავთ გახდომის ნატურალური მეთოდი.

გამოკვლევების შედეგები, ჩატარებული 300 კაცის მონაწილეობით, რომლებიც პასუხობდნენ ქვემოთ მოყვანილ ორ პირობას მაინც:

- ისინი ვერ ახერხებდნენ გახდომას და წონის შენარჩუნებას
- ისინი ვერ ახერხებდნენ დიეტის დაცვას
- ისინი ვერ ახერხებდნენ ზედმეტი სანტიმეტრების მოცილებას წელიდან და მუცლიდან.

***გამოკვლევებმა ასევე აჩვენეს:***

**„გრეიპფრუტის დიეტის"** კურსის შეწყვეტა არ იწვევს წონის ახალ ზრდას. თუ შენარჩუნებული იქნა კვების რეჟიმი, წონა სტაბილური რჩება. ზედმეტი კილოგრამები წარსულს ჩაბარდება.

**ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში — "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.**

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

**მის: დ. აღმაშენებლის 150**
**ტელ: 95-65-03; 96-06-67**
**ყოველდღე, კვირის გარდა www.shopge.com**


# ჭაბუკი ვინმე მოვიდა იყალთოს და განაახლა ტაძარი იგი...



მე-19 საუკუნის 40-იან წლებში დიდმა ერისკაცმა პლატონ იოსელიანმა იყალთოში ჩასვლისას თურმე „სამოც ერთ ნაკლებ" ეკლესია დათვალა. ეს ხელისგულისოდენა მიწა თხუთმეტ საუკუნეზე მეტია წმინდა ალაგად მოინიშნა სირიელმა მისიონერმა და მოძღვარმა ზენონმა. მან პირველმა დაჰკრა ბარი მტრის თვალისგან მიუწვდომელ, პატარა „ედემს" და გაჭრა იყალთოს „სამების" მონასტრის ბალავარი. მას შემდეგ ამ მხარეში არ შეწყვეტილა საჭრეთლის ხმაური, ჩუქურთმათა კვეთა, სულის საყდრის აღმშენებლობა. მათგან ერთი იყო გამორჩეული უმეტეს სხვათა — იყალთოს აკადემია, სადაც ბრძენი ფილოსოფოსი არსენ იყალთოელი ჭაბუკებს წვრთნიდა და ათენში აგზავნიდა სწავლის გასაგრძელებლად. ხალხური გადმოცემით, აქვე მიუღია განათლება ქართველი ხალხის გენიას, შოთა რუსთაველს... მას შემდეგ ჟამთა სვლისაგან იავარქმნილი ბევრი ძეგლი მოისრა და გაპარტახდა. აქაც ჩაქრა ცოდნის ჩირაღდანი. მისი სიდიადის ამბავი მაინც მოწიწებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას... და აღჩნდა ჩვენს დროში, ჩვენ თვალწინ ჭაბუკი ვინმე. მოვიდა იყალთოს და განაახლა ტაძარი იგი. ამ ჭაბუკს გიორგი ერქვა, გვარად შათირიშვილი იყო...

გამოხდება ხანი და იგი დარბაისლურად მოუთხრობს ქართველობას, როგორ მოიყვანა თბილისელი ბიჭი მიწის ყივილმა იყალთოში...

1963 წელს გიორგიმ იყალთოს სახალხო აკადემია დააარსა. საფუძველი დაუდო „შოთაობის" ზეიმს. მის ჩანაფიქრს მხარი აუბა სოფელმა. თანდათან დამშვენდა იყალთო იქაურებისავე ხელით. სოფელი ფიანდაზად ეგებოდა ახალგაზრდა ენთუზიასტს, იდეას იდეა მოსდევდა. გიორგიმ იყალთოზე ზრუნვით ქვეყანას დაუმტკიცა, რომ „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია"...

დღეობა მუდამ იყო ერთგვარი გამაღვიძებელი ღონე ერისა. ალბათ ნახევარზე მეტ ქართველობას ერთად არ მოუსმენია ირაკლი აბაშიძის, შალვა ნუცუბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო გუდიაშვილის, გიორგი ახვლედიანის, რევაზ ლაღიძის, ილია ვეკუას, ნიკო კეცხოველის, გიორგი წერეთლის, ნოდარ დუმბაძის, გურამ ფანჯიკიძის, ალექსანდრე ბარამიძის, რევაზ თაბუკაშვილის, ვასო გოძიაშვილის, სვიმონ ყაუხჩიშვილის, ოთარ თაქთაქიშვილისა და სხვა კორიფეთა ლექციები. არ ჰქონიათ მათთან ცოცხლად შეხვედრის ბედნიერება. იყალთოელები კი ამ ზნეობით ფუფუნებას არაერთხელ აზიარა ბატონმა გიორგიმ.

ჩვენი არეული დრო-ჟამის გამო შეთხელებულ ინტელიგენციაში გიორგი შათირიშვილი ბოლომდე დარჩა ადამიანობის ეტალონად. ის პირველი შეაღებდა ხოლმე ყველასგან მივიწყებულთა კარს და უწინდებურად მიაგებდა საკადრის პატივს. მის ამ თვისებათა გამო სპარტაკ ბაღაშვილს ორი კვირით გაუხანგრძლივდა სიცოცხლე — უკანასკნელ დღეში მყოფს კახური ღვინით, ჩურჩხელებით, დედასპურებით, ცხვრითა და აკიდოებით დახუნძლული სტუმრებია გიორგი. ბევრი რამ გაუხსენებიათ, უცინიათ, ცოტა გადაუკრავთ და უღიღინიათ კიდეც. მომაკვდავმა მოიხედა თურმე. გონი და ხალისი დაუბრუნდა. ორი კვირა სვამდა გიორგის მირთმეულ „სიცოცხლის წყალს", მზეს მშვიდი თვალებით შესცქეროდა... მაგრამ წუთისოფელს თავისი კანონები აქვს და ძვირფასი მკვდრებიც თანდათან ემატებოდნენ საუკუნო განსასვენებელს. მათ პატივსაგებად გიორგიმ ქართულ პრესაში დაამკვიდრა რუბრიკა: „შეჩერდი, წამო!" წამი არ შეჩერებულა. სამაგიეროდ, იყალთოს აკადემიის შთაბეჭდილებათა წიგნში დარჩა გარდასულთა გაუხუნარი სტრიქონები.

ისტორიის ყველაზე დიდი მწერალი ხალხია. ხალხთან ურთიერთობის ფუფუნება იმთავითვე იდო გიორგის გენეტიკურ კოდში. პაპამისი — უფროსი გიორგი შათირიშვილი ხარფუხისა და ძველი თბილისის სხვადასხვა უბანში სახალხო თეატრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, დიდი მეცენატიც იყო. იოსებ გრიშაშვილს პატარაობიდანვე შეატყო სწავლისადმი მიდრეკილება, შინ წაიყვანა, მეუღლეს შარვალ-ხალათი შეაკერინა და ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი სკოლაში რომ მიჰყავდა, ბიჭი თურმე მისმა ყარაჩოხელმა მამამაც კი ძლივს იცნო. დიდი პოეტი მთელი ცხოვრება მეგობრობდა შათირიშვილების ოჯახთან და მათგან მომადლებულ სიკეთეს სიცოცხლის ბოლომდე გულით დაატარებდა.

კიდევ ერთი შტრიხი გიორგი შათირიშვილის ცხოვრებიდან: მან „გოგლაობაზე" გაიცნო ერთი თავისი მისწრაფების კაცი — ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და მოძრაობა „ცოტნეიდელის" თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ნადარაია. მათ სიყვარულითა და ძმობით შეკრეს ამერ-იმერი. „შოთაობა" და „ცოტნეობა" — „ჩქიმი სამარგალოსა" და კახელების ერთიანობის სიმბოლოდ აქციეს, ორი კუთხისანი სიყვარულში გააჯიბრეს ერთმანეთს. ასეთი ადამიანები ერთგვარად ენაცვლებიან ხელისუფლებისაკენ მიმსწრაფთა კოჰორტას და ხალხის ნამდვილ რჩეულებად რჩებიან. მათი ნათქვამი ხალხს სჯერა, ხალხისთვის ცხოვრობენ და სულსაც მათ მკლავებში ლევენ.

შარშან, აპრილში, რუმინეთის გუნდთან საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების წაგებას ვეღარ გაუძლო გიორგი შათირიშვილმა, და როცა თავიანთი გუნდის ჩია თავკაცს — ფერნარ შარიერს, რუმინელები აღფრთოვანებით ცისკენ სტყორცნიდნენ, გიორგი სტადიონის ტრიბუნებთან მიესვენა...

იყალთოს აკადემიის ხელმძღვანელობა მის 18 წლის ვაჟს — ელიზბარს მიანდვეს.

ახლახან კახეთში მეორმოცედ აღინიშნა „შოთაობა", გიორგის გარეშე კი — მეორედ. საუკუნეთა ფოლიანტებში მარადიულად დარჩება იყალთოს აღორძინების ლამაზი ისტორია. გაუხუნარი იქნება გიორგის სახელიც, რამეთუ „მრავალ არიან წოდებულ და მცირედნი რჩეულ".

***ეთერ თარიმანი***

DURA LEX SED LEX

# სასამართლო ქრონიკა

ყოველთვიური ჩანართი N28 20.10.2003

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე შეყვანილი უნდა იყოს ამომრჩეველთა სიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა სიაში, 2 ნოემბერს, საარჩევნო უბანში მისვლისას მას არ მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

ამომრჩევლებს შეუძლიათ, **22 ოქტომბრამდე** მიმართონ საარჩევნო კომისიებს და მოითხოვონ ამომრჩეველთა სიაში ცვლილების შეტანა.

ამომრჩეველთა სიების შემოწმების საშუალება მოგეცემათ **ინტერნეტში** (www.voters.cec.gov.ge) და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

არსებობს ორი სახის სია, რომელშიც შეიძლება იყოთ რეგისტრირებული. ესენია:

- ერთიანი სია
- სპეციალური სია

### ამომრჩეველთა ერთიანი სია

ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ საქართველოს მოქალაქეები 18 წლის ასაკიდან, რომლებიც სიების შედგენის მომენტში (1 სექტემბერი 2003) რეგისტრირებულნი არიან შესაბამისი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე.

### ამომრჩეველთა სპეციალური სია

ამომრჩეველთა სპეციალურ სიას თითოეული საარჩევნო უბნისთვის ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და მასში შეჰყავთ:

- საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებიც კენჭისყრის დღეს იმყოფებიან ისეთ საარჩევნო უბანში, რომელიც არ წარმოადგენს მათი რეგისტრაციის ადგილს.
- საავადმყოფოში და სხვა სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლები;
- წინასწარ პატიმრობაში მყოფი ამომრჩევლები;
- არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფი ამომრჩევლები;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ, საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი საქართველოს მოქალაქეები.

# გადაამოწმეთ
# თქვენი თავი
# ამომრჩეველთა სიაში



## 22 ოქტომბრამდე

**თქვენ უნდა შეამოწმოთ, ხართ თუ არა ამომრჩეველთა სიაში.**

**თუ თქვენ არ ხართ ამომრჩეველთა სიაში – ვერ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას!**

ამომრჩეველთა სიები და მათ-თან დაკავშირებული საჩივრე-ბის წარდგენის პროცედურა უნდა იყოს გამოკრული საუბნო საარჩევნო კომისიების შენო-ბებში თვალსაჩინო ადგილას!

### ცვლილებების შეტანის პროცედურა

თუ ამომრჩეველი ვერ აღმოაჩენს საკუთარ თავს ამომრჩეველთა სიაში, ან არსებულ მონაცემებში შენიშნავს უზუსტობას, მას შეუძლია **22 ოქტომბრამდე ცენტრალურ, საოლქო ან საუბნო კომისიას** წარუდგინოს წერილობითი განცხადება ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მისი და მისი ოჯახის წევრების შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილებების შეტანა.

განცხადება ცვლილებების შეტანის შესახებ უნდა ადასტურებდეს, რომ იგი მოცემულ მისამართზე რეგისტრირებული იყო 2003 წლის 1 სექტემბრისთვის. დადასტურებისთვის გამოიყენება:

- **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის მოწმობა;**
- **საქართველოს მოქალაქის პასპორტი;**
- **სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტი (იმ შემთხვევაში, თუ მასში აღნიშნულია ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი);**
- **სამხედრო ბილეთი;**
- **დევნილის მოწმობა.**

თუ ამომრჩეველი განცხადებით მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიას, კომისია განცხადებას გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს განცხადების **წარდგენიდან 3 დღის** განმავლობაში, მაგრამ **არა უგვიანეს 23 ოქტომბრისა.**

კომისიის განკარგულება, ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების **შეტანაზე** უარის თქმის შესახებ, დასაბუთებული უნდა იყოს და განკარგულების **გამოცემის** მომდევნო დღიდან **მოთხოვნისთანავე** გადაეცეს **განმცხადებელს.**

ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით ამომრჩეველს უფლება აქვს, მიმართოს რაიონულ/საქალაქო სასამართლოს არა უგვიანეს **26 ოქტომბრისა.**

შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების 2 ეგზემპლარს საუბნო საარჩევნო კომისიებს გადასცემს არა უგვიანეს 2003 წლის **26 ოქტომბრისა.** ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა არჩევნებამდე **ბოლო 2 დღის** განმავლობაში, ხოლო არჩევნებამდე **4-დან 2 დღემდე ცვლილების შეტანა ხდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით** (ასეთ შემთხვევაში საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში ცვლილება შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი).

ადვოკატი გვირჩევს

# შეკითხვები კანონსა და უკანონობაზე



მკითხველების შეკითხვებს პასუხობს სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE-ის იურისტი ზურაბ ბუნცაძე

**რამდენიმე დღის წინ წერეთლის გამზირზე პოლიციამ გამაჩერა და მომთხოვა პირადობის მოწმობა, რომელიც იმ დროს თან არ მქონდა. ეს რომ გაიგეს, წამიყვანეს პოლიციაში, „შენი ვინაობა უნდა დავადგინოთო". პოლიციის განყოფილებაში სამ საათზე მეტი დამაყოვნეს. მაინტერესებს, ჰქონდათ თუ არა ამის უფლება, მით უმეტეს, რომ არავითარი ოპერატიული ინფორმაცია ჩემ შესახებ არ გააჩნდათ.**

შ. ჯინჭარაძე, თბილისი

პიროვნების დაკავება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ არ არის დადგენილი მისი ვინაობა, ან მას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ან თუნდაც მხოლოდ ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით, არის არაკანონიერი და დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. აღნიშნული წესი დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით.

**გთხოვთ გაგვარკვიოთ, საჭიროა თუ არა მიტინგის გასამართავად სანქცია. ამ ბოლო დროს ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს ვისმენ ამ საკითხზე, ერთი მხრივ, თანამდებობის პირების, ხოლო მეორე მხრივ, იურისტების მხრიდან.**

ე. ჟოლოგუა, ქ. ფოთი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 5 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ 1997 წლის 12 ივნისს მიღებული კანონის ის მუხლი, რომელიც აწესებდა სანქციის საჭიროებას შეკრება-მანიფესტაციების ჩატარებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების დღიდანვე შეკრება-მანიფესტაციის კანონიერებისთვის საკმარისია მხოლოდ შეტყობინების გაგზავნა იმ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში (გამგეობა, მერია), რომელ ტერიტორიაზეც ის იმართება.

კანონი ითვალისწინებს შეზღუდვებს, თუმცა, მას არავითარი შეხება არა აქვს სანქცირებასთან და დაკავშირებულია მხოლოდ რეალურ და სერიოზულ საზოგადოებრივ საშიშროებასთან, რომელიც პირდაპირი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს.

**როგორც გავიგე, ადვოკატის და დაკავებულის შეხვედრა აღარ არის ლიმიტირებული ერთსაათიანი ვადით. მართლა ასეა თუ არა?**

გ. კარანაძე, რუსთავი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული მუხლი, რომლითაც ადვოკატისა და დაკავებულის ყოველდღიური შეხვედრა ერთი საათით უნდა შემოფარგლულიყო, გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით. ამდენად, თქვენ გაქვთ უფლება, ყოველდღე შეხვდეთ დამცველს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

**ერთი თვის წინ პოლიციამ დააკავა ჩემი შვილიშვილი, პოლიციაში მიყვანის შემდეგ ის დააშინეს. მან არეული ჩვენება მისცა, არც ჩემთან დაარეკვინეს, არც დედამისთან. თურმე პოლიციელები ეუბნებოდნენ, ბრალის წაყენებამდე შეგვიძლია აქ გვყავდე მარტო და არც არავისთან არ დაგარეკვინოთო. შემდეგ გაირკვა, რომ ტყუილად დაუკავებიათ. იქნებ გამარკვიოთ, რა შემთხვევაში აქვს დაკავებულს უფლება, არ მისცეს ჩვენება, როდის შეუძლია დაუკავშირდეს ახლობლებს?**

ა. შარაძაშვილი, ქ. გორი

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირს დაკავების მომენტიდანვე აქვს უფლება, არ მისცეს ჩვენება, დაუკავშირდეს ადვოკატს ან ახლობლებს. არავის აქვს უფლება, დუმილის უფლების გამოყენებისთვის დაგაკისროთ რაიმე პასუხისმგებლობა ან გაიძულოთ ჩვენების მიცემა. ამასთანავე პოლიცია ვალდებულია, თქვენი მოთხოვნისამებრ დაუყოვნებლივ დაგაკავშიროთ ადვოკატთან, ან ახლობელთან. ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში, თქვენ გეძლევათ საშუალება, სასამართლო განხილვაზე ან სხვა პროცესუალურ ეტაპზე მოითხოვოთ პოლიციის ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ ჩატარებული მოქმედების უკანონოდ ცნობა და ამ მოქმედებების შედეგად მიღებული ჩვენებების თუ სხვა მტკიცებულებების გაბათილება.

# „ბათუმელების" ქონება და სამინისტროს ღირსება

**პირველი სასამართლო დავა „ბათუმელებს" გაზეთ „აჭარა P.S."-თან წარმოეშვა, რომლის დროსაც ბათუმის საქალაქო სასამართლომ პროცესუალური ნორმები ისე დაარღვია, რომ გასაჩივრების უფლება „ბათუმელებს" პირველივე ინსტანციაზე მოესპო. „აჭარა P.S."-ი „ბათუმელებს" სახელწოდებას ედავებოდა და რადგანაც სასამართლომ გადაწყვეტილებაცა და აღსრულებაც ერთი და იმავე დღეს გამოიტანა, რედაქცია იძულებული გახდა, სახელწოდება შეეცვალა გაზეთისათვის და „ბათუმელების" ნაცვლად „გაზეთ ბათუმელების" სახელწოდებით გამოეცა.**

მეორე სარჩელი „ბათუმელებისა" და გაზეთის კორესპონდენტის ემზარ დიასამიძის წინააღმდეგ ოფიციალურმა სტრუქტურამ — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ და ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტმა აღძრეს. სარჩელის მიზეზი გახდა დიასამიძის სტატია, სახელწოდებით „ბათუმში ცოფიანი ძაღლის ნაკბენით ბავშვი დაიღუპა". მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც დაღუპული ბავშვის მშობლის ინტერვიუს ეფუძნებოდა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. იმის დასტურად, რომ ბათუმში ცოფიანი ძაღლები არ არიან, ან თუ არიან, სულაც უვნებლები არიან, მოსარჩელეები გავრცელებული ცნობების უარყოფას, საჯაროდ ბოდიშის მოხდას და სამინისტროს სასარგებლოდ 100 ათასი ლარის დაკისრებას მოითხოვდნენ.

სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ გაზეთის ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა.

„ბათუმელებს" დახმარება საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლების საბჭომ (IREX), თავისუფლების ინსტიტუტისა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატებმა გაუწიეს, რომლებმაც გაასაჩივრეს საქალაქო სასამართლოს ეს განჩინება.

უმაღლესმა ინსტანციამ გაზეთის ქონებას ყადაღა მოხსნა და საქმე არსებითი განხილვისთვის ქვემდგომ ინსტანციას დაუბრუნა. არსებით განხილვაზე კი არცთუ ისე მარტივი საკითხი უნდა გაირკვეს, სახელდობრ, აქვს თუ არა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროსა და ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერინარიის დეპარტამენტს პატივი და შელახული ღირსება.

„გაზეთ ბათუმელების" კომპიუტერებს, ქსეროქს, ციფრულ დიქტოფონს, გენერატორს და გაზეთის გამოცემისათვის საჭირო სხვა მოწყობილობას 13 ოქტომბრიდან ყადაღა აღარ ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, ასეთია აჭარის მასშტაბით უმაღლესი ინსტანციის – ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს 13 ოქტომბრით დათარიღებული განჩინება იმ გაზეთის მიმართ, რომელსაც ივლისიდან მოყოლებული, რომ იტყვიან, სასამართლოები არ მოჰკლებია.

სამართლებრივი რეფორმა
„ავაშენოთ ჩვენი სკოლა"
აქტუალური საზოგადოებრივი მოვლენები
ჩვენს ფორუმში
WWW.ALPE.GE

# 7 ნაბიჯი სამართლიანი არჩევანისკენ




## 1. პირველი ამომრჩეველი

საარჩევნო უბანში პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ დგება **საკონტროლო ფურცელი** 3 ცალად, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა დამსწრე წევრი და პირველი ამომრჩეველი. საკონტროლო ფურცელი საარჩევნო ყუთში უნდა ჩავარდეს პირველ კონვერტთან ერთად *(მუხლი 52, პუნქტი 6)*.

## 2. ამომრჩეველთა იდენტიფიცირება და რეგისტრაცია

ამომრჩევლები ხმის მისაცემად საარჩევნო უბანში შედიან რიგრიგობით.

რიგის მაკონტროლებელი კომისიის წევრი სპეციალური ხელსაწყოთი ამოწმებს ამომრჩეველს, რათა დარწმუნდეს, რომ მას არ აღენიშნება მარკირების ნიშანი.

შემოწმების გავლის შემდეგ ამომრჩეველი მიდის რეგისტრატორთან და წარუდგენს მას ქვემოთ ჩამოთვლილი პირადობის დამადასტურებელი საბუთებიდან ერთ-ერთს:

- საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტი, თუ მასში აღნიშნულია რეგისტრაციის ადგილი;
- სამხედრო ბილეთი;
- დევნილის მოწმობა;
- საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ამომრჩევლის მოწმობა.

## 3. საარჩევნო ბიულეტენების გაცემა

2 ნოემბერს ამომრჩეველი მიიღებს სამ ბიულეტენს (მაჟორიტარული, პროპორციული და რეფერენდუმის).

მიღებული ბიულეტენები ამომრჩეველს მიაქვს ცალკე მდგომ მაგიდასთან, სადაც მათ ხელმოწერით ამოწმებს კომისიის მეორე წევრი.

## 4. ხმის მიცემა

კომისიის წევრებსა და საარჩევნო უბანში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ამომრჩეველს, აჩვენოს მათ რამდენი ბიულეტენი უჭირავს ხელში, სანამ ის ხმის მისაცემ კაბინაში შევა. ამომრჩეველი ვალდებულია, შეასრულოს ეს მოთხოვნა.

## 5. ხმის მისაცემი კაბინა

აკრძალულია ხმის მისაცემ კაბინაში ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა. იკრძალება ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პროცესში ჩარევა და ხმის მისაცემი კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ამომრჩევლისათვის იმის კითხვა, თუ ვის მისცა მან ხმა.

## შენიშვნა

**გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება და ითხოვს დახმარებას.**

## 6. კონვერტის გაცემა

ბიულეტენების შევსების შემდეგ ამომრჩეველი კეცავს მათ ისე, რომ შეუძლებელი იყოს იმის დანახვა, თუ ვის მისცა მან ხმა. დაკეცილი ბიულეტენები ამომრჩეველს მიაქვს კომისიის წევრთან, რომელიც ამოწმებს ბიულეტენებზე ორი ხელმოწერის არსებობას, ხელს აწერს სპეციალურ კონვერტს, ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტს უსვამს კომისიის ბეჭედს და ახდენს ამომრჩევლის მარკირებას.

## 7. მარკირება

**მარკირება ხდება თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საღებავით მარჯვენა ხელის საჩვენებელი ან ცერა თითის ფრჩხილზე.**

ამის შემდეგ ამომრჩეველი მიდის იქვე მყოფ კომისიის წევრთან, რომელიც მეორე ხელმოწერით ამოწმებს სპეციალურ კონვერტს.

დამოწმებულ ბიულეტენებს ამომრჩეველი ათავსებს ბეჭდით დამოწმებულ სპეციალურ კონვერტში და კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში. ხმის მიცემის შემდეგ ამომრჩეველი დაუყოვნებლივ ტოვებს საარჩევნო უბანს.

**მასალა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაციასთან „სამართლიანი არჩევნები“ თანამშრომლობით**

სოფო ბუკია



# პირუტყვი კაცთა სამსჯავროზე

ახირებული რამ არის ადამიანი, ბევრი რამ რაც დღეს სასაცილოდ მიგვაჩნია, უწინ დიდად პატივისცემული ყოფილა.

უწინ, მაგალითებრ, ადამიანს ჰგულებია, რომ პირუტყვსაც კი აქვს გულისნება და ამიტომაც როგორც ეტყობა, მათი მოქმედება განსაკითხველი ყოფილა კაცთა სამსჯავროსაგან: აი ამნაირი საოცარი მაგალითები: ლენის ეპისკოპოსმა 1120 წელს შეაჩვენა და დასწყევლა მინდვრის თაგვები და ჭიები. 1386 წელს ფალეზში ჩამოარჩვეს ღორი, რომელსაც ყმაწვილი მოეკლა. 1474 წელს ბაზელის სასამართლომ მამალს გადაუწყვიტა დაწვით სიკვდილი. ეს სიკვდილი იმიტომ გარდაუწყვიტეს, რომ მამალს აბრალებდნენ, ვითომ კვერცხი დაედო. 1499 წელს ბოვეს სასამართლოში ირჩეოდა ერთის ხარის საქმე, რომელსაც ყმაწვილისთვის ერჩოლა და მოეკლა. სასამართლომ გაამტყუნა ხარი და დარჩობა გარდაუწყვიტა. 1554 წელს ლაზანის ეპისკოპოსმა დასწყევლა და შეაჩვენა წურბელები, რადგანაც თევზებისათვის ძლიერ მავნებელნი არიანო. ყველაზე საყურადღებოა ჭიების განსამართლება მუტიანის სასამართლოში 1690 წელს. ჭიებს იცავდა მეტად განთქმული ვექილი. განსამართლება იმ რიგადა სწარმოებდა, როგორც საზოგადო დამნაშავეებს აწარმოებდნენ. იმ უბედურს ჭიებს ერთი ღრმად პატივცემული ქვრივის სახლში ბინადრობა ედებოდათ ბრალად. ერთ დღეს იმ ქალს თავის საუზმეში ჭიები აღმოუჩენია. სასამართლო დარბაზში იმ ქვრივი ქალის მოსამსახურეც დაუკითხავთ, რომელმაც აღიარა ჭიები არ გვასვენებენო. სასამართლომ დიდი განსჯის შემდეგ ჭიები დამნაშავედ იცნო და გარდაწყვიტა იმ ქვრივის სახლში მობინადრე ყველა დამნაშავე ჭიას თავი ერთად მოუყარონ და გასწყვიტონ.

„ივერია“,
1886 წელი №106

# ხომ ვგავარ იმპერატრიცას?

ფრანგული გაზეთი „GIL BLAS”-ი მოგვითხრობს, რომ ერთს ახალ–გაზდა ქალს შეუტანია საჩივარი და ამტკიცებს, რომ იმპერატრიცა ევგენიას ქალი ვარო. საკუთარი სიმართლის საბუთად ქალს ის მოჰყავს, რომ გაჭრილი ვაშლივით ვგევარ იმპერატრიცასო. სასამართლო დარბაზში ახირებული ქალი იმპერატრიცას სურათით გამოცხადებულა. იმპერატრიცა მეტად ლამაზი ქალი ყოფილა, მომჩივანი კი ერთი უშნო ქალი გამოდგა, მოსამართლემ ბევრი იცინა ამ ქალის სახეზედ და სასამართლოდან კინწისკვრით გამოაგდო – შენ, ვილაც გიჟი დედაკაცი ხარ, დროს ტყუილად მაკარგვინებო. ის ქალი დღესაც დადის თურმე პარიზის ქუჩებში და გამვლელებს ეკითხება, ხომ ვგავარ იმპერატრიცა ევგენიასო.

„ივერია“,
1886 წელი №88





# საცოლეები ავაზაკთათვის

საფრანგეთის პოლიცია ამ ჟამად საცოლოებს სძებნის ავაზაკთათვის კალედონიაში. ამ საგნისთვის კალედონიაში მთელი საზოგადოება დაწესებულა, რომელიც ავაზაკთა მინდობილობით ცოლად შერთვის წინადადებას უგზავნის ბევრს არისტროკრატებისა, მდიდარ ბანკირებისა და ვაჭრების ქალებს. ეს წინადადებანი ხშირად საკვირველად არიან ხოლმე დაწერილნი. მაგალითებრ, ერთს 17 წლის თავადის ქალსა გული წასვლია, როდესაც შემდეგი წერილი მიიღო და წაიკითხა.

„50 წლის კაცი, რომელიც სამუდამოდ არის კატორღაში სხვა და სხვა ძარცვა-ქურდობისთვის და ამჟამად დროებით ხელ-ფეხში ხუნდები აქვს გაყრილი, თუ დასთანხმდებით, მზად არის თქვენზედ ჯვარი დაიწეროს და თქვენთან შეუღლდეს“.

მეორე არისტოკრატმა ქალმა შემდეგი წერილი მიიღო: “ერთი კაცი კალედონიაშია გაგზავნილი. მან დაარჩო თავისი ცოლი და ორი ყმაწვილი, ეძებს მესამე ყმაწვილისთვის კეთილსა და მოსიყვარულე დედას, არ ინებებთ?”

„ივერია“, 1886 წელი №110

მამუკა ტყეშელაშვილის ნახატები




R

# ლამაზი ამბავი



ხშირად ხდება ასე: წარსულს გადააბარებ რაღაცა ამბავს და გგონია, რომ მას სამუდამოდ გამოეთხოვე, თუმცა...

გია და ლია დღეს ერთად არიან და სულ მალე პატარაც შეეძინებათ. ისინი ღიმილით იხსენებენ წარსულს. „ღმერთი სამობითო“, — იტყვიან ხოლმე და მათ მართლაც მესამე შეხვედრისას გაუმართლათ. რა შეხვედრაზეა ლაპარაკი (თანაც, — მესამეზე!), რომ არ გაგიკვირდეთ, ყველაფერს თავიდან დავიწყებთ:

**ლია:** — დედაჩემმა აღრიალებული მიმიყვანა საბავშვო ბაღში და დამტოვა. პროტესტის ნიშნად არც ვჭამე, არც ვინმეს გავეკარე. როცა დავმშვიდდი, თვალი მოთამაშე ბავშვებისკენ გავაპარე. დავინახე, ჯგუფს გამოეყო ერთი თავბომბორა ბიჭი. მოვიდა, ორი კანფეტი გამომიწოდა და მითხრა: „აჰა, შენ კაფენტი, ალაფელი გიჭამია და ცოდო ხარ!“ — ეს თავბომბორა, კეთილი ბიჭი გია გახლდათ, რომელიც დღეს ჩემი მეუღლეა. თუმცა, სანამ მეუღლე გახდებოდა, მანამდე თანაკლასელიც იყო, მერე ახლო მეგობარი, მერე შეყვარებულიც, რომელსაც ბოლოს ისე ვეჩხუბე, რომ ექვსი წელი აღარც მინახავს, რუსეთში „გადავკარგე“. სასწაული ხომ ხდება? ჰოდა, როცა ამდენი ხნის მერე, კვლავ გამომეცხადა და გაღიმებული, ყვავილებითა და „კაფენტებით“ ხელში, გამომიტყდა: ძალიან მომენატრე, მოდი ნუღარ ვიჩხუბებთო, მეც დავიფიცე, რომ აღარაფერზე წავეკიდებოდი, შევურიგდი (თუმცა, ის წყენა აღარც მახსოვდა) და ცოლადაც გავყევი.

**გია:** — იმ დღიდან, როცა კანფეტები ვაჩუქე, დავმეგობრდით. ბაღში წასვლა აღარ მინდოდა, თუ გავიგებდი, რომ ლია ავად იყო. გამოკეთდებოდა და დედაჩემი მეტყოდა ხოლმე: გია, იცი, რას გახარებ? ხვალ ლია მიდის ბაღში, შენც ხომ წახვალ? სიხარულით შევხტებოდი და დავლურს ჩამოვუვლიდი. ეს ქალბატონი იმის მაგივრად, რომ ღიმილით შემხვედროდა, მომახლიდა ხოლმე: გია, გია — დოყლაპია. ვბრაზობდი, მაგრამ როგორც კი სათამაშოდ ხელს დამიქნევდა, მაშინვე მისკენ გავრბოდი... ჩვენ, ორივე, პლეხანოვზე ვცხოვრობდით. ერთ წელს გვიწევდა სკოლაში შესვლა, მაგრამ რადგან ლიას სახლი ავარიული იყო, მისი ოჯახი დროებით გადავიდა ბებიის ბინაში, გლდანში. ასე დავშორდით ერთმანეთს... ვწუხდი. დედა მამშვიდებდა, როგორც კი სახლს შეაკეთებენ, ლია დაბრუნდებაო. ხშირად მივდიოდი ლიას სახლის სანახავად, აშენებდნენ თუ არა. გავიდა ხუთი წელი. საპირველსექტემბროდ ვემზადებოდი, დედაჩემმა მითხრა: — ლია დაბრუნდა და ხვალიდან შენს სკოლაში ივლისო. მეორე დღეს ადრიანად ავდექი და მგონი, ყველაზე პირველი მე მივედი სკოლაში. აქეთ-იქით ვიყურებოდი, მაგრამ ლიას ვერსად მოვკარი თვალი და დარდიან ფიქრებს მივეცი თავი. ამასობაში, კარი გაიღო, სასწავლო ნაწილის გამგემ გოგონა შემოიყვანა და გაგვაცნო: ეს თქვენი ახალი კლასელია, იმედია, დამეგობრდებითო. გულმა ისეთი ბაგაბუგი ატეხა, მეგონა, მთელ კლასს ესმოდა. როგორც იქნა, დავწყნარდი და ლიასკენ თვალი გავაპარე. გამიღიმა, მერე ხელიც დამიქნია. თავისუფლად ამოვისუნთქე, — არ დავვიწყებივარ-მეთქი. შესვენებაზე მასთან მივედი, მივესალმე და მოვიკითხე. შინაურულად, თავისუფლად გამიბა ლაპარაკი — გაზრდილხარ, გამოცვლილხარ, აღარც თავი გიჩანს დიდი, როგორც პატარაობაში გქონდა და აღარც პირი გრჩება ღიაო! თანდათან უფრო ვუახლოვდებოდით ერთმანეთს. ყველგან ერთად დავდიოდით, ერთად ვმეცადინეობდით. მე მათემატიკაში ვჯობდი და მაგალითებს ვუწერდი ხოლმე, ის კი — ქართულის თემებს. მეცხრე კლასში ვიყავით, სიყვარული რომ ავუხსენი. კინაღამ თავზე გადამამსხვრია ყველაფერი. რამდენიმე თვე არ მელაპარაკებოდა, მერე კი თავადაც გამომიტყდა.

# ამბავი

**ლია:** — ერთხელ, ჩემმა უფროსმა ბიძაშვილმა მითხრა: არ მწამს გოგოს და ბიჭის მეგობრობისა, შენ და გიას ერთმანეთი გიყვართო. კინაღამ გავგიჟდი, რას ჰქვია, არ არსებობს-მეთქი. ამ დღის მერე, არ გასულა დიდი დრო და გიამაც ამიხსნა სიყვარული... აცხადდა ჩემი ბიძაშვილის სიტყვები. გიას გავებუტე, მაგრამ მივხვდი, რომ მეც მიყვარდა. მშობლებს არ გაჰკვირვებიათ ჩვენი სიყვარული.

სკოლის დამთავრების შემდეგ გია პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, მე — პედაგოგიურ ინსტიტუტში. ერთხელ, თანაკურსელები ექსკურსიაზე მივდიოდით რაჭაში და გია დავპატიჟე. მან მეგობარიც იახლა. ჩემს თანაკურსელს და ახლდა. ლამაზი გოგო იყო. შევამჩნიე, გიას „დაასო“ თვალი. გავბრაზდი, რადგან დავინახე, გიაც შესციცინებდა თვალებში. არც ვაციე, არც ვაცხელე, არავისთვის არაფერი მითქვამს, ისე ჩამოვშორდი ჯგუფს (ისინი ნიკორწმინდის თვალიერებით იყვნენ გართულნი), გამოვედი გზაზე, გავაჩერე მანქანა და ჯერ რაიონულ ცენტრში ჩავედი, იქიდან კი ავტობუსით წამოვედი თბილისში.

**გია:** — გამოვედით ეზოში, ველოდები. მგონია, ისევ ტაძარს ათვალიერებს. რომ შეაგვიანდა, ძახილი დავიწყე. კინაღამ გავგიჟდი. ყველაფერი ჩაგვშხამდა. ბოლოს, ერთმა მადლიანმა გვითხრა: იმ შარვლიან გოგუნიკას თუ ეძებთ, ის დიდი ხანია ვიღაცის მანქანით წავიდაო. მივხვდი, რაც სჭირდა, მის ჯგუფელებს გამოვემშვიდობე და მეგობართან ერთად თბილისში ჩამოვედი. მაშინვე მას მივაკითხე. რომ დამინახა, შევატყვე, ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია და მომახალა, — ნატოს როგორ შეელიეო. გავმწარდი, მაგრამ თავი შევიკავე და არაფერი ვუთხარი. შენ თუ ნებისმიერი ლამაზმანის დანახვაზე ასე აცუნდრუკდი, კარგად მქონია საქმე, შენნაირი ცანცარა კაცი სულ არ მესაჭიროებაო, — და კარზე მიმითითა. წამოვედი, აბა, რა უნდა მექნა?! იმ წუთებში მასთან ლაპარაკი ყოვლად შეუძლებელი იყო. იმედი მქონდა, რამდენიმე დღის შემდეგ დაწყნარდებოდა და მშვიდად ავუხსნიდი ყველაფერს... თუმცა, რა მქონდა ასახსნელი? ის გოგო, ნატო, უცხოდ გრძნობდა თავს, ამიტომაც სუფრას რომ მივუსხედით, რაღაც-რაღაცები მივაწოდე. მერე, ტაძრის თვალიერებისას, ჩემ გვერდით მოხვდა, სიბნელეში წაიბორძიკა და მკლავზე დამეყრდნო. ეგ იყო და ეგ. ამ სულელმა კი იეჭვიანა.

**ლია:** — რამდენიმე დღის შემდეგ თაიგულით მომადგა ინსტიტუტში. სიბრაზე განელებული არ მქონდა და ცივად ვიბრუნე პირი. წინ გადამიდგა, ყვავილები გამომიწოდა. ხელი ავუქნიე — არ მჭირდება-მეთქი. ეტყობა, შეურაცხყოფილი დარჩა ამდენი „მოწმის“ თანდასწრებით რომ უხეშად მოვექეცი. ყვავილები სახეში მესროლა და ისე უკანმოუხედავად გავარდა, თვალიც ვეღარ მოვკარი. გავცოფდი — მორჩა, გათავდა... მისი სახელი აღარავინ მიხსენოს-მეთქი, — გამოვაცხადე.

ერთი თვე არ გამოჩენილა. მერე დამირეკა, მთხოვა შევრიგებოდი, მაგრამ უარი ვტკიცე. ისე, მეც კაი უტეხი ვიყავი. ბოლოს და ბოლოს, რა ქნა ისეთი, რაზედაც გადავირიე? მის ადგილზე ნებისმიერი კაცი ასე მოიქცეოდა. ისე, ახლა ვმსჯელობ ასე, თორემ მაშინ გიჟს ვგავდი. ერთი სიტყვით, დავშორდით. გავიდა თვეები, წლები. მეგონა, ვეღარასოდეს ვნახავდი.

პლეხანოვიდან კარგა ხნის გადასული ვიყავით სხვა უბანში. ძველი მეზობელი გარდაგვეცვალა. ვიცოდი, გია კარგა ხნის წასული იყო თბილისიდან. არც მეგონა, დაკრძალვაზე თუ ვნახავდი... უნებურად შევეჩეხე. ისე დავიბენი, რომ გადავეხვიე და გადავკოცნე. ჭირის სუფრასთან გვერდიგვერდ ვისხედით. მიამბო თავისი ცხოვრების შესახებ — „მცირე“ ბიზნესი მაქვს, მაგრამ მივხვდი, რომ საქართველოს და შენ გარეშე „მსხვილ“ ბიზნესსაც აზრი არ ჰქონდა და დავბრუნდიო. ცოლი არ მოგიყვანია-მეთქი? თუკი შენ არ გათხოვილხარ, მე როგორღა გავბედავდი ცოლის მოყვანას, რა დამავიწყებს იმ დღეს, როცა უცხო გოგოს ხელი შევაშველე და ცეცხლის კევრში გამატარეო. ორივეს გაგვეცინა. მეორე დღეს, სამსახურთან მელოდა თაიგულით ხელში და მისალმების შემდეგ მითხრა: მართალია, თაიგული ცუდად მაქვს დაცდილი, მაგრამ იმედია, იმ დღის მერე „გაიზრდებოდი“ და დაჭკვიანდებოდიო.

**— ექვსი წლის მერე შერიგდით. თქვენი ქორწილიდან კი თითქმის რვა წელია გასული...**

**ლია:** — ღმერთმა მესამე შეხვედრის შემდეგ კვლავ გამოცდა მოგვიწყო, მაგრამ აღარ „ჩავჭრილვარ“... გაგიკვირდებათ და, წაკამათებაც კი არ მოგვსვლია... შვილი დიდხანს არ გვეყოლა. იმედი თითქმის გადაწურული რომ გვქონდა, მაშინ გადმოგვხედა ღმერთმა.

**გია:** — ნოემბრის ბოლოს ველოდებით პაწიას. არ ვიცით, ბიჭია თუ გოგო, მაგრამ ამას განა მნიშვნელობა აქვს?

მართლაც, როცა ასეთი სიყვარულია, როცა ოჯახში შვილი ჩნდება — ახალი სიცოცხლე, სიყვარულის გვირგვინი, რა მნიშვნელობა აქვს სქესს!..

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება როცა ილუზია ქრება...



„ ...ყველანაირ დასასრულს ველოდი, მაგრამ ასეთს — არა. ვაჟს სასურველი ქალისგან წინადადებაზე (თუ გინდა, შენი საყვარელი ვიქნებიო) ასე უცებ არ უნდა დაუფლებოდა იმედგაცრუება და სიძულვილი. თუკი მას კვლავინდებურად უყვარდა იგი, ხელი და გული კვლავ უნდა შეეთავაზებინა მისთვის, როგორც ეს ადრე, მისი მოტაცების შემდეგ გააკეთა... ამბობს, მომეჩვენა, რომ უტიფრად მიყურებდაო... იქნებ მოეჩვენა? კაცების უმეტესობა ქალის საქციელს საკუთარი გრძნობიდან გამომდინარე განსჯის და სულაც არ ცდილობს, საყვარელი ქალის საწუხარი წინ დააყენოს...

ძალიან მაინტერესებს, რესპონდენტი რამდენად გულახდილი იყო, როცა ცირასთან ხელმეორედ შეხვედრას იხსენებდა. იქნებ თავად მან შესთავაზა ქალს რაღაც „ისეთი“, რაც ნამდვილად არ შეეფერება გულწრფელად შეყვარებულ მამაკაცს, ქალმა კი, ამდენი ვაი-უბედურების მერე უარი ვეღარ უთხრა ადამიანს, რომელიც ბავშვობიდან უყვარდა... სასაცილოა, თანაც დაუჯერებელი, რომ ქართველმა კაცმა უარი თქვა იმ ქალის ალერსზე, ვისაც დღედაღამ ნატრობდა. აქ უთუოდ სხვაგვარადაა საქმე...

ჩემო კარგო, შენთვის ეს სიყვარული კი არა, მირაჟი იყო, რომელიც დაბრკოლების გაჩენისთანავე გაქრა. ერთი შეხედვით, შენ ის კაცი ხარ, რომელმაც არ შეჰბღალა მეგობრის ერთგულება, მაგრამ სინამდვილეში ამ ერთგულების მიღმა „რაღაც“ იმალება, რომელსაც შენც ვერ არქმევ სახელს. დაფიქრებულხარ ოდესმე, რა გადაიტანა ცირამ ჯერ იმ პირველი ოჯახის შექმნისას (იგი ხომ მოიტაცეს!), მერე აფხაზეთის ომის დროს, დაბოლოს, შენთან შეხვედრისას? როცა იმ საერთო საცხოვრებლის ოთახის კარი გამოიჯახუნე, არ დაფიქრებულხარ იმაზე, თუ როგორი გულდაწყვეტილი, სასოწარკვეთილი დატოვე ქალი, რომელიც ოდესღაც გიყვარდა? ალბათ, რომ მომხდარიყო სასწაული და განმარტოებული დაფიქრებულიყავი, მაინც შენს სასარგებლოდ „გადაწყვეტდი“ საქმეს, რადგან შენში ეგოიზმი უფრო მძლავრობს, ვიდრე ცირასადმი სიყვარული... თუმცა შენც ერთ-ერთი მათგანი ხარ (კაცების 97%), რომელსაც საკუთარი განცდები მიაჩნია უმთავრესად... მეცოდება ცირასნაირი ქალები, რომლებიც მთელი ცხოვრება თეთრ ტაიჭოსან რაინდებს ელიან. „რაინდები“ კი გამოჩნდებიან თუ არა, ისეთ წვრილმანში ჩაიჭრებიან ხოლმე, რომ უმალ ქონდრისკაცებად იქცევიან. ასეთ იმედგაცრუებას სჯობს, ფუფალას მსგავსად მხოლოდ ოცნებაში ჰყავდეთ თავისი შიოლა...

***ნინო, თბილისი“.***

**რედაქციისაგან: ხშირ შემთხვევაში აზრის გაზიარებას და რჩევას მკითხველს მივანდობთ ხოლმე. ამჯერად კი, ვთვლით, რომ ჩვენც უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი, რადგან გამოხმაურების ავტორი, ნინო, ცოტა არ იყოს, გაბრაზებული „ეპასუხება“ გოჩას.**

**ჩვენ ყოველთვის რომანტიკულად წარმოვიდგენთ ხოლმე სიყვარულს. ამაში ქართული ხასიათიც „გვეხმარება“, ლიტერატურაც და აღზრდაც, ამიტომაცაა გასაგები გოჩას იმედგაცრუება, მაგრამ მკითხველ ქალბატონს იმაში კი ვეთანხმებით, რომ გოჩას ამდენი ხნის ნალოლიავები გრძნობისთვის „ილუზიის გაქრობა“ არ უნდა დაერქმია.**

**როცა რესპონდენტი თავის ამბავს გულისტკივილით გვიამბობს, ძნელია მას რამდენჯერმე ჩაჰკითხო, — ხომ არაფერს მიმალავო. ყველა წვრილმანს ვერ გამოამზეურებს... უმთავრესი ერთი რამ არის: მართალია, ზოგჯერ შეცდომებს ვუშვებთ, მაგრამ მცდარი ნაბიჯის მერე დაფიქრება გვმართებს.**

**გოჩა! თქვენ შვილების მამა ხართ, ოჯახს გაფრთხილება უნდა, მაგრამ იმ გრძნობასაც მოფერება სჭირდება, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გულით დაატარებდით. ილუზია შეიძლება გაქრეს, მაგრამ ოცნების უნარს ნუ დაკარგავთ. ნათქვამია: როცა ოცნება ქრება, სულიერებაც მაშინ კვდებაო. სულაც არ არის აუცილებელი, რომ ცირასთან „საკმაოდ ახლო“ ურთიერთობა გაკავშირებდეთ. იმ გრძნობას ეცით პატივი, რაც მის მიმართ გქონდათ და მერწმუნეთ, მას კვლავაც იმ „ფერიად“ დასახავთ, როგორადაც მიგაჩნდათ მუდამ. რაც შეეხება მამაკაცურ ღირსებას, ის უთუოდ დასაფასებელი და ქების ღირსია. თქვენი საქციელი, რამაც საყვარელ ქალზე უარი გათქმევინათ, მისაღები უფროა, ვიდრე დასაგმობი, მაგრამ ერთს მაინც გირჩევთ: სიყვარულს სიძულვილით ნუ შეცვლით...**

## მე ისეთი ქმარი მინდა...

**სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა რომელიღაც რადიოარხზე საინფორმაციო გამოშვების დაწყების გამო რადიო გამორთო, მაგნიტოფონში აუდიოკასეტა შეაცურა და სიმღერამ კეკელა და მაროზე ერთბაშად გაამხიარულა მგზავრები. „ორღობეში მიდიოდნენ კეკელა და მარო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, — შენ რა გინდა, ქალო? — მე ისეთი ქმარი მინდა, ჰქონდეს საწვრილმანო, დილას აღებული ფული, საღამომდე თვალოს...“ მღეროდა წარსულს ჩაბარებული ანსამბლი „ბერიკონი“ ძველ ჩანაწერში და მამაკაცები ნიშნის მოგებით უყურებდნენ ქალებს, ვითომდა — ნახეთ, ვინა ხართ, როგორი აზრები გიტრიალებთ თავშიო. ქალები აინუნშიაც არ აგდებდნენ მამაკაცების ირონიულ მზერას და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდნენ... მოგვიანებით კეკელას და მაროს „პრობლემის განხილვა“ ტრადიციულ რესპონდენტებს მივანდე...**

**დათა (28 წლის):** — სიყვარულს რა ვუთხარი, თორემ ქალების უმრავლესობა შეხედვის ღირსიც კი არ არის. დავამთავრე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. კაი სამსახურის საშოვი ფული რომ არ მქონდა, დაცვაში დავიწყე მუშაობა. მიყვარს ერთი ძალიან ლამაზი და ამავე დროს, ცუდი გოგო. ცუდი იმიტომაა, რომ მეუბნება, — ცოლად მანამ ვერ წამოგყვები, ვიდრე კაი შემოსავლიან სამსახურში არ ჩადგებიო. ვაა, ბიჭო, მაგიჟებს, რა!.. ვეკითხები, — შენ ვის მიჰყვები ცოლად, მე თუ ჩემს სამსახურს-მეთქი. შენ, მაგრამ შენი 120 ლარი არაფერში გვეყოფა და ამიტომ მოცდა მოგვიწევსო. ტვინი არც იმას აქვს და არც მე, ან რას მტანჯავს და ან თავს რად ვიტანჯავ? მაგრამ ამ გრძნობებს რას გაუგებ, კაცო!



**თაკო (26 წლის):** — მე 500 დოლარი მაქვს ხელფასი და როგორ წავყვე ჩემზე დაბალი ხელფასის მქონე კაცს? რა, მე ვარჩინო? ახლა ვიღაც მეტყვის, — არ გრცხვენია? თუ გიყვარს, ცულის ტარზე დაეტევი კაცთან ერთად და კაპიკებზე რა გალაპარაკებსო. კარგი, რა, თქვენ ეგენი ნაკლებები გგონიათ? ჩემი ძმისა და მისი ძმაკაცების ჭორაობას ვუსმენდი. ერთი გენახათ, ქალებს რა მუშტრის თვალით ზომავდნენ. „აუ, ბიჭო, ეგ მაგარი მაყუთაა... მაგას მაგარი მამა ჰყავს, სასიმამროდ ვარგა, რა და ა.შ.“ ასეთი ვაჭრები არიან კაცები და ქალების პრაქტიკულობა უკვირთ. მერე კიდევ, ცულის ტარზე რომ ეტეოდა ცოლქმარი, ეგ დრო კაი ხანია წარსულს ჩაჰბარდა, რაღა ცუდზე და უვარგის ვარიანტზე შევჩერდე?

**ნათია (29 წლის):** — კარგია უზრუნველი ცხოვრება, მაგრამ სისულელეა იმის ლოდინი, როდის გექნება ფული ან შენ, ან იმ კაცს, ვისთან ცხოვრებაც მთელი გულით გინდა, ეს ტყუილად დროის კარგვაა.

მე და ჩემი მეუღლე 12 წლის წინ დავქორწინდით, სკოლის მერხიდან ფეხი გადმოვდგი თუ არა, გავყევი. მანამდე მთელი 5 წელი მიყვარდა. ისე, ვინ იცის, უფრო დიდხანს რომ დამეცადა, შეიძლება მეც დავფიქრებულიყავი და სიღარიბის გამო არ გავყოლოდი. ხომ იცით, 17 წლის გოგო უფრო იოლად წყვეტს ყველაფერს, მაგრამ მაინც ვერ წარმომიდგენია, როცა კაცი უსაზღვროდ გიყვარს, როგორ შეიძლება მის შეძლებაზე წუწუნი!

**გია (34 წლის):** — ქალმა რომ მითხრას, თუ ბევრი ფული არა გაქვს, ცოლად არ გამოგყვებიო, მაგარ შეურაცხყოფას მივაყენებ. ვერ ვიტან მეშჩანებს. ჩემმა ერთმა ნაცნობმა, ძალიან კარგი გარეგნობის ბიჭმა მახინჯი, თანაც ბებერი ქალი შეირთო და ორი კვირის თავზე სიმამრს წილი მოსთხოვა. აბა, ახლა ის კაცია? სულ ვაგინებთ ბიჭები და საძმოში ვეღარ ჩნდება. ერთი ჩემი მეზობლის გოგო კიდევ ფულის გულისთვის ასევე ბებერ უცხოელს გაჰყვა ცოლად. ქმრის ფულებით ბაირამობს და ახალგაზრდა ლამაზ-ლამაზ საყვარლებს „აგულავებს“. მაგნაირი ცხოვრების დედა ვატირე...

**ლანკა (17 წლის):** — როგორ ბიჭს გავყვები ცოლად? — კაი ტიპს. აუცილებლად მანქანა უნდა ჰყავდეს და ბენზინის და ჩემი დასაპატიჟებელი ფული ჰქონდეს. ასევე ბინა — ცალკე, დედამთილ-მამამთილთან ერთად ვერ ვიცხოვრებ. ისე, საერთოდ, გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ. უფროსებმა მითხრეს — ახლა რომ ბიჭი მოგეწონება, შეიძლება 5 წლის მერე თვალში აღარ მოგივიდესო. მეც მოვიცდი, რა...

***ეკა ლომიძე***

CMYK

# მინდა, მერილ სტრიპის დონის მსახიობად მაღიარონ...

ახლახან რუსთავში ჩატარებულ თეატრალურ ფესტივალზე ახალგაზრდა მსახიობმა **ია სუხიტაშვილმა** კიდევ ერთ სერიოზულ წარმატებას მიაღწია. სპექტაკლ „ჯულიეტა და რომეოში“ შესრულებული მთავარი როლისათვის, მან წლის საუკეთესო მსახიობი ქალის პრიზი დაიმსახურა. ასევე ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს ია სპექტაკლში „ჰამლეტი“, რომელმაც გრან-პრი მიიღო. 2003 წელი ფეხბედნიერი გამოდგა მსახიობისთვის. 14 იანვარს, თეატრის დღეს, იგი საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობ ქალად აღიარეს.

**— ია, ამდენი „პრიზიანი“ არც ახლა იქნები უყურადღებოდ. რით ხართ დაკავებული?**

— რობერტ სტურუასთან ერთად ვმუშაობთ ახალ სპექტაკლზე „სტიქსი“, მუსიკა გია ყანჩელს ეკუთვნის. ეს იქნება უსიტყვო, პლასტიკური სპექტაკლი. მისი პრემიერა მოსკოვში შედგება.

**— დღეს საზოგადოებაში გავრცელებული აზრით, მსახიობი ანგარიშს არ უწევს ირგვლივმყოფთ და ყოველთვის საკუთარი სურვილისამებრ იქცევა.**

— შეიძლება ბევრისთვის მსახიობები ჭკუამხიარული ხალხია, მაგრამ მათზე დეპრესიული ადამიანი, ჩემი აზრით, არ არსებობს. როცა პოპულარული ხდება, მსახიობი უფრო მეტად უწევს ანგარიშს ირგვლივმყოფთ და თავის თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებს, რაც თავადაც აღიზიანებს. არ ვთვლი, რომ პოპულარული ვარ, მაგრამ მეც უკვე შეზღუდული ვარ ჩემს ქცევებში. იმას არ ვამბობ, რომ საზოგადოების ინტერესებს საკუთარ სურვილებზე მაღლა ვაყენებ, მაგრამ მას აშკარად დიდ ანგარიშს ვუწევ, რაც ძალიან დამღლელი და გამაღიზიანებელია.

**— ამბობენ, მსახიობი პლასტელინია, რომლისგანაც როლი უნდა გამოიძერწოსო.**

— ბევრ რამეს შეიძლება შეადარო მსახიობი. გინდა პლასტელინი დაარქვი, გინდა თიხა, გინდა მოლბერტი... ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მსახიობი იყოს ხარისხიანი მასალა, ჰქონდეს ნიჭი, რომლის გარეთ გამოტანაზეც უნდა იმუშაოს. თავის წარმოჩენა უნდა შეძლოს, რისთვისაც აუცილებელია პროფესიული ცოდნის მიღება. ამას კი ბევრი შრომა სჭირდება.

**— რა გრძნობა გეუფლებათ, როცა გადაღება, რეპეტიცია ან სპექტაკლი მთავრდება. დაღლილობის გამო ცხოვრება ჯოჯოხეთად გეჩვენებათ, თუ თვლით, რომ სასიამოვნოდ დაიხარჯეთ.**

— სასიამოვნოს გადაღების პროცესს ვერ ვუწოდებ. ძალიან მიყვარს კინო, მაგრამ თეატრთან შედარებით ყალბი სამუშაო მგონია. თეატრი ნაღდია, იწყებ სპექტაკლს და არ ჩერდები. კინოში კი „სტოპ!“ და მერე ისევ „მოტორ!“ შეწყვეტილ სიმღერასავით არის. ამიტომ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია თეატრი, სადაც ბოლომდე უნდა დავიხარჯო, ისე, რომ მაყურებელმა მხოლოდ სპექტაკლზე იფიქროს და გულისყური სხვაგან არ გაექცეს. თუ ამას მივაღწიე, ე.ი. სასიამოვნოდ დავხარჯულვარ. იცით, ეს რა განცდაა? ჩემთვის სამოთხეში ყოფნის ნეტარების ტოლია.

**— აანალიზებთ თუ არა საკუთარ ქმედებას და ხართ თუ არა თვითკრიტიკული?**

— საშინლად თვითკრიტიკული ვარ. თითქმის არაფერი მომწონს ჩემი გაკეთებული და რომ არა მეგობრებისა და ოჯახის წევრების გულწრფელი შექება, შეიძლება ამ თვისების გამო კიდეც ვიზარალო. ზღვარგადასული კმაყოფილებაც მავნეა და თვითკრიტიკულობაც.

**— ვის ადანაშაულებთ ხოლმე საკუთარ წარუმატებლობაში?**

— თეატრალური ინსტიტუტი თითქმის ახლახან დავამთავრე, ამიტომაც არ ვარ როლებით განებივრებული. თუმცა, შემოქმედებითი პაუზაც არ მქონია და რაც დღემდე სცენაზე ვითამაშე, ყველამ გრან-პრი აიღო. რაც შეეხება კინოს, იქ არ ვარ იმდენად წარმატებული და განსწავლული, როგორც სცენაზე. ეს ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის სტრუქტურის ბრალი იყო. მე კინოსა და დრამის სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე. დრამა გავიარე, კინოს სპეციალობა კი — არა. დრამის და კინოს სპეციფიკა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ახლა ტელესერიალში ვთამაშობ და ვფიქრობ, სერიოზულ კინოში მონაწილეობისთვის დიდ პრაქტიკას მივიღებ.

**— ია, თუ გაქვთ რაიმე ნივთი, რასაც არ იშორებ?**

— ყოველთვის ვატარებ ნათლობის ჯვარს.

**— მოდას თუ მიჰყვებით?**

— ვგიჟდები კარგად ჩაცმაზე და მეტ-ნაკლებად თვალს ვადევნებ მოდას. მაგრამ ჩემი საშინელი სამუშაო რიტმის გამო სპორტულ სტილზე გადავედი, არადა კლასიკური ჩაცმულობა ძალიან მომწონს და საერთოდ ძალიან კარგია, როცა ქალი ქალურად გამოიყურება.



**— რისთვის გაიღებდით მსხვერპლს?**

— მსხვერპლს გავიღებდი შვილის გულისთვის. ალბათ შვილის გამო ყველაფერზე წავიდოდი, თუმც, ჯერ არ მყავს. წინათ ძალიან დიდ დროს ვუთმობდი ჩემს პირველ სიყვარულს, ბევრი მცდელობა მქონია, მის ტალღაზე გადავწყობილიყავი, მაგრამ...

**— „ჯულიეტა“ რას ფიქრობს, სიყვარული ტანჯვაა თუ ბედნიერება?**

— ბავშვობიდან ყოველთვის რომანტიკული გატაცებები მქონდა, სიყვარული ჩემთვის ისევეა საჭირო, როგორც ჩემი საქმე. სულ მინდა მიყვარდეს და ვუყვარდე, მაშინ მე ძალიან დადებით ენერგიას ვიღებ და კარგად ვგრძნობ თავს. ამიტომ ვთვლი, რომ სიყვარული ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

**— როლი, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ ითამაშებთ.**

— არ ვითამაშებ მსუბუქი ყოფაქცევის ქალს, დაცლილს სულიერებისგან. თუმცა ვითამაშებდი მეძავს, რომელსაც ღრმა სულიერი სამყარო აქვს, ტრაგიკულად აცნობიერებს თავის ხვედრს.

**— შემთხვევა, რომელიც მუშაობის დროს მოხდა და ვერასოდეს დაივიწყებთ.**

— არ დამავიწყდება, თეატრალურ ინსტიტუტში „რომეო და ჯულიეტაზე“ ვმუშაობდით. გვქონდა აკრობატული სცენა — თვალდახუჭულს უნდა გამევლო სცენის კიდეზე, გადმოვვარდი და ფეხი მოვიტეხე. ორი თვე ვიწექი თაბაშირში ჩასმული. დაუვიწყარია პირველი რეპეტიცია რობერტ სტურუასთან. იმდენად დაძაბული, ბედნიერი და შეშინებული ვიყავი ერთდროულად, რომ მთელი სხეულით ვკანკალებდი.

**— სასწაული, რომლის ახრულებაზეც ოცნებობთ.**

— ძალიან მინდა მსახიობობით ჩემი ქვეყანა ვასახელო ჰოლივუდში. მინდა მერილ სტრიპის დონის მსახიობად მაღიარონ იქ, მაშინ უბედნიერესი ადამიანი ვიქნები და ეს ჩემთვის სასწაული იქნება. ამ ოცნების ახდენისა არ მჯერა, რადგან ყველაფერს რომ თავი დაანებო, ენის ბარიერია ძალიან სერიოზული პრობლემა, იქ უაქცენტო ინგლისურით უნდა ლაპარაკობდე. ისე კი, მაქვს პრეტენზია, ვუჩვენო ჩემი ოსტატობა მსოფლიოს, რადგან ვთვლი, რომ სამსახიობო ხელოვნების საკმაოდ კარგი სკოლა გავიარე. საერთოდ პესიმიზმი მომერია ბოლო დროს, 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ, ხალხი კოსმოსში დასეირნობს და ჩვენ ელექტროენერგია და წყალი ჯერ კიდევ გრაფიკით გვაქვს. პესიმიზმი მერევა თუნდაც ჩვენი ესტრადის გამო. რას მღერიან ქართველები, რას უსმენენ, რაზე უკრავენ ტაშს — გაუგებარია. ბევრი რამის მრცხვენია, თუნდაც იმის, რომ ლამის მთელი საქართველო პარლამენტში მოხვედრას ლამობს და ამ დროს ქვეყანა თავზე გვექცევა. არადა ქვეყანა რომ ქვეყანას დაემსგავსოს, საამისოდ ყველა პირობა და მონაცემი გვაქვს. კიდევ კარგი, ისეთი პროფესია მაქვს, რომელიც საშუალებას მაძლევს, დროებით მაინც მოვწყდე ამ საშინელ რეალობას, თორემ ალბათ გავგიჟდებოდი.

**— მიზანი, რომლის განხორციელებასაც უახლოეს მომავალში გეგმავთ.**

— ახლახან მოსკოვიდან ჩამოვიდნენ „კინოშნიკები“. სურთ აპრილში მოსკოვში წამიყვანონ. როცა იქ ჩავალთ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა იქაც დავიმკვიდრო ჩემი ადგილი და რაც შეიძლება კარგად ვიმუშაო. მინდა თავი დავამახსოვრო იქაურ საზოგადოებას. მონაწილეობას მივიღებ სრულმეტრაჟიან ფილმში ზაზა პაპუაშვილთან ერთად და ჩემი უახლოესი მიზანია, იქაური წრე გავარღვიო და კიდევ ერთხელ დავამტკიცო, რომ ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები.

# ახლა მოდაშია — სჯობს სახელისა მოხვეჭას ყველაფრის მომხვეჭელობა...

## „ვოქმენები“ აქვთ გარჭობილი ყურში და ჯაგიჯუგით თავისქალაახდილები დადიან



პაროდისტი „დიდების ზღაპრიდან“, რომელმაც ხალხს ზურაბ ჟვანიას თოჯინა შეაყვარა, ამჯერად სახელისუფლებო ბლოკის მხარდამჭერ საკონცერტო აქციებში მონაწილეობს და ისევ ძველებურად „აჯავრებს“ ზურიკოს: ოქტომბერში კენტ რიცხვებში საქმითა და ლუწ რიცხვებში — მეგობრებზე მზრუნველობით დაკავებული **ბესო ბერულაშვილი** ამჯერად ჩვენი სტუმარია და „ამა ქვეყნის ვაებით“ შეშფოთებული კიდეც ფილოსოფოსობს.

**— ბატონო ზურაბ, უი, ბესო, თქვენზე ამბობენ, სახელისუფლებლო ბლოკის პიარკომპანიით არის დაკავებულიო.**

— სიცრუეა. რა პიარკომპანია! კონტრაქტით მიმიწვია სამთავრობო ბლოკმა და მათი ინიციატივით გამართულ კონცერტებში ვმონაწილეობ.

**— იმასაც ამბობენ, სახელისუფლებო ბლოკმა იმის მერე, რაც ზურაბ ჟვანია დაკარგა, ბესო ბერულაშვილის „პრივატიზაცია“ მოახდინა ჟვანიას „ასლის“ შესანარჩუნებლადო.**

— ბერულაშვილს ვერავინ გაუკეთებს „პრივატიზაციას“. ორივე პოლიტიკურ ბანაკში ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ არანაირი სურვილი არა მაქვს რომელიმესთან თანამშრომლობისა.

**— ისიც ჭორია, რომ თითქოს 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადებით და წელს რეპეტიციებს გადიხართ?**

— (იცინის) ისე, მნიშვნელობა კი არა აქვს, ოთხი წლით ადრე დაგიწყებენ გინებას თუ ოთხი წლით გვიან, მაგრამ არანაირი სურვილი არა მაქვს, ხალხს თავი ვაგინებინო, ანუ პარლამენტში შესვლა დავაპირო. ჩემს კოლეგებსაც მოვუწოდებ, ძალიან ნუ გადავარდებიან პოლიტიკაში და ყველამ თავისი საქმე აკეთოს.

**— ისე, რა ჰქვია თქვენს პროფესიას, სიცილში სიმართლის მთქმელი?**

— ნამდვილად ასეა და თანაც იცით, რა მწარედ ვიცი მაგ სიმართლის თქმა? ბევრს არ სიამოვნებს, თუმცა, ხშირად ვერ ხვდებიან სერიოზულად ვთქვი თუ ვიხუმრე...

**— ბესო, როგორ ფიქრობთ, ახლა რომ რუსთაველი ცოცხალი იყოს, ძველებურად იტყოდა — ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელიაო?**

— იტყოდა, მაგრამ მოუსმენდნენ? ჩვენი დროის პოლიტიკურ ჯგუფებს თავთავიანთი „რუსთაველები“ ჰყავთ და თავიც ყველას რუსთაველი ჰგონია. შოთა რუსთაველი რომ ახლა ცოცხალი იყოს, ალბათ სულ ვალიდოლით ივლიდა.

**— ვაჟას უთქვამს, — გადედლებული მამალი საელდო სანახავიაო... გინახავთ ასეთი მამალი?**

— გადედლებული მამლებითა და გამამლებული დედლებით აივსო ეს ქვეყანა. ელდის მომგვრელია, კაცი რომ კუდის ქიცინს იწყებს, გული მაქვს გახეთქვაზე. დიდები ხომ წახდნენ და ფერებშიც ორიენტაციები აერიათ, ახლა პატარებშიც მომრავლდნენ „ქეთინო“ ბიჭები და გული მისკდება.

**— თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო, — ამბობდნენ შოთას დროს. ახლა რა შემთხვევაში არ იხსენიება კაცი ღარიბად?**

— კაცი როცა კაცობს, ყოველთვის ეგრეა, თუ თავი ადგას მხრებზე, მდიდარია და ღმერთის ტოლაა, მაგრამ როცა კაცობა რაღაცებში ერევათ, სიმაგრეზე და სისავსეზე აღარ ფიქრობენ. სამწუხაროდ, ღირებულებები და საზომები შეეცვალათ.

**— ნათქვამია, ფიქრიანი კაცი არასდროს უქმად არ დადგება, პურის ჭამის დროსაც საქმეს აკეთებსო. თქვენ რას ფიქრობთ პურის ჭამის დროს ან მაშინ, როცა ყანწი გიჭირავთ ხელში?**

— რას ვფიქრობ? იმას, რომ ლუკმაც კაცურად უნდა შეჭამო... მე კახელი კაცი ვარ და პირდაპირობა მიყვარს, ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, ჩემი მკაცრი ტონი. ყანწით ღვინის დალევა კი განსაკუთრებით მაშინ მიყვარს, როცა ლამაზ ქალს ვადღეგრძელებ. არ იფიქროთ, „სტარამოდნებივით“ სკამებზე ვდგებოდე და ისე ვამბობდე მაგ სადღეგრძელოს. ლექსს წავიკითხავ, ისეთს ვიტყვი, რომ ვინც მომწონს, პირველი ის „ეცემა“, მაგრამ ბევრჯერ ისეთი მომწონებია, ისიც კი არ სცოდნია, ლექსი რა არის.

**— ვაჟა-ფშაველას დროს თურმე „ვაჟკაცს ხმალი ალაღებდა, დიაცს მშვენება ტანისა,“ ახლა როგორ არის?**

— ბოლო „მოდაშია“ ისევ, ქალებს ლამაზი და ნარნარა ტანი უხდებათ, მაგრამ ახლა ვაჟკაცობა ბევრი ფულის ქონებაა, ხმალს ვიღა ატარებს, ისეთი იარაღებით დადიან. ვინც კუნთებზე იცქირება, „არტილერიით“ დადის და ვინც არა, „ვოქმენები“ აქვთ გარჭობილი ყურში და ჯაგიჯუგით თავისქალაახდილები დადიან.

**— კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო და თქვენ როგორც მთქმელს, გამგონეს დეფიციტი არა გაქვთ?**

— თქვენი, ჟურნალისტებისა არ იყოს, ჩვენც ვამბობთ და ვითომ საქმეს ვაკეთებთ, მაგრამ ქვეყანას არა არგია რა. თქვი რამდენიც გინდა, თავში ქვა გიხლიაო, დღევანდელ საქართველოში მთქმელებზეა ნათქვამი. აქ მთქმელისა და გამგონეს ურთიერთდამოკიდებულება ჩემი და ჩემი სიდედრის ურთიერთობას ჰგავს. ფანტასტიკური ქალია, სერიოზულ საკითხებზე რჩევას სულ ვეკითხები, მაგრამ მაინც საწინააღმდეგოს ვაკეთებ ხოლმე და ამართლებს. თქვენს და ჩვენს ნათქვამს ისმენენ ვიღაცები, გვიღიმიან კიდეც, მაგრამ საპირისპიროდ იქცევიან და არც არაფერს აგებენ, თუმცა, იმას კი ველარ ხვდებიან, ეგ მოგება დროებითი რომაა და მაგათ ნაჭამი ტყემალი მაგათ შვილს ან შვილიშვილს რომ „მოჰკვეთს კბილს“...

**— როგორ ფიქრობთ, შრომით ეძლევა სულს ნეტარება?**

— ეე, ეგ მშრომელი კაცის ნუგეშადაა მოგონილი, თორემ დასვენებას რა სჯობს.

**— სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა?**

— ეგ შოთას დროს იყო მოდაში, ახლა პირიქით ესმით — სჯობს სახელისა მოხვეჭას ყველაფრის მომხვეჭელობა. დღეს სახელი რომ მოიხვეჭო, მისი შენარჩუნება ძალიან ძნელია, თანაც სხვანაირად ესმით სახელის მოხვეჭა. ჩვენს დროში მაგას პოპულარობა ჰქვია, საკუთარ თავს ბინძურ ჭორებსაც კი უყრიან სახელის „მოსაპოვებლად“. ქვეყანა აირია რა, სახელის მოხვეჭაც კი ავანტიურული სულისკვეთებით ხდება. უზნეო რომ ტელეეკრანიდან ზნეობაზე დაგიწყებს ლაპარაკს და ქადაგებას და ქვეყნის დამქცევები რომ საკუთარი ცოდვების გამო პასუხს პატრიარქს მოსთხოვენ, ამაზე მეტი გადაგვარება რაღა გინდათ? იხვეჭენ სახელს. იელოველებს, ცისფერებს და ათას სექტანტ-მამაძაღლსაც მოხვეჭილი აქვთ სახელი და გივი ბერიკაშვილსაც. აი, კაცი, ვინაც სახელი მოიხვეჭა და შეინარჩუნა, მიბაძონ მას. სახელის გამო რომ ხალხს ეყვარები, მაგაზე დიდი პატივი არ არსებობს, დედას გეფიცებით.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*



წინა ნომერში (გვ. 12), სარეკლამო განცხადება გავიდა შეცდომით, სამედიცინო ცენტრის დასახელებაში უნდა ეწეროს „ექიმი გილი“. სამედიცინო ცენტრი „მედი“ იმყოფება თავის ძველ მისამართზე.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს 22 წლის ქალიშვილი, რომელიც არის ორსულად. მეუღლესთან ერთად აპირებს საზღვარგარეთ გამგზავრებას. ძალიან ვშიშობ, რომ ეს მგზავრობა ცუდად არ დამთავრდეს. გთხოვთ მიპასუხოთ, საფუძვლიანია თუ არა ჩემი შიში და რა შემთხვევაში ეკრძალება ორსულ ქალს მოგზაურობა?**

***პატივისცემით, ა. ნარიმანიძე***

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ორსულის მდგომარეობა, როგორ ეგუება იგი ახალ პირობებს და შესაძლებელი იქნება თუ არა მისთვის საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოჩენა იქ, სადაც მიემგზავრება. ამერიკელ მეან-გინეკოლოგთა მონაცემებით მოგზაურობა შედარებით უსაფრთხოა ორსულობის ტრიმესტრში (18-დან 24 კვირამდე), როცა ყველაზე იშვიათია თვითნებური აბორტები და ნაადრევი მშობიარობები. ზოგიერთი სპეციალისტი არ ურჩევს ორსულებს გამგზავრებას ორსულობის 28-ე კვირის შემდეგ.

მოგზაურობისაგან თავი უნდა შეიკავოთ, თუ აქამდე უკვე გქონდათ თვითნებური აბორტები, ნაადრევი მშობიარობა, თრომბოემბოლიური დაავადება, აგრეთვე თუ ავად ხართ შაქრიანი დიაბეტით, გულის უკმარისობით, ანემიით. თუმცა, საბოლოო არჩევანი მაინც თავად ქალმა უნდა გააკეთოს. იგი უკეთ გრძნობს, შეუძლია თუ არა მგზავრობა.

**მყავს 20 წლის ვაჟი, რომელიც ზაფხულში ჩამოვარდა ხიდან, თავი დაარტყა და რამდენიმე წუთით გონება დაკარგა, თუმცა ჩვენი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, ექიმისთვის არ მიუმართავს. მას შემდეგ თვენახევარი გავიდა. ახლა აწუხებს თავის ტკივილი და მუდმივი ძილიანობა. შეიძლება თუ არა ეს ნიშნები ტრავმის შედეგი იყოს?**

***ლია ნასყიდაშვილი***

ნებისმიერი, განსაკუთრებით კი, თავის ტრავმის შემდეგ, აუცილებელია სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება და იმის დადგენა, რამდენად სერიოზული პათოლოგიური ცვლილებები მოხდა ორგანიზმში. გონების დაკარგვა იმასთანაა დაკავშირებული, რომ დარტყმის შემდეგ ორგანიზმი მაშინვე რთავს დამცავ ძალებს და თიშავს ყველაზე ღირებულ, ნატიფ მექანიზმებს, რათა ამ გათიშვის პერიოდში ერთგვარად აღიდგინოს დარღვეული ფუნქციები. იგივე ხდება მაგალითად, მოკრივეთა ორთაბრძოლის დროს, როდესაც სპორტსმენი მოწინააღმდეგის დარტყმისას კარგავს გონებას — ნოკდაუნი ხომ ტვინის სერიოზული შერყევაა.

უნდა გაგაფრთხილოთ, რომ საკმაოდ მძიმე, ზოგჯერ შეუქცევად შედეგებს იწვევს, თითქოსდა უმნიშვნელო ტრავმა. ერთ-ერთ ასეთ გართულებას წარმოადგენს ენცეფალოპათია.

არსებობს ასეთი წესი, რომ ტრავმის შემდეგ 21 დღის განმავლობაში პაციენტი უნდა იმყოფებოდეს ნევროლოგის მეთვალყურეობის ქვეშ, უნდა ჩაიტაროს საჭირო მკურნალობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიიმედოს თავი, რომ ყველაფერი კარგადაა. თუმცა, საკმაოდ ხშირად (მით უმეტეს დღევანდელ პირობებში) ტრავმირებულები უარს ამბობენ ექიმთან მისვლაზე და შემთხვევათა 1/3-ში ეს უარყოფით შედეგებს იწვევს: ყოველ მე-3-4 დაზარალებულს რჩება ტრავმისშემდგომი მოვლენები, რაც უხშირესად თავის ტკივილითა და ენცეფალოპათიით (თავის ტვინის დაზიანებით) არის გამოხატული.

**მყავს 5 წლის ბიჭუნა, რომელიც ძალიან ხშირად ავადმყოფობს მწვავე რესპირატორული დაავადებითა და ბრონქიტით. ვფიქრობ, იმუნიტეტი აქვს დაქვეითებული. მინდა ვუმკურნალო ინტერფერონით (იმუნიტეტის გასაძლიერებლად), მაგრამ ბავშვს აქვს ალერგია კვერცხზე და სხვა პროდუქტებზე. მაშ, როგორ შემიძლია გავუძლიერო ჩემს შვილს ინფექციისადმი თავდაცვის უნარი?**

***ა.ა.***

როდესაც ბავშვი ხშირად ხდება ავად მწვავე რესპირატორული დაავადებით ან ბრონქიტით, აუცილებელია მისი საგულდაგულო სამედიცინო გამოკვლევა. გეთანხმებით, რომ საკმაოდ ხშირად ასეთ დროს დაქვეითებულია იმუნიტეტი. თუ ბავშვს აქვს ალერგია სხვადასხვა პროდუქტზე, სავსებით შესაძლებელია, რომ იგი ალერგიული იყოს ინტერფერონისადმიც. მაშინ ამ პრეპარატის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია. იმუნიტეტის მდგომარეობის განსაზღვრა შესაძლებელია სპეციალური გამოკვლევებით. თავდაპირველად უნდა გაკეთდეს იმუნოგლობულინების გამოკვლევა. თუ დადგინდება სისხლის იმუნიტეტის დეფიციტი, მაშინ ზოგადგამაკაჟებელ ღონისძიებებთან ერთად ბავშვს ესაჭიროება ისეთი პრეპარატები, როგორებიცაა ტაქტივინი (ინიექციებში) ან ბრონქომუნალი — თითო აბი ერთხელ დღეში 30 დღის განმავლობაში. ამის გარდა თქვენს შვილს უნდა ჩაუტაროთ ალერგოლოგის კონსულტაცია, რათა დადგინდეს, კერძოდ რომელი ალერგენები იწვევს მის ორგანიზმში ალერგიულ რეაქციას და დაენიშნოს კომპლექსური მკურნალობა.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## პიცა — გემრიელი და სამკურნალო



„მარგერიტა“, „კაპრიჩოზა“ და „ნაპოლეტანა“ არა მარტო პიცის სხვადასხვა სახეობა, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატებიცაა. მათ რომლებიც თუნდაც კვირაში ერთხელ მიირთმევენ ამ გემრიელ კერძს, ნაკლებად ემუქრებათ ონკოლოგიური დაავადებები, დარწმუნებულნი არიან მილანის ფარმაკოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები. მათ რამდენიმე ათასი პაციენტი გამოიკვლიეს. პიცის მოყვარულები 34%-ით ნაკლებად ავადდებიან პირის ღრუს სიმსივნით, 59%-ით ნაკლებად — კუჭის, 26%-ით კი ნაწლავების. ადამიანის ორგანიზმი ყოველივეს ტომატის სოუსს უნდა უმადლოდეს. „არ ველოდით, თუ პიცის ერთ-ერთი ელემენტი, — პომიდორი ამდენად სასარგებლო იქნებოდა“ — განაცხადა მკვლევარმა სილვანო გალუსმა. ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ტომატის სოუსი სასარგებლოა სხვა კერძში მოხმარების დროსაც.

***ეხო პლანეტი №41***

## სკალპელი — თავის ტკივილის წინააღმდეგ

მეცნიერებმა შაკიკის მკურნალობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს — იგი ქირურგიულ ჩარევას გულისხმობს. თავის მწვავე ტკივილის (რომლითაც ყოველი მეათე იტანჯება) გაყუჩება ზოგიერთი კუნთის მოშორებით შეიძლება. ასეთი აზრი გამოთქვეს ამერიკელმა მედიკოსებმა იმ თეორიაზე დაყრდნობით, რომ უმეტესად თავის ტკივილი შუბლისა და კისრის კუნთების ნერვული დაბოლოებების დაწეწკვის შედეგია. თუ ქირურგიული ჩარევის შემდეგაც გაგრძელდა ტკივილი, მაშინ ყურადღება უნდა გამახვილდეს ცხვირის ღრუზე, რადგან გამრუდებული ძგიდეც იწვევს ტკივილს. შარშან ნაოპერაციები 100%-დან 90-ს გაცილებით შეუმსუბუქდათ მდგომარეობა, ზოგიერთი კი, სრულიად განიკურნა, ირწმუნებიან მეცნიერები.

***ზდოროვიე №10***

## ლამინარიის სიკეთე

ზღვის კომბოსტოს — ლამინარიას, უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო და სამკურნალო პროდუქტად. დაკონსერვების შემთხვევაშიც კი იგი არ კარგავს სამკურნალო თვისებებს, ზღვის ეს ნობათი შეიცავს ძალიან ბევრ იოდს, რომელიც ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, კურნავს თრომბოფლებიტს, ღვიძლისა და ნაღველმდენი გზების დაავადებას.

ლამინარია ფხვნილის სახით იყიდება აფთიაქებში. სასარგებლოა საღამოს მიიღოთ 1/2 ჩ/კ ლამინარია — გულ-სისხლძარღვების, 1 ჩ/კ 4-ჯერ დღეში ნებისმიერ ცხელ სითხესთან (წვნიანთან ან ჩაისთან) — ქრონიკული ყაბზობისა და ენტეროკოლიტის დროს.

სხვათა შორის, ლამინარია ძალიან სასარგებლოა სახის კანისთვის.

***ოტდოხნი №39***

## ცუდი და კარგი კარტოფილი



დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ კარტოფილის ფრის ჭამა მხოლოდ თვეში ერთხელ შეიძლება. თურმე, სანამ კარტოფილის ნაჭრები ცურავენ ცხიმში, სითხე, რომელსაც ის შეიცავს, ცხიმგროვად იქცევა. რის შედეგადაც ეს ხრაშუნა კარტოფილი ლიპიდებად გადაიქცევა, რაც იწვევს გასუქებას და ვნებს არტერიებს. ერთი ულუფა კარტოფილის ფრი შეიცავს 274 კკალორიას. ასევე არ გირჩევთ შემწვარი კარტოფილის სისტემატურად ჭამას, ისიც 126 კკალორიას შეიცავს. დიეტაზე მყოფთ ვურჩევთ, ჭამონ მოხარშული ან ფოლგაში შემწვარი კარტოფილი, მაგრამ ყველაზე სასარგებლო და გემრიელი კერძია — კარტოფილის პიურე, რომელიც მხოლოდ 81 კკალორიას შეიცავს. 48 წლის ინგლისელ ქალბატონს, კეიტ პერიმენს კარტოფილის პიურეს, ჩიპსების და შოკოლადის გარდა, აგერ 40 წელია, სხვა არაფერზე დაუკარებია პირი. ბავშვობაში მშობლები აძალებდნენ სხვადასხვანაირ კერძებს. ჭამის შიშით გათენება შეჯავრდა. მერე მკურნალმა ექიმმა ურჩია მშობლებს, — სჯობს, ის ჭამოს, რაც უნდა. ასაკის მომატებასთან ერთად უფრო მრავალფეროვანი საჭმლის მიღებას დაიწყებსო. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ.

ქალბატონი პერიმენი ყოველდღე ჭამს რამდენიმე ფილა შოკოლადს, 6 პაკეტ კარტოფილის ჩიპსებს და უამრავ პიურეს. კეიტი თავს მშვენივრად გრძნობს, არასოდეს უავადმყოფია. ის კი არა, ექიმების აზრით, 25 წლისას ჰგავს, რაც იმის დასტურია, რომ კარტოფილის და შოკოლადის დიეტა ყველაზე მეტად უხდება მის ორგანიზმს. ერთადერთი, ვისაც ძალიან აწუხებს კეიტის მენიუ — მისი ქმარია. კეიტთან ერთად წასვლა არც ერთ რესტორანში არ შეიძლება, რადგან ხეირიან დაწესებულებებში მსგავსი საჭმელები არა აქვთო, — ბუზღუნებს ტრევორი.

***ლიზა №37***

# „პიკოვიტი“ შემოდგომას ზეიმობს



17 ოქტომბერს საბავშვო ვიტამინმა „პიკოვიტმა“ შემოდგომის ნისლიანი დღე ფერადოვნად გაუცისკროვნა პატარებს. საბავშვო ბაღების „ზასტი-ბუზუსა“ და „საპოვნელას“ შემოდგომის ზეიმისადმი მიძღვნილი საკონცერტო პროგრამები „პიკოვიტის“ წყალობით განსაკუთრებულად ჩატარდა. სიმღერითა და ცეკვით თავის მოწონების შემდეგ ნორჩებმა ფარმაცევტული კომპანია „კრკასგან“ საჩუქრები მიიღეს. ულამაზესი ცერემონიალის ბოლოს ვესაუბრეთ სლოვენიური ფარმაცევტული კომპანია „კრკას“ წარმომადგენელს საქართველოში **მაკა ასათიანს**.

— ამ ორ ბაღში საშემოდგომო ზეიმი ტარდებოდა და მოვინდომეთ „პიკოვიტით“, კეპებით, მაისურებითა და სხვა საჩუქრებით გაგვეხარებინა პატარები. „პიკოვიტის“ აბები მეტად შეუწყობს ხელს მათ ჯანმრთელობას.

— ***რა განსაკუთრებული თვისებები აქვს „პიკოვიტს“?***

— ეს არის პოლივიტამინები ანუ ვიტამინები და მინერალები ბავშვებისათვის, რომელიც შეიძლება ერთი წლის ასაკიდან მიიღოს ბავშვმა. „პიკოვიტი“ ორგვარია. „პიკოვიტი-ფორტე“ და „პიკოვიტი-D“. ისინი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის არის განკუთვნილი და ხელს უწყობს ნორჩების ზრდა-განვითარებას. საამისოდ მასში ვიტამინების და მინერალების იდეალური კომბინაციაა.

— ***რამდენი ხნის ისტორია აქვს „პიკოვიტის“ არსებობას?***

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იგი ფართოდ გამოიყენებოდა კლინიკურ პრაქტიკაში, ამასთან თანდათან მდიდრდებოდა ახალი ფორმებით, რომელიც წლების განმავლობაში მუშავდებოდა. „პიკოვიტი-D“ შაქარს არ შეიცავს. ის გათვალისწინებულია 2-დან 4 წლამდე ბავშვებისთვის და კარიესის განვითარებსაც უშლის ხელს. ბავშვი დიაბეტითაც რომ იყოს დაავადებული, თამამად შეიძლება მისთვის „პიკოვიტის“ მიცემა. ჯერჯერობით სხვა ასეთი ვიტამინი არ არსებობს ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე.

— ***ექიმის რეკომენდაციის გარეშე შეიძლება მისცენ „პიკოვიტი“ ბავშვებს მშობლებმა?***




— თუ დედა ატყობს რომ ბავშვი ჩამორჩენილია გონებრივად, აქვს სუსტი მადა, იოლად ილლება ან ზრდაში შეფერხება აქვს, რა თქმა უნდა, სასურველია „პიკოვიტი“ მისცეს, მაგრამ მე მაინც ვურჩევ მათ, რომ ეს გააკეთონ ექიმის რეკომენდაციით, რადგან „პიკოვიტი“ მაინც წამალია, ანუ ფარმაკოლოგიური პრეპარატი.

— **„კრკას“ შესახებ რას გვეტყვით?**

— „კრკა“ სლოვენიური ფარმაცევტული კომპანიაა, რომელსაც 50 წლის ისტორია აქვს და დიდ ფარმაცევტულ ტრადიციებზეა აგებული. უშვებს ყველანაირი საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი ხარისხის პრეპარატებს და იძლევა ყველა თავისი წარმოებული პრეპარატის ხარისხის გარანტიას. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო „საპოვნელას“ აღსაზრდელებს, რომელთაც შესანიშნავი საჩუქარი დაგვახვედრეს თავადაც. მათ ლამაზი ლექსითა და სიმღერით რეკლამა გაუკეთეს „პიკოვიტს“, რომელიც ასე ჟღერს: „თუ გვინდა რომ გვქონდეს მადა, და ცეკვაშიც ვიყოთ ცქვიტი, ყოველ დილით ჭამის შემდეგ, გადავყლაპოთ „პიკოვიტი“. ჯადოსნური აბებია, არ ეგონოს ვინმეს მითი, წითელ-ყვითელ, მწვანე-ყღალი, ფერებია „პიკოვიტის“. ჩვენი კომპანიის მიერ „პიკოვიტის“ შესახებ გაკეთებული რეკლამა კი ასეთია: „ბავშვებმა არ იციან რა სჭირდებათ, მაგრამ მათ იციან, რა უყვართ“. ანუ გემრიელი კანფეტის გემოს მქონე აბებისათვის, რომლებიც ძალიან სასიამოვნო საწუწნია, პატარები აღფრთოვანებას გამოხატავენ და ვიტამინების „ნუგბარი“ კომპლექსი არანაირად არ ასოცირდება წამალთან, რისი დალევაც, მოგეხსენებათ, მათ ძალიან არ უყვართ.

***ეკა ლომიძე*** Ⓡ



# თითოეულს თავისი დიეტა სჭირდება

გახდომას მხოლოდ კალორიებ-ის დათვლა არ შველის. დიეტოლოგი ატკინსი უარს ამბობს პურსა და ხილზე, საერთოდ, ნახშირწყლების შემცველ საკვებზე და გვირჩევს, მივირთვათ ცილები და ცხიმები. დიეტა 2 ფაზისგან შედგება. პირველ ფაზაში ადამიანი უნდა გახდეს და ამიტომ დღე-ღამეში მხოლოდ 20 გ ნახშირწყალი (მაგალითად, მხოლოდ ერთი ვაშლი) უნდა მიიღოს, ხოლო მეორე ფაზაში უნდა შეინარჩუნოს სასურველი წონა. არ გაეკაროთ პურს, ბრინჯს, ბოსტნეულს, ხილს, სამაგიეროდ, ხორცი და რძის პროდუქტები შეგიძლიათ მიირთვათ რამდენიც გსურთ.

ატკინსის მეთოდი უხდება მას, ვისაც მხოლოდ რამდენიმე კილოგრამის დაკლება სურს.

ექიმი-დიეტოლოგი მიშელ მონტინიაკი გვირჩევს, არ მივიღოთ მხოლოდ იოლად ასათვისებელი ნახშირწყლები — შაქარი, პური, ბანანი, ალკოჰოლი, ბრინჯი, კარტოფილი და სხვა. გახსოვდეთ, მოხარშული სტაფილო ხელს უწყობს გასუქებას, ხოლო ცოცხალი — არა. მონტინიაკი გახდომის მსურველებს ურჩევს, მიიღონ ყურძნის წვენი — დღეში 2 ჭიქა. ასეთი დიეტის დროს მაძღრისად უნდა ისაუზმოთ და მსუბუქად ივახშმოთ. თანაც საკვებს არ უნდა მიაყოლოთ წყალი. სითხის მიღება შეგიძლიათ საკვების მიღებიდან ნახევარი საათის შემდეგ.

კეფირის, ვაშლის, კომბოსტოს, ხაჭოს დიეტებს მონოდიეტებს უწოდებენ. მთელი დღის მანძილზე ადამიანი მხოლოდ ერთი სახის პროდუქტს მიირთმევს. იკითხავთ ალბათ, რა აზრი აქვს ამასო. ამით შეგიძლიათ აამუშაოთ გაზარმაცებული ორგანიზმი, გაიუმჯობესოთ ნივთიერებათა ცვლა.

***სობესედნიკი №37***


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


# მომავლის მკურნალის კაბინეტი

## მტკვარში შესვლამდე თურმე ადრე მეთევზე ფეხებს სხვაგან იბანდა...



ფიტოთერაპევტ **დავით ვაშაძის** კაბინეტი ყველაზე ნაკლებად ჰგავს თანამედროვე ექიმის სამუშაო ოთახს, თავი მუზეუმში უფრო გეგონება, იმიტომ რომ კედლები სავსეა უძველესი ნივთებით, თაროებზე ჩვენს წელთაღრიცხვამდელი თიხის ჭურჭელი და სხვადასხვა დანიშნულების ლითონის იარაღია (ზოგიერთი მათგანი სამედიცინოც ყოფილა!). ერთადერთი, რაც გაგახსენებს, რომ მუზეუმში კი არა, ექიმის კაბინეტში იმყოფები, მცენარეების სურნელია. სამკურნალო მცენარეთა ნაზავით ბატონმა დავითმა ბევრ ავადმყოფს მისცა შვება.

ერთი შეხედვით ორი განსხვავებული სფერო — მედიცინა და ისტორია (არქეოლოგია) მაინც ბევრით არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. ისტორია მედიცინის სფეროს უამრავ საიდუმლოს ინახავს.

— საქართველოში კლასიკური მედიცინის უმდიდრესი ისტორიული მასალა მოგვეპოვება. თუმცა, კომუნისტების მმართველობის დროს ბევრი რამ განადგურდა. რელიგიური, ისტორიული და სამედიცინო ლიტერატურა 6 ურმით გაუტანიათ მარტო სიონის ტაძრიდან და დაუწვავთ. ოთხიოდე საუკეთესო წიგნი შემოგვრჩა. ლენინგრადის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც აღმოჩნდა 4-5 ხელნაწერი ქართული სამედიცინო ლიტერატურისა, მაგრამ მათი შესწავლის უფლება ქართველებმა ვერ მიიღეს. პასუხი შეუვალია: Не положено! არადა უძველესი ხელნაწერები — ძველი გენიოსების მიერ შექმნილი ფუნდამენტური მედიცინაა. კათეტერი, ძველი ქართული კათატერი, უკვე III–IV საუკუნეებშია აღწერილი. საოცარია, მაგრამ მაშინ უკვე დეტალურად იცოდნენ და აღწერდნენ, თუ როგორ ხდება ზურგის ტვინიდან სითხის აღება. მაშინაც არსებობდა კლასიკური, დახვეწილი მედიცინა, საცოდაობაა ამისი დაკარგვა, სამწუხაროდ, სწავლის მსურველი ცოტაა.

**— მცენარეებით მკურნალობა უძველესი ტრადიციაა, თანაც როგორც ირკვევა, ძალიან ეფექტიანი.**

— პირველი ანტიბიოტიკი — პენიცილინი — 1938 წელს შეიქმნა, მაგრამ მანამდეც ხომ არსებობდა სამკურნალო საშუალებები, წამლები. ამიტომ, როცა მცენარეულ წამლებს უნდობლად უყურებენ, ეს უდიდეს დილეტანტობად მიმაჩნია. ფიტოთერაპიას დიდი ტრადიცია აქვს საქართველოში. მთავარია, გვქონდეს სურვილი და მცენარეებითაც შეიძლება მკურნალობა.

**— ეს კოლექცია ბევრ პაციენტს გააკვირვებდა, ექიმის კაბინეტში გამოფენილ არქეოლოგიურ ნივთებს არავინ ელოდება...**

— ხშირად თვითონ არქეოლოგები მოდიან, როგორც პაციენტები და შემდეგ დიდხანს ვსაუბრობთ არქეოლოგიაზე. რაც შეეხება აქ გამოფენილ ნივთებს, არა მგონია სწორად იქცეოდეს, ვინც ძვირფას ნივთს მალავს. მე მსიამოვნებს მათი ყურება, ამიტომაც მაქვს გამოფენილი. თუ რამ გამაჩნია, ვცდილობ, იქ მქონდეს, სადაც დროის დიდ ნაწილს ვატარებ, რომ მუდმივად შემეძლოს ამითი ტკბობა.

**— საბრძოლო იარაღიც ბლომად გქონიათ.**

— აქ მარტო საბრძოლო იარაღი ხომ არ არის? მაქვს საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დანიშნულების ნივთებიც.

**— ამ ნივთებს სად ყიდულობთ?**

— მშრალ ხიდზე... მთავარია, არქეოლოგიური ნივთები არ დაიკარგოს, არ გავიდეს საქართველოდან... მე ამისთვის ყველაფერს ვილონებ. თუკი უნიკალური რამ შემხვდება, ვიზრუნებ, რომ მის მუზეუმში მოხვდეს.

**— როგორც ვხვდები, ნადირობა და თევზაობაც გყვარებიათ.**

— მიყვარდა. ახლა აღარ დავდივარ სანადიროდ, ცხოველს ვეღარ მოვკლავ, მონადირეობას დიდი ცოდნა უნდა. მთაში ახლაც არის შემორჩენილი მთელი რიტუალი, როგორ უნდა მოემზადო სანადიროდ. მარხვაში ხომ ადრე არავინ ნადირობდა, თევზსაც კი არ დაიჭერდნენ. ის კი არა, მტკვარში შესვლამდე თურმე მეთევზე ფეხს იბანდა სხვაგან, მხოლოდ მერე შედიოდა მდინარეში. ეს ყველაფერი დავკარგეთ, დავკარგეთ ისტორიული გამოცდილება ბევრ რამეში, რაც ძალიან სამწუხაროა...

P.S. თავიდან მომეჩვენა, რომ ბატონი დავითის კაბინეტი სულაც არ ჰგავს ექიმის კაბინეტს, შემდეგ დავფიქრდი: იქნებ ეს მომავლის ექიმის კაბინეტიც იყოს. საუკუნეებით გამოცდილი ყოველგვარი ცოდნა, ისე როგორც აქ გამოფენილი საუკუნოვანი ნივთები, ფასდაუდებელია...

***ლელა ჯიყაშვილი***




**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

**შეიძინეთ!!!**



- **აპარატები**
- **ტესტ-ჩხირები**
- **ერთჯერადი ნემსები**
- **ავტომატური საჩხვლეტი**

**შპს „კონტრასტი“**

**ბორჯომის ქ. 4**



☎35-44-05; 34-74-03
899-19-60-55

**ოპერაციის გარეშე!!!**

**საგვარეულო მც. ნაკრები „პლანტა“**

- ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც)
- ჩირქოვანი გლანდები
- მასტოპათია (ფიბრომატოზი)
- კენჭები (ნაღვლის ბუშტი, თირკმელები)
- კისტა, ფიბრომა
- წყლული (ნებისმიერი)
- პროსტატიტი, ადენომა.

**მის: ქავთარაძის 16, ოთ. 431**
**ენვერ რამიშვილი**
☎ 30-09-10 (12-16 სთ-მდე)
877-49-61-48

**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწალისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
ალმაშენებლის 90/84 სად, სართ.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08

**NEW! გლუკოზამინი**

გლუკოზამინის ეფექტურობას განაპირობებენ მასში შემავალი ნატურალური კომპონენტები, რომლებიც რეკომენდირებულია სახსრების დაავადებების დროს, ხოლო ამ კომპონენტების ერთ ფორმულაში გარკვეული თანაფარდობით თავმოყრამ თავის მხრივ განაპირობა გლუკოზამინის არნახული შედეგები.




სახსრების დაავადებების ყველა სხვა პრეპარატებისაგან განსხვავებით გლუკოზამინში შემავალი მცენარეული ბოჭკოები არ აღიზიანებს კუჭნაწლავს და არ არის საშიში ჰიპერტონიკებისათვის, აქედან გამომდინარე მისი მიღება შეიძლება ხანგრძლივად.

ვინაიდან გლუკოზამინი განეკუთვნება ბიოლოგიურად აქტიური კვებითი დანამატების ჯგუფს, იგი ახდენს ზოგად გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას მთელს ორგანიზმზე.

- *საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს დაავადებულ სახსრებში და აუმჯობესებს მათ მოძრაობას.*
- *ამცირებს სახსრების ანთებას და მის თანმხლებ პროცესუალურ სიმპტომებს.*
- *ხელს უწყობს სახსრების ხრტილოვანი ნაწილის აღდგენას.*

**გლუკოზამინი — რთული პრობლემების იოლი გადაწყვეტა.**

ვრცელი ინფორმაცია შეგიძლიათ იკითხოთ გაზეთ "ჯორჯიან ტაიმს"-ში — "ნუტრიმენტ ჰაუსი"-ს გვერდზე.

ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE

მის: დ. ალმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03; 96-06-67
ყოველდღე, კვირის გარდა
www.shopge.com

# კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:

- დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ-კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
- ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
- სამეანო განყოფილებას;
- ახალშობილთა განყოფილებას;
- გინეკოლოგიურ განყოფილებას;
- თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
- ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია — ლაპარასკოპია);
- სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
- რეაბილიტაციის სამსახურს (ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ *66-73-70 71 72 73 74*



**ირანი და ახლო აღმოსავლეთი**

## ნობელიანტი ქალბატონი ჟურნალისტის ოჯახის ინტერესებს დაიცავს...

ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატმა, ირანელმა ადვოკატმა შირინ ებადიმ განაცხადა, რომ დაიცავს ირანში მოკლული კანადელი ჟურნალისტი ქალის, ზაქრი ყაზემის ნათესავების ინტერესებს... ირანული წარმოშობის კანადელი ჟურნალისტი თავის ქალის ტრავმის შედეგად გარდაიცვალა — მას დაკითხვის დროს ირანელმა სამართალდამცავებმა უმოწყალოდ სცემეს. ზაქრი ყაზემი ირანელი სტუდენტების დაპატიმრების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციის გადაღების გამო დააკავეს. ამ საქმეში მთავარ დამნაშავედ ირანის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტს რეზა აჰმადს მიიჩნევენ. გარდაცვლილის ოჯახი საქმის გამოძიებას ითხოვს.

## ევროპის ცენტრალური ბანკის თავკაცის მეუღლე ჰი — არაფატისას

ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის, ვიმ დუიზენბერგის მეუღლე გრეტა ნოემბერში პალესტინაში აპირებს ჩასვლას. იგი შეუერთდება იასირ არაფატის რეზიდენციასთან მის დასაცავად „ცოცხალ ფარად“ მდგართ, რომლებიც ამბობენ, რომ არ დაუშვებენ პალესტინის ლიდერის ფიზიკურ განადგურებას. ნიდერლანდელი ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში ქალბატონმა გრეტამ თქვა, — ჩემი შვილები და ქმარი არ მიწონებენ განზრახვას, მაგრამ მე სხვანაირად მოქცევა არ შემიძლიაო.

გრეტა დუიზენბერგი ყოველთვის უჭერდა მხარს პალესტინის ლიდერს. ისრაელის ჯარის მიერ სირიის ტერიტორიის სამიზნეების დაცხრილვის შემდეგ ქალბატონმა გრეტამ ამსტერდამში, თავის სახლზე პალესტინის დროშა დაკიდა. ის პალესტინის ტერიტორიაზე ისრაელის ოკუპაციის შეწყვეტისათვის მებრძოლი ჰოლანდიის კომიტეტის თავმჯდომარეა. 9 ნოემბერს ეს კომიტეტი იწყებს ისრაელის მიერ ე.წ. „უსაფრთხოების კედლის“ აგების საწინააღმდეგო აქციას. გრეტა დუიზენბერგის თქმით, ამ აქციას მხარს უჭერს გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი.

*კომერსანტი №182*

**ანტილის კუნძულები**

## ფრანგებო, დაგვიბრუნეთ ვალი!

1825 წელს ანტილის არქიპელაგის კუნძულმა ჰაიტიმ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამის სანაცვლოდ აფრიკელ მონათა შთამომავლებმა ფრანგ მიწათმფლობელებს მაშინდელი კურსით 90 მლნ ფრანკი გადაუხადეს. ჰაიტის მთავრობის აზრით, დღევანდელი კურსით ეს თანხა 21.685.135.571 დოლარსა და 48 ცენტს შეადგენს. ჰაიტის პრეზიდენტი ჟან ბერტრან არისტიდი აცხადებს, — ამ თანხაში არ შევიდა თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი პროცენტები, აგრეთვე მორალური და მატერიალური ზარალის ფულადი კომპენსაცია. ზარალი კი მართლაც დიდი მოგვაყენეს ფრანგმა კოლონიზატორებმაო.

არისტიდს ლიბიის პრეზიდენტმა მუამარ კადაფიმაც მიჰბაძა და იტალიას ულტიმატუმი წაუყენა — თუ ჩვენი ხალხისთვის თქვენი კოლონიზატორობის დროს მიყენებული ტანჯვის საზღაურს არ გადაიხდით, თქვენთან ეკონომიკურ კავშირს გავწყვეტთო.

*იტოგი №41*

# რა ხდებოდა ბაქოში

***ოპოზიციამ საარჩევნო უბნების დახურვისთანავე დაიწყო არჩევნების ოფიციალური შედეგების უარყოფა. ბაქოს ცენტრში, პარტია „მუსავათის“ შტაბბინის შენობასთან, გაიმართა ოპოზიციის სტიქიური მიტინგი. ოპოზიციის მონაცემებით, აზერბაიჯანელთა უმეტესობამ პარლამენტის ყოფილ სპიკერს, ისა ღამბარს მისცა ხმა. ეუთოს წარმომადგენლები „მუსავათის“ შენობასთან შეეცადნენ მიტინგის მონაწილეთა დაცვას შეიარაღებული პოლიციელებისგან, მაგრამ უცხოელ დამკვირვებლებს თავადაც მოხვდათ მათი ხელკეტები. ხელისუფლების ქცევით აღშფოთებულმა ეუთოს დელეგაციის წევრმა ჰანა ხოროშემოვიჩ-გროდესკამ განაცხადა, — ეს რომ ჩემს ქვეყანაში, პოლონეთში, მომხდარიყო, ამას საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ომს ვუწოდებდიო.***



ახლა უკვე ექსპრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის ვაჟისა და მემკვიდრის გამარჯვება ისეთივე გარდაუვალი იყო, როგორიც მისი თანმხლები მღელვარება ბაქოს ქუჩებში. სცენარი, რომლის თანახმად, სუსტი, არცთუ საუკეთესო რეპუტაციის (როგორც სამშობლოში, ასე მის საზღვრებს გარეთ) მქონე ილჰამ ალიევი მალე დაკარგავს ხელისუფლებასო, თითქოს განხორციელებას იწყებს.



მოხდა ის, რაც ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ შეუძლებელი იქნებოდა. დალეწეს მაღაზიები და საზოგადოებრივი შენობები, შეეცადნენ მთავრობის სახლის აღებას. ძალოვნებისა და ოპოზიციის დაპირისპირების ამსახველმა კადრებმა ყველა ტელეარხი მოიარა. ამ კადრებით ნათლად გამოჩნდა, რომ არც იმ ხალხს დაუკლია ხელი, ვინც თავს ოპოზიციონერს უწოდებს. ძირძველი ბაქოელებისათვის „ოპოზიციონერთა“ ეს ბრბო, უპირველეს ყოვლისა, „სახალხო ფრონტის“ დამრბევებთან ასოცირდება, რომლებიც ატერორებდნენ ქალაქს და ბაქოელ სომხებს უსწორდებოდნენ. ამიტომაც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობამ, მათ შორის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა, სწორედ ილჰამ ალიევს მისცა ხმა, თუმცა ის მამამისთან ახლოსაც ვერ მივა. ჯერჯერობით, მას მხარში უდგას მამის მიერ შექმნილი მექანიზმი — მთავრობაში, დიდ კორპორაციებში, ძალოვან უწყებებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში — ყველგან ისინი არიან და, რა თქმა უნდა, თავიანთი ახლანდელი სტატუსის შესანარჩუნებლად ყველაფერს იღონებენ. რუსეთს, ცხადია, მოსწონს უმცროსი ალიევის გამოუცდელობა. შვილს არა აქვს მამის მოქნილობა და ზედმეტად დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას თავს არ მისცემს, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთს ხელს აძლევს. ვაშინგტონიც დაინტერესებულია ილჰამ ალიევის პრეზიდენტობით, რადგან სიტუაციის გამწვავება, მით უმეტეს, მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთთან ომი (რაც გამორიცხული არ იყო, თუ სათავეში ნაციონალისტურად განწყობილი პარტია მოვიდოდა), ცხადია, ხელს არ აძლევს. ამერიკელებს უკვე დიდი ფული აქვთ ჩადებული აზერბაიჯანის ნავთობში. დასავლეთს არანაირი ილუზია არა აქვს კავკასიაში გეოპოლიტიკური შუქურის მოძრაობის შეცვლასთან დაკავშირებით. „აშშ-ს არ ძალუძს ხელი შეუშალოს რუსეთს მის ყოფილ რეგიონებში პოზიციის აღდგენაში“, — წერს „ვაშინგტონ თაიმსი“. აზერბაიჯანის შესაძლო დაახლოება რუსეთთან ალბათ იმ ურთიერთობას დაემსგავსება, რომელიც მოსკოვსა და თბილისს შორის მყარდება. იმის მიუხედავად, რომ შევარდნაძე აშკარად ანტირუსულადაა განწყობილი, საქართველო სერიოზული ტემპებით ამტკიცებს ეკონომიკურ კავშირს რუსეთთან.

საღად მოაზროვნე ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ პრორუსული ბაქო მაინც სჯობს ფუნდამენტალისტურ ბაქოს.

ბაქოს მოვლენების შემდეგ ილჰამ ალიევს ალბათ გაუჭირდება საერთაშორისო აღიარების მოპოვება, მაგრამ კატასტროფა უახლოეს ხანში არ მოხდება, მას მოსკოვი დაუჭერს მხარს.

***ბაქოს შეტაკებებში ასობით ადამიანი დაიჭრა, 6 ადამიანი მოკლულია, დაზარალდნენ შემთხვევით გამვლელები, მათ შორის, ქალები და ბავშვები. პოლიციამ გამოიყენა ხელკეტები, ნაღმტყორცნები, ცრემლსადენი გაზი და ძაღლები.***

***ოპოზიცია, რომელმაც თავის დროზე ვერ მოახერხა გაერთიანება, ძალიან შეშინებულია — ქვეყანაში რეპრესიები დაიწყო.***

### უცხოური პრესა ბაქოს მოვლენებზე:

ილჰამ ალიევი ისე სასტიკად გაუსწორდა ოპონენტებს, რომ ცხადი გახდა — მისი მმართველობა ავტორიტარული მამის მმართველობაზე გაცილებით ავტოკრატული იქნება.

*„ფაინეიშენალ თაიმსი“*

ბაქოში ხელისუფლების ხავერდოვანმა გადაცემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უზარმაზარი ნავთობსიმდიდრის მეგობრულ ხელში დარჩენა, რათა კონსორციუმმა „ბრიტიშ პეტროლიუმის“ თავკაცობით ააგოს ნავთობსადენი ხმელთაშუა ზღვისპირეთში ნავთობის მისაწოდებლად.

*„ინდეპენდენტი“*

ოპოზიციის ლიდერი ისა ღამბარი აცხადებს, რომ არ აღიარებს არჩევნების შედეგებს და ბრძოლას გააგრძელებს. მთავრობის წარმომადგენლები ოპოზიციას ადანაშაულებენ ქვეყანაში ხელისუფლების ძალით აღების მცდელობაში.

*„დეილი ტელეგრაფი“*

## მოკლედ

**ერევნის** ცენტრში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სომხეთის ოპოზიციამ კვლავ მოითხოვა პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის გადადგომა. ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა ბლოკში შემავალი პარტია „რესპუბლიკის“ თავმჯდომარემ ალბერტ ბაზეიანმა მიტინგზე განაცხადა — ქოჩარიანის თანამდებობიდან გადასადგომად ორი გზა არსებობს — საყოველთაო რეფერენდუმი ან სახალხო აჯანყება.

**გაეროს** უშიშროების საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ერაყის რეზოლუციას, რომლის თანახმად, მრავალეროვნულ შეიარაღებულ ძალებს ამერიკელი სამხედროები უხელმძღვანელებენ. დოკუმენტი გაეროს მონაწილე ქვეყნებს მოუწოდებს, თავისი სამხედრო კონტინგენტი ერაყში გაგზავნონ და ქვეყანას ფინანსურად დაეხმარონ.

**ბრიტანეთის** შიდაუსაფრთხოების სამსახურის მეთაურმა განაცხადა, — „ალ-ქაიდას“ საკმაოდ მოქნილი სტრუქტურა აქვს, ამიტომაც ქვეყანაში ტერაქტების განხორციელების საფრთხე კიდევ დიდხანს იქნებაო.

**იორდანიის** მეფე აბდალა -მ ისლამურ ქვეყნებს პალესტინელი ხალხის მხარდასაჭერად მოუწოდა. ორგანიზაცია „ისლამის კონფერენციის“ სამიტზე მან თქვა, — პალესტინის პრობლემა ვერ გადაწყდა, ამიტომ ჩვენ, მუსლიმანები, მოვალენი ვართ, დავეხმაროთ პალესტინელებს მანამ, სანამ ისინი საკუთარ მიწაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნიანო.

**ტაივანის** ადმინისტრაციულ ცენტრ ტაიბეიში დამთავრდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ცათამბჯენის ძირითადი ნაწილის მშენებლობა. „ტაიბეი-101“ სიმაღლით 508 მეტრია. იგი მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურის ცნობილ ცათამბჯენზე მაღალია. ახალ შენობაში 101 სართულია. დამპროექტებლებს მიაჩნიათ, რომ „ტაიბეი-101“ გაუძლებს 11 სექტემბრის ტერაქტზე გაცილებით ძლიერ დარტყმას, 7-ბალიან მიწისძვრასაც და ძლიერ შტორმსაც.

**უსამა ბინ ლადენის** უფროსი ვაჟი „ალ-ქაიდას“ გავლენიანი პირი გახდა, იგი მამამისის მიერ დაარსებულ ორგანიზაციაში ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ჯგუფს მეთაურობს. 24 წლის საად ბინ ლადენი მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტს პირველი ცოლისგან ჰყავს.

**საუდის** არაბეთში, 1932 წლიდან, რაც სამეფო შეიქმნა, არანაირი არჩევნები არ ჩატარებულა. წლეულს პირველად გაიმართება ადგილობრივი არჩევნები. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს სამეფოს პირველი პოლიტიკური რეფორმაა.

**ტოკიოში** ვიზიტად მყოფმა ჯორჯ ბუშმა პრემიერ-მინისტრ ძიუნიტრო კოიძუმის განუცხადა, რომ მხარს უჭერს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის მოსაწესრიგებლად მრავალმხრივი მოლაპარაკების დაწყებას. ბუშმა გამოთქვა სურვილი, რომ პეკინმა კვლავ იშუამავლოს კორეის ორი სახელმწიფოს, აშშ-ის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუსეთისა და იაპონიის დიალოგის წარსამართად.

**ბოლივიის** პრეზიდენტი გონსალეს სანჩეს დე ლოსადა გადადგა. კონგრესის საგანგებო სხდომაზე ტაშით შეხვდნენ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომელსაც ხალხის მოთხოვნა დაედო საფუძვლად. მოსახლეობა არ ეთანხმება მთავრობის გეგმებს ბუნებრივი გაზის ექსპორტირებასთან დაკავშირებით: კონსტიტუციის თანახმად, ძალაუფლება ვიცე-პრეზიდენტ კარლოს მესეს გადაეცა.

**მოსკოვის** №12 ნარკოლოგიურ დისპანსერში შეიქმნა ბავშვთა პირველი გამოსაფხიზლებელი. ალკოჰოლიზმით დაავადებულ ბავშვებს ჩაუტარებენ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ თერაპიას. ალკოჰოლმა, როგორც ანტიდეპრესანტმა, სამწუხაროდ, მყარი პოზიცია დაიკავა რუსეთში — ამბობს ბავშვთა პირველი გამოსაფხიზლებლის მთავარი ექიმი.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?

გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?

გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:
- ✔ მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- ✔ იპოთეკა,
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვა,
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.

დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,
☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.




ჩვენ გვწერენ

## გამარჯობა „კვირის პალიტრავ...“

როგორც ჩემს საყვარელ გაზეთს, გულითადი სიყვარულით მოგესალმებით და სალამთან დაკავშირებით ერთ ამბავს გიამბობთ, — მე დღემდე მახსოვს,ეგებ თქვენც მოგეწონოთ...

არცთუ შორეულ წარსულში, ყაბარდო-ბალყარეთში ბევრი ქართველი ცხოვრობდა და მათ შორის, დეიდაჩემიც. თითქმის ყოველ ზაფხულს ნალჩიკში ვატარებდი, ძალიან მიყვარდა ამ ქალაქის წვიმიან ქუჩებში სიარული... სწორედ წვიმიან დღეს (სამწუხაროდ, აღარ მახსოვს რომელი წელი იყო) სვანური ქუდით თავმოსილ 17-18 წლის ყმაწვილს ხნიერი ყაბარდოელი სალმით შემომეგება: მიხეილ ხერგიანს ვიცნობდი, დიდად ვაფასებდი და სწორედ მისით მიყვარხართ ქართველებიო! ისე გამახარა უცხოს თბილმა სალამმა და სიტყვებმა, ყურში დღესაც ჩამესმის და ასე იქნება, ვიდრე ცოცხალი ვარ — აფერუმ ყველას, ვინც საქართველოსა და ქართველ ხალხს არ დაუკარგავს სიკეთეს...

დაილოცოს იმ ქართველების სახელიც, ვინც კარგი ქართველობით უცხო ქვეყნის შვილს თავის სამშობლოს შეაყვარებს... არ გვაწყენდა ხალხნო, ასეთ ქართველებად რომ ვზრდიდეთ შვილებს. უნაყოფობაა ერისა, როცა კაცი კაცს, ქალი ქალს არ ჰგავს და აღარ ენდობა... იქნებ სწორედ ამის გამო აქვს ფასი დაკარგული ჩვენგან ნათქვამ გამარჯობასა და უცხოსგან შემოგებებულ სალამს. არადა, ჩვენ ხომ ოდითგან სალმითა და კაიკაცობით ვფასობდით?

უფალი ძლიერია, დაე მან გაათბოს ჩვენი გულები და კაცს — ვაჟკაცობა, ქალს — ქალობის მადლი დაუბრუნოს... გაგვიმრავლოს ქართველობის დამფასებელი სოფელ-ქვეყანაში...

***პატივისცემით, მამუკა ფილიშვილი***

„კვირის პალიტრის“ და მისი მკითხველის პროექტი

# გრძელდება



16 ოქტომბერს ისევ მარტყოფის გზას დავადექით. ის ორმოციოდე კილომეტრი, რაც რედაქციას მარტყოფის ბავშვთა სახლს აცილებს, ჩვენმა მიკროავტობუსმა ინსპექტორების ორაზროვანი ღიმილის „აკომპანიმენტით“ გაიარა და მარტყოფში ჩასული, გახარებული ბავშვების რკალში მოექცა.

მარტყოფელები გველოდნენ და მხიარული შეხვედრაც მოგვიწყვეს. მოზრდილ აღსაზრდელებს მანქანის დაცლაში დახმარება ვთხოვეთ და ვიღამ გაცალა ხელის განძრევა... ჭიანჭველებივით შეესივნენ და კარგა ხანს ნატვირთი მანქანა ორიოდ წუთში გადმოცალეს. ბავშვები ნივთებს დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ, თითქოს ადარებდნენ, ზაფხულის ნობათისგან ბევრად განსხვავდებოდა თუ არა. რახან უკვე მოსაღამოვებული იყო, დირექტორმა საჩუქრების განაწილება მეორე დღისთვის გადადო და ბავშვები უკლებლივ დაიბარა, რათა ერთად გაეხსნათ ყველა ყუთი. ჩვენი აზრით, ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რადგანაც ამით დირექტორი აღსაზრდელებს აგრძნობინებს, რომ ეს ყველაფერი საერთოა და მათ ეკუთვნის. მარტყოფში ერთი სასიხარულო ამბავი დაგვხვდა: თურმე რამდენიმე პიროვნებას, ჩვენი გაზეთის მასალის წაკითხვის შემდეგ, თვითონვე მიუტანია საჩუქრები ბავშვთა სახლში. გვინდა მათ მადლობა გადავუხადოთ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

სამწუხაროდ, ორი კვირის წინ რომ ვწერდით, სახლში შეყვანილი წყლის მილი საერთო სისტემაზე არ იყო მიერთებული და უახლოეს მომავალში მიაერთებენო, თურმე ნუ იტყვით და ეს „უახლოესი მომავალი“ განუსაზღვრელი დროით გაწელილა. ჯერ არც შეშის პრობლემაა გადაწყვეტილი. მართალია, თბილი ოქტომბერი დაიჭირა, მაგრამ ზამთარი ახლოსაა... სახლს კი გამოსაზამთრებლად 8-9 მანქანა მაინც სჭირდება. ამდენი შეშის დამზადებას, დაპობასა და გამოშრობას დიდი დრო სჭირდება.

კიდევ ერთი ახალი ამბავი მარტყოფიდან: თურმე, რამდენიმე დღეში მარტყოფელებს კიდევ 7 აღსაზრდელი შეემატება. არ გეგონოთ, რომ ეს ბავშვები ობლები ან არშემდგარი ოჯახებიდან არიან. უბრალოდ, მათ მშობლებს ისე უჭირთ, რომ ბავშვების შენახვა არ შეუძლიათ და ურჩევნიათ, ბავშვთა სახლში, მთავრობის იმედზე დატოვონ...

ჩვენ წინა ნომერშიც შეგატყობინეთ, რომ შემდეგი აქცია უკვე სხვა საბავშვო სახლისთვის იქნება განკუთვნილი. „კვირის პალიტრას“ თითქმის ყველა ასეთ ორგანიზაციაზე აქვს ინფორმაცია, მაგრამ მკითხველის აზრიც გვაინტერესებს, თუ რომელი ბავშვთა სახლი უფრო საჭიროებს დახმარებას და არის თუ არა იმის გარანტია, რომ დახმარება ბავშვებამდე მივა. გთხოვთ წერილობით გვაცნობოთ თქვენი შეხედულებები.

***გიორგი ჟორჟოლიანი***

ამერიკული კომპანია “Euro Pak International Inc.”

გთავაზობთ კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანს მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლებისგან IBM, DELL, COMPAQ, HP, TOSHIBA, SONY, როგორც ახალს ასევე მეორადი მოხმარების, საცალო და საბითუმო ფასებში. ფასები სომხეთში საწყობებიდან: Intel Pentium I 37$-დან, Intel Pentium II 102$-დან, Intel Pentium III 200$-დან. აგრეთვე 15” და 17” მონიტორების 45$-დან და ნოუთბუქების 390$-დან. სრულყოფილი საგარანტიო და სერვისული მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი წარმომადგენლობებია:

საქართველოში: ტელ: 22 78 59
899 74 50 65

სომხეთში: ტელ: (3741) 52 92 30
ფაქსი: (3741) 52 92 30

E-mail: optsales@gig.am
URL: http://www.gig.am

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 18 ოქტომბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0850 |
| ევრო | 2,4169 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4903 |
| რუსული რუბლი | 0,0693 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4591 |

შპს „გეოკორი“ აწარმოებს



ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ასლგადამღები აპარატები

1. იჯარა - ლიზინგი უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები

შავ-თეთრი ნითელი ლურჯი 2-დან 5 თეთრამდე ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით

ფერადი ქსეროასლები კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით აკინძვა, ლამინირება

პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO Company LTD

თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

„ხონსტროისი“ ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, ნითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

# „ველას“ თმის მოვლის უახლესი ტექნოლოგიები უკვე თბილისშია

მსოფლიოში სახელგანთქმული კოსმეტიკური პროდუქციის მწარმოებელმა გერმანულმა კომპანია „ველამ“ და მისმა ექსკლუზიურმა წარმომადგენელმა საქართველოში, კომპანია „გეოსტარმა“ ოქტომბერში სასწავლო სემინარები გამართეს ქართველი სტილისტებისათვის. დსთ-ის ქვეყნებში „ველას“ სტილისტების ინსტრუქტორი ლუის ჰუმელტი წელს პირველად გახსნილ „ველას“ სტუდიაში ქართველ სტილისტებს თმის კოსმეტიკური მოვლის უახლოეს ტექნოლოგიებს და მათი გამოყენების საშუალებებს აცნობდა. საპარიკმახერო ხელოვნების ახალი მეთოდებით — ვარცხნილობის, თმის შეჭრის, მოვლისა და დახვევის პრაქტიკაში დანერგვით, — თბილისში კიდევ უფრო მეტი ლამაზი და ბედნიერი ქალი ივლის. ვესაუბრებით საქართველოში „ველას“ წარმომადგენელ კომპანია „გეოსტარის“ გენერალურ მენეჯერს, **გიგა მაჩაიძეს:**



— ერთი თვის წინ გავხსენით „ველას“ სტუდია, რომელსაც სამმაგი დატვირთვა ექნება. აქ იმუშავებს სამთვიანი კურსები დამწყები სტილისტებისთვის, რომლებიც დიპლომებს მიიღებენ. კვალიფიკაციის ამაღლება შეეძლებათ ოსტატ დალაქებს. მათთვის სემინარებს ჩაატარებენ, როგორც მოწვეული სტუმრები, ისე ადგილობრივი სპეციალისტები. სტუდიას ექნება აგრეთვე „ველას“ სარეკლამო და პიარ-დატვირთვა, ანუ მომავალში ჩვენ რომელიმე სამოდელო კომპანიას უზრუნველვყოფთ სტილისტის სამსახურით და ისინი ჩვენ სარეკლამო მხარდაჭერას გაგვიწევენ.

— ***ლუის ჰუმელტის შესახებ რას გვეტყვით?***

— ერთი კვირაა იგი აქ იმყოფება, საერთოდ კი მეექვსე წელია თბილისში მსგავს სემინარებს ატარებს. იგი საკმაოდ მაღალი დონის ოსტატია. მუშაობდა აშშ-ში და სხვა ქვეყნებში, ასევე დიდი ხნის მანძილზე იყო რუსეთის პარიკმახერთა ნაკრების წევრი. რამდენიმე ხანს ის ელცინის ცოლის პირადი პარიკმახერიც იყო.

— ***ამჟამინდელი სემინარის თემაა — პროფესიონალური კოსმეტიკა ბიზნესმოხმარებისათვის. რას ნიშნავს ეს სახელწოდება?***

— საუბარია კოსმეტიკაზე, რომელსაც სილამაზის სალონებში ხმარობენ, ანუ „ველას“ აქვს პროდუქცია, რომელიც იყიდება მაღაზიებში და აქვს პროდუქცია, რომელსაც იყენებს დალაქი მუშაობის დროს. თუ თქვენ ინდივიდუალურად გსურთ მისი მოხმარება, შეგიძლიათ შეიძინოთ სილამაზის სალონებში, სადაც ჩვენთან სემინარგავლილი დალაქები გაგიწევენ კონსულტაციას.

— ***„გეოსტარის“ შესახებ რას გვეტყვით?***

— იგი არის რამდენიმე გერმანული ბრენდის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში. მათ შორის, „ველასიც“.

— ***ამჯერად რამდენი პარიკმახერი იყო სემინარზე და ვინ არიან ისინი, ახალბედები თუ ოსტატები?***

— სულ 40 პარიკმახერი იყო და ყველა მათგანი უკვე მუშაობს, ისინი აქ კვალიფიკაციის ასამაღლებლად იყვნენ.

ბატონ გიგასთან საუბრის შემდეგ, სემინარის შესახებ შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ თბილისელ სტილისტებს. ისინი ერთხმად აღიარებენ, რომ ეს სემინარები ძალიან ბევრის მომცემია.

გავეცანით ქიმიური დახვევის ახალ ტექნოლოგიებს. ვნახეთ სრულიად ახალი პროდუქცია, რომლის საშუალებითაც თმის ამგვარი კოსმეტიკური დამუშავება საშიში აღარ არის. წინათ ამის გვეშინოდა, ახლა კი თამამად შეიძლება ახალი პრეპარატებით მუშაობა. თმა ბუნებრიობას და სიჯანსაღეს შეინარჩუნებს. ეს ყველაფერი „ველას“ დამსახურებაა. რაც დრო გადის, ჩვენც და მომხმარებელიც ვრწმუნდებით, რომ „ველას“ თმის მოვლის საშუალებების წარმოებაში ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში.

— ***კიდევ რა სიახლეებია?***

— თმის საღებავები, მელირების საშუალებები სრულიად ახალი ტექნოლოგიითაა დამზადებული. ეს პრეპარატები ჯერჯერობით არ არის ჩამოტანილი თბილისში მასობრივი მოხმარებისთვის, მაგრამ ერთ წელიწადში უკვე მათი ფართოდ გამოყენება დაიწყება.

— ***სემინარებზე დასწრების მსურველთა შერჩევა როგორ ხდება?***

— გვაცნობებენ სემინარის შესახებ და ვისაც აქვს პრაქტიკული და თეორიული ცოდნის მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი, მოვა და სემინარებს დაესწრება.

— ***ახალი ტექნოლოგიებით სალონებში მომსახურება ძვირი ეღირება?***

— გააჩნია სალონებს. როგორც დღეს არის სხვადასხვა სალონში ფასები განსხვავებული, ისე იქნება მომავალშიც. ფასი მცირედით მოიმატებს, რადგან ჩვენ ძველი და ახალი პრეპარატების კომბინაციით ვიმუშავებთ, თორემ სრულიად ახალი ტექნოლოგიებით რომ ვიმუშაოთ, მართლა ძალიან ძვირი დაჯდება. თუმცა, თბილისში იქნება სალონები, სადაც მსურველებს ასეთ მომსახურებასაც შევთავაზებთ.




— ***კომბინაციებით მუშაობა რამდენად უსაფრთხო იქნება თმისთვის?***

— სავსებით უსაფრთხოა, როცა ოსტატი, დალაქი დადის „ველას“ სემინარებზე და გულდასმით სწავლობს თმის მოვლის ხელოვნებას, დარწმუნებული იყავით, რომ მის ხელში თქვენს თმას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, ამ სემინარებზე თმის ქიმიური დახვევის იმდენი ნიუანსი გვასწავლეს, რომ თბილისში პრაქტიკულად ბევრი მათგანის გამოყენება არც მოგვიწევს, რადგან აქ თმის ყველა სახით დახვევის მსურველები არ არიან.

***ეკა ლომიძე***

®

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ამბორი

მოგეხსენებათ, საგზაო ინსპექტორების „ეშმაკური“ ქცევა იმ დროს, როდესაც ნასვამად „ექვმიტანილთან“ აქვთ ხოლმე საქმე. ოფიციალური მისალმების შემდეგ საკმაოდ ახლოს მოდიან, ერთი სული აქვთ, როგორმე ალკოჰოლის სუნი შეიგრძნონ... ეტყობა, ჩემმა მეზობელმა გივიმ არ იცოდა მათი ამგვარი მზაკვრული მეთოდის შესახებ და სწორედ ამიტომაც მოხვდა კურიოზულ სიტუაციაში.



თბილისის შესასვლელში გივი საგზაო პატრულმა გააჩერა. რადგან მოძრაობის წესები არ დაურღვევია, მანქანა სავალი ნაწილის კიდეში მიაყენა და ინსპექტორისკენ გაემართა...

მიესალმა თუ არა ინსპექტორი, იმდენად ახლოს მოუწია სახე, რომ გივიმ გაიფიქრა, ალბათ ნაცნობად ჩამთვალაო და ისეთი მონდომებით აკოცა მარცხენა ლოყაზე, პოლიციელს ელდა ეცა:

— „რა ქალიშვილი მე მნახე შე უპატრონო!.. გეტყობა, მართლა მთვრალი ხარ — ქალს და კაცს ვერ არჩევო?

ეს „ამბორი“ გივის 25 ლარი დაუჯდა!

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## ფიცი მწამს...



მთელ ოზურგეთში ხუმრობით განთქმული გოგია გოგიჩაიშვილი ჩოხატაურში თავის ძმაკაცს, შაქრო ვასაძეს ესტუმრა. გადაირია შაქრო სიხარულით, „დაყარა სტოლზე ყოლიფერი“: ჭყინტი ყველი, ხაჭაპური, ბაღჩაში ახალმოკრეფილი კიტრი და პამიდორი, ამოზელილი ლობიო, ახალგამომცხვარი მჭადი... კაცმა რომ თქვას, არც ჩოხატაურული ცოლიკაურის ღვინო დანანებია... შეუდგნენ ქეიფს... შაქრო სადღეგრძელოებს ამბობდა და ბოლოში უგემურ არაყზე რომ წყალს დააყოლებენ, ისე მიაყოლებდა ხოლმე: — ბოდიში ახლა გოგია, ქათამი არ მყავს და იმიზა ვერ დაგიკალიო...

გოგია მაშინვე ულვაშზე ხელს გადაისვამდა და „პირს მოიწმენდდა“. — კი ვიცი, რომ არ გეყოლება, ახლა ქათამი გლახა გასაზრდელიაო... ქეიფი რომ დაამთავრეს, გოგია ბარბაც-ბარბაცით გამოვიდა ეზოდან, ჭიშკარს გადაეყუდა და ძმაკაცს გადასძახა: შაქროია, ბიჭო, ეზოში რომ ქათმის სკინტი გიყრია, გაფიცებ ყოლიფერს, მითხარი, მაი სკინტი ვინ მოგყიდა, ბაღჩიზა მჭირდება და მეორეჯერ რომ ამოვალ ჩოხატაურში, პაწას მეც ვიყიდიო...

***ლევან ჭანტურიშვილი, ოზურგეთი***

## ნახევრად სვანი



ჩვენი სოფლის საპარიკმახეროში რიგში იდგა ერთი სვანი. ეს რომ შებერტყილმა პარიკმახერმა შეამჩნია, აღტაცებით მოჰყვა ასეთ ამბავს:

— რა გულადი ხალხია ეს სვანები! ამ დილით ჩემთან შემოვიდა ერთი და პირი ქაფის წასმის გარეშე გამაპარსვინა, ამას კი ვაჟკაცის მეტი ვერავინ გააკეთებსო!..

ამასობაში რიგში მდგომი სვანის რიგიც მოვიდა. პარიკმახერი ჩვეულებრივ შეუდგა ქაფის მომზადებას, მაგრამ სვანმა შეაჩერა და ანიშნა, პირდაპირ დაიწყე პარსვაო.

პარიკმახერი საქმეს შეუდგა. კლიენტს მართლაც დიდი თავშეკავება დასჭირდა, ცრემლი რომ არ წასკდომოდა. ამასობაში ნახევარი უკვე გაპარსეს. გასაჭირში ჩავარდნილს მეორე ოთახიდან სიცილის ხმა შემოესმა, რამაც მიახვედრა, რაშიც იყო საქმე.

— მეორე ნახევარზე საპონი წამისვი, ნახევრად სვანი ვარ, დედა მყავს მეგრელიო!.. — იპოვა გამოსავალი.

***ედიშერ ქებურია, წალენჯიხის რაიონი, სოფელი ობუჯი***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკიამ ჰკითხა ბიჭიკიას:

— წელს ღვინო რამდენი დააყენე?

— ასე, 20 ლიტრი იქნება! — უპასუხა ბიჭიკიამ.

— კი, მარა, გეყოფა!?

— მეყოფა! — დაუსვა ბეჭედი ჭიჭიკიამ.

— როგორ გეყოფა?!

— შარშან სულ არ მქონდა და მეყო. ჰოდა, წელსაც მეყოფა, აბა რა!.. — „აუხსნა“ ბიჭიკიამ.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

### მხიარული ამბები ცნობილი ადამიანებისგან

## მორაგბის ნაცვლად... მსოფლიოში ცნობილი ბანი



პაატა ბურჭულაძე ძალიან სპორტული ყოფილა სკოლაში სწავლის წლებში. ბევრი სპორტული სექცია ჰქონია შემოვლილი. ბოლოს რაგბიში უცდია ძალა. რაგბი მაშინ სპორტის შედარებით უცხო სახეობა იყო და პაატას მშობლებმა — ქალბატონმა ნუნუმ და ბატონმა შუქრიმ არც კი იცოდნენ, როგორი ფიზიკური ძალა და ხშირად რისკი იყო საჭირო რაგბიში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ერთხელ პაატამ მშობლები შეჯიბრზე დაპატიჟა. მატჩი მაშინდელი „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა. ქალბატონი ნუნუ გაოცებული უყურებდა, მოედნიდან როგორ გამოჰყავდათ ხან ერთი, ხან მეორე ტრავმირებული სპორტსმენი. გადახედავდა მეუღლეს. მასაც ფერი ჰქონდა წასული ნერვიულობისგან. როგორც ჩანს, ძალიან შეაშინა იმანაც, რომ „თავდასხმა“ იმ სპორტსმენზე ხდებოდა, ვისაც ბურთი ეჭირა ხელში. ვიდრე პაატა ბურჭულაძე მოედანზე ბურთის გარეშე დარბოდა, კიდევ გაუძლო სტრესს დედამისმა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ერთმანეთს დაჯაჯგურებული თანაგუნდელებიდან თუ მოწინააღმდეგეებიდან პაატამ გამოიტანა გულში ჩახუტებული ბურთი, ქალბატონი ნუნუ საბოლოოდ აიტანა შიშმა, წამოდგა და მთელი სტადიონის გასაგონად დაიყვირა:



— პაატა! დააგდე ახლავე ბურთი! დააგდე ბურთი-მეთქი. ამ ამბავს დიდი ხალისითა და იუმორით იხსენებენ პაატას მეგობრები. მატჩის შემდეგ მშობლებმა კატეგორიულად მოსთხოვეს შვილს რაგბისთან ყოველგვარი შეხება მოსპეო. დაუჯერა პაატამ და დღეს ცნობილი მორაგბის ნაცვლად გვყავს ცნობილი მსოფლიო ბანი — პაატა ბურჭულაძე.

***ლელა ჯიყაშვილი, თბილისი***

## დათიკო ბაბუას რუსული

მეზობელი მყავს, სახელს არ დავასახელებ და რუსულთან მწყრალადაა. ერთ-ერთი მისი ნაცნობის სექსუალურ ორიენტაციაში ეტყობა, ეჭვი ეპარებოდა, მიმავალს ირონიული ღიმილი გააყოლა და ერთი გენიალური სიტყვით ამიხსნა:

— ზელიონი!

არც დათიკო ბაბუას „ეხერხებოდა“ რუსული და ამის შემწეობით, მეორე მსოფლიო ომში ასეთი კურიოზი შემთხვევია:



დაუყენებიათ ოცეული ხაზზე და დაუწყიათ იარაღის ჩამორიგება. დათიკო ბაბუას გვერდით მდგომისთვის გვარიანად მძიმე ტყვიამფრქვევი მიუწოდებიათ. ეს რომ დაუნახავს, უფიქრია, ცუდადაა საქმეო და გადაჭრით მოუთხოვია, — რამე პეტერე მომეცითო!

ოფიცერს მხოლოდ ერთი სიტყვა გაუგია და საზეიმო ვითარებაში გადასცა თურმე გულად მებრძოლს „პეტეერი“ (პროტივო ტანკოვოე რუჟიო).

დათიკო ბაბუა ღიმილით იხსენებდა:

— პეტერე კი არა, იმხელა იყო ის შეჩვენებული, ორი კაცი ძლივს დავათრევდით. სანგრიდან რომ გადავდებდით, ლულის მეორე ბოლოზე გერმანელები თეთრეულს აშრობდნენო...

***დათო ბახტაძე, ქუთაისი***

## დაბადების დღის „საჩუქარი“



ჟურნალისტის პროფესია ბევრ კურიოზულ შემთხვევასთან არის დაკავშირებული. გამონაკლისი არც მე ვარ. განსაკუთრებით, სასაცილო ამბები მაშინ გადამხდება თავს, როცა სტატიისთვის შესაფერის ფოტოსურათს ვეძებ.

მოკლედ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, პრობლემური სტატია მივუძღვენი თბილისში მომრავლებული მღრღნელების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. მასალები კი შევაგროვე, მაგრამ შესაფერისი ფოტოს შოვნა ამჯერადაც გამიჭირდა. თანაც, რედაქციის დავალებით, ისეთი სურათი უნდა გადამეღო ან მომეპოვებინა, სადაც ორი ან სამი ვირთხა კი არა, ვირთხების მთელი „ჯოგი“ იქნებოდა.

ამაოდ „ვიმორიგევე“ ნაგვის ბუნკერებთან, ვირთხები თითოოროლა თუ გამოჩნდებოდნენ. ისიც ღამით და მათი დაფიქსირება ფოტოაპარატით შეუძლებელი იყო.

რა უნდა მექნა. მოულოდნელად თავში ერთი იდეალური იდეა მომივიდა. დილაადრიან ვეწვიე ზოოლოგიის ინსტიტუტს და მღრღნელების განყოფილების უფროსს ვირთხების და თაგვების ფიტულები ვთხოვე. მას ჩემი თხოვნა ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მცირე ხნით სულგრძელად „დამითმო“ ორ ათეულამდე ვირთხის ფიტული, თანაც ეს ფიტულები იმდენად მაღალპროფესიულ დონეზე იყო მომზადებული, ცოცხლისგან ძნელად თუ გაარჩევდი.

მოკლედ, ერთი დიდი უცხოური ფირმების ლოგოებით აჭრელებული ცელოფანის პარკი ავავსე ვირთხების ფიტულებით და შინ წავიღე, რომ მერე რედაქციაში მიმეტანა და ფოტოკორესპონდენტს მონტაჟი გაეკეთებინა.

ამ ორომტრიალში სულ გადამავიწყდა, რომ ჩემი მეუღლის დაბადების დღე იყო.

...კარი ცოლმა გამიღო. ჯერ დიდ, ლამაზ პარკს შეავლო თვალი და გამიღიმა. მაგრამ ჩემს გულმავიწყობას საზღვარი არ ჰქონდა... პარკი მეუღლეს მივაწოდე და სამზარეულოში შევედი წყლის დასალევად.

ის-ის იყო, წყლით სავსე ჭიქა პირთან მივიტანე, რომ ჩემი მეუღლის განწირულმა კივილმა წყალიც დამავიწყა და ისიც, სად ვიყავი...

გულგახეთქილი გამოვვარდი და ვხედავ, დერეფანში ჩემი გულშეღონებული მეუღლე კედელზე მისვენებულა, გარშემო კი ზოოლოგიის ინსტიტუტიდან „წამოყვანილ“ ვირთხებს შემოურტყამთ ალყა...

***ზვიად ჩაკვეტაძე, თბილისი***

## მილოცვა





**ნაზი და ხატია ლემონჯავებს!**

ჩემო მშვენივრებო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას. სულ ასეთი ლამაზები მენახეთ.

გილოცავთ აგრეთვე შვილიშვილისა და დისშვილის, პატარა პაატას საქართველოში ჩამოსვლას მშობლებთან ერთად. გფარავდეთ უფალი და ყველა ანგელოზი.

*იზოლდა კოლხიდელი*

## მადლობა

მე, როგორც დევნილი, 7 წელია ვცხოვრობ ქალაქ ზუგდიდში, სხვის ოჯახში. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის ზუგდიდელებზე. მე, როგორც პირველი ჯგუფის შრომის ინვალიდ ექიმს ძალიან მიჭირს გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე, რაშიც კეთილი ადამიანები მეხმარებიან.

განსაკუთრებული პატივისცემით მინდა მოვიხსენიო შს ზუგდიდის სამმართველოს უფროსი, ბატონი **მამუკა შონია** – ადამიანი, რომელიც დღედალამ იბრძვის იმისათვის, რომ ფრონტისპირა ქალაქში სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდეს. ამ მეტისმეტად საპასუხისმგებლო საქმიანობასთან ერთად, ბატონი მამუკა არც სოციალურად დაუცველ ადამიანებს ივიწყებს და მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს მათ. პირადად მე, უზომოდ დავალებული ვარ მისგან.

ძვირფასო „კვირისპალიტრელებო", მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ მამუკას, ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მამუკასნაირი ადამიანები. მინდა, დიდი გამარჯვებები და წარმატებები ვუსურვო პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

*კეთილი სურვილებით, აფხაზეთიდან დევნილი, შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდი დარცმელია*

## ბინები

იყიდება „დინამოს" სტადიონთან ახლოს, საკუთარი, 1-სართულიანი სახლი, ს.ფ. – 100 კვმ, ეზო-ბაღით – 210 კვმ, სარდაფით, კაპ. გარაჟით – 32 კვმ, ავტონომიური გათბობით, სხვა დამხმარე სათავსოებით, ტელეფონით. ფასი: $35.000. ტელ: 34-52-33; 38-91-96. ქეთი

ორსართულიანი კეთილმოწყობილი, გარემონტებული 8-ოთახიანი სახლი პატარა ეზოთი, ორი აივნით, ორი სააბაზანო-ტუალეტით, დიდი სამზარეულოთი – 30 კვმ, ცხელი წყლით (გაზზეც და დენზეც). მის: გაბრიელ ისაკაძის ქ. №7 (გაგარინის მოედანთან). ტელ: 34-42-69. ცირა

სასწრაფოდ! იყიდება 40 კვმ მიწის ნაკვეთი, პროექტით და მშენებლობის ნებართვით, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, ხევანთან, გზის პირას. ტ: 899-94-11-94

იყიდება საგურამოდან 1 კმ-ში ახალაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფართი – 350კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით, თითოეული თავისი აბაზანა-ტუალეტით, ეზო 1200კვმ, კაპიტალური შემოღობვით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, ბ/აირით, შიდა აუზით. ტ: 899 94-11-94

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

GIJ – პირველი ქართული Au-pair-სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში Au-pair-პროგრამით გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა – უმოკლეს ვადებში. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

გთავაზობთ სამუშაოს ოჯახებში და სწავლას ოპეერის პროგრამით (ქალებისათვის), ასაკი შეზღუდული არ არის – მაღალი ანაზღაურებით, გერმანიასა და საფრანგეთში. მის: წერეთლის გამზ. №95ა (მანეჟი). მიღება ოთხშაბათს, 14-15 სთ. ტელ: 899 22-26-37

Требуется на постоянную работу:1. Руководитель отдела; 2. Зам. руководителя; 3. Инспектор по кадрам; 4. Офицеры запаса с опытом руководителя; 5. Педагоги и психологи. Отбор на конкурсной основе. Высшее образование, возраст 24-50 лет. Тел: 95-33-4 (с10-13; с 20-23)

## ვეძებ სამუშაოს

გამოცდილი ბუღალტერი, საერთაშორისო ბუღალტერიის, კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამების (ორის-ბუღალტერია, ინფობუღალტერი) მცოდნე. ვიმუშავებ ბუღალტრად (შეიძლება შეთავსებაც). მაქვს ჩემი კომპიუტერი საბუღალტრო პროგრამით. ტელ: 899 78-24-96

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები"! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – $200. მის: გაგარინის ქ. №10, მე-2 სად, ბინა №17. ტელ: 38-77-58; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

კაბინეტი პრეტენზიული ქალებისათვის!!! 1. თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის ხელმძღვანელობით; 2. გაიხსნა დამატებითი პროფესიული სწავლების საპარიკმახერო და კოსმეტიკის კურსები. დამთავრების შემდეგ გაიცემა საერთაშორისო სერტიფიკატი. მის: მ. „მარჯანიშვილი", აღმაშენებლის №113 (შესასვლელი თაღიდან). კაბინეტი №55. ტელ: 95-83-54

გთავაზობთ სხეულის ნებისმიერი ადგილის კორექციას. ცხიმების სწრაფ დაშლას, წონაში დაკლებას თვეში 7-დან 20 კგ-მდე, შიმშილის გარეშე; ასევე სიმაღლეში სწრაფ ზრდას, თვეში 3-4 სმ-ით, 2-დან 25 წლამდე. შედეგები გარანტირებულია. მის: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმია", I სართ, ოთახი №6. ტელ: 98-86-19; 893 90-15-52. კონსულტანტი ნინო

სიახლე საქართველოში! სენსაციური შედეგები! მოზარდმა 3 თვეში სიმაღლეში 13 სმ მოიმატა. მსურველთათვის კონსულტაციები უფასოა. ექსპერტ-კონსულტანტი ქ-ნი შორენა. ტ: 899-74-86-24; 66-68-66 (საღამოს)

„ახალგაზრდა დამცველთა ასოციაცია" გთავაზობთ: 1. უფასო იურიდიულ კონსულტაციებს; 2. ყველა სახის ფირმის რეგისტრაციას; 3. წარმომადგენლობას ყველა ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო დავის საქმეებზე; თქვენი ინტერესების დაცვას; 4. სადვოკატო მომსახურებას სისხლის სამართლის საქმეებზე. მის: მარჯანიშვილის ქ. №5. მე-2 სართ. ოთახი №11. ტელ: 91-11-94; 899 10-93-97 ; 893 34-31-33; 893 21-42-64

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულების შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას; სკამების მატრასების გარემონტება-განახლებას. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 95-97-12. ვალერი

## მკურნალობა

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (თლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

კვალიფიციური მასაჟისტი ვაკეთებ სამკურნალო მასაჟს. მივიღებ ნებისმიერი ასაკის პაციენტს. მოგემსახურებით როგორც ადგილზე, ისე ბინაზე მისვლით. ტელ: 98-64-14

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. ლევან სეხნიაშვილი. მიღება 9-13 სთ, ყოველდღე. ტელ: 95-83-54; 53-44-39; 899 97-85-46

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ვმკურნალობ ნერვის ანთებას, რადიკულიტს, პლექსიტს, ოსტეოქონდროზს, დისკოზს (დისკის ამოვარდნა), მარილების დაგროვებას, პოდაგრას, რევმატიზმს, კუნთებისა და მყესების ტკივილს, ხელ-ფეხის დაბუჟებას. გასინჯვა-კონსულტაციები უფასოა. მიღება – წინასწარი ჩაწერით. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან", ც. დადიანის №87), კაბ. №11, 11-15 სთ. ტ: 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექიმი ალექსიშვილი

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი) მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით, მაღალი შედეგებით ლიცენზირებულ სამედიცინო ცენტრში. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ (ყოფ. მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-15 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

სქესობრივი დაავადებები, სექსუალური პრობლემები, უროლოგიური დარღვევები. დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით. სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ლაზეროთერაპიის კათედრა. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 91-18-33; 899 21-36-30. გია

პირველად საქართველოში – აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით: შიში, დეპრესია, უძილობა, ჰალუცინაცია, ნევროზი, კლიმაქსი, ჰიპერტონია, ინსულტი, ინფარქტი, მარილები, სახსრები, ვარიკოზი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, ფიბრომა, კისტა, მიომა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული. ტელ: 99-75-90 (დღისით)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

შეგასწავლით ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებით. საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამებს „ორის ბუღალტერია", „ინფო ბუღალტერი", კურსდამთავრებულებს ერთი წლის მანძილზე გაეწევათ პრაქტიკული დახმარებები. ფასი ჯგუფში 70 დოლარი. ინდივიდუალურად – $250. ტ: 33-30-88; 899 78-24-96

უცხო ენების და კომპიუტერის სწრაფი კურსები „ელიტას-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებს ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში სასწავლებლად, აკადემიური წლის პროგრამით. მის: ქავთარაძის №12. www.elite-rc.com. ტელ: 30-39-20

კოსმეტიკის შესწავლა, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: სახის კანის დეფექტები, გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, ნიღბები, კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. ვინც ჩაეწერება 1-ელ ნოემბრამდე, გადასახადი შეუმცირდება 30%-ით. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტ. 66-53-56, 69-09-19; 893 33-09-66

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

გამოცდილი სპეციალისტი, მეცნიერებათა კანდიდატი, აბიტურიენტებს მოამზადებს ისტორიაში შეღავათიანი პირობებით. ტელ. 22-78-56

## იყიდება

ელიტარული დალმატინის ლეკვები. 899 93-21-16

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი", 12-16 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე– დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქნები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს მსუქან ადამიანებს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი ასევე, გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:



- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკვეთეთ ინტერნეტმაღაზიაში: **www.shopge.com.**
ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



## გოჩა ონიანის ხსოვნას!



გოჩა ონიანი ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს მოულოდნელად გარდაიცვალა. განსაკუთრებით თბილი და მოსიყვარულე ყოფილა იმ დღეს... ვინ იცის, რაღაცას უგრძნობდა გული.

დღეს 28 წლის გახდებოდა სვანეთის ულამაზესი მთების შვილი – გულმართალი, თბილი სულის ბიჭი. 9 წლის ქალიშვილი დატოვა. სალომე თვალცრემლიანი უყურებს თავისი ლამაზი მამიკოს ფოტოებს, „რა ახალგაზრდაა“ – ფიქრობს და გული ძალიან სტკივა. მოუშუშებელი ჭრილობაა მისი ოჯახისათვის გოჩასთან განშორება, მაგრამ დღეს მისი მეგობრები და ახლობლები მაინც იკრიბებიან მის საფლავზე და 28 წელს ულოცავენ აწ უკვე ზეციურ მოქალაქეს.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*შენს უმანკო სულზე მლოცველი შენი ოჯახი*

## ბერდია ყარმაზანაშვილის მონატრება



სიცოცხლეს შეტრფოდი, ჩვენო ბერდო, სიყვარულით სავსე იკვლევდი წუთისოფლის სავალ ბილიკებს, ბედნიერების ნაზიარებ სულს დაოკება არ ეწერა, ყველას თვალებში შესციცინებდი შენი ალალი ღიმილით, 23 წლის ჭაბუკი.

უშენობა უსაშველო ტკივილია, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. ვნატრობთ იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გაატარა შენმა უბედურმა დედ-მამამ და ძმამ, შენმა საფიცარმა ძმისშვილმა მარიამმა. გავიდა ერთი მწარე წელი, რაც აღარ გვესმის შენი ტკბილი ხმა, მხიარული სიცილი. რამდენ სიყვარულსა და სითბოს იტევდა შენი გული, სიკვდილიც გამორჩეული გერგო – შემზარავი და ტრაგიკული, საუკუნო სასუფეველში სევდით დამძიმებული გული მიგყვება, დედის ძაძები მიგაცილებს, მწუხარედ დაგტირიან უბედური მამა და გამწარებული ძმა. გულდამძიმებულნი ერთსლა შევთხოვთ უფალს, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი ცრემლით დანამული მიწა, რადგან „ზოგჯერ მოცვალებულთა პატივსაცემად ცოცხლები ტკივილს გულში იკლავენ“.

## ლანდა კობახიძის მონატრება



ლანდა, შვილო, უკვე სამი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. აღარ ხარ ფიზიკურად, სულიერად კი – ყოველთვის თავს დაგვტრიალებ. ჩვენ ვიცით, რომ ზეციდან ლოცულობ შენი ქმარ-შვილის, შენი ლამაზი ბიჭების, შენი ძმის, შენი ახლობლებისა და მეგობრების ოჯახებისათვის. ჩვენ კი დედამიწაზე დარჩენილები მუდმივად მოვდივართ შენს საფლავზე უამრავი ყვავილითა და სანთლებით ხელში. მოვდივართ, რათა უფალს შევთხოვოთ შენი მოსიყვარულე სულის ნათელში ყოფნა.

მშვიდად იყავი, შვილო, შენი ლამაზი ბიჭები ნელ-ნელა ვაჟკაცდებიან. შენი მეუღლე, შენი ოჯახის ყველა წევრი – ყველანი ვცდილობთ ისეთები აღვზარდოთ, როგორიც შენ გინდოდა. მაგრამ ერთადერთი და მთავარი აკლიათ – თბილი და შვილებისთვის თავდადებული დედა.

*„დედას ვერავინ ვერ შეედრება*
*გულითადობით ამ ქვეყანაზე“.*

*შენს სიყვარულს მონატრებული მშობლები – ლია და ჯამბულ კობახიძეები*

## მიშკა (მიშა) ანთელავას ხსოვნას!



მოვიდა შემოდგომა – მოჰყვა ფოთოლცვენა, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა – ბუნების კანონი, მაგრამ ვაი, რომ ხშირად ირღვევა კანონზომიერება... დაუბერავს ბედისწერის სიო და რომელიმე ფოთოლი ხიდან ფოთოლცვენამდე ჩამოვარდება... ისე, როგორც შენ, მიშკა... არ დაელოდე ოცდამეშვიდე ფოთოლცვენას – შენი დაბადების დღეს, 22 ოქტომბერს.

ვინ იცის, რამდენი ფიქრი, რამდენი აუხდენელი ოცნება წაიღე თან.

სიტყვები უძლურია შენზე სალაპარაკოდ, ადამიანის, მოყვასის სიყვარულით იყო გამთბარი შენი ხანმოკლე სიცოცხლის ყოველი ნაბიჯი, თუ ვინმეს დახმარება სჭირდებოდა, განურჩევლად ყველას ედექი მხარში, მეგობარს თუ ახლობელს. ლამაზად ცხოვრობდი. შენი ნაკვალევი სიყვარულითაა გამთბარი, ყველა დაგტირის, ყველას ენატრები – ლამაზი, ხუმარა ღიმილის ბიჭი. შენთან ყოველი შეხვედრა და საუბარი შენებური ხალასი იუმორით იყო გაჯერებული. ამიტომ არის, რომ ძალზე გვიჭირს.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, შენი ლამაზი სული მარადიული და უკვდავია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*ნატო ვეკუა, მაკა ხარჩილავა*

უშენოდ მოვიდა 22 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე, ძვირფასო მიშკა. დაუჯერებელია, რომ შენ აღარ ხარ, მაგრამ ვაი, რომ ეს სიმართლეა.

მუდამ მოღიმარი, თავმდაბალი, საოცრად თბილი, ერთგული და მოსიყვარულე იყავი...

მართალია, ფიზიკურად დაგვშორდი, მაგრამ შენი სახელი, შენზე ლამაზი მოგონებები, შენი სიყვარული ყოველთვის იცოცხლებს ჩვენს გულებში.

გვჯერა, რომ სამოთხეში ხარ შენი უსპეტაკესი სულის გამო, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, თვალცრემლიანებმა ავანთოთ სანთლები და ვილოცოთ შენი სულის უკვდავსაყოფად.

*მაია, მანანა, მაკა, ნანა, ლაურა*

## მიხეილ (მიშა) ანთელავას ხსოვნას!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო, ძვირფასო, ლამაზო მეგობარო მიშა! 22 ოქტომბერს 27 წლის ხდები. გვწამს, რომ ღვთის სამსჯავროზე პირნათელი წარდექი და დაბადების დღეს სამოთხის ანგელოზები გიხდიან. ჩვენ კი – შენი სიკვდილით დათრგუნვილი მეგობრები, ყვავილებით შევამკობთ შენს სამუდამო განსასვენებელს და ცრემლიანი თვალებით მოგილოცავთ დაბადების დღეს, საოცარი თვისებებით შემკულ, პერსპექტიულ ახალგაზრდას, რომელსაც უდროოდ შემოაღამდა 2 თებერვლის საღამოს. ჩვენს გულებში მოუშუშებელ იარად დარჩება ტრაგიკული ბედის მქონე, მარად 26 წლის მიშა ანთელავა.

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი*

## ტარიელ რევაზიშვილის გახსენება



2 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან – 22 ოქტომბრიდან, რომელიც ჩემი მეხის დაცემა იყო. ტკივილი და ცრემლი დაუტოვე შენს უბედურ დედას. მაგრამ ასე მგონია, რომ ყველა მატყუებს. არ მინდა დავიჯერო, რომ აღარ დამხვდები გაჩერებაზე და მეტყვი: რახან შენ ნახვას ვეღირსე, ახლა აღარაფერი მტკივაო. ამ ორი წლის განმავლობაში ცრემლი არ გამშრობია, გარეთ არ გავსულვარ – ასე მგონია, შენს წილ ჰაერს მე ვსუნთქავ, ჩემო განუკურნებელო ტკივილო. 43 წლის შვილმა დამტოვე. მითხარი, როგორ გავუძლო ამ ტკივილს? მხოლოდ ერთი იმედით, ჩემო საფიცარო – მალე მე და შენ მანდ შევხვდებით, მაშინ კი ველარავინ დაგვაშორებს, ჩემო ტკივილო. ყველას ძალიან ენატრები და ენანები – ოჯახს, ახლობლებს... აქაც კი, ვინც მიცნობს, ვინც იცის, რა უბედური დედა ვარ, ყველას ვეცოდები და ვებრალები. ვილოცებ შენი ცოლ-შვილისთვის. ნათელში გამყოფოს უფალმა.

## ნაირა გაბიტაშვილს!



განაცვალოს და, ჩემო ლამაზო ნაირა. ვაი, რომ ძალიან ხანმოკლე იყო შენი სიცოცხლე. 4 წელია უშენოდ ვცოცხლობთ. ვაი, ამ სიცოცხლეს.

ძალიან მწარეა ჩემთვის 24 ოქტომბერი. შენ ხომ ამ სიმწარით მომილოცე დაბადების დღე. ვერავინ მილოცავს იმ დღის მერე. ყველაზე მწარე იყავი ჩემთვის. მაინცდამაინც ამ დღეს რატომ დაგვტოვე?! სამ წელში ორი დის სიკვდილი ძნელია დედისთვისაც, ცრემლი რომ არ უშრება თვალზე. დავაჟკაცდა შენი ბონდოც, შენ რომ გაგიხარდებოდა, ისეთი შვილი გყავს. შენი ლამაზი სახე აქვს და შენ მაგივრად შენს შვილს ვეფერებით შენი და-ძმები. ორივეს გთხოვთ, ჩემო დაიკოებო – ლამარა და ნაირა, ილოცეთ თქვენი ობლებისთვის და კიდევ ჩვენი ლამაზი საქართველოსთვის, რომ მუდამ მშვიდობა იყოს. თქვენ კი იძინეთ მშვიდად. ნათელი ადგეს თქვენს სამუდამო სასუფეველს.

*შენი დაიკო მზია*

## გოგა (მარადი) იაშვილს!



ჩვენო საყვარელო გოგა, როგორ მოხდა ეს თავზარდამცემი ამბავი, რომ შენს დაბადების დღეს იმქვეყნიურ სამყოფელში გილოცავთ!

დღესაც კი ვერ გაგვიაზრებია, რა უბედურება დაგვატყდა თავს. მთელ ოჯახს, მშობლებს და ძმებს თანდათან ემატებათ ტკივილი. ჩვენ კი არ ვეგუებით შენს არყოფნას, არამედ პირიქით – ეს იარა მეტად გვახსენებს თავს. შენი ტყუპისცალი ძმა ხომ მთლად გაანადგურე.

ერთი კვირა ივავადმყოფე, შვილო. ეს ერთი კვირა გამოდგა სწორედ თავზარდამცემი. 31 დეკემბერს დაიშრიტა შენი დღეები. სამუდამოდ გაგვიმწარე ახალი წელი. შენი გიგასთვის თუ გავაკეთებთ რამეს, რომ მას გული არ ვატკინოთ.

ერთ-ერთ ლექსში წერდი: მოვესწრებით ჩვენ კი კიდევ ახალ წელსო?! ეს საბედისწერო სიტყვები 15 წლის წინ გათქმევინა ღმერთმა. შენ ანგელოზად წაგიყვანა ღმერთმა თავის სასუფეველში, ჩუმი, უღალატო და ცოლ-შვილის უზომოდ მოყვარული. კარგად ითქვა ეს შენს პანაშვიდზე: ეს იყო კაცი, რომელსაც ყველა უყვარდა და სამაგიეროდ, არავისგან თხოულობდა სიყვარულსო. დიდმა ღმერთმა იცის, ვის მიუძღვის წვლილი შენს გარდაცვალებაში. ჩვენ ვერ დავგმეთ ღმერთი, მის მიერ შექმნილი სამყარო, ის სამყარო, სადაც გოგა იაშვილი ცხოვრობდა და დადიოდა. ნუთუ შენისთანა ხალხი ამძიმებს ამ დედამიწას?!

გვენატრები და ათჯერ მეტად გვიყვარხარ, გოგა. არც შენს თეატრს დაავიწყდები არასოდეს. შენი სული აქ ტრიალებს. ჩვენი ბიჭები კი, ყოველთვის ალამაზებენ შენს საფლავს.

ძალიან გვენატრები.

*ოჯახი*

## მარინა პაპიძის გახსენება



უკვე სამი ტკივილიანი და დარდით სავსე წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო მარინა, შენი მოულოდნელი და თავზარდამცემი სიკვდილიდან.

25 ოქტომბერს შენი დაბადების დღეა, ჩვენო ლამაზო, თბილო და უსაყვარლესო, სიკეთით სავსე მარინა.

მარინა, შენ ისეთი ტკივილი ხარ შენი გამწარებული მშობლებისთვის, რომ არავის შეუძლია ნუგეშისცემა მათთვის. შენს მონატრებაში უნდა გავლიოთ დარჩენილი წუთისოფელი. ძალიან გვაკლიხარ და უსაზღვროდ გვენატრები შენს მშობლებს, და-ძმებს, მეუღლეს და შვილებს, რომლებიც უშენობას ძალიან განიცდიან. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მშობლები, და-ძმები, მეუღლე და შვილები*

## გიორგი კონჯარიას და გიორგი მოწაფიას მონატრება



გვენატრებით ჩვენო ანგელოზებო, ლამაზო და კეთილო ბავშვებო! 10 წელი თავდება 21 ოქტომბერს, რაც თქვენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა საშინელი ტკივილი და მონატრება დატოვა ჩვენს ოჯახებსა და გულებში. ერთი წელი გახდება 15 ნოემბერს, რაც იმ უბედურ დღეს მოსწრებული ბებიათქვენი, თქვენთან არის. არ იცოდა საწყალმა, რომელი შვილისთვის ეთქვა ნუგეში, მასაც ხომ დამწვარი ჰქონდა გული. მაგრამ ის, თავისი კეთილი და სათნო ბუნების წყალობით მაინც ახერხებდა შვილების გამაგრებასა და გამხნევებას. თავად კი ვერ გაუძლო ამდენი ხნის უთქმელ ტანჯვას და 5 დღეში ჩაუწყდა ყველა სისხლძარღვი. თქვენ კი, ჩვენო პატარებო, დეიდაშვილებო, ორივენი 4 წლიანი იყავით და ორივეს გიორგი გერქვათ. ჩვენ კი, „ლუდასა“ და „შოშიას“ გეძახდით. თქვენი დეიდაშვილები ერთმანეთს ასწრებენ, სუფრაზე რომ გამოაცხადონ; ვუძღვნით ორ გიორგის, „ორადორი მეგობარი“. ყველა ტირის, ცრემლად იღვრებიან ისინიც, ვისაც ახსოვხართ და ის პატარებიც, რომელთაც არ ახსოვხართ. დრო მკურნალიაო, მაგრამ – პირიქით. ჩვენ ახლა უფრო ვხვდებით, რომ თქვენგან მოყენებულ ტკივილსა და დამწვარ გულს, გულს, რომელიც თქვენ გეკუთვნით, ვერაფერი მოაშუშებს.

უფალს შევთხოვთ, შეისმინოს ჩვენი ლოცვა-ვედრება და თქვენი უმანკო, ლამაზი და კეთილი სულები ნათელში ამყოფოს.

*თქვენი გულდამწვარი დეიდები და დეიდაშვილები*

## გოჩა – ალექსანდრე ჩირალიშვილის გახსენება



ჩემო მერცხალა ბიჭო! 40 ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ და სამარადისოდ ტკბილად ჩაიძინე.

11 სექტემბრის დილა ავადმოსაგონარი გაგვიხდა. 30 წელი გისრულდებოდა. მოწვეული გვყავდა მეგობრები ბუნებაში საქეიფოდ. დილა არ გაგითენდა. გულმა გიმტყუნა. მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ზეცამ, ჩვენ კი – მარადიული ტკივილი. უძლური აღმოჩნდა შენი სათაყვანებელი დედა შენს სათუთ გულთან ბრძოლაში, იმ გულთან, დიდ სითბოს და სიყვარულს რომ იტევდა ყველასათვის. იბრძოდა დედა, რომელმაც სიცოცხლე გაჩუქა და მაინც მის ხელებში გაცივდი. ვერაფრით ამოივსება სიცარიელე, რასაც უშენობა ჰქვია. შენი ყველა ნაკვალევი სიკეთით და ვაჟკაცობით არის გამთბარი.

ენატრები შენს მანანას, რომელიც უსაზღვროდ გიყვარდა. თითქოს გრძნობდი, რომ ერთად ყოფნა დიდხანს არ გეწერათ. ენატრები საყვარელ დედიკოს და მამიკოს, შენს საამაყო და საფიცარ ერთადერთ ძმას – გიას; ენატრები შენს პატარებს – შაკოს და ლაშას, ვერ აცნობიერებენ შენს სიკვდილს და სურათს ეძახიან ძილის წინ, – მამა, მამაო. პატარა ლაშა ძილშიც გეძახის „მამა ინდა“. არ ვიცი, რა ჰქვია ამ შემთხვევას, ტრაგედია თუ სასწაული – სამი თარიღი ერთად აღნიშნე: დაბადება, ბედნიერება, გარდაცვალება.

ყველა აუხდენელი ოცნება ზეციურ სასუფეველში აგისრულდეს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, გავუძლოთ უსაშველო მონატრებას და იარას, რომელიც არასოდეს მოშუშდება.

ვილოცებთ, რომ ამ ლოცვამ გადაგიყვანოს „სადაც მართალნი განისვენებენ“.

*შენი ოჯახი, მამიდები, დეიდები, ბიძები*

## ჯუმბერ ჭეიშვილის გახსენება!



ჩვენო საყვარელო ჯუმბერ! ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა ჩვენგან შენი წასვლის დღიდან. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები. შენი დიდსულოვნება და სისპეტაკე მისაბაძია ყველა ჩვენგანისთვის. უშენოდ ყოფნა ძალიან გვიჭირს. ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

*მეუღლე – თამრიკო ლეკიშვილი-ჭეიშვილი; შვილები – ალიონა, ბესო ჭეიშვილები; რძალი – თეა უსუფაშვილი; შვილიშვილები: ლუკა ჭეიშვილი, შორენა და სანდრო მოსიკაშვილები; და – ცუცა ჭეიშვილი; დისშვილი – იზო კორძაძე; სიძე – გურამ კორძაძე; დისშვილიშვილები – გურანდა, გიგა კორძაძეები*

## მელაძე ოლიას!



ჩვენო საყვარელო, დედასავით მოამაგე დაო. 24 ოქტომბერს ხდება ერთი წელი შენი წასვლის დღიდან. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენს დედმამიშვილებს, მათ შვილებს, ახლობლებს, შენი დაკარგვით მწარე მოგონება დაგვიტოვე.

შენი სიკეთე, სისპეტაკე და სათნოება მისაბაძი იქნება ყველა ჩვენგანისათვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის, რათა ნათელი გედგას სამუდამო სასუფეველში.

*შენი ძმა – ირაკლი, დები – ლილი, ნათელა*

## დიმიტრი ცაგურიას მონატრება



წლებმა ვერაფერი დააკლო ჩემს მწუხარებას, შვილო! ჩემო დედისერთავ, 1992 წლის 4 ოქტომბერს გამომეცალე ხელიდან. გმირულად დაიღუპე აფხაზეთის ომში – სოხუმელი კადრის ოფიცერი, კაპიტანი. მამამ ვერ გაუძლო შენს დარდს, მე კი შენი სულის სადიდებლად, შენზე სალოცავად, შენთვის წმინდა სანთლების დასანთებად ვამძიმებ დედამიწას.

ჩემო დიმა, შენი ფოტოსურათებიღა დამრჩა შენს გასახსენებლად, შენი ფოტოსურათები და შენი თავგანწირვა სამშობლოს დასაბრუნებლად. არ გაგიმართლა, შვილო, ჩვენი აფხაზეთი წაგვართვეს. იქნებ ღმერთმა იქამდე მაცოცხლოს, რომ ჩვენს სახლში დამაბრუნა, იქ დამანთებინა შენთვის წმინდა სანთელი და მერე შენთან ბედნიერი მოვიდოდი, ჩემო დედისერთავ..

*შენი უბედური დედა ფოთოლა ცაგურია*

ლამარა ჩხეიძე-ნაჭყებია სამძიმარს უცხადებს და თანაუგრძნობს *ჯემალ და ლესტა იზორიებსა და მათ ოჯახებს*, ძმის

**აკაკი იზორიას**

გარდაცვალების გამო.

# დავით კაკაბაძე: „მე ყველაფერი თქვენთვის მინდოდა...“

ხელოვანი, გამომგონებელი, მეცნიერი – ეს ყველაფერი ერთ პიროვნებაში ერთიანდებოდა, ეს გახლდათ დავით კაკაბაძე. 1952 წელს გარდაიცვალა გულის შეტევით. მაშინდელი ხელისუფლებისგან უარყოფილი, სამხატვრო აკადემიიდან დათხოვნილი, რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურის ძებნაში ამაოდ დამაშვრალი და სასოწარკვეთილი გამოეთხოვა წუთისოფელს შემოქმედი, რომელზეც არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა არ იტყოდა უარს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში შინიდან არ გამოდიოდა. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა დიდი მხატვრის ცნობიერებაში. მთელი სიცოცხლის მანძილზე მოგზაურობაში, სწავლაში, მუშაობაში მყოფი, სიკვდილმისჯილივით იყო გამოკეტილი ოთხ კედელში. გულიც აღარ მიუწევდა გარეთ – „ხალხის მტრებისაგან“ „გაწმენდილ“ სამყაროში.

სარდაფში კი, ნესტსა და მტვერში საგულდაგულოდ გადაგრაგნილი და შენახული მისი აბსტრაქციონისტული ტილოები აფარებდნენ თავს წყვდიადს. 70-იან წლებამდე მათი გამომზეურება ვერ გაბედეს.

დავით კაკაბაძის ათვალწუნების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ მხატვარი საფრანგეთში იყო ნამყოფი. 1919 წელს ლადო გუდიაშვილთან, ელენე ახვლედიანთან, გერონტი ქიქოძესთან ერთად ჩავიდა პარიზში. პარიზში გატარებული წლები იყო ყველაზე დატვირთული, ძიებით სავსე.

დავით კაკაბაძე 26 წლისა იყო, როცა წერდა, – ჩვენ ვდგავართ მსოფლიო ხელოვნების ცენტრშიო. ასეც იყო. პარიზში, მაშინდელი მხატვრობის აკვანში, გამოიცა წიგნი, სადაც დავით კაკაბაძე მოდერნიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად აღიარეს.

1925 წელს პარიზში, საგაზაფხულო სალონში 3.446 მხატვრული ტილო ყოფილა გამოფენილი. მაშინდელი გაზეთები წერდნენ: „სალონის დათვალიერებისათვის საკმაოდ კარგი ფიზიკური მომზადებაა საჭირო, მაგრამ ამ გადარბენის დროს აუცილებლად შეჩერდებით ბატონი კაკაბაძის ნამუშევრების წინ: ამ ჩინებული მხატვრული ნაწარმოებების შესახებ ერთის თქმა შეიძლია: წადით და ნახეთ ბატონი კაკაბაძის მხატვრობა“... „და მაინც... მთელი ეს სალონი მხოლოდ და მხოლოდ დიდი კაკაბაძეა“.

დავით კაკაბაძე ნებისმიერ ერს დაამშვენებდა!

რაც შეეხება მის შემოქმედებით დიაპაზონს, უბრალოდ რომ ვთქვათ, ერთი კაცისთვის წარმოუდგენლად დიდი იყო. ის გახლდათ, საინტერესო გამომგონებელი, ქართული კულტურის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, მნიშვნელოვანი წიგნების ავტორი. თუმცა მისი ღვაწლი მის სიცოცხლეში სამშობლოში არავის უღიარებია.

1922 წელს საფრანგეთში სტერეოკინოს აპარატი გამოიგონა. ეს იმდენად დიდი მიღწევა იყო მაშინდელი კინემატოგრაფიისათვის, რომ ამ გამოგონების პატენტები შეიძინეს ამერიკამ, საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიამ, იტალიამ, ბელგიამ, ესპანეთმა და უნგრეთმა. სტერეოკინოს აპარატზე მუშაობისას მას აფინანსებდა ფრანგი მეცენატი. შეუთავაზებია კიდეც დავით კაკაბაძისთვის: წავიდეთ შტატებში, შენი – ტვინი, ჩემი – ფული, სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფილი იქნებიო. დავით კაკაბაძეს უარი უთქვამს. მოგვიანებით იგი სამშობლოში სევდიანად იტყვის: „მე ყველაფერი თქვენთვის მინდოდა“...

ხელიხელ სატარებელ გენიოსს (ალბათ ეს სიტყვა სულაც არ არის გადაჭარბებული) სამშობლოში მცირედიც არ ეღირსა. აქ ჩამოსულმა გადაწყვიტა სტერეოკინოს აპარატის გამოგონების დაკანონება. შესთავაზეს, ნაშ-



„ავტოპორტრეტი“

რომი მოსკოვში გაეგზავნა. ევროპამოვლილმა ხელოვანმა ვერ გაითვალისწინა, რომ მოსკოვი ევროპა არ იყო. გააგზავნა თავისი გამოგონება. დიდხანს ელოდა პასუხს. ელოდა, ვიდრე რამდენიმე წლის შემდეგ, მოსკოვში ვიღაც ივანოვმა არ „გამოიგონა“ სტერეოკინოს აპარატი... რა თქმა უნდა, არავის გახსენებია დავით კაკაბაძე, რომლის დამსახურებაც გახლდათ ახალგამომცხვარი მეცნიერის – ივანოვის სამეცნიერო ასპარეზზე „გამობრწყინება“... სად უნდა წასულიყო, ვისთვის უნდა მიემართა... ცხადი იყო, დავით კაკაბაძეს საბჭოთა მთავრობა არც არასოდეს აღიარებდა.

მალე ეს მისი შემოქმედებისადმი დამოკიდებულებაშიც გამოჩნდა: მიზანში კუბისტური და მოდერნისტული სურათები ამოიღეს. იმერეთის პეიზაჟები არასაიმედოდ მოეჩვენათ – იდეოლოგიურად გაუმართლებელიაო...

23 წელი დავით კაკაბაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში პედაგოგად მუშაობდა. თანდათან მის გარშემო მტრულად განწყობილი იდეოლოგები გააქტიურდნენ, – დავით კაკაბაძეს არ შეუძლია ახალგაზრდას ხატვა ასწავლოსო. ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, არა თუ ხატვა, მასთან საუბარიც კი შეუძლებელიაო... მიხვდა დავით კაკაბაძე, რა უფსკრულსაც უმზადებდნენ. ოღონდ შემოქმედების უფლება არ წაერთმიათ მისთვის, სასწრაფოდ იდეოლოგიის საამებელი ტილოები შექმნა.

არაფერმა უშველა. სამხატვრო აკადემიაში საათები ჩამოართვეს, უსახსროდ დატოვეს. ჩვენს საათებს დავუთმობთ დავითს, ოღონდ აკადემიიდან ნუ გააგდებთო, გაბედეს და ხმა აიმაღლეს სერგო ქობულაძემ და აპოლონ ქუთათელაძემ. რა თქმა უნდა, ამაოდ... დავით კაკაბაძე დაითხოვეს. დაიწყო უმძიმესი პერიოდი მის ცხოვრებაში. რაკი, როგორც მხატვარი ასე შეზღუდეს, ფრანგულის სწავლების უფლება მოითხოვა – რაღაცით ხომ უნდა უზრუნველეყო ოჯახი. ასაკოვან მხატვარს, რომელსაც ფეხიც აწუხებდა და სიარულიც უჭირდა, ჭონქაძის ქუჩის ბოლოში, მაღალ ფერდობზე არსებულ პარტიულ სკოლაში მისცეს ფრანგულის საათები. არც მანქანა ჰყავდა, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი უდგებოდა იმ ქუჩას. სხვა რა გზა იყო, უნდა ევლო...

...ასეთი უიღბლო გამოდგა დავით კაკაბაძის ცხოვრება. თუმცა, მხნეობა არასოდეს დაუკარგავს... იმიტომ რომ ენერგიით, სულიერებით, ინტელექტით იყო სავსე... ასევე აღსავსე იყო სამშობლოს სიყვარულის ძლიერი გრძნობით, რომელიც ათქმევინებდა: „მე ყველაფერი თქვენთვის მინდოდა“...

*ლელა ჯიყაშვილი*

# ყოველ წელიწადს სამი დღე გადაბმულად მძინავს

— რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ტელეგადაცემიდან შევიტყვე, რომ ზესტაფონის რაიონის რომელიღაც სოფელში ერთი ახალგაზრდა ქალი ხანგრძლივად იძინებს და მერე მკურნალობისა და წინასწარმეტყველების უნარს იძენს. ასეთი ამბები სხვა დროსაც გამიგონია და ხალხის რეაქციაც ვიცი მათ მიმართ, მაგრამ ვერასოდეს ვბედავდი საკუთარი საიდუმლოს გამხელას. გადავწყვიტე, თქვენ გაგანდოთ ის უცნაურობები, რაც მჭირს. სამი შვილის დედა ვარ, 46 წლისა. უცნაური რაღაც მემართება. ყოველი წლის ზუსტად იმ თვესა და რიცხვში, როდესაც ჩემი პირველი შვილი მოევლინა ქვეყნიერებას, მეწყება საშინელი, თითქოს სამშობიარო მუცლის ტკივილი, რომელიც 5-10 წუთი გრძელდება, მერე ღრმად მძინავს სამი დღე. ვერც ერთმა ექიმმა ვერ დამისვა დიაგნოზი. რა მჭირს, დღემდე გაურკვეველია. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, ის არის, რაც ძილის დროს მემართება. აშკარად ვგრძნობ და ვხედავ, როგორ გავდივარ ჩემი სხეულიდან. მოდის ვიღაც თეთროსანი ძალიან ლამაზი ქალი და დამატარებს მთელ დედამიწაზე. მიამბობს ათასგვარ ამბავს ჩემი ნაცნობებისა თუ უცნობების შესახებ, თან მაფრთხილებს, რისი თქმის უფლება მაქვს და რისი — არა. თუ მის გაფრთხილებას დავარღვევ, დავისჯები. თუმცა, არ ვიცი, როგორ. მეუბნება, — დიდი საქმისთვის გამზადებ, უნდა დაეხმარო ადამიანებს, ოღონდ მაშინ, როცა გეტყვითო. ვინ უნდა მითხრას, არ ვიცი. „თეთრი ქალი“ ჩემს კითხვებს არ პასუხობს. როცა ვიღვიძებ, მეუბნებიან, — სამი დღე გადაბმულად გეძინაო. მე კიდევ მგონია, რომ ერთი თვე ან ერთი წელი ვიყავი სადღაც. უცნაურია, „თეთრი ქალი“ სამშობიაროებში დამატარებს და მშობიარობას მასწრებს, თანაც გაღვიძებისას ირკვევა, რომ ის ქალი, ვის მშობიარობასაც ძილში დავესწარი, ჯერ კიდევ მოსარჩენია. მე კი ზუსტად ვიცი, როდის დაეწყება ტკივილი, რა დროს დაიბადება მისი შვილი და ვინ იქნება იგი, ვიცი არა მარტო სქესი, არამედ მისი ბედიც და თვითონ მიკვირს, საიდან ვიმახსოვრებ და ვიხსენებ ამ ყველაფერს. თანაც თქმის უფლება არა მაქვს. როცა ერთი მძიმე მშობიარობის მოწმე გავხდი, ვთხოვე იდუმალ მეგზურს, გავაფრთხილებ ამ ქალს, საკეისრო გაიკეთოს-მეთქი. მითხრა, მასაც დაღუპავ და დაღუპავ ბევრ სხვას, ვისაც აქედან გასვლის შემდეგ უნდა უშველოო. არ ვიცი, სად გასვლაზეა ლაპარაკი. მოძღვარს ვუამბე, რისი თქმისაც არ შემეშინდა. მითხრა, — ილოცეო და მეც ვლოცულობ, არ ვიცი, რა ძალის ხელში ვარ, ვინ მყავს შემოჩენილი — ღვთის ანგელოზი თუ იდუმალი, ბოროტი ძალა. თუმცა, დღემდე ცუდი არაფერი შთაუგონებია ჩემთვის. როცა ვიღვიძებ, ისეთ ძალას ვგრძნობ მთელ სხეულში, მგონია, რკინას რომ დავადო ხელი, გადნება, მაგრამ ყველანაირი გამოცდის მეშინია. მეკრძალება სასწაულებრივი უნარის გამომჟღავნება, არადა, უკვე 20 წელია ოჯახში ყველა უცნაური მოწიწებით და რიდით მექცევა. ამას წინათ უფროსმა ქალიშვილმა მითხრა, — შენგან მარტო დედობრივ ენერგიას კი არა, რაღაცა სხვასაც ვიღებ, ოღონდ არ ვიცი, როგორ ავხსნა, თანაც ასე ემართება ოჯახში ყველას შენ მიმართ. როცა სამდღიანი ძილით გძინავს, შენს საწოლთან უცნაური სინათლე ციმციმებს ხოლმე, ჩვენ კი სანთელს ვანთებთ და ვლოცულობთ. ამ საიდუმლოს კი ვერავისთან ვამბობთ. როგორც კი თქმას დავაპირებთ, ენას ვეღარ ვატრიალებთ პირშიო. იქნებ ვინმეს სჭირდეს მსგავსი რამ, იქნებ ვინმემ შეძლოს ჩემი სასწაულის ახსნა, ანდა მკითხველი გამომეხმაუროს. მანამდე კი ერთ საიდუმლოს გავამჟღავნებ, იმედია, არ დავისჯები ამისათვის: საქართველოს საოცარი მომავალი ელის, ამ ქვეყანაში უკვე დაიბადნენ მეორე დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე და სხვები, კიდევ ბევრი გაჩნდება ისეთი, ვინც ქვეყანას სიმშვიდეს და დიდებას მოუტანს...



*ელენე ვ.*
*ქ. ქუთაისი*

# ჩვენ გვწერენ
# უარყოფილი შვილიშვილი ღმერთმა კარს მომაყენა...

— მაპატიეთ, რომ წერილს საკუთარ სახელსა და გვარს ვერ ვაწერ, ასაკოვანი ქალი ვარ, შვილებისა და შვილიშვილების პატრონი, მერიდება საქვეყნოდ გავამხილო ჩემი ცოდვა... ოდესღაც ჩემს უფროს ვაჟს მკაცრად ავუკრძალე იმ გოგონას ცოლად შერთვა, რომელიც მისგან ბავშვს ელოდა. მას შემდეგ 30 წელი მაინც გავიდა... და, აი, ამდენი ხნის შემდეგ საშინელი სიზმრები დამჩემდა. სახლის კარზე ვითომ ვიღაც აკაკუნებს. კარს ვაღებ. იქ ჩემი უფროსი ვაჟი დგას, ოღონდ არა 50 წლისა და ისეთი, როგორიც ახლაა, არამედ გაცილებით ახალგაზრდა... დგას და შემოსვლას ითხოვს. მე ვემუდარები, შემოვიდეს. ის კი ვერ შემოდის. ვართ დედა-შვილი ამ ტანჯვაში. ჭირის ოფლი მასხამს და ისე მეღვიძება. გავწამდი. შვილები ცალ-ცალკე ცხოვრობენ. დავურეკავ ხან ერთს, ხან მეორეს, შიშით გული მეწურება — ვაითუ, რომელიმეს უჭირს და მე არ ვიცი-მეთქი. სიმართლე გითხრათ, ჩემ მიერ ჩადენილი ცოდვა — უარყოფილი შვილიშვილი საკმაოდ გვიან გავიხსენე.

ამას წინათ, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. გავიხედე, ორი ბიჭი იდგა ქაღალდებით ხელში. ვიფიქრე, წინასაარჩევნოდ სარეკლამო ბუკლეტები თუ მოიტანეს-მეთქი. კარი გავაღე. ასეც იყო... ერთ-ერთი პოლიტიკოსის დაპირებები გადმომცეს. მაგრამ მე აღარაფრისათვის მეცალა. ჩემ წინ ჩემი შვილი იდგა, — ჩემი უფროსი ვაჟი, იგივე გამოხედვა, იგივე სახის ფერი და ოვალი, იგივე სიმაღლე, ღიმილისას ჩაჭყლეტილი მარცხენა ლოყა და ოდნავ მარცხნივ გადახრილი თავი (ჩემს შვილსაც დღემდე აქვს ეს ჩვევა)... როგორც ჩანს, ფერი დავკარგე. ბიჭებმა — ცუდად ხომ არ ხართო, — მკითხეს. თავი დავუქნიე და შინ შემოვიყვანე. სახელი და გვარი ვკითხე ორივეს. მიპასუხეს... ასაკი შევეკითხე, იმას, ჩემს შვილს რომ ჰგავდა, ზუსტად დაემთხვა... დავრწმუნდი, რომ ეს ჩემი შვილიშვილი იყო!

რა ვქნა, არ ვიცი... რძალსა და ვაჟს ვერაფერს გავუმხელ, ვერც ქალიშვილს ვეტყვი რამეს. უკვე ვიცი, ჩემი უცნობი შვილიშვილი სადაც მუშაობს. ჯერ უცოლშვილოა, ჰყავს დედა, მამაც და ორი დაც...



ახლა მთავარი რამ მინდა გიამბოთ ამ ჩემი სამარცხვინო ამბიდან: ჩემი მეუღლე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ჩვენი ვაჟის შეცდომის შესახებ არაფერი გაუგია. მას მძიმე დაავადება ჰქონდა და უსიამოვნო ამბებს ვუმალავდით. ამას წინათ ჩემი უბედურების შესახებ შინ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, თან ჩემს მეუღლეს შევნატროდი: ნეტავი შენ, რომ ამ ტანჯვას ასცდი-მეთქი. ისიც ვთქვი ხმამაღლა: ჩვენი მეხუთე, ყველაზე უფროსი და ყველაზე დაჩაგრული შვილიშვილი გამოჩნდა, ჩემი მიზეზით რომ დაკარგული გვყავდა-მეთქი. ამის თქმა იყო და, სასტუმრო ოთახში ბრახუნი გაისმა. გამოვედი... ჩემი მეუღლის სურათი, 15 წელი რომ ჰკიდია კედელზე, ჩამოვარდნილიყო და მინა ნამსხვრევებად ქცეულიყო. ჩემმა გამხელილმა ცოდვამ მისი სული ისე შეაწუხა, რომ იმქვეყნიური რისხვა ამქვეყნად გადმომწვდა.

გადავწყვიტე, ჩემი სახლი მემკვიდრეობით სწორედ ამ შვილიშვილს დავუტოვო. წავალ მის დედასთან... მე ჩემი ცოდვა აქამდე თავს დამტრიალებდა, რომ არ ვიფიქრე მისი მონანიება, ჯერ სიზმრებად მექცა, მერე გარდაცვლილი მეუღლის რისხვად...

*ქ. რ.*
*თბილისი*

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — დ); 2) — ბ); 3) — ა); 4) — დ); 5) — ბ); 6) — გ); 7) — ა).

**II.** პეპელა.

**III. გამოცანა.**

წვიმა.





## ოთხჯერ მამაკაცი

საუდის არაბეთის ერთი პატარა ქალაქის მკვიდრმა რეკორდი დაამყარა — ერთ დღეს ოთხი ცოლი მოიყვანა. ამით რამდენიმე თვის წინ შერთულ ცოლს დაუმტკიცა, არც ისეა საქმე, შენ რომ ფიქრობო.

კაცი ცოლის გაუთავებელმა საყვედურებმა დაღალა — ჩემ გარდა, შენ ვინ გამოგყვებოდა, ქალისა არაფერი გაგეგებაო.

შეურაცხყოფილმა ქმარმა გადაწყვიტა, ცოლისთვის დაემტკიცებინა, რომ კაციც არის და ქალისაც გაეგება. და, როგორც გითხარით, იმავე დღეს შინ ოთხი ახალი ცოლი მიიყვანა.

***ოკნა №38***

## მინიკაბები — პალესტინურად



პოლონელმა მოდელიერმა არკადიუს ვერემჩუკმა განაცხადა, რომ სურს მსოფლიო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ახლო აღმოსავლეთის ხალხების ტრაგიკულ ბედს და თავის გამოფენას, რომელიც ლონდონში მოეწყო, უძღვნის არაბეთისა და ისრაელის კონფლიქტის მოგვარებას.

მოდელიერმა პალესტინური ეროვნული თავსაფარი მინიქვედაკაბად გამოიყენა, რომლებიც მოდელ გოგონებს მხოლოდ წინიდან უფარავდა ინტიმურ ადგილებს, ტანი არაბული და ებრაული ანბანით ჰქონდათ მოხატული, მკერდზე კი სისხლიანი თეთრი მტრედების ფიტულები ეკიდათ.

მოხიბლულმა მაყურებელმა მოდელიერი ტაშით დააჯილდოვა.

***ოჯი***

## საიქიოში ვერტიკალურად

თურქეთის ერთ-ერთი ქალაქის, სასაფლაოს ძირფესვიანი „რეკონსტრუქცია“ ელის. ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ყველა მიცვალებული პოზიციას შეიცვლის — მწოლიარე მდგომარეობიდან მდგომარეში გადაინაცვლებენ.

ქალაქ იაჰიას მერმა ლუთფუ ეფემ მუნიციპალიტეტის წინ თავმოყრილ თანამოქალაქეებს ამცნო — ჩვენი მიცვალებულები უნდა ამოვთხაროთ და ხელახლა ვერტიკალურად დავმარხოთო. ხალხისთვის მაგალითი რომ მიეცა, ქალაქისთავმა თავის ანდერძში ცვლილებები შეიტანა — მას ვერტიკალურად დამარხავენ. მერის თქმით, ეს ერთადერთი საშუალება იქნება სასაფლაოებზე თავისუფალი ადგილების მოსაპოვებლად.

მიუხედავად იმისა, რომ იაჰიელები დიდად არ აღფრთოვანებულან მერის „ბრძნული“ გადაწყვეტილებით, ქალაქისთავი უკან დახევას არ აპირებს.

***მირ ნოვოსტეი***

## ახალი საოცრება

საბერძნეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ათენში ოლიმპიური თამაშების გახსნისთვის ააგოს მსოფლიოს ახალი საოცრება. ათენის სამხრეთ-დასავლეთით 210 კმ-ზე აშენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი დაკიდებული ხიდი. მისი სიგრძე 2 250 მ იქნება. ის გადაკვეთს კორინთოს ყურეს ქ. პატრისთან, დასავლეთ საბერძნეთში.

მსოფლიოში ყველაზე გრძელი ხიდის აშენების იდეა ჯერ კიდევ 100 წლის წინ მოუვიდა თავში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ ხარილაოს ტრიკუპის. გენიალური გეგმის დამუშავებას 94 წელი დასჭირდა. სამშენებლო სამუშაოები კი მხოლოდ 1997 წელს დაიწყო. ჯერჯერობით მგზავრები ერთი ნაპირიდან მეორეზე ბორნით გადადიან, რასაც 45 წთ უნდა. როცა ხიდი გაიმართება, ამ მანძილის გადალახვას 5 წთ დასჭირდება.

დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე დიდ დაკიდებულ ხიდად ითვლება იაპონური ხიდი აკასი კაიკე — 1991 მ.

***იტოგი №40***

## თურქეთში კენჭებს არ გაეკაროთ!



9 წლის გერმანელი ბიჭი ფილიპ გოტეკერი, რომელიც მშობლებთან ერთად თურქეთში ისვენებდა, ზღვის ნაპირზე ფერად-ფერად კენჭებს აგროვებდა და რას იფიქრებდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა.

გოტეკერების ოჯახი ანთალიის აეროპორტში დააკავეს მებაჟეებმა — ბიჭუნას შარვლის ჯიბეებში ნაპოვნი კენჭები ანტიკვარული იშვიათობააო. ეს ანთალიის ცენტრალური მუზეუმის ექსპერტებმაც დაადასტურეს — კენჭები ბიჭს უძველესი ქანდაკებისგან ჩამოუფხეკიაო.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ დედა და შვილი გერმანიაში გაამგზავრეს, ხოლო მამა, სტეფან გოტეკერი, საკანში მიაბრძანეს. თურქული კანონმდებლობის მიხედვით, მას 10-წლიანი პატიმრობა ელის.

ევროპარლამენტის გერმანელმა წევრმა ჰედვიგ ვიჰერტმა უკვე მიმართა თურქეთის ელჩს ევროსაბჭოში, რათა იგი პირადად ჩაერიოს ამ უცნაურ საქმეში და გერმანიის მოქალაქე გაათავისუფლოს.

***შტერნი***

## პორნოჟურნალები მოდიდან გადის

დასავლეთში ჩატარებულმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ 20-50 წლის მამაკაცების 52%-ს არ აღელვებს შიშველი ლამაზმანების ფოტოები, 28%-ს თამამად ჩაცმული ქალი უფრო აღიზიანებს, ხოლო ხუთიდან სამი — უარს აცხადებს იმ ქალების გაცნობაზე, რომლებიც არ ერიდებიან ზოგიერთი თვალში საცემი ადგილის სახალხოდ გამოჩენას.

განელდა ეროტიკული გამოცემებისადმი ინტერესი. მამაკაცები გულგრილად უვლიან გვერდს ეროტიკულ პოლიგრაფიულ მაკულატურას და ფიქრობენ, რომ ასეთი გამოცემები არაჯანსაღი სულის ადამიანებს იზიდავთ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №40***

## როგორ დაიბადა ჩარლსტონი



როგორც ამბობენ, ეს ტემპერამენტიანი ცეკვა მსოფლიოს რესპუბლიკა კაბო-ვერდემ (მწვანე კონცხი) უძღვნა. სახელწოდებას კი საპორტო ქალაქ ჩარლსტონს (აშშ, სამხრეთი კაროლინის შტატი) უნდა უმადლოდეს. ჩარლსტონი აქაური ზანგი დოკერების საყვარელი ცეკვა იყო. ფართო საზოგადოებას ჩარლსტონი 1923 წელს წარუდგინეს ჯორჯ უაიტის „შავ“ მიუზიკლში. პრემიერის შემდეგ უფლება დადგმასა და ცეკვაზეც ვინმე ფლორენს ზიგფელდმა იყიდა და ჩარლსტონით თეთრკანიანებიც „დაავადდნენ“.

1925 წელს ცნობილმა მომღერალმა, ჟოზეფინა ბეიკერმა ჩარლსტონი ევროპაშიც გაავრცელა და იგი მალე ცეკვების მეფედ აღიარეს. მას შემდეგ ვინ იცის, რამდენჯერ მიეცა დავიწყებას და რამდენჯერ გაიხსენეს იგი ოკეანის ორივე მხარეს. დღეს ჩარლსტონი ისევ პოპულარულია.

***ვოკრუგ სვეტა №10***

## ქურდები გრამატიკამ დაღუპა

ოთხი თვის წინ ავსტრიის მუზეუმიდან მოიპარეს ოქროს სტატუეტი „სალიერა“, რომლის ავტორია სახელგანთქმული ბენვენუტო ჩელინი. 50 მილიონ ევროდ ღირებულ შედევრში დამნაშავეებმა სადაზღვევო კომპანიას ხუთი მილიონი მოსთხოვეს.

მაგრამ წმინდა ინგლისურ ენაზე დაწერილ გამოსასყიდ ბარათში იტალიელებისთვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომები აღმოჩნდა. ავსტრიელები კვალს მიჰყვნენ, საქმეში იტალიელი კოლეგებიც ჩართეს და მძარცველებს მიაგნეს.

***ინტერპოლ-ექსპრესი №34***

## კანიბალები კოსმოსშიც არიან



ამერიკელები კარგა ხანს ვერ გაერკვნენ, რა ხდებოდა — ტელესკოპ „ჰაბლზე“ დაყენებულმა ახალმა კამერამ უცნაური კოსმოსური მოვლენა აღბეჭდა: დიდი გალაქტიკის შიგნით მეცნიერებმა შეამჩნიეს კიდევ ერთი, მომცრო გალაქტიკა, მაგრამ ყველაზე საოცარი რამ მოხდა რამდენიმე კვირის თვალთვალის შემდეგ — აღმოჩნდა, რომ პატარა გალაქტიკიდან ვარსკვლავები თითქოს დიდში გადადინდებიან. ბოლოს და ბოლოს, ასტრონომები მიხვდნენ, რა მოვლენას ჰქონდა ადგილი — გალაქტიკაშიც ყოფილან კანიბალები — დიდმა გალაქტიკამ პატარა გადასანსლა.

***ოგონიოკი***

## ტვინიდან ტვინში, ყელიდან — ყელში



67 წლის ლუჩანო პავაროტი სცენის დატოვებას 2005 წელს აპირებს. ამის შემდეგ, გადაწყვეტილი აქვს, თავისი მდიდარი, საოპერო მომღერლის გამოცდილება გაუზიაროს დამწყებ შემსრულებლებს, თანაც, უსასყიდლოდ.

— მე შესანიშნავად მიმიღეს მუსიკის სამყაროში, ამიტომ მინდა დავეხმარო უმცროს თაობას, — თქვა მომღერალმა, — მასწავლებლობა ყველაზე რთული მეცნიერება მგონია, ის სიმღერაზე ძნელია, რადგან უნდა გადასცე აზრი პირდაპირ ტვინიდან ტვინში და ხმა — ყელიდან — ყელში.

60-იან წლებში, დიდების მოსვლამდე, პავაროტი მასწავლებლობდა. „პენსიაში გასვლის“ შემდეგ გააგრძელებს ამ გზას მშობლიურ იტალიასა და აშშ-ში.

მომღერლისთვის შარშანდელი წელი ძალიან მძიმე გამოდგა — დაეხოცა მშობლები, ნიკოლეტას მშობიარობის დროს დაეღუპა ტყუპისცალი, დაშორდა თავის მენეჯერს, ჰერბერტ ბრესლინს, რომელთანაც 30 წელზე მეტხანს მუშაობდა.

ნოემბერში გამოვა პავაროტის ახალი ალბომი Ti Adoro („მე შენ მხიბლავ“). ახალ ალბომში პირველად ჩაერთვება თანამედროვე კომპოზიციები პავაროტის შესრულებით, რომელთაგან ბევრი საგანგებოდ მისთვის დაიწერა.

ენრიკო კარუზოს რეპერტუარიდან ერთი სიმღერის შესრულებისას ტენორს აკომპანიმენტს გაუკეთებს ცნობილი გიტარისტი, ჯეფ ბეკი, რომელიც ჯგუფ Yardbirds-ში უკრავდა.

***პარი მატჩი***

## ფერფლი და... სხვისი გული

ამერიკელი ქალბატონი კელი პერკინსი მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელიც გადანერგილი გულით მწვერვალებს იპყრობს: ახალგაზრდობაში ცნობილი მთამსვლელი არც ასაკმოჭარბებული ამბობს უარს მთების დალაშქვრაზე. სამიოდ წლის წინ კელის საშინელი ვირუსი შეეყარა და რამდენიმე თვეში გული მთლიანად დაუავადდა. მომაკვდავ ქალს ტრანსპლანტანტი სასწრაფოდ მოუძებნეს — ავტოავარიით დაღუპული მამაკაცი. გულის გადანერგვის რთული ოპერაციის შემდეგ, კელი ნელ-ნელა მომჯობინდა, მაგრამ ახალი საფიქრალი გაუჩნდა — გაუჭირდა ცხოვრება, რადგან რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყოველი მხრიდან ესმოდა — „არ შეიძლება!“. ქ-ნმა პერკინსმა გაბედა და როგორც კი ოდნავი შესაძლებლობა მიეცა, ვარჯიში დაიწყო. არ გასულა ორი წელი და მწვერვალზე ავიდა, ამჯერად, „სხვისი“ გულით. ეს იყო კალიფორნიაში, უიტნის მთა. კელიმ მას შემდეგ დაიპყრო მატერნჰორნის პიკი შვეიცარიაში, კილიმანჯარო — ტანზანიაში და ცნობილი ფუძიამა — იაპონიაში. სწორედ იქ მოაბნია ერთი პეშვი ფერფლი იმ კაცისა, რომლის გულიც ახლა უცემს მკერდში.

***ნიუ ზუიქი***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გერმანელი მწერლის, ჰერმან ჰესეს სიტყვებს ამოიკითხავთ**




**კ.** იაპონელთა ტრადიციული სამოსელი; **ვ.** შვიდი ქულა ძიუდოში; **ი.** სხეულის თვისება, შეინარჩუნოს თავისი უძრაობის ან თანაბარი მოძრაობის მდგომარეობა, სანამ გარეშე ძალა არ გამოიყვანს ამ მდგომარეობიდან; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის ავტორი“; **ი.** სევანის ტბის კალმახი; **ს.** რაიმე მოქმედებისთვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **პ.** იესოს ერთ-ერთი მოწაფე; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **ლ.** ხვიარა მცენარე; **ი.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ტ.** სულხან-საბა ორბელიანის მშობლიური სოფელი; **რ.** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლის დასამზადებლად 1500 მეტრი მავთულია საჭირო; **ა.** ცხოველი, რომელსაც აფრიკული სავანის სანიტარს ეძახიან; **შ.** მოწაფე; **ე.** ჯეკ ლონდონის ნაწარმოები „თეთრი ...“; **ნ.** რა ერქვა სემის, ქამისა და იაფეტის მამას; **ი.** დოდო აბაშიძის პერსონაჟის სახელი ფილმში „პირველი მერცხალი“; **გ.** ქალაქი შოტლანდიაში; **ა.** ქისტი მუცალის მკვლელის სახელი (ვაჟა-ფშაველა); **ზ.** ამ ცხენის გვარის ცხოველს ყეფა შეუძლია; **ე.** ვინსენტ ვან გოგის ეროვნება; **თ.** თავის ქალის ზედა ნაწილი; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელსაც საკუთარმა მოთმინებამ გაუთქვა სახელი; **ა.** მტაცებელი ფრინველი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დუბნო; **ა.** აკორდი; **ი.** იორდანე; **ს.** სკოტი; **ვ.** ვატმანი; **ე.** ელეგია; **ნ.** ნობელი; **ე.** ერმაკი; **პ.** პრაღა; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იუმი; **ტ.** ტიღა; **რ.** რეესტრი; **ი.** იარლიყი; **ს.** სლალომი; **ფ.** ფრაია; **ე.** ეგრისი; **რ.** რეიგანი; **ე.** ელცინი; **ბ.** ბაიყუში; **შ.** შვაბრა; **ი.** იანგული.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ბოროტებმა სიმღერა არ იციან.**

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:


5. ანგლო-ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი, წარმომავლობით პოლონელი, ხოლო 1979 წლიდან საფრანგეთის მოქალაქე


6. თამაში


9. პირადი ჰიგიენის ოთახი


10. მხატვარი


11. მოწყობილობა

15. მართალი, ნამდვილი, უტყუარი


17. ავეჯი


18. მსახიობი, საფრანგეთის სიმბოლო


19. სამოსი


20. სასუნთქი გზების დაავადების ერთ-ერთი სიმპტომი


24. იაპონია — იაკუძა, იტალია — ?


25. მინა, რომელსაც ტყვიის ან ბარიუმის ოქსიდი აქვს დამატებული


26. სასინჯი შესრულება


29. საბრძოლო ჭურვი


32. პარფიუმერიული ნაწარმი


33. საგამოფენო დარბაზი


34. პირი, რომლის დაბადების დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ


35. ხისკარკასიანი დირიჟაბლების კონსტრუქტორი

## შვეულად:


1. წალკოტი უდაბნოში


2. პერსონაჟი


3. მდინარე გერმანიაში


4. ნორვეგიელი დრამატურგი

5. იგივეა, რაც ბაკიბუკი


7. სპარსული კულტურისა და ენების კარგი მცოდნე


8. სათამაშო


12. „მოხუცი და ზღვა“, “მშვიდობით, იარაღო“ (ამერიკელი მწერალი)

13. სტუდენტის ხელფასი


14. მსხვილი კოლონიური სახელმწიფო (ზოგადად)


16. სხდომის ნაირსახეობა


21. აშშ-ის პრესტიჟული უნივერსიტეტი


22. ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ელემენტი


23. ესკადრის სარდლის გემი


27. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ფეხბურთში


28. ქვისა და ბეტონის კედლებში დასამაგრებელი მოწყობილობა, რომელიც ევროპაში ნახევარი საუკუნეა, რაც ცნობილია


30. მამათა დიდი მონასტერი


31. მისი სახელისგან წარმოდგა ცნება მედიცინა

**კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ**

**„კვირის პალიტრა“ №39 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. სილამაზე; 6. კალანხოე; 9. აზნაური; 10. მადონა; 11. ოსტაპი; 15. ქარიშხალი; 17. აგასი; 18. მარსი; 19. „პარკერი“; 20. კვორუმი; 24. ტოკიო; 25. შხარა; 26. ანტონიონი; 29. ფაფარი; 32. ბატუტი; 33. სფინქსი; 34. ინდიკარი; 35. ანისტონი.

**შვეულად:** 1. მანონი; 2. აზიზა; 3. მავრი; 4. ანონსი; 5. სინაგოგა; 6. ექსპრესი; 8. ვახუშტი; 12. შადრევანი; 13. კლაფორანი; 14. „ასკანიო“; 16. კალმახი; 21. ფორვარდი; 22. სანტანა; 23. კრისტალი; 27. ირონია; 28. კაპოტი; 30. „აფერა“; 31. ფსონი.

# ქუთაისელებს ბრაზილიელები გაწვრთნიან

ქუთაისის „ტორპედოს“ სათავეში ჩაუდგა ბრაზილიელი სპეციალისტი ჟოაო პაულე დე კამპუში. გასულ ჩემპიონატში ქუთაისის „ტორპედოს“ ტრიუმფალური სვლა თბილისის „დინამომ“ შეაჩერა. მანამდე „ტორპედომ“ ზედიზედ სამჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი და დაამტკიცა, რომ მისი ამბიციები საკმაოდ მაღალია, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ გაახალგაზრდავებული გუნდის მესაჭე ქუთაისელებმა ფეხბურთის ჯადოქართა სამშობლოდან იხმეს. ჟოაო პაულე დე კამპუშთან ერთად იმუშავებს მეორე ბრაზილიელი — ჟოაუ კარლუშ მარტინ რუიში.

წინასწარი კონტრაქტით ბრაზილიელები „ტორპედოს“ სამი წლის განმავლობაში გაწვრთნიან.

ჟოაუ პაულე დე კამპუშის აქტიური საფეხბურთო კარიერა ოც წელს ითვლის. მას უთამაშია ისეთ ცნობილ გუნდებში, როგორებიცაა: „სანტოსი“, „ბოტაფოგო“, „კორინთიანსი“, „ვასკუ და გამა“. კამპუში 1974 წელს „ფეხბურთის მეფის“, პელეს გვერდით ასპარეზობდა „სანტოსში“. ის მცირე ხნით მექსიკის „გვადალახარას“ ღირსებასაც იცავდა.

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, კამპუშს 16 წლის მუშაობის სტაჟი აქვს. მუშაობდა ბრაზილიის გუნდებში „ინტერნასიონალსა“ და „პარესკიოში“. სან პაულუს შტატში მას საკმაოდ აღიარებულ სპეციალისტად თვლიან, რაც თავის მხრივ დაადასტურა თბილისის „დინამოს“ ბრაზილიელმა ლეგიონერმა კარლოს და როჩამ.

რაც შეეხება დე კამპუშის დამხმარეს ჟოაო კარლუშ მარტინ რუიშს, მას სან პაულუს ფედერალურ უნივერსიტეტში, ფეხბურთის ფიზიკური მომზადების კურსები აქვს დამთავრებული. ის ავტორია წიგნისა, რომელიც ფეხბურთელთა ფიზიოლოგიურ თავისებურებებს ეხება.

# ივო შუშაკი ბლაჟევიჩს გვთავაზობს



*თბილისის „დინამოს“ ხორვატმა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე ქართველ გულშემატკივართა სიმპათია დაიმსახურა. მისი პროფესიონალური დამოკიდებულება სამაგალითოა და ბუნებრივია, არაა გასაკვირი, რომ ამგვარი მწვრთნელის საკუთარ გუნდში ხილვის სურვილი სხვა ამბიციურ გუნდებსაც გასჩენოდათ.*

ბოლო ხანს გავრცელდა ინფორმაცია, რომ შუშაკს რუსეთის რამდენიმე გუნდი ეპატიჟება. ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ თავად ბატონ ივოს.

— ასე მოგაბეზრეთ თავი, რომ უკვე ჩემს წასვლაზე საუბრობთ (იცინის)?! დავადასტურებ, რომ რამდენიმე გუნდი დაინტერესებულია ჩემით, თუმცა, მთავარი ჩემი სიტყვაა. ჩემი სული და გული „დინამოშია“ და არსადაც არ ვაპირებ წასვლას. მით უფრო, რომ ჩემი შესაძლებლობები არ ამომიწურავს ამ გუნდში. ერთსაც გეტყვით — გარდა იმისა, რომ კონტრაქტი მაკავშირებს „დინამოსთან“, მაქვს ის ურთიერთობები, რომელიც ჩემთვის განსაკუთრებულად ფასეულია.

**— თქვენ რუსეთ-საქართველოს მატჩს ესწრებოდით...**

— ამ შეხვედრისადმი ჩემი ინტერესი ბუნებრივი იყო. გარდა იმისა, რომ ჩემი ცხრა ფეხბურთელი თამაშობდა ეროვნულ და 21 წლამდელთა ნაკრებების შემადგენლობაში, მე საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც ვიყავი და ჩემთვის არაა სულერთი, როგორ ითამაშებს ეს გუნდი.

**— რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე საქართველოს ნაკრებმა?**

— შეიძლება ჩემი აზრი უმცირესობაში აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ თამაშის ხარისხი არცთუ შემაშფოთებელი იყო. პირველ ტაიმში რამდენიმე ეპიზოდში ჩვენი ნაკრების აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა, იყო ეპიზოდები, სადაც თანაბარი თამაში მიმდინარეობდა. მოსკოვში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ამგვარი ეპიზოდების შექმნა მიანიშნებს, რომ ნაკრებს აქვს გარკვეული პოტენციალი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს შეუძლია ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდეს.

**— ახლა საკმაოდ აქტუალური თემაა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნა...**

— ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებს ყველაზე უკეთ ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების სპეციალისტი შეეგუება. მე სხვა ქვეყნის სპეციალისტებსაც პატივს ვცემ, მაგრამ იმ რეალობასთან შეგუებას, რომელიც დღეს საქართველოშია, ყველაზე უკეთ სწორედ პოსტ-იუგოსლავიური ქვეყნების წარმომადგენლები მოახერხებენ, ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრებისთვის საუკეთესო კანდიდატურაა მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომელმაც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრები, მსოფლიო ჩემპიონის დებიუტანტი, მესამე ადგილზე გაიყვანა. მაშინ მასთან ვმუშაობდი და ვიცი მისი პროფესიონალიზმის თითოეული ნიუანსი. ეს სწორედ ისაა, რაც საქართველოს ნაკრებს დღეს სჭირდება. სამწუხაროდ, საკმაოდ კარგმა სპეციალისტმა ივკოვიჩმა სულ ახლახან ირანის ნაკრებთან გააფორმა კონტრაქტი... არც მისი კანდიდატურა იქნებოდა ურიგო საქართველოს ნაკრებისთვის...

**— თქვენც ხომ ყოფილი იუგოსლავიური ქვეყნების წარმომადგენელი ხართ...**

— (იცინის) კი, ასეა, ჩემი ქვეყანა — ხორვატია ერთ დროს იუგოსლავიის ნაწილი იყო...

# გიორგი კანდელაკი კვლავ იმარჯვებს



თბილისის სპორტის სასახლემ უმასპინძლა ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის კრივის მსოფლიო კავშირის ეგიდით.

გასულ წელს ამ ვერსიის ჩემპიონის ტიტული სანქტ-პეტერბურგში გამართული ბრძოლის შედეგად მოიპოვა გიორგი კანდელაკმა. მისმა მოწინააღმდეგემ, რუსმა ვასილიევმა ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა და კანდელაკს თავისი ქვეყნის სახელით მოასპარეზე გერმანელი შლაიგერი გამოუგზავნა.

ბრძოლისწინა პრესკონფერენციაზე გიორგი კანდელაკმა განაცხადა:

„შლაიგერის ჩხუბი რამდენჯერმე მინახავს, მოწინააღმდეგე საკმაოდ სერიოზულია, მისი ბრძოლები ლონდონში ყოველთვის დიდი ინტერესით გამოირჩეოდა. ველი, რომ დიდი წინააღმდეგობა შემხვდება, მაგრამ დამარცხებისთვის არ გავდივარ რინგზე. ჩემი გულშემატკივარი კიდევ ერთხელ უნდა გავახარო.“

შერკინება თორმეტრაუნდიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, 31 წლის გერმანელი მხოლოდ ორ რაუნდში იბრძოდა. მესამე რაუნდში კანდელაკმა ორჯერ გაგზავნა მეტოქე ნოკდაუნში. ამან, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად მოტეხა გერმანელი და რამდენიმე წამის შემდეგ ის ნოკაუტში აღმოჩნდა. დიდი ვერაფერი მოკრივე გამოდგა გარუსებული გერმანელი.

ასე რომ, გიორგი კანდელაკმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კრივის მსოფლიო კავშირის ვერსიით.

— გახარებული ვარ, რომ გავიმარჯვე. ამ ბრძოლას ბევრი მაყურებელი დაესწრო და თითოეულ მათგანს მინდა მივუძღვნა ეს გამარჯვება. ახლა წინ საპარლამენტო არჩევნები მელის და ვეცდები, იქაც ასეთ წარმატებას მივაღწიო. ჩემი მეტოქე სერიოზული გახლდათ, თუმცა, მე უფრო სერიოზული აღმოვჩნდი, — ხუმრობით დაასრულა ბრძოლის შემდგომი პირველი კომენტარი გიორგი კანდელაკმა.

კრივის მსოფლიო კავშირის ვერსიით, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაცვა ექვს თვეში ერთხელ ხდება. კანდელაკის მომდევნო მეტოქე სავარაუდოდ, სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა უნდა იყოს. ეს ბრძოლა გაზაფხულზე გაიმართება.

# ავსტრალიამ საქართველო რაგბით გაიცნო

ავსტრალიაში გრძელდება მსოფლიო თასის გათამაშება რაგბიში. ჩაიარა სასტარტო მღელვარებამ, გუნდებმა უკვე ითამაშეს ორ-ორი მატჩი და ახლა უკვე ემოციების გარეშე შეიძლება მიმდინარე პროცესების შეფასება.

**ზაზა ქასაშვილი** (რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი): — პირველი მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები ერთგვარად გულგატეხილი იყო. ჩვენ ველოდით, რომ დავმარცხდებოდით, თუმცა, ასეთი დიდი ანგარიშით თუ მოგვიგებდნენ, არ გვეგონა. მატჩის შემდეგ სპეციალისტები, ჩვენდა გასაკვირად საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდნენ. აქვე გეტყვით იმას, რომ მატჩის შემდეგ მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ოფიციალური საყვედური გამოუცხადა მატჩის არბიტრს, რომელმაც ხუთიოდე ეპიზოდისას ინგლისელების სასარგებლოდ თვალი დახუჭა წესების დარღვევაზე. რა თქმა უნდა, მის მიერ რომ დაფიქსირებულიყო წესების დარღვევა, თამაშს მაინც ვერ მოვიგებდით, მაგრამ მეტოქე 20 ქულით ნაკლებს დააგროვებდა.

ჩვენი ნაკრები ავსტრალიაში ჟურნალისტების ყურადღების ცენტრშია. ავსტრალიელები არ მალავენ, რომ ისინი საქართველოს ნაკრებს გულშემატკივრობენ თავიანთი გუნდის შემდეგ. ავსტრალიამ საქართველო სწორედ ჩვენი ბორჯღალოსნების მეშვეობით აღმოაჩინა.

მეორე თამაში ბორჯღალოსნებმა სამოას საკმაოდ ძლიერი ნაკრების წინააღმდეგ გამართეს და მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე დაწინაურდნენ, მატჩი ჩვენმა რაგბისტებმა დათმეს 9:46.

მომდევნო შეხვედრას მსოფლიო თასზე ბორჯღალოსნები სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან პარასკევს გამართავენ.

# ვინ გაიკვლევს გზას პორტუგალიისკენ?

ცნობილია იმ თერთმეტი გუნდის ვინაობა, რომლებიც მომავალ წელს პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ. დანარჩენი ხუთი ფინალისტის ვინაობას გაარკვევს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდებისგან შემდგარი ხუთი წყვილი.

**შოტლანდია — ჰოლანდია**
**რუსეთი — უელსი**
**ხორვატია — სლოვენია**
**ლატვია — თურქეთი**
**ესპანეთი — ნორვეგია**

პირველი მატჩები 15 ნოემბერს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე გაიმართება, საპასუხო კი — ოთხი დღის შემდეგ, 19 ნოემბერს.

# სენსაციები უეფას თასზე

გაიმართა უეფას თასის გათამაშების სამოცდამეოთხედფინალური მატჩები. ვერც ეს ეტაპი ასცდა სენსაციებს.

თურქულ-ინგლისური ფეხბურთის დაპირისპირება ამჯერად „გენჩლერის“ გამარჯვებით დასრულდა, რომელმაც მოულოდნელად „ბლექბერნი“ გამოთიშა გათამაშებიდან. სენსაციების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს გერმანული „ჰამბურგის“ მარცხი უკრაინულ „დნეპრთან“, აგრეთვე ბერლინის „ჰერტას“ ფიასკო პოლონურ „გროცლინთან“.

მეტად მოულოდნელი გახლდათ დონეცკის „შახტარის“ დამარცხება რუმინეთის „დინამოსთან“, აგრეთვე იტალიური „უდინეზეს“ წაგება ავსტრიის „ზალცბურგთან“.

რაც შეეხება ბოლნისის „სიონის“ ყოფილ მეტოქეს „პუხოვს“, რომელმაც როგორც შინ, ისე გასვლაზე, შანსი არ დაუტოვა ქვემოქართლელებს და საერთო ჯამში 6:0 მოუგო, „ბარსელონასთან“ შინ ნათამაშები სენსაციური ფრეს შემდეგ, კატალონიაში გასვლაზე დათმო შეხვედრა ასევე სენსაციური და არასაფეხბურთო ანგარიშით — 0:8.

ეს შედეგი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ რამდენად შორსაა ქართული ფეხბურთი საერთაშორისო სტანდარტებისგან.

უეფას თასზე მონაწილე ქართველთა კვინტეტი ოცდამეთორმეტედფინალში დუეტამდე შემცირდა. გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავიდნენ ლევან კობიაშვილის „შალკე“ და გიორგი ლომაიას „სპარტაკი“.

**უდინეზე (იტალია) — ზალცბურგი (ავსტრია) 1:2 (1:0)**
**ვალენსია (ესპანეთი) — აიკი (შვედეთი) 1:0 (1:0)**
**შახტარი (უკრაინა) — დინამო (რუმინეთი) 2:3 (0:2)**
**პუბლიკუმი (სლოვენია) — მაკაბი (ჰაიფა) 2:2 (1:2)**
**პერუჯა (იტალია) — დანდი (შოტლანდია) 1:0 (2:1)**
**ტორპედო (რუსეთი) — ცსკა (ბულგარეთი) 1:1 პენ. 3:2 (1:1)**
**ჰაპოელი (ისრაელი) — გაზიანთეფი (თურქეთი) 0:0 (0:1)**
**ლევსკი (ბულგარეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 4:0 (1:0)**
**გროცლინი (პოლონეთი) — ჰერტა (გერმანია) 1:0 (0:0)**
**ჰაიდუკი (ხორვატია) — გრასჰოპერი (შვეიცარია) 0:0 (1:1)**
**დებრეცენი (უნგრეთი) — ვარტექსი (ხორვატია) 3:2 (3:1)**
**დნეპრი (უკრაინა) — ჰამბურგი (გერმანია) 3:0 (1:2)**
**ესბერგი (დანია) — სპარტაკი (რუსეთი) 1:1 (0:2)**
**გრაცერი (ავსტრია) — ვოლერენგა (ნორვეგია) 1:1 (0:0)**
**ნორდსიელანდი (დანია) — პანიონისი (საბერძნეთი) 0:1 (1:2)**
**ჟილინა (სლოვაკეთი) — უტრეხტი (ჰოლანდია) 0:4 (0:2)**
**სლავია (ჩეხეთი) — სარტიდი (სერბეთი) 2:1 (2:1)**
**ვარდარი (მაკედონია) — რომა (იტალია) 1:1 (0:4)**
**რუსენბორგი (ნორვეგია) — ვენტსპილსი (ლატვია) 6:0 (4:1)**
**პეტრჟალკა (სლოვაკეთი) — ბორდო (საფრანგეთი) 1:1 (1:2)**
**სტიაუა (რუმინეთი) — საუთჰემპტონი (ინგლისი) 1:0 (1:1)**
**ტრაბზონი (თურქეთი) — ვილიარეალი (ესპანეთი) 2:3 (0:0)**
**მიოლდე (ნორვეგია) — ლეირია (პორტუგალია) 3:1 (0:1)**
**ლინი (ნორვეგია) — პაოკი (საბერძნეთი) 0:3 (1:0)**
**სოშო (საფრანგეთი) — მიუპა (ფინეთი) 2:0 (1:0)**
**ბაზელი (შვეიცარია) — მალათია (თურქეთი) 1:2 დ.დ (2:0)**
**ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ოდენსე (დანია) 4:3 (2:2)**
**მტკ (უნგრეთი) — დინამო (ხორვატია) 0:0 (1:3)**
**ბრედა (ჰოლანდია) — ნიუკასლი (ინგლისი) 0:1 (0:5)**
**ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ჰართსი (შოტლანდია) 0:0 (0:2)**
**მალმიო (შვედეთი) — სპორტინგი (პორტუგალია) 0:1 (0:2)**
**ბორუსია (გერმანია) — აუსტრია (ავსტრია) 1:0 (2:1)**
**ნიიმეგენი (ჰოლანდია) — ვისლა (პოლონეთი) 1:2 (1:2)**
**არისი (საბერძნეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა) 2:1 (1:1)**
**ლოკერენი (ბელგია) — მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 0:1 (2:3)**
**პარმა (იტალია) — მეტალურგი (დონეცკი, უკრაინა) 3:0 (1:1)**
**კოპენჰაგენი (დანია) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:1 პენ. 3:2 (1:1)**
**ლანსი (საფრანგეთი) — ცემენტარნიცა (მაკედონია) 5:0 (1:0)**
**ლივერპული (ინგლისი) — ოლიმპია (სლოვენია) 3:0 (1:1)**
**მალიორკა (ესპანეთი) — აპოელი (კვიპროსი) 4:2 (2:1)**
**ქსამაქსი (შვეიცარია) — ოსერი (საფრანგეთი) 0:1 (0:1)**
**უდინეზე (იტალია) — ზალცბურგი (ავსტრია) 1:2 (1:0)**
**ბლექბერნი (ინგლისი) — გენჩლერი (თურქეთი) 1:1 (1:3)**
**ბარსელონა (ესპანეთი) — პუხოვი (სლოვაკეთი) 8:0 (1:1)**
**ბენფიკა (პორტუგალია) — ლა ლუვიერი (ბელგია) 1:0 (1:1)**
**ვიქტორია (ჩეხეთი) — ბრონდბიუ (დანია) 0:1 (0:1)**
**ტეპლიცე (ჩეხეთი) — კაიზერი (გერმანია) 1:0 (2:1)**
**კარნტენი (ავსტრია) — ფეინოორდი (ჰოლანდია) 0:1 (1:2)**
**შალკე (გერმანია) — კამენი (ხორვატია) 1:0 (0:0)**

### ოცდამეთორმეტედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

**დინამო (ხორვატია) — დნეპრი (უკრაინა)**
**ბორუსია (გერმანია) — სოშო (საფრანგეთი)**
**მანჩესტერ სიტი (ინგლისი) — გროცლინი (პოლონეთი)**
**პანიონისი (საბერძნეთი) — ბარსელონა (ესპანეთი)**
**ბენფიკა (პორტუგალია) — მიოლდე (ნორვეგია)**
**სლავია (ჩეხეთი)— ლევსკი (ბულგარეთი)**
**ვალენსია (ესპანეთი) — მაკაბი (ისრაელი)**
**რუსენბორგი (ნორვეგია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)**
**სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (რუმინეთი)**
**გაზიანთეფი (თურქეთი) — ლანსი (საფრანგეთი)**
**შალკე (გერმანია) — ბრონდბიუ (დანია)**
**პერუჯა (იტალია) — არისი (საბერძნეთი)**
**უტრეხტი (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი)**
**ტორპედო (რუსეთი) — ვილიარეალი (ესპანეთი)**
**ვოლერენგა (ნორვეგია) — ვისლა (პოლონეთი)**
**რომა (იტალია) — ჰაიდუკი (ხორვატია)**
**ბორდო (საფრანგეთი) — ჰართსი (შოტლანდია)**
**სტიაუა (რუმინეთი) — ლივერპული (ინგლისი)**
**პაოკი (საბერძნეთი) — დებრეცენი (უნგრეთი)**
**ბაზელი (შვეიცარია) — ნიუკასლი (ინგლისი)**
**სპორტინგი (პორტუგალია) — გენჩლერი (თურქეთი)**
**პარმა (იტალია) — ზალცბურგი (ავსტრია)**
**კოპენჰაგენი (დანია) — მალიორკა (ესპანეთი)**
**ფეინოორდი (ჰოლანდია) — ტეპლიცე (ჩეხეთი)**

**პირველი მატჩები გაიმართება 6 ნოემბერს, განმეორებითი — 27 ნოემბერს**

***გვერდი მოამზადა გიგა ხრსელმა***

C M Y K

## №41 (367) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგში ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო. სახელგატეხილ სფეროში სახელოვანი ადამიანები აპირებენ მოსვლას და თავიანთი პროფესიონალიზმით იმიჯშელახული ქართული პოლიტიკის გადარჩენა სურთ. უდავოა, რესპონდენტებს გაუჭირდებოდათ რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება, რადგანაც თითოეული მათგანი მართლაც ღირსეული ადამიანი და თავისი საქმის პროფესიონალია. კითხვას — **„დეპუტატობის მსურველთაგან ვინ იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად?“** — 651 მკითხველი გამოეხმაურა. 11 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 270 ქალისა და 370 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი ყველაზე კეთილგანწყობილია გოდერძი ჩოხელის მიმართ — რესპონდენტთა 52-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური ქულა მხოლოდ 9 მკითხველმა (1,4) დაუწერა. **6,84** საშუალო ქულით ქართველი მწერალი და რეჟისორი არაპოლიტიკოს „პოლიტიკოსთა“ შორის პირველ ადგილზეა.

მკითხველი ასევე კეთილგანწყობილია ნონა გაფრინდაშვილის მიმართ, აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა (0,6) სწორედ ქალბატონმა ნონამ დაიმსახურა და 6,36 საშუალო ქულით მეორე ადგილს დაეუფლა.

გიორგი კანდელაკი მესამეზეა, საშუალო ქულაა 4,57. უნდა აღინიშნოს, რომ სახელოვანი მოკრივესათვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს 8,8 თითქმის ზუსტად ემთხვევა მინიმალურ ქულათა რაოდენობა — 8,9.

ყველაზე მეტი მინიმალური ქულა დათო ხუჯაძეს ხვდა წილად — რესპონდენტთა 32-მა შეაფასა იგი 1 ქულით. ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულა კი გია თორთლაძემ (1,7) დაიმსახურა.

**საინტერესოა, რომ მამაკაცებთან ნინო გურიელი უსწრებს დათო ხუჯაძეს; გიორგი ასანიძე კი — რეზო ჩხიკვიშვილს.**

მკითხველთა კეთილგანწყობის რეიტინგი ასე გამოიყურება. ამ კეთილგანწყობას, დაგვეთანხმებით, თან დიდი პასუხისმგებლობის დაკისრებაც ახლავს. ვნახოთ, როგორ გაამართლებენ სახელოვანი ადამიანები სახელგატეხილ პოლიტიკაში უბრალო ადამიანების — ამომრჩევლების იმედებს.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 64 წლის თბილისელი **სოსო ყურაშვილია**.

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 22 ოქტომბერს, 17 საათზე.

## №42 (368) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში.**

**№42 (368) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 22 ოქტომბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 23 ოქტომბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №42 (368) — არჩევნები

**თქვენი აზრით, ყველაზე მეტად ვინ (რა) უნდა იყოს 2 ნოემბრის არჩევნებში დემოკრატიულობისა და ობიექტურობის გარანტი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№42(368) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პოლიცია | |
| 2 | მასმედია | |
| 3 | ეუთოს დამკვირვებლები | |
| 4 | პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები | |
| 5 | ამომრჩევლები | |
| 6 | არასამთავრობო ორგანიზაციები | |
| 7 | საარჩევნო კანონი | |
| 8 | ადგილობრივი ხელისუფლება | |
| 9 | ცენტრალური საარჩევნო კომისია | |

### მკითხველის რეიტინგი

**დღეს რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ პარტიას (ბლოკს) მისცემდით ხმას?**

✓ ______________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

______________________ თქვენი სახელი, გვარი

______________________ ქალაქი (რაიონი)

________ ასაკი ________ ტელეფონი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**2 ნოემბერს ამომრჩეველთა დამატებითი სიები არ იარსებებს. თუ თქვენ არჩევნებამდე გაარკვიეთ, რომ არ ხართ ძირითად სიაში, რას მოიმოქმედებთ?**




1. ყველა ინსტანციას მოვივლი, რომ აღვიდგინო ხმის მიცემის უფლება – 46.5%
2. არაფერს. გამოდის, რომ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მივიღებ – 25.0%
3. მიჭირს პასუხის გაცემა – 28.5%

***დამატებით კითხვას 569 რესპონდენტმა უპასუხა***

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— „კარლსონი“ ვარ თბილისური სახურავებიდან...

## • ფოტოპალიტრა •

**ე.შ.** — მთელი გულით შენს მხარეზე ვარ, ჩემო ნინო... ვანოსაც არა უშავს... ისე, ჭკვიანი კაცია ჰეიდარი, ჩემი ძველი მეგობარია... პაატა და ილხანიც ხომ ერთად იზრდებოდნენ...

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***

**ნ.ბ.** — *ნათლი ბაბუ! მე რომ გავხდე პრეზიდენტი, შენ რას კარგავ ნეტავ, სხვაზე მეტად რომ დაგინდობ შენც ხომ კარგად ხედავ?*

***გივი კაციტაძე, თბილისი***

**ნ.ბ.** — ბატონო ედუარდ, საარჩევნო სიაში მამათქვენი ვნახე.

**ე.შ.** — სად???

**ნ.ბ.** — სად და მამაჩემის პაპის შემდეგ, იქვე ახლოს.

***კოკა, დრანდა***

**ე.შ.** — შვილო ნინო! დიდხანს ვაკეთებდი არჩევანს შენსა და ვანოს შორის, ვის დავუთმო სკამი-თქო! შევჩერდი შენზე, მაგრამ ბოლოს ნანულიმ გადამათქმევინა!

***გურამ ედილაშვილი, თბილისი***

**ე.შ. (ფიქრობს ნინოზე)** ეს არწივი, მეტისმეტად მაღლა აფრინდა...

**(კ/ფ „გიორგი სააკაძე“)**

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**ე.შ.** — (ირონიულად) Однажды лебедь, рак да щука...

**ნ.ბ.** — ამით რისი თქმა გინდათ, ბატონო პრეზიდენტო?

**ე.შ.** — რისი და გედი შენა ხარ, კიბო მიშიკოა და ქარიყლაპია ზურიკო.

***ანზორ თავართქილაძე, სამტრედია***



ედუარდ შევარდნაძე, ნინო ბურჯანაძე

**ე.შ.** — რაც შეიძლება ეცადე, დააჯერო ხალხს, შენი ოპოზიციონერობა, აგენტსაც დაგარქმევ, სხვა რამესაც, მაგრამ ასეა საჭირო.

**ნ.ბ.** — ვცდილობ ბატონო, აგერ წელან ისეთი ვუთავაზე ზოდელავას ხალხის დასანახად, რომ ცრემლები სდის.

***მამუკა მარღიშვილი, ქარელი, ღვლევი „ზელიმიჩი“***

C

## ფოტო განწყობისთვის



— დაამუხრუჭე, ინსპექტორის სუნი მცემს...

## მელ გიბსონი არ თვლის თავს ცისფერად



მელ გიბსონი, რომელიც ცნობილია სექსუმცირესობებისადმი სიძულვილით, კინაღამ გაგიჟდა, როცა ცნობილმა მსახიობმა რიჩარდ ჩემბერლენმა ვითომ ხუმრობით თქვა, რომ გიბსონი ჩუმი ჰომოსექსუალისტია. ერთ-ერთ ინტერვიუში, ჩემბერლენი გამოუტყდა საზოგადოებას თავის ჰომოსექსუალობაში, თან აღნიშნა, პრაქტიკულად ყველა მამაკაცი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობსო. თავისი ნათქვამის გასამყარებლად, მან რატომღაც ახსენა გიბსონი და დასძინა, არავინ იცის, სინამდვილეში რითია მსახიობი დაკავებული, როცა მას არავინ ხედავსო. ძალიან შეურაცხყოფილმა გიბსონმა ჩემბერლენს წერილი გაუგზავნა, რომლითაც მოსთხოვა ბოდიშის მოხდა და გააფრთხილა, რომ შემდგომში მისი სახელი აღარ ახსენოს...

25/X ●
**ახალი მთვარე**
**მაგნიტური დღეა**
26/X 17-დან 19 საათამდე

* * *

გვიან ღამით შინ ბრუნდება მთვრალი კაცი. ცოლი დერეფანში ხვდება:

— სად ეთრიე???

— სსს...საცობი...

— რაის საცობი, ღამის სამ საათზე, ქუჩაში არც ერთი მანქანა აღარ დადის.

— სსსს... საცობი ვერ ამოვაძრეთ ბბბოთლიდან...



## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





შეადგინა რამაზ ალანიამ

## სამშაბათობით!!!



## შარონ სთოუნი „ძირითად ინსტინქტზე“ ოცნებობს



შარონ სთოუნი დიდი სიამოვნებით იხსენებს ორი წლის წინანდელ ამბავს, როცა საავადმყოფოში აღმოჩნდა ტვინში სისხლის ჩაქცევით და ცალი ფეხით იმ ქვეყანას იყო. — გულწასული ვიყავი და ვგრძნობდი, როგორ მოვხვდი გასხივოსნებულ ადგილას, თან არამიწიერ სიამოვნებას განვიცდიდი. იქ სუფევდა სიჩუმე და სიმშვიდე, თითქოს იმასაც ვგრძნობდი, როგორ ცდილობდნენ ექიმები ჩემს მობრუნებას და არ მინდოდა, ისეთ განცხრომაში ვიყავი, — ჰყვება მსახიობი დიდი ნეტარებით.

სთოუნმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ქმართან გაშორების შემდეგ მას აღარავინ უყვარს და მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ პროდიუსერებმა და რეჟისორებმა ბოლოს და ბოლოს აასრულონ დაპირება და გადაიღონ ყველაზე ცნობილი ფილმის, „ძირითადი ინსტინქტის“ გაგრძელებაში — „მომბეზრდა ცარიელი დაპირებები, დროა საქმეზე გადავიდნენ“.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

(42) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№42 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 23 ოქტომბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54

**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი